

გაზაფხულის ფლორის სამკურნალო მცენარეები

როზა ბიძინაშვილი

როზა ბიძინაშვილი

გაზაფხულის
ფლორის
სამკურნალო
მცენარეები





„დღეს მერცხალი შემოფრინდა,
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
“გაზაფხული გაზაფხული”
გულს იმედი დამესახა.
მივდექ სარკმელს, გადვიხედე,
არემარე შესხვაფერა
სახობამ ფრთა გაშალა,
გულსა მკრა და ამიბგერა
სუნი მეცა გაზაფხულის,
უცნაური ვიგრძენ ძალი...
ვსთქვი, თუ: “გულსა რაღად ვიტებ?
ახლოს არის მომავალი
“მოვესწრები, რაც მიწოდდა
ზამთრისაგან დამაგრულსა:
ვნახავ ქორწილს ბუნებისას,
გავიგონებ მის მაცრულსა.
“დავეწოს ვარდსა გადაშლილსა,
ვეჭკვრებ ნაზად დახრილ იას
და ბულბულიც გამაგონებს
მისებურად “ტია, ტიას!”
აკაკი

ტურფა გაზაფხული მოდის!

ტურფა გაზაფხული მოვა,
ტურფა გაზაფხული მოდის!
ამას მეუბნება თოვა
და სითეთრე ტყეწლის ტოტის,

ამას მეუბნება გროვა
ქმელის და კორჩოტის...
ტურფა გაზაფხული მოვა,
ტურფა გაზაფხული მოდის.

ღობე-ღობე, ყანა-ყანა,
გორა-გორა, ტყე-ტყე მოდის!
ჯერ მერცხლები არა ჩანან,
შობილები მოვლენ როდის!

მაგრამ გული შეუპყრია
ტურფა გაზაფხულის ლოდინა -
ყანა-ყანა, ქალა-ქალა,
ჩუმად, ფეხაკრეფით მოდის.

მოდის ყვავილების გუნდით,
ვერას აკლებს ზამთრის ყფა;
მოდის უჩინმაჩინ ქუდით,
ნაფებურზე თოვლი ღებება;

დაბლა - მწვანე აბლაბუდით,
მაღლა - სხივთა ოქროს მწებად,
მოდის ყვავილების გუნდით,
სამკუფო ტახტზე ჯდება.

ჩუ, ფუტკარი ზუიბ კორდზე -
პირველ ყვავილისცნ ჩქარობს,
თუ ფრთა გაკრა ორკამ ტოტზე
გაბმულ სხივს და სხივი გალობს?!

ფებს იკიდებს ჩვერი ლოდზე -
წყარო დაბადებას წვლობს.
ჩუ, ფუტკარი ზუიბ კორდზე -
პირველ ყვავილისცნ ჩქარობს,

ტურფა გაზაფხული მოვა,
ტურფა გაზაფხული მოდის!
ამას მეუბნება თოვა
და სითეთრე ტყეწლის ტოტის,

ამას მეუბნება გროვა
ქმელის და კორჩოტის...
ტურფა გაზაფხული მოვა,
ტურფა გაზაფხული მოდის.

როზა ბიძინაშვილი

გაზაფხულის ფლორის სამკურნალო მცენარეები
ცნობარი



პერსეფონა - გაზაფხულის სიმბოლო

გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი, 2021

*„გუბღნი ჩემი მეუღლის მალხაზ ზარქუას
ნათელ ხსოვნას,
რომელიც ვერ მოესწრო 2021 წლის გაზაფხულს“*



ავტორი: როზა ბიძინაშვილი, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მკვლევარი, სამკურნალო მცენარეების სექტორის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

რედაქტორი: ეთერი გოგიტაშვილი, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მკვლევარი, ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

რეცენზენტი: ლამარა ასიეშვილი, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მკვლევარი, ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

© როზა ბიძინაშვილი

© Roza Bidzinashvili

ISBN 978-9941-490-55-2

წინათქმა

მოგესალმებით ძვირფასო მკითხველო! გაზაფხულის დაწყებით, ზამთრის ხანგრძლივი სიცივის შემდეგ, ყველა ცოცხალი არსების გამოღვიძებით, მსურს მხოლოდ ნათელსა და კარგზე ვიფიქრო და ვისაუბრო. მართლაც, გაზაფხული წელიწადის მშვენიერი დროა, რომელსაც პოეტებმა ახალგაზრდობის, სიყვარულისა და სილამაზის სიმბოლო უწოდეს და ჩვენ ახალი იმედებითა და მისწრაფებებით აგვავეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პერიოდი ყველასთვის არ არის სასიამოვნო - დიდი ხნის ნანატრი დრო. ვინაიდან, სწორედ სეზონების ცვლილების დროს ხდება ზოგიერთი ქრონიკული დაავადების გამწვავება და ჩნდება ახალი. ზამთრის პერიოდში დასუსტებული ორგანიზმი გაზაფხულზე განსაკუთრებით მწვავედ ვიტამინებით უკმარისობას განიცდის, ვინაიდან ბოსტნეული და ხილი შემოტანილი ზამთრის პერიოდში, ამ დროისათვის დიდი რაოდენობით კარგავს სასარგებლო ნივთიერებებს, ხოლო მათი ახალი შემცვლელები ჯერ არ გამოჩენილა. სწორედ მზის სხივების ნაკლებობა ახდენს D ვიტამინის ჰიპოვიტამინოზის პროვოცირებას, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ორგანიზმის იმუნური და ძვლოვანი სისტემების ფორმირებაში.

ყველა ეს ნეგატიური ფაქტორი ამცირებს ორგანიზმის წინააღმდეგობას ვირუსული და ინფექციური დაავადებების მიმართ, რომელთა ეპიდემია, სამწუხაროდ, არ მთავრდება გაზაფხულის მოსვლასთან ერთად. ადრეული გაზაფხულის პერიოდი განსაკუთრებით რთული გადასატანია კანის, საჭმლის მომნელებელი და ნერვული სისტემის დაავადებების მქონე ადამიანებისთვის. ჰიპოვიტამინოზი უარყოფითად მოქმედებს კანის მდგომარეობაზე, ახდენს ფსორიაზის, ეგზემის, ფურუნკულოზისა და სხვ. დაავადებების გამწვავების პროვოცირებას. სეზონებს შორის გამწვავების სტადიის პერიოდში ვლინდება ისეთი

დაავადებებიც, როგორცაა გასტრიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ქოლეცისტიტი.

აპრილში, მთავარი პრობლემები ეწყებათ ალერგიით დაავადებულებებს. ამ პერიოდში მოყვავილე მრავალი მცენარის მტვრიანები ხდება ალერგიული დაავადების - პოლინოზის გამომწვევი მიზეზი. ჭადარი, მურყანი, თხილი, არყი და სხვ. მცენარეები დიდი რაოდენობით გამოყოფენ "მტვერს", აპრილის შუა რიცხვებში, კუბურ მეტრ ჰაერში მინიმუმ 5,000-ზე მეტი მტვრიანების ნაწილაკებია.

ზამთრის სიცივის გახანგრძლივებული პერიოდი, ორგანიზმის ენერგეტიკული მარაგის გამოფიტვა, მზის სინათლის ნაკლებობა, ვიტამინ D დეფიციტის გარდა დეპრესიული მდგომარეობა, ხდება ასთენიის მიზეზი, რაც ვლინდება ნერვული სისტემის დარღვევებით: გაღიზიანება, აპათია, ძილისა და ყურადღების დარღვევა, ძალის დაკარგვა და ა.შ.

არასტაბილური ამინდი, რომელსაც თან ახლავს ატმოსფერული წნევის ცვლილებები, ტემპერატურის მოულოდნელი ცვალებადობა, საშიშია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, ჰიპერტენზიის და ვეგეტატიურ-სისხლძარღვთა დისტონიით დაავადებული ადამიანებისთვის. საგაზაფხულო პერიოდი ასევე არასასურველია სახსრების ქრონიკული დაავადებულთათვის.

მაგრამ ნუ მიეცემით სასოწარკვეთას, რადგან ყველაფრის მიუხედავად, გაზაფხული ზაფხულის მწვერვალია - სითბოს და სიმრავლის პერიოდი და ტრადიციული მედიცინა დაგეხმარებათ მრავალი დაავადების გამკლავებაში.

ალბათ ამიტომაცაა, რომ გაზაფხული ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი დროა პოეტებისა და მხატვრების უმეტესობისთვის!!!

თოვლის საფარქვეშ მოყვავილე მცენარეები,
გაზაფხულის მახარობლები
ფოტოილუსტრაცია



თეთრყვავილები და ყოჩივარდები

გაზაფხულის ფლორის სამკურნალო ბალახოვან მცენარეებს შორის მეტად საინტერესო ჯგუფს (სამკურნალო, საკვები თუ დეკორატიული თვალსაზრისით) წარმოადგენს ეფემეროიდული გეოფიტები, რომლებსაც ზამთარ - ადრე გაზაფხულზე მიწისზედა ნაწილი სწრაფად უვითარდებათ (ფოთლები, ყვავილები, ნაყოფები), ხოლო ცხელი და მშრალი ამინდის დადგომისთანავე უხმებათ, მცენარეებს რჩებათ მიწისქვეშა ნაწილი - ბოლქვების, ტუბერბოლქვების, ტუბერების, ფესურების სახით.

გეოფიტები, როგორც მცენარეთა სასიცოცხლო ფორმა, ძლიერ დამახასიათებელია უძველესი ხმელთაშუაზღვეთისათვის, მათ შორის კავ-

კასიისა და შესაბამისად საქართველოსთვისაც. დაკავშირებულნი არიან უმთავრესად მკვეთრად კონტინენტალური კლიმატის რიტმებთან. ვეგეტაციას იწყებენ ადრე გაზაფხულზე თოვლის დადნობამდე (ხშირად თოვლის საფარქვეშ), რის გამოც, სამხრეთის მრავალი მცენარის მსგავსად, ადვილად კულტივირდებიან სხვადასხვა განედზე.

ამ ჯგუფის სახეობებიდან აღსანიშნავია: *Allium paradoxum* - უცნაური პრასანა, *Anemone caucasica* - კავკასიური ფრინტა, *Bellevalia montana* - მთის ბელევალა, *Bellevalia paradoxa* - უცნაური ბელევალა, *Bellevalia speciosa* - ლამაზი ბელევალა, *Cyclamen adzharicum* - აჭარული ყოჩივარდა, *Cyclamen colchicum* - კოლხური ყოჩივარდა, *Cyclamen vernum* - ქართული ყოჩივარდა, *Corydalis angustifolia* - ვიწროფოთოლა ბუჩქისძირა, *Corydalis marschalliana* - მარშალის ბუჩქისძირა, *Crocus adamii* - ადამის ზაფრანა, *Erythronium caucasicum* - კავკასიური კაბაჭრელა, *Ficaria calthifolia* - ჩაწყობილა ზაია, *Ficaria ledebourii* - ლედებურის ჩაწყობილა-ზაია, *Fritillaria caucasica* - კავკასიური ღვინა, *Galanthus alpinus* - ალპური თეთრყვავილა, *Galanthus caucasicus* - კავკასიური თეთრყვავილა, *Galanthus kemulariae* - კემულარიას თეთრყვავილა, *Galanthus lagodechianus* - ლაგოდეხის თეთრყვავილა, *Galanthus platyphyllus* - ბრტყელფოთოლა თეთრყვავილა, *Galanthus woronowii* - ვორონოვის თეთრყვავილა, *Iris caucasica* - კავკასიური ზამზახი, *Iris reticulata* - მინდვრის ზამზახი, *Iris iberica* - ქართული ზამზახი, *Leucojum aestivum* - ზაფხულის ცხენისკბილა, *Merendera trygina* - სამბუტკოიანი ენძელა, *Merendera raddeana* - რადეს ენძელა, *Muscari alpanicum* - ალპური ყაზახა, *Muscari armeniacum* - სომხური ყაზახა, *Muscari caucasicum* - კავკასიური ყაზახა, *Muscari coeruleum* - ცისფერი ყაზახა, *Muscari neglectum* - შეუმჩნეველი ყაზახა, *Muscari szovitsianum* - შოვიცის ყაზახა, *Ornithogalum tempscianum* - ტემპსკის ძაღლნიორა, *Ornithogalum woronowii* - ვორონოვის ძაღლნიორა, *Puschkinia scilloides* - ცისტვალასებრი პუშკინია, *Scilla caucasica* - კავკასიური ცისტვალა, *Scilla rosenii* - როზენის


ცისტვალა, *Scilla siberica* - ციმბირული ცისტვალა, *Scilla winogradowii* - ვინოგრადოვის ცისტვალა, *Tulipa biebersteiniana* - ბიბერშტეინის ტიტა, *Tulipa eichleri* - ეიხლერის ტიტა და მრავალი სხვა.

⊙ ნორმალურ პირობებში ევემეროიდულ გეოფიტებში ისახება ერთი განახლების კვირტი, იშვიათად 2-3; მათ განვითარების ციკლში განირჩევა ორი პერიოდი: 1. მიწისქვეშა ფორმირებისა და კვირტის ზრდის, 2. მისგან განვითარებული ყლორტის მიწისზედა ზრდის პერიოდი.

⊙ პირველი პერიოდი უფრო ხანგრძლივია, იწყება ვეგეტაციის ბოლოს, როდესაც ბოლქვების, ტუბერების, ფესურების ზრდის კონუსზე დიფერენცირდება ახალი განახლების კვირტების პირველი ჩანასახი და გრძელდება მიწის ზედაპირზე ამ კვირტის გამოტანამდე (ახალი ვეგეტაციის დაწყებამდე), ე. წ. შედარებითი მოსვენების პერიოდი. მეორე მიწისზედა პერიოდი უფრო ხანმოკლეა, ხასიათდება მცენარის აქტიური ასიმილირებული და რეპროდუქციული მოქმედებით, აგრეთვე მიწისქვეშა ორგანოებში სამარაგო ნივთიერებების დაგროვებით, რომელიც აუცილებელია მომავალი წლის განახლების ყლორტების ფორმირების პირველი ეტაპებისათვის და შემდგომი განახლების კვირტების ჩასახვისათვის.

⊙ ზემო აღნიშნული მცენარეების მიწისზედა ორგანოების ვეგეტაციის საწყის ფაზად ითვლება ზამთრის ბოლო და ადრე გაზაფხულის თვეები (თებერვალ-მარტი). ამ პერიოდში, ფოთლებთან ერთად სწრაფად ეზრდებათ უკვე მთლიანად ფორმირებული ყვავილები, 7-12 დღის შემდეგ ისინი მასობრივად ყვავილობენ, შემდგომი ეტაპი - მწვანე ფოთლების ინტენსიური ზრდა კი იწყება ყვავილობის დასასრულს და გრძელდება 35-40 დღის განმავლობაში, პარალელურად მიმდინარეობს ნაყოფების მომწიფება, რის შემდეგაც აღინიშნება მიწისზედა ორგანოების თანდათანობითი ხმობა, რაც გრძელდება მაისის ბოლომდე.

ეფემეროიდული გეოფიტების პარალელურად ადრე გაზაფხულზე ყვავილობენ: *Helleborus abchasicus* - აფხაზური ხარისძირა, *Helleborus caucasicus* - კავკასიური ხარისძირა, *Pulsatilla georgica* - ქართული მედგარა, *Pulsatilla violacea* – იისებრი მედგარა, *Primula abchasicus* - აფხაზური ფურისულა, *Primula juliae* - იულიას ფურისულა, *Primula komarovii* - კომაროვის ფურისულა, *Primula macrocalyx* - დიდჯამა ფურისულა, *Primula ruprechtii* - რუპრეხტის ფურისულა, *Primula vulgaris* - ჩვეულებრივი ფურისულა, *Primula woronowii* - ტყის ფურისულა, *Tussilago farfara* - ჩვეულებრივი ვირისტერფა, *Trollius patulus* - უძოვარა და სხვა მრავალი, რომლებიც საქართველოს ტყე-ველის დამამშვენებელი კომპონენტებია და რაც მთავარია, მაღალდეკორატიულობასთან ერთად ყურადღებას სამკურნალო მნიშვნელობითაც იპყრობენ.





ადამის ზაფრანა - *Crocus adamii*



ალპური თეთრყვავილა -
Galanthus alpinu



ვრონოვის თეთრყვავილა -
Galanthus woronowii



კავკასიური თეთრყვავილა - *Galanthus caucasicus*



ფართოფოთლოვანი თეთრყვავილა -
Galanthus platyphyllus



შოვიცის ყაზახა -
Muscari szovitsianum



ზაფრანას სახეობები - ***Crocus sp***



აფხაზური ფურისულა -
Primula abchasica



მშვენიერი ფურისულა -
Primula megaseifolia



დიდჯამა ფურისულა -
Primula macrosalyx



ვორონოვის ფურისულა -
Primula woronowii



ჩვეულებრივი ფურისულა - *Primula vulgaris*





ვირისტერფა - *Tussilago farfara* შოვიცის უცუნა - *Colchicum szovitsii*



ქართული ყოჩივარდა - *Cyclamen vernum*



ციმბირის ცისტვალა - *Scilla siberica*



როზენის ცისტვალა - *Scilla rosenii* ორფოთოლა ცისტვალა - *Scilla bifolia*



კავკასიური ხარისძირა - *Helleborus caucasicus*




სოკოებიც ამოქუჩქუჩდნენ




ზაფხულის ცხენისკბილა - *Leucojum aestivum*



**კავკასიური ღვინა -
*Fritillaria caucasica***



**ვორონოვის ძაღლნიორა -
*Ornithogalum woronowii***




ბადისებრი ზამბახი - *Iris reticulata*



სურნელოვანი ია -*Viola odorata*

„იას უთხარით ტურფასა:
მოვა და შეგჭამს ჭიოო,
მაგრე მოხდენით, ლამაზო,
თავი რომ აგიღიაო!
შენ თუ გგონია სიცოცხლე
სამოთხის კარი ღიაო;
ნუ მოხვალ, მიწას ეფარე,
მოსვლაში არა ყრიაო.
ნუ ნახავს მზესა, ინანებს,
განა სულ მუდამ მზეაო!
მიწავ, შენ გეზარებოდეს
ეს ჩემი ტურფა იაო,
შენ უპატრონე, ემშობლე,
როგორაც შენი ზნეაო“.
ვაჟა ფშაველა





ეიხლერის ტიტა -
Tulipa eichleri



ბიბერშტეინის ტიტა -
Tulipa biebersteiniana



სუმბული - **Hyacinthus L.**



სამფერა ია - **Viola tricolor**



აფხაზური ხარისძირა -
Helleborus abchasicus



კავკასიური კაბაჭრელა -
Erythronium caucasicum



ნარგოზები - *Narcissus L.*



გაზაფხულის სურნელი მურა დათვმაც იგრძნო



ვიწროფოთოლა ბუჩქისძირა -
Corydalis angustifolia



მარშალის ბუჩქისძირა -
Corydalis marschalliana



მედგარა -
Pulsatilla violacea



ცისთვალასებრი პუშკინია -
Puschkinia scilloides



გაზაფხულზე მოყვავილე ბოლქვოვანი მცენარეები
დეკორატიულ მეყვავილეობაში

„სიცოცხლისათვის საჭიროა მზე,
თავისუფლება
და პატარა ყვავილი“

გ. ანდერსენი

მცენარეების სიმბოლიკა

ყვავილების სილამაზეზე დაკვირვებით, კაცობრიობის მიერ უამრავი ლეგენდაა შექმნილი, ამასთან ერთად მათ აღმერთებდნენ და თავყანს სცემდნენ. მაგალითად, ბერძნებმა აფროდიტე განასახიერეს ვარდში, ინდოეთში კი ლოტოსი სილამაზის ქალღმერთ ლაქშმის სიმბოლოა.

სხვადასხვა ქვეყანაში ყვავილებს დღესასწაულებს უძღვნიდნენ. ძველ საბერძნეთში - სუმბულს და შროშანს; იაპონიაში - ლოტოსს; ინგლისში კესანეს, სამფერა იას, ფურისულებს; საფრანგეთში - შროშანას, ვარდს, თეთრყვავილებს; ბულგარეთში - ვარდებს, სპარსეთში - ტიტას, ბელგიაში - ტყის მარწყვს და ა. შ.

ხალხური სიბრძნე გვამცნობს: “ის, ვინც ყვავილებს ზრდის, სიხარული მოაქვს საკუთარი თავისა და ხალხისთვის“

ყვავილების ენამ აღმოსავლეთში სპეციალური მეცნიერება სელამი შექმნა, რომელშიც ყველა მცენარეს შესაბამისი სიმბოლიკით გამოხატავენ. ასე მაგ.:

აბზინდა - სიმწარე, იმედის გაცრუება, ტანჯვა;

აზალია - მორცხვი სიყვარული, მარტოობით გამოწვეული სევდა;

აკაცია - ელეგანტურობა;

ალუბალი - სულიერი სილამაზე;

ალოე - შეურაცყოფა;

ალპური ხავსი - თავდაბლობა;

ამარილისი - სიამაყე, მიმზიდველობა;

ამპურა - მორჩილება;

ანწლი - ჯადოქრობა, მაგია, სულის სიძლიერე;

არყის ფოთოლი - მიპატიჟება;

არყის ხე - ნაყოფიერება და სინათლე;
ასტრა - სილმანის მუდმივობა, ვარსკვლავი, ნაღვლიანობა;
ასკილი - პოეზია;
ბაია - დაცნვა, არაკეთილმოსურნეობა, სიგიჟე;
ბამბე, ჭყორი - კეთილი ნება და სიხარული;
ბალბა - სილამაზე და სიცივე;
ბამბუკი - მოხდენილობა, მუდმივობა, მოქნილობა, პლასტიკურობა;
ბეგონია - მეგობრობის შეთავაზება;
ბირკავა - შეთანაწყობა;
ბუთხუზა ვარდი - სიყვარულით გაუმადლოება;
ბურბუშელა - წინასწარმეტყველება, ორაკული;
გარგარი - ანდროგენური;
გველის სურო - მუდმივი სიყვარული;
გეორგინა - სიახლე;
გვიმრა - ნდობა;
გულყვითელა - ეჭვიანობა და მღელვარება;
დაფნა - გამარჯვება, დაცვა, უკვდავება, საიდუმლო ცნობა;
დეზურა - პატიოსნება;
დევისპირა - უხეშობა, სიტლანქე;
დიდბაია - პაემანი;
ედელვეისი - სიყვარულის საუკეთესო დამამტკიცებელი;
ვარდკაჭაჭა - სიმწარე;
ვაზის ფოთლები - სიცოცხლე და სიტკბოება;
ვარდის ფოთოლი - პოეზია;
ვარდის ღერო - უარი;
ვაშლის ყვავილი - უთანხმოება სიყვარულში;
ვაშლის ფოთოლი - გაბუტვა, განხეთქილება;
ვერხვი - ამოოხვრა, კვნესა;
ვერბენა - აღფრთოვანება;
ზაფრანა (კროკუსი) - ბედნიერება, სიხარული;

ზაფრანა - ფიქრი;
ზამბახი - ბედნიერების ბურანში;
ზიზილა - ბედის ქალღმერთი, უბრალოება, სიწმინდე;
თეთრი ღუმფარა - სიცივე, სიმშვიდე;
თეთრი ვარდი - უმანკოება;
თეთრი იასამანი - მარტოობა;
თეთრი მიხაკი - ნდობა;
თეთრი შრომანი - უმანკოება;
თეთრყვავილა - იმედი;
ია - თავმდაბლობა, მომხიბვლელობა, უბიწოება;
იორდასალამი - გაუბედაობა, სინაზე, მორცხვობა;
კამა - უგუნურობა;
კამელია - მუდმივობა, მწუხარება, დარდი;
კაშკაშა წითელი ვარდი - ჯანმრთელობა;
კაქტუსი - მოკლე ბედნიერება;
კედარი - წინააღმდეგობა, უკვდავება;
კესანე - ერთგულება, მუდმივობა;
კვირისთავა - სურვილის ასრულება;
კვიპაროსი - მწუხარება, სევდა, ჭმუნვა;
კოწახური (ნაყოფები) - წინააღმდეგობა;
კრაზანა - სიცრუე;
კუნელი - სიყვარული;
ლარიქსი - გამბედაობა;
მანდრაგორა - შეთქმულება, ცირცეას ემბლემა;
მაგნოლია - გაზაფხული, ქალური მიმზიდველობა და სილამაზე;
მანანა - მარტოობა;
მხესუმზირა (ჯუჯა) - გაღმერთება;
მხესუმზირა (მაღალი) - ქედმაღლობა;
მრავალძარღვა - თვითგანათლება;
მინდვრის მაჩიტა - მაღლიერება;

მინდვრის ყაყაჩო - სიმტერე;
მუხის ფოთოლი - სიძლიერე;
ნარგიზი - ეგოიზმი, ნაღველი და სიკვდილი;
ნაძვის ხე - გამბედაობა, მთლიანობა, პატიოსნება;
ნიორი - უსიამოვნო საზოგადოება;
ოქროცოცხა - მოთმინება;
პალმის ფოთოლი - გამარჯვება;
პალმა - ზეიმი, დიდება, პატიოსნება;
პატარძლის ყვავილი - გულუბრყვილობა, ქარაფშუტობა;
ჟასმინი - მეგობრობის სიმტკიცე;
როზმარინი - გულახდილობა, პატიოსნება;
რეზედა - სიკეთე და ერთგულება;
სურო - უკვდავება და მუდმივი სიცოცხლე;
სუმბული - მწუხარება და დარდი;
ტიტა - სიყვარულის ახსნა, ბედნიერება;
ტეგანი - ვერაგი განზრახვა;
ტყის მაჩიტა - მდგრადობა;
ტირიფი - გულახდილობა;
ურთხელი - მწუხარება, სევდა;
უკვდავა - მდგრადობა;
ფარსმანდუკი - ჯადოქრობის გამომხატველი.
ფითრი - სიცოცხლის არსი, ღვთიური სუბსტანცია, პანაცეა;
ფიჭვი - პირდაპირობა, სასიცოცხლო ძალა, იდუმალეობა,
განმარტოება;
ფლოქსი - რა ბედნიერია ის, ვინც შენ მოგწონს;
ფორთოხლის ყვავილი - ნაყოფიერება;
ფურისულა - ხანმოკლე სიყვარული, სიწმინდე, ახალგაზრდობა,
სინორჩე;
ქლიავი - დღეგრძელობა, ზამთარი, სილამაზე, განდევილობა;
ქრიზანთემა - სიბრძნე, სიწმინდე და სისუფთავე;

ღვია - დაცვა, თავდაჯერილობა და ინიციატივა;
ლილილო - უბრალოება, სინაზე, ნდობა, მხიარულება, ერთგულება;
ყანის ბაია - სიავე;
ყაყაჩო - ნაყოფიერება, მოსავლიანობა, დღესასწაული;
ყვითელი ვარდი - კეკლუცობა;
ყვითელი შროშანი - ქედმაღლობა, ამპარტავნობა;
ყოჩივარდა - მტკიცე გრძნობები;
შმაგა - მაცდუნებელი მიმზიდველობა;
შროშანა - სიწმინდე, სინაზე, ერთგულება, ბედნიერება და
სიყვარული;
ჩვეულებრივი გვირილა - სიძულვილი;
ჩვეულებრივი ღოღო - მოთმინება;
ცაცხვი (ტოტი) - მეგობრული სიყვარული;
ცეცხლეკალა - მარტობა, განმარტოება;
ცირცელის ტოტი - მლიქვნელობა;
ძახველი - უგრძნობლობა;
წაბლის ყვავილი - ფუფუნება;
წიწმატურა - სიფრთხილე;
წყალიკრეფია - უმადურობა;
წყავი - ირონია;
ჭანგა - სიძულვილი;
ხავერდა - მოკლე ბედნიერება;
ხმალა - გამარჯვება;
ხანჭკოლა - ამაო თხოვნა;
ჯადვარი - მიუვალობა, ჭირვეულობა, კეთილგანწყობა და
ფუფუნება;
ჯინჭარი - გაფრთხილება!
ჯიჯლაყა - უკვდავება;
ჰელიოტროპი - სიყვარული უპირველეს ყოვლისა;
ჰორტენზია - სიცივე, ბაქიაობა.

მოცემული სიმბოლოების ანალიზის შედეგად, შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება, რომ უპირველესად ყველა ნიშანი ეხება მხოლოდ ადამიანურ დამოკიდებულებებს, ზოგჯერ ინტიმურს; ასევე, უმთავრესად ისინი დაკავშირებულია ამა თუ იმ მცენარის თვისებებთან ან გარეგნულ იერსახესთან.

<https://flora2000.ru/flower-secrets/rasteniya-simvoly>

<https://symbolist.ru/plants.html00>

https://ru.wikipedia.org/wiki/Язык_цветов

https://ru.qaz.wiki/wiki/Plant_symbolism

<http://flowerlib.ru/books/item/f00/s00/z0000068/st061.shtml>



თქმულება ყვავილების ადგილსამყოფლებზე, მათ შორის
გამორჩეულ ყვავილზე, რომელიც ღრუბლებს ზემოთ
ცხოვრობს



ედელვეისი - „სიყვარულის ყვავილი“

დიდი ხნის წინ, როდესაც ყვავილები პირველად გაჩნდნენ დედამიწაზე, თითოეულმა მათგანმა აირჩია თავისი ცხოვრების ადგილსამყოფელი და გვირგვინის ფურცლების ფერი.

- მე დავფარავ გამოშვლებულ მიწას სიმწვანით - წამოიძახა ბალახმა.

- მე კი ტყისა და გზის პირებზე ვიცხოვრებ - მხიარულად ჩაიღიღინა ზიზილამ.

- მეც ასევე მინდა - განაცხადეს ბაიამ, ღიღილომ, ყაყაჩომ და იონჯამ.

- მომეცით მე ტბორები და ტბები - წამოიძახა ღუმფარმა.

- ჩვენ გვიყვარს ტყის ჩრდილოვანი მონაკვეთები - წაიჩურჩულეს მორცხვმა კესანემ და ტყის იებმა.

- ჩვენ კი გვინდა ვიყოთ მოვლილი ბაღების საყვარელი ბინადრები - განაცხადეს ვარდებმა, სამფერა იებმა, ოსმალურმა მიხაკმა.

- ჩვენ გვსურს ვიცხოვროთ ნაკადულებისა და ჭაობების გასწვრივ - წარმოსთქვეს ზამბახებმა, უძოვარმა და ფურისულებმა.

- მე მიყვარს თბილი, მშრალი მზე და მე წავალ ქვიშნარ უდაბნოში - თქვა კაქტუსმა.

ამგვარად, ყველა ადგილი იქნა არჩეული გარდა შიშველი მაღალი მთებისა, იქ არ ისურვა ცხოვრება არც ერთმა ყვავილმა.

- იქ ნაკლები საკვებია - ახსნა ზიზილამ.

- იქ ნაკლები სითბოა! ნაკლები საკვები! იქ ყველგან სიშიშველეა, უდაბურია და ცივი - დაადასტურეს სხვა ყვავილებმაც.

- თუ თითოეულ ჩვენთაგანს არ შეუძლია არსებობა ტენის, სითბოსა და საკვების გარეშე, ნუთუ გამოჩნდება მსურველი იცხოვროს ასეთ ადგილას?

- მოდით ნაცრისფერი ხავსი წავიდეს იქ საცხოვრებლად და დაფაროს კლდეები - გადაწყვიტა ყველამ ერთად !!!

და ნაცრისფერი ხავსი, მიუხედავად წინააღმდეგობისა, იძულებული გახდა წასულიყო მაღალ მთებში საცხოვრებლად. შიშველ კლდეებზე მან მიაღწია ადგილს, სადაც არ იზრდებოდა არც ერთი მცენარე, ყველაფერი იყო უდაბური და მდუმარე. ის მიიწევდა სულ მაღლა და მაღლა, მიაღწია ღრუბლებამდეც კი, სადაც კლდეთა მწვერვალები დაფარული იყო მუდმივი თოვლით და ყინულით. მაგრამ უეცრად ხავსი გაოცებისაგან შეჩერდა, მის წინ აღმოჩნდა ვარსკვლავისებრი ფორმის ყვავილი, რომელიც კლდეს ებლაუჭებოდა და ჰოი საოცრებავ, ის ყვავდა! ყვავილი თეთრი იყო, ხოლო გული ყვითლად ანათებდა. ძალიან ციოდა და პატარა ყვავილმა თავის ფოთლები რბილი ბეწვით შეფუთა, რათა შეენარჩუნებინა სითბო და გადარჩენილიყო ამ მდუმარებაში.

- ჰოი! - წამოიძახა გაოცებულმა ნაცრისფერმა ხავსმა და შეჩერდა.

- როგორ მოაღწე ასეთ ადგილას, სადაც არ არის არც სითბო, არც ტენი და საკვები? ტყეებიდან და ღრუბლებიდანაც კი ასე მაღლა, ვინ გამოგაგზავნა?

- მე თვითონ მოვედი.

- შენ ვინ ხარ?

- მე ედელვეისი ვარ. აქ იმიტომ გავჩნდი, რომ აქ ვარ საჭირო, ვილაცამ ხომ უნდა გააცოცხლოს თავის ყვავილებით ეს კლდეები ამ სიმართლისა და მდუმარებისაგან?!

- და შენ არავინ არ გამოგაგზავნა?

- არა, მე აქ იმიტომ ვარ, რომ კლდეები ჩემს აქ ყოფნას საჭიროებენ, ჩემს გარდა აქ სხვა ყვავილი არ ხარობს!

ედელვეისი სხვა ყვავილებისაგან განსხვავებით ახლოა ვარსკვლავებთან, მათ, ვინც ამ ყვავილის მსგავსად მამაცობით გამოირჩევა, შესძლებენ მონახონ ის ღრუბლებს ზემოთ, სადაც იზრდება სიხარულით და კმაყოფილებით აღსავსე ულამაზესი მცენარე.

ედელვეისი ითარგმნება როგორც „კეთილშობილი თეთრი“. სიყვარულისათვის, ისევე როგორც ედელვეისისათვის უცნობია ეგოიზმი.

<http://www.lubludachu.ru/poetry/1264-ya-nuzhen.html>

საქართველო და სამკურნალო მცენარეები



საქართველო სამკურნალო მცენარეების შესწავლისა და წამალთმცოდნეობის თვალსაზრისით უძველესი ქვეყანაა. ხალხური ფარმაკოლოგიის მდიდარი ტრადიციები ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს ტრადიციები თაობიდან თაობაში გადადიოდა, საუკუნეებით გრძელდებოდა და დღესაც მრავალი სამკურნალო საშუალება და მისი გამოყენების ხერხი მიღებულია და ცნობილი.

საქართველოში თემური და ანტიკური პერიოდის მედიცინის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობები, ქართული მითოლოგიური ეპოსი, არქეოლოგიური გათხრები და ეთნოგრაფიული კვლევის მასალები, ძველი ქართული სამედიცინო წყაროები.

საქართველოს სამკურნალო მცენარეების გამოყენების ისტორიისათვის მნიშვნელოვანია თქმულება არგონავტების შესახებ, ალექსანდრიელი მგოსნის აპოლონიოს როდოსელის პოემა “არგონავტიკა” (1975),

სადაც მითოლოგიურ-ფანტასტიკურ ფერებშია გადმოცემული არგონავტთა ლაშქრობა კოლხეთში, აქ მცხოვრებ ტომთა საქმიანობა, მათი მაღალი კულტურა. თქმულება მიუთითებს ძველ კოლხეთში სამკურნალო მცენარეების ხელოვნურად გაშენების ფაქტზეც და საერთოდ ჩვენში უხსოვარი დროიდან მცენარის სამკურნალო წამლად გამოყენებაზე. აპოლონიოსის თანახმად, კოლხეთში - არესის ველზე, არესის ქალაქში არსებობდა ჰეკატესა და მედეას სამკურნალო მცენარეთა ბაღი, სადაც გაშენებული უნდა ყოფილიყო მრავალი სახეობის მცენარე. ძველი წელთაღრიცხვის საუკუნეებში დიდი იშვიათობაა უძველესი ბაღების არსებობა, ამ მხრივ უნიკალურია “მედეასა” და “სემირამიდას”. ბაღები. პირველი - უმთავრესად სამკურნალო მცენარეების ბაღს წარმოადგენდა და 7 საოცრებიდან ერთ-ერთ “სემირამიდას დაკიდებულ ბაღებზე” 5 საუკუნით ადრე არსებობდა.



მედეას ბაღში არსებულ მცენარეთა შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის “ორფიკული არგონავტიკის” უცნობი ავტორიც (ახ.წ. III-IV ს-ის მიჯნაზე შეთხზული ნაწარმოები, 1976). მედეას ბაღში მითითებულ მცენარეებს იმის განმარტებაც ახლავს თუ რისთვის იყენებდა მედეა მათ, მაგ.: ასფოდელუსი - სამარხებზე რომ იზრდება და ჯადოსნურ სიზმრებს იწვევს; პეონია - ქალურ სნეულებათა მთავარი წამალი, სპაზმების საწინააღმდეგო საშუალებაა; იფნურა (დიქტამნუსი) - უებარი წამალი გველნაკბენისა; მანდრაგორა - გამაცოფებელი და დასაძინებელი; ძაღლყურმენა - განსაკუთრებით გამოიყენებოდა გრძნეულების ხელოვნებისათვის; ბალის არჯაკალი - რომლის ნაწური წვენი სისხლდენის საწინააღმდეგო საშუალებად იყო გამოყენებული; ფრინტა (ანემონე) - კბილის ტკივილის, ქარების, სურავანდისა და თავზე მუნის სამკურნალო საშუალებად ითვლებოდა; გონგოლის თესლი შხამსაწინააღმდეგო საშუალებად მიაჩნდათ; ყოჩივარდას იყენებდნენ როგორც მათრობელა და მუცლის მოწყვეტის ძლიერ საშუალებად; სალბი - ცხელი საფენებისა და გამოსავლების სახით იხმარებოდა; ლავანდა - შედიოდა ჩირქროვების სამკურნალოდ ხმარებული წამლების შემადგენლობაში; პიტნა - ჭრილობის წამლად იყო ცნობილი; თავშავა - გველნაკბენის უებარ წამლად ითვლებოდა; წიწმატა - ნაქები იყო როგორც გესლიან ქვემძრომთა ძლიერ შხამსაწინააღმდეგო საშუალებად; ზაფრანა - მისი სამკურნალო ძალა ქალურ სნეულებათა საწინააღმდეგოდ იყო განთქმული და ა. შ. (მ. შენგელია, 1973; სალუქვაძე, 1987).

დადასტურებული მონაცემებით, მედეას ბაღი გაშენებული იყო კოლხურ-გეოგრაფიულ პროვინციაში, რომელიც მოიცავს კოლხეთს და მცირე აზიას ლაზისტან-პონტოს ქედის გაყოლებით მდინარეების მელეთ-ორდუს წყალგამყოფამდე; ბოტანიკურ-გეოგრაფიული ანალიზით ვლინდება, რომ “მედეას ბაღის” მცენარეთა შემადგენლობა კლიმატზე დამოკიდებულებით და ფლოროგენეზით ჰეტეროგენურია, ჭარბობს არიდული და ჰუმიდური ოლქების (ხმელთაშუაზღვისპი-

რეთის, წინა და მცირე აზიის, აღმოსავლეთ აზიის) მცენარეები (გაგნიძე და სხვ, 2009).

იმ პერიოდში უკვე ცნობილი იყო სამკურნალო მცენარეთა ისეთი ფარმაცოლოგიური თვისებები, როგორცაა კოაგულაცია და ანტიკოაგულაცია; ნარკოტიკული, სედატური, ანალგეტიკური, მომაკვდინებელი და შხამსაწინააღმდეგო საშუალებათა მომზადების ხელოვნება, რომელსაც იყენებდა პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორიელი; წარმატებით გამოიყენებოდა წნევისა და სიცხის დამწვევი, ოფლმდენი, ხველების საწინააღმდეგო და სხვადასხვა კარდიოლოგიური საშუალებები.

ქართველი ხალხის მიერ სამკურნალო მცენარეთა გამოყენების შესახებ ცნობები უხვად მოიპოვება ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებშიც. ქართული კარაბადინების გაცნობით ირკვევა, რომ ძველ საქართველოში 1000-ზე მეტი სახეობის, მრავალი ოჯახის მცენარე გამოიყენებოდა სამკურნალოდ, უფრო მეტად კი გვხვდება რთულყვავილოვნების, ჯვაროსნების, პარკოსნების, ქოლგოსნების, მარცვლოვნების, ვარდისებრთა, შროშანისებრთა ოჯახების წარმომადგენლები.

ძველ საქართველოში სამკურნალოდ ხმარებულ მცენარეებს შორის, რასაკვირველია უმთავრესად საქართველოში ბუნებრივად მოზარდი მცენარეები გვხვდება, თუმცა უძველეს დროში მკურნალობისათვის იყენებდნენ უცხო ქვეყნებიდან შემოტანილ მცენარეებსაც, რომელთა შორისაც აღსანიშნავია: ქაფურის ხე, მანდრაგორი, ლავანდა, ფერულა, როზმარინი, სამკურნალო სალბი, ტეგანი, ქინაქინის, მიხაკის, დარიჩინის ნაყოფები და სხვ.

ამჟამად, მიუხედავად ორგანულ-სინთეტიკური ქიმიის მნიშვნელოვანი მიღწევებისა სამკურნალო საშუალებების დარგში, მოსახლეობის ინტერესი სამკურნალო მცენარეებისადმი და მათგან მიღებული პრეპარატებისადმი არ მცირდება, პირიქით, XX საუკუნის ბოლო ათეული წლებიდან აღმასვლა აღინიშნება. არ შევცდებით თუ ვიტყვით,

რომ სამკურნალო საშუალებათა მესამედზე მეტი ეს არის მცენარეული წარმოშობის საშუალებები ანდა აქვთ უშუალო კავშირი მცენარეებთან. მაგ. ისეთ მაღალ ეფექტურ პრეპარატებს, როგორცაა სტრიხნინი, ატროპინი, პლატიფილინი, რეზერპინი და სხვა ალკალოიდები - ისინი კი მრავალ ათეულს შეადგენენ, მიიღება მცენარეებიდან. არის დიდი ჯგუფები სამკურნალო საშუალებებისა რომლებშიც მცენარეულ პრეპარატებს დომინირებული მდგომარეობა ან ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავიათ. ესაა უპირველეს ყოვლისა გულ-სისხლ-ძარღვთა, მატონიზირებელი (ჟენშენი და არალიასებრთა ოჯახის სხვა წარმომადგენლები), სედატური, შემკვრელი, ამოსახველებელი და სამკურნალო საშუალებათა ზოგიერთი სხვა ჯგუფები. თანამედროვე მედიცინა წარმოუდგენელია სათითურას, ცხვირისატეხელას, შრომანას, სტროფანტის გლიკოზიდებისა და სხვა ნივთიერებათა კომპლექსების გარეშე, რომლებსაც შეიცავს მაგ. კატაბალახას ფესვები. ჯერ ძნელად შესაცვლელია ისეთი ცნობილი ანტიარითმული საშუალებები, როგორცაა ხინიდინი და აიმალინი, რომლებიც ასევე მცენარეებისაგანაა მიღებული.

სამკურნალო მცენარეები და მათგან მიღებული პრეპარატები გამოიყენება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, განვითარებულსა და განვითარებადში, როგორც მეცნიერულ, ასევე ტრადიციულ მედიცინაში. სამკურნალო მცენარეები პირობითად კლასიფიცირებულია შემდეგ 3 ჯგუფად: 1. მცენარეები, რომლებიც უშუალოდ გამოიყენება სამკურნალო მიზნებისათვის; 2. მცენარეები, რომლებიც გამოიყენება გაღონური პრეპარატების მისაღებად, ოჯახური პირობების ჩათვლით; 3. მცენარეები, რომლებიც წარმოადგენენ ნედლეულის ძირითად წყაროს სამრეწველო გადამუშავებისათვის. 100 000 სამკურნალო საშუალებიდან, რომლებიც იხმარება მსოფლიო მედიცინის პრაქტიკაში, მცენარეული პრეპარატები 30%-ზე მეტს შეადგენს. ლიტერატურული მონაცემების თანახმად მეცნიერულ და ხალხურ მედიცინაში სამკურ-

ნალოდ გამოყენებული მცენარეების საერთო რიცხვი 2500 სახეობას აღემატება.

სამკურნალო მცენარეთა მიმართ ინტერესი გამოწვეულია შემდეგი ძირითადი მიზეზებით: მცენარეული სამკურნალო საშუალებები გამოირჩევიან შედარებით რბილი, კომპლექსური მოქმედებით, დადებითი ეფექტით ისეთი მძიმე დაავადებების მკურნალობისას, როგორცაა გულ-სისხლძარღვთა, სიმსივნეების, ფსიქო-ნევროლოგიური და ა.შ., აგრეთვე მცენარეებიდან გამოყოფილი თერაპიულად მნიშვნელოვანი ნაერთების მზარდი რიცხვით.

(ბიძინაშვილი, 2009; 2017).

მკურნალობასთან დაკავშირებით უხსოვარი დროიდან ქართულ ხალხურ მედიცინაში ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა ისეთი ფიტონიმები, რომლებიც უშუალოდ მცენარის სამკურნალო თვისებებს გამოხატავენ. ასე მაგ.:

ბანგა - ლემა, *Datura stramonium*

ბამბა ბალახი - ვირისტერფა, *Tussilago farfara*

ბამბაძარღვა - მრავალძარღვა, *Plantago major*

ბალღამის ბალახი - რძიანა, *Euphorbia*

ბატიბალახი - ღორის ქადა, *Lactuca serriola*

გესლის წამალი - გველისკოვზა, *Cynanxhum funebre*

გველისმძივა - აბრეშუმა, *Cuscuta*

გველის წამალი - მაჟარა, *Thalictrum minus*

გიჟანა - შმაგა, *Atropa caucasica*

გულბანდი - კატაბალახა, *Valeriana officinalis*

გულბამბა - ვირისტერფა, *Tussilago farfara*

გულისატეხელა - ქვაპურა, *Bupleurum rotundifolium*

გულყურო - დიდგულა, *Sambucus nigra*

გულფილტვის ბალახი - ჯადვარი, *Orchis*

დაკოდილაი - ლანცეტა მრავალძარღვა, *Plantago lanceolata*

დაჭრილაის წამალი - მსუქანა, *Sedum stoloniferum*

დედამიწის ნალველა - ასისთავა, *Centaureum umbellatum*
 დევსურა - შმაგა, *Atropa caucasica*
 დევსურავანდა - შმაგა, *Atropa caucasica*
 ერბოკარაქა - ჩაწყობილა ბაია, *Ficaria*
 ეშმაკის მათრახი - ასკილი, *Rosa canina*
 ეშმაკის მაშხალა - ლაქაში, *Typha*
 ეშმაკისფეხა - ქაცვი, *Hippophae rhamnoides*
 ვირგლა კამა - დიდი კამა, *Foeniculum vulgare*
 ვირიბალახი - თავკომბალა, *Echinops*
 ვირიპიტნა - ტყის პიტნა, *Mentha longifolia*
 ვირისკვერცხა - მთის შროშანი, *Lilium szovitsianum*
 ვირის საკვნეტელა - ბაძგი, *Ilex colchica*
 ვირიძუა - შვიტა, *Equisetum arvense*
 თაფლა - თაფლა - ქერიფელა, *Verbascum*
 თიაქარა - ქაფუნა, *Herniaria glabra*
 მეჭექის წამალი - მეჭექა, *Dichrocephala bicolor*
 მთვრალა ბალახი - ღვარძლი, *Lolium temulentum*
 მირონის ხე - პირამიდული კვიპაროზი, *Cupressus sempervirens* L. var.
pyramidalis
 მიწისქონა - ძაღლის სატაცური, *Tamus communis*
 მკვდრის ყვავილი - შროშანა, *Convallaria transcaucasica*
 მოჭრილის წამალი - ცხვარა, *Centaurea fischerii*
 მყრალა- ბალახი - მამულა და უჯანგარი *Artemisia vulgaris*, *Artemisia*
annua
 მწვანე ლენცოფა - ლემა, *Datura stramonium*
 ნაწყენის ბალახი - შავბალახა, *Leonurus quiquelobatus*
 პირპილ - წიწაკა, *Capsicum annuum*
 რწყილის წამალი - წითელი გვირილა, *Pyrethrum roseum*
 საგიჟებელა - შმაგა, *Atropa caucasica*
 სათრობელა - ღვარძლი, *Lolium temulentum*

სამარხვო - ცულისპირა, *Lathyrus sativus*
სატკბურა - ძირტკბილა, *Glycyrriza glabra*
საღვიძლა, ღვიძლა - ბაბუაწვერა, *Taraxacum officinale*
საყვითლო, სისხლბაღაზი - ქრისტესისხლა, *Chelidonium majus*
საყმაწვილო - ყანის ია, *Viola arvensis*
სიმჭლის ბაღაზი - აზინდა, *Artemisia absinthium*
სიცხის წამალი - ჭარელა, *Teucrium hamaedris*
სიყვითლის წამალი - დათვის კანაფი, *Datisca cannabina*
სუნელი - ულუმბო, *Trigonella coerulea*
სურავანდის ბაღაზი - ჭარელა, *Teucrium hamaedris*
სურნელი ყვითელი - ხავერდა, *Tagetes patula*
სუროვანდა - გველის სურო, *Vinca*
სურსულია წამალ - ქრისტესისხლა, *Chelidonium majus*
უკვდავა ფხალ - მსუქანა, *Sedum stoloniferum*
უჟმურის ბაღაზი - კრაზანა, *Hypericum perforatum*
უფლის ხე - ბზა, *Buxus*
ფილტვის ბაღაზი - ორფერი, *Pulmonaria mollissima*
ღვიძლა - ბურბუმელა, *Taraxacum officinale*
შაქართაფლა - მთის სვინტრი, *Polygonatum verticillatum*
შლეგა - ბოლოკა, *Rapistrum rugosum*
ცოფის ბაღაზი - შმაგა, *Atropa caucasica*
ცხვირისატეხელა - ბაია, *Ranunculus*
ცხრამაღლა - მრავალმარღვა, *Plantago major*
ცხვირსახოცელა - ქონდარა ნუში, *Amygdalus nana*
ძირიწამალი - ძალის სატაცური, *Tamus communis*
წამალწვრილა - *Cyperus badius*
წამალდიდი - ძირმწარა, *Aristolochia iberis*
წყლოლის ბაღაზი - ფასმანდუკი, *Achillea millefolium*
ხაკუტრაკი - შხამა, *Veratrum lobelianum*
ხარჩოს ყვავილი - ხავერდა, *Tagetes patula*

ხელთოფა - დიდგულა, *Sambucus nigra*
ხესურავანდა - ხებალახა, *Solanum dulcamara*
ხველის წამალი - მსუქანა, *Sedum stoloniferum*
(ა. მაცაშვილი, 1961; ზ. მაცაშვილი, 1996).

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, ერთი კი უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტიურად ძველი ქართული ფიტონიმები გამოხატავენ მცენარის ყველაზე თვალსაჩინო, წამყვან, ძირითად სამკურნალო თვისებებს და მათი გამოყენების შინაარსს.

მცენარეული სამყარო წარმოადგენს ახალი სახეობების გამოვლენის დაუშრეტელ წყაროს, რომლებიც შეიცავს თერაპიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ნივთიერებებს. ფარმაკოლოგებისა და კლინიკური სპეციალისტების დახმარებით შესაძლებელი ხდება ახალი, სპეციფიურად აქტიური ნივთიერებების აღმოჩენა თვით ტრადიციულად გამოყენებულ სამკურნალო მცენარეებში ახალი მეთოდების გამოყენებისა და იდენტიფიკაციის გზით.

მონაცემები გაზაფხულის ფლორის სამკურნალო
მცენარეებზე



„არ არსებობს ისეთი დაავადება, რომლის განკურნება შეუძლებელია
ბალახით და არ არსებობს ისეთი მცენარე, რომელიც არ იყოს
სამკურნალო“ - ავიცენა

„ ექიმს სწეულებასთან საბრძოლველად სამი საშუალება გააჩნია -
სიტყვა, მცენარე, დანა“ - ავიცენა

„ყველაფერი - შხამია, ყველაფერი - წამალია, ორივე განისაზღვრება
დოზით“ - პარაცელსი

„ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემოა - წამალია, თქვენ უბრალოდ უნდა
შეიცნოთ იგი და გამოიყენოთ სწორად“ - ნათქვამია აიურვედას ერთ-
ერთ კანონში.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა იმ ბალახოვანი მცენარეების წარმოჩენა, რომლებიც მაღალ დეკორატიულობასთან ერთად სამკურნალო მნიშვნელობით ხასიათდებიან, ჩვენი ტყე-ველის დამამშვენებელ კომპონენტებს წარმოადგენს ადრე გაზაფხულიდან დაწყებული გვიანი გაზაფხულის ჩათვლით და საქართველოს მოსახლეობის მიერ უძველესი დროიდან დღემდე გამოიყენებოდა სამკურნალოდ.

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს 205 სახეობის მცენარეს, ყურადღება გამახვილებულია მათ ბოტანიკურ მახვენებლებზე, ყვავილობის პერიოდზე, გავრცელებაზე, ქიმიურ შემადგენლობაზე და სამკურნალო მნიშვნელობაზე.

Achillea neilreichii Kerner (A. ochroleuca Ehrh.) – ნეილრეიხის ფარსმანდუკი

საქართველოს კუთხეებში ფარსმანდუკი სხვადასხვა სახელითაა ცნობილი: ქართლ-კახეთში - მელიკუდას; ქიზიყში-თავყვითელას; ხევსურეთში-ციცასკუდას; მთიულეთში - მელაგუნდას; ხევში- მკერვალას, საჭრელას; თუშეთში - წყლულის ბალახის; მესხეთ-ჯავახეთსა და აჭარაში ყვავისკუდა, ყვავკუდა, ყვაკუდა, ჩიჩქვის ბალახის; რაჭასა და იმერეთში - კრავიკუდა, ქორიკუდას; ლეჩხუმში - თავვიკუდას; საინგილოში - წყილი-ბალახის; სვანეთში - მულმურილის



მრავალწლოვანი მხოხავფესურიანი ბალახოვანი მცენარეა 30-60 სმ სიმაღლის მარტივი, მთელ სიგრძეზე შეფოთლილი ღეროთი, ცოტად თუ ბევრად სქლად მოფენილი თეთრი ბეწვით. ფოთლები მოგრძო კვერცხისებრია, სეგმენტები დამორიშორებულია, განკვეთილია ლანცეტა ფორმის, წაწვეტებულ ნაკვეთლებად. კალათები წვრილია, ენისებრი ყვავილები მღვრიე ყვითელი. ნაყოფი

თესლურაა. ყვავილობს მაის-ივნისში. იზრდება ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, გზის პირებზე.

სამკურნალო ნედლეულს ბალახი წარმოადგენს, შეგროვილი ყვავილობის პერიოდში. ხასიათდება ნალველმდენი, შარდმდენი, სისხლდენის შემაჩერებელი მოქმედებით.

საინტერესო ფაქტები: ფარსმანდუკი ის მცენარეა, რომელიც ადამიანებისათვის ცნობილია უძველესი დროიდან. პირველ რიგში, მისი სამკურნალო და არა დეკორატიული თვისებების გამო, რის გამოც მასზე უამრავი ლეგენდა არსებობს.

ერთ-ერთი მათგანის თანახმად, მისი სამკურნალო თვისებების გამო, წმინდა იოსები ხშირად მიმართავდა ამ ბალახს. იგი დურგლად მუშაობდა და ყველა სამუშაოს დროულად შესრულების გამო, სიჩქარეში ხშირად იზიანებდა ხელებს. ხოლო ფარსმანდუკის დახმარებით, მას სწრაფად შეეძლო ჭრილობების მოშუშება და სამუშაოზე დროულად დაბრუნება. ზოგიერთ ქვეყანაში ეს ლეგენდა დღესაც ცოცხალია. იქ ამ მცენარეს "წმინდა იოსების ბალახს" უწოდებენ.

თუმცა, ყველაზე ფართოდ გავრცელებული ლეგენდა ანტიკურ ელადში იღებს სათავეს და მას აქილევის ლეგენდას უწოდებენ. მეომრებიდან უდიდესი აქილევის, უკვდავი ქალღმერთის თეტისისა და მიწიერი მმართველი პელევსის სიყვარულის ნაყოფი, მეფე აგამემნონის მეთაურობით ტროას ომში გაემგზავრა. ლაშქრობისას, მან უნებლიეთ მიაყენა ჭრილობა ჰერაკლეს ვაჟს, ტელეფუსს. მიუხედავად იმისა, რომ ჭრილობა არ იყო სერიოზული, ტელეფუსი ვერა და ვერ გამოჯანმრთელდა, ჭრილობა არ ხორცდებოდა. ორაკულმა უწინასწარმეტყველა, რომ განკურნება მხოლოდ იმას შეეძლო, ვინც ზიანი მიაყენა. ტელეფუსმა მოიძია აქილევის, მოუთხრო წინასწარმეტყველების შესახებ და დახმარება სთხოვა, სამაგიეროდ დაჰპირდა, რომ ის ელინებს აჩვენებდა ტროასკენ ზღვით მიმავალ გზას. აქილევის მეომარი იყო და არა ექიმი, დავალების შესრულება მას პრაქტიკულად შეუძლებლად მოეჩვენა, მაგრამ ტელეფის დაპირებული ჯილდო

მაცდურად გამოიყურებოდა. აქილევსი მივიდა ბრძენ კენტავრ ქირონთან, რომელმაც უამბო მას სამკურნალო ბალახის-ფარსმანდუკის შესახებ, რომელიც კურნავს მრავალი დაავადებისგან. აქილევსმა გამოიყენა ეს ბალახი ტელეფუსის ჭრილობების მოსაშუშებლად, ხოლო მცენარემ მიიღო სახელწოდება აქილეა (Achillea).

<https://culture.wikireading.ru/>

Adonis aestivalis L. - ცხვირისატეხელა

საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა სახელს უწოდებენ: ჯავახეთში - ჩიტის ყაყაჩოს, მესხეთში - ძაღლის ყაყაჩოს, ქართლში - ყაყაჩოს-შვილს



ერთწლოვანი, გზადმოყოლილი სარეველა მცენარეა, ბაიასებრთა (Ranunculaceae) ოჯახის წარმომადგენელი; ყურადღებას იპყრობს კაშკაშა წითელი ყვავილებით. ყვავილობს აპრილ-ივნისში. იზრდება დაბლობებსა და მთისწინებზე, გვხვდება ნათესებში, ხნულეებში, მშრალ ფერდობებზე, კირქვიანებსა და თიხნარებზე.

სამკურნალოდ ბალახი გამოიყენება. შეიცავს ნახშირწყლებს და მონათესავე შენაერთებს: ადონიტს, კარდენოლიდებს, ციმარინს, კაროტინს. კლინიკურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ შეიძლება ჩაითვალოს ზაფხულის ცხვირისატეხელას (Adonis vernalis) შემცვლელად. მცენარე ხასიათდება ანტიბაქტერიული მოქმედებით, ამადღებს სისხლის შედედების უნარს. ხალხურ მედიცინაში ბალახის ნახარში და ნაყენი გამოიყენება თირკმელებისა და შარდის ბუშტის დაავადებების სამკურნალოდ. ფესვები ხასიათდება სასაქმებელი და პირსასაქმებელი მოქმედებით.

საინტერესო ფაქტები: ლიტერატურაში არაერთხელაა მოხსენიებული მშვენიერი ლეგენდა მცენარეზე, რომლის ლათინური სახელია Adonis - ადონისი. ამ ლეგენდამ ყველაზე დიდ პოპულარობას მიაღწია აღორძინების ეპოქაში, როდესაც აფროდიტესა და ადონისზე იქმნებოდა მრავალრიცხოვანი მხატვრული და სკულპტურული ნამუშევრები. ლეგენდა ადონისზე სრულად არის გამოხატული ოვიდიუსის „მეტამორფოზებში“, რომლის მიხედვითაც, აფროდიტე გაუბრაზდა კვიპროსის მეფის კიმირის მეუღლეს იმ უპატივცემულობის გამო, რაც მან მისი ქალიშვილისადმი ჩაიდინა, ჩაუნერგა რა ვნება საკუთარი მამის მიმართ. მეფე დაემორჩილა ცდუნებას, დაამყარა მირასთან ურთიერთობა, მაგრამ სიმართლე როცა გაიგო, აღშფოთებულმა დაწყევლა ის. ღმერთებმა უბედური ქალი მირონის ხედ აქციეს, რომლის ჭრილობებიდან სურნელოვანი წვენი ყოველთვის იღვრება. გახეთქილი ვარჯიდან კი უჩვეულოდ ლამაზი ბავშვი დაიბადა, რომელსაც ადონისი დაარქვეს. აფროდიტემ აღსაზრდელად ის პერსეფონეს, ქვესკნელის ღმერთის ჰადესის მეუღლეს გადასცა იმ პირობით, რომ მოზრდილი ბავშვი დაუბრუნდებოდა მას. მაგრამ, როდესაც დანიშნული დრო დადგა, პერსეფონემ მასთან განშორება არ ისურვა. ამ დავის მოსამართლე თავად ზევსი გახდა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ზაფხულში ადონისი აფროდიტესთან იცხოვრებდა დედამიწაზე, ხოლო ზამთარს პერსეფონესთან მიწისქვეშეთში გაატარებდა. სიყვარულის ბედნიერი ქალღმერთი ტყეებში ხეტიალობდა ადონისთან და ევედრებოდა, რომ არ გაერისკა და მორიდებოდა სასტიკ მხეცებზე - დათვებსა და გარეულ ღორზე ნადირობას. მაგრამ ერთ დღესაც ადონისი მარტო წავიდა სანადიროდ და გარეული ღორის ეშვებისაგან მძიმედ დაჭრილი გარდაიცვალა. დამწუხრებული აფროდიტე დიდხანს გლოვობდა შეყვარებულს, შემდეგ კი მოაპკურა ნექტარი ახალგაზრდა კაცის სისხლს და ყვავილად გადააქცია.

**Aegonychon purpureocaeruleum (L.) Holub. – მოცისფრო-მეწამული
კაკბის საკენკელა**



ლაშქარისებრთა (Boraginaceae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მოკლე გახევებული ფესურითა და უნაყოფო, ხშირად მწოლარე ყლორტებით. ღერო 20-50 სმ სიმაღლისაა, მარტივი, სწორი, სქლად შეფოთილი, გადახრილბეწვიანი. ფოთლები კიდემთლიანია, ქვედა-ხაზური,

დანარჩენი ლანცეტისებრი, მახვილწვერიანი, მიტკე-ცილბუსუსიანი. ყვავილი მოიისფრო-ლურჯია, გაშლისას მოწითალო. ყვავილობს მაის-ივნისში. იზრდება ტყეებში, ბუჩქნარებში, უმეტესად მთის შუა სარტყლამდე. ბალახი გამოიყენება ხალხურ მედიცინაში როგორც დამარბილებელი საშუალება.

Ajuga genevensis L. - ჟენევის პირწმინდა

საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი: მესხეთში - ბუხახის; ლეჩხუმში - ღორიჭაკუნტელის; გურიაში - ღორიშარაშელას, ღორისაჩეჩელას; სამეგრელოში - ხეიშელე, ცეიშარე, ცეეშელა, ცესალე, თვათვის.



მრავალწლოვანი მოკლე ფესურიანი ბალახოვანი, 50 მ-მდე სიმაღლის მცენარეა ტუჩოსნთა (Labiatae) ოჯახიდან. ფესვთანური ფოთლები უკუკვერცხისებრია, მსხვლად დადარულ-დაკბილული, ზოგჯერ კიდემთლიანი. ყვავილები ცისფერია, მჯდომარე,

ჩხროებად შეკრებილი. ყვავილობს აპრილიდან სექტემბრამდე. იზრდება ტყის მდელოებზე, ბუჩქნარებში, ბალახოვან ფერდობებზე, ნათესებში. ფოთლები შეიცავს აუკუბინს, ფლავონოიდებს, ეთერ-ზეთებს, ფიტოლს, მთრილავ ნივთიერებს. ხალხურ მედიცინაში ფოთლები გამოიყენება როგორც ანთების საწინააღმდეგო, ჰემოსტატიკური და ჭრილობების შემახორცებელი საშუალება, ასევე - სისხლიანი ნახველის, ტუბერკულოზის, სისხლიანი ფაღარათის დროს.

საინტერესო ფაქტები: პირწმინდას აქვს საიდუმლო ძალა, სიცოცხლის ძალა. „სადაც არ უნდა დაირგას, ის ყველგან გაიზრდება, ყველგან გაიდგამს ფესვებს“ - ნათქვამია მასზე. მას რგავდნენ სახურავებზე, რათა სახლი დაეცვათ ჭექა-ქუხილისა და ელვისგან.

Ajuga reptans L. - მცოცავი პირწმინდა



ტუჩოსანთა (Labiatae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მოკლე ფესურიანი მცენარეა მხოხავი ყლორტებით. ფოთლები კვერცხისებრი ან უკუკვერცხისებრია, შორიშორს მრგვლად კიდედაკბილული, ორივე მხრიდან სუსტად შებუსული. ყვავილები ლურჯია ან ცისფერი, ჩხროებად შეკრებილი. ყვავილობს აპრილი-

დან ივნისამდე. გვხვდება უმთავრესად ტენიან, ბალახოვან ადგილებში, ბუჩქნარებში, ტყის პირებზე.

მცენარის ქიმიური შემადგენლობა სუსტადაა შესწავლილი, თუმცა ცნობილია, რომ შეიცავს ფლავონოიდებს, ირიდოიდებს, სტეროიდებს, მთრილავ ნივთიერებებს და ეთერზეთებს. ხასიათდება შემკვრელი, შარდმდენი, სპაზმური, ოფლმდენი, ამოსახველებელი, სისხლისგამწმენდი, ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო, ჭრილობ-

ბების შემახორცებელი, იმუნური სისტემის გამაძლიერებელი, სისხლდენის შემაჩერებელი მოქმედებით.

ხალხურ მედიცინაში ბალახს იყენებენ კუჭის მოქმედების და ნივთიერებათა ცვლის გასაუმჯობესებლად; გაციების დროს კარგი ოფლმდენი და სიცხის დამწვევი საშუალებაა, ეფექტურია ქრონიკული და მწვავე ბრონქიტის, კუჭის აშლილობის, კუჭის წყლულის, გასტრიტის, ნაღველკენჭოვანი დაავადებებისას.

<https://www.livemaster.ru/topic/2426847-zhivuchka-polzuchaya-primeneniye-narodnoj-meditsine-i-kosmetologii>

Alliaria petiolata (Bieb.) Cavara. et Grande. - ყუნწიანი ნივრის დედა



ორწლოვანი მცენარეა ჯვაროსანთა (Cruciferae) ოჯახიდან ნივრის სპეციფიური სუნით. ფესვთანური ფოთლები თირკმლისებრია, ღეროსეული - გული-სებრ-კვერცხისებრი. ყვავილები თეთრია, შეკრებილია მტევნისებრ ყვავილედებად. ყვავილობს აპრილიდან ივნისამდე. იზრდება

ბა ტყის ქვედა სარტყელში, ტყის პირებზე, ბუჩქნარებში, ნაკაფებსა და ბალ-პარკებში. ამჯობინებს ნოტიო, სუსტ მჟავე, ჰუმუსიან, ფხვიერ, ღორღიან და თიხნარ ნიადაგებს.

შეიცავს ვიტამინ **C**, ეთერზეთებს, კაროტინს, ფისებს. ხასიათდება ანტისეპტკური, ოფლმდენი, ამოსახველებელი, შარდმდენი, სიმსივნის საწინააღმდეგო და ანტიჰელმინტური მოქმედებით. ხალხურ მედიცინაში ბალახისა და თესლების ნახარში გამოიყენება სურავანდის, ბრონქიალური ასთმის, კუჭის აშლილობის, ფურუნკულოზის, რევმატიზმის, ნევრალგიის, ნიკრისის ქარის საწინააღმდეგო საშუალებად. გარეგანად - ავთვისებიანი წყლულების სამკურნალოდ.

კვლევების თანახმად, ევროპაში ჯერ კიდევ ნეოლიტის ეპოქაში ცნობილი იყო საკვები და სამკურნალო მნიშვნელობით.

Allium paradoxum (Bieb) Don. - პრასანა

ქვემო ქართლში უწოდებენ ხაზაზას, იმერეთში - პრასინას



მრავალწლოვანი ბოლქვოვანი ადრე გაზაფხულის ეფემეროიდული გეოფიტია ამარელისებრთა (Amaryllidaceae) ოჯახიდან. 20-30 სმ სიმაღლის ღეროთი და მარტოული, პრიალა, ხაზური, 0,5-1-2,5 სმ სიგანის ფოთლით. ყვავილები თეთრია, გრძელყუნ-

წიანები, მათ ძირში პატარა ზომის მომრგვალო ბოლქვებით, რომლებიც ჯგუფურადაა განვითარებული. ყვავილობს მაისში; ტყის ტიპური მცენარეა, იზრდება ბუჩქნარებში, მუხნარ-წიფლნარებსა და რცხილნარებში; ზოგიერთ ადგილას ჰქმნის გაზაფხულის სინუზიას. კარგად ვითარდება დაჩრდილულსა და შედარებით ნოტიო ადგილებში. მცენარის მიწისზედა ნაწილები ხასიათდება საკვები და სამკურნალო მნიშვნელობით.

Allium ursinum L. - ღანძილი

დასავლეთ საქართველოში ცნობილია ჯიშკილას, ფშავში - ხანძილის, ხოლო ხევსურეთში - ღანძელის სახელით



მრავალწლოვანი ბოლქვოვანი ეფემეროიდული გეოფიტია, 15-50 სმ სიმაღლის სამწახნაგოვანი უფოთლო ღეროთი და ნახევრადსფერული ქოლგა ყვავილედად შეკრული თეთრი ყვავილებით. ნაყოფი სფერული, სამწახნაგოვანი კოლოფია. ყვავილობს მაის-

ივნისში. დაყვავილების შემდეგ მცენარის მიწისზედა ნაწილი ხმება. იზრდება ნოტიო ადგილებში, წყაროებისა და მდინარეების ველობებზე, თიხნარებსა და სილნარებზე, ქვიშნარ, ღორღიან, ჰუმუსიან, სუსტ მჟავე ნიადაგებზე.

ღანძილის მწვანე მასა გაზაფხულზე წარმოადგენს ასკორბინის მჟავის ბუნებრივ წყაროს. შეიცავს გლიკოზიდ ალიინსა და ეთერზეთებს, დიდი რაოდენობით ასკორბინის მჟავას (ფოთლებში - 0,73 მგ%, ბოლქვებში - 0,10 მგ%); რაც უფრო მაღალ მთებში იზრდება, მით უფრო მეტია მათში C ვიტამინის შემცველობა. ეთერზეთების შემადგენლობაში (რომელიც ნივრის ეთერზეთების იდენტურია), შედის ალილსულფიდები და ალილპოლისულფიდები, ვინისულფიდი, მერკაპტანი და დაუდგენელი აგებულების ალდეჰიდი; აღინიშნება ცილები, - ნახშირწყლები (ფრუქტოზა), მინერალური მარილები, ფიტონციდეზი, ლიზოციმი, კაროტინი.

ნიორის მსგავსად რეკომენდირებულია სურავანდის, ავიტამინოზის, კოლიტის, კვების მონელების დარღვევის, უმადობისა და კუჭის აშლილობის, კუჭ-ნაწლავის კატარის, განსაკუთრებით ინფექციური ბუნების, ფილტვის ტუბერკულოზის, ათეროსკლეროზის, მაღალი არტერიალური წნევისა და მასთან დაკავშირებული წუხილის დროს -

თავბრუსხვევა, უძილობა. კარგად მოქმედებს გაციებისას, ხველების, ბრონქიტის დროს, ხასიათდება ჭიისმდენი მოქმედებითაც.

საინტერესო ფაქტები: უძველესი სამკურნალო და საკვები მცენარეა; არქეოლოგიური გამოკვლევებით, ნეოლითის ეპოქის დასახლებებში ალპების წინამთიანეთში ხშირად ნახულობენ ღანძილის კვალს, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ მას 5000 წლის წინათ იყენებდნენ.

ძველ სამედიცინო ტრაქტატებში ნახსენებია, როგორც კარგი დამცავი საშუალება შავი ჭირის, ქოლერისა და სხვა გადამდები ინფექციური დაავადებებისას. ძველ რომში და შუა საუკუნეებში მიიჩნევდნენ სისხლის გამწმენდად, ასევე ძველი დროიდანვე ცნობილი იყო ანტისკლეროზული მოქმედებით. ეგვიპტელებმა მას სასწაული-მცენარე უწოდეს.

არსებობს ანდაზური თქმა: „სეზონზე დანაყრდები ღანძილით - შეინარჩუნებ ჯანმრთელობას მომავალი წლის გაზაფხულამდე“.

ერთ-ერთი ლეგენდა გვაუწყებს, რომ ღანძილი - პირველი მცენარეა, რომლითაც იკვებება დათვი გამოღვიძების შემდეგ, რითიც ზამთრის ძილის შემდგომ აღიდგენს ძალებს. როგორც ჩანს ის წარმოადგენს ადამიანისათვის დათვის ზებუნებრივი ძალის წყაროს.

მაგიური თვალსაზრისით ითვლება, რომ ღანძილი ასუფთავებს საცხოვრებელს, იცავს ადამიანს გათვალვისგან და ნივრის მსგავსად თავის დაცვის საშუალებას წარმოადგენს.

<https://nourriture.ru/interesnoe-o-ede/>

Anagallis arvensis L. - საპონელა

გურასა და ქვემო იმერეთში ემახიან ბუჩუჭა, ხელბუჩუჭას; იმერეთში - საპონელას; ლეჩუმში -ხელსაბანს; სამეგრელოში - თავედას.



ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა ფურისულასებრთა (Primulaceae) ოჯახიდან. მთელი მცენარე შიშველია, ან მხოლოდ ნორჩობაშია შებუსუსული, ღერო ოთხწახანაგოვანია, გართხმული ან წამოწეული, ფოთლები მჯდომარეა, მოპირისპირედ განლაგებული, ლანცეტა ან მოგრძო-კვერცხისებური. ყვავილები მარტოულია, ფოთლის უბებში განლაგებული. ნარინჯისფერია, წითელი ან ლურჯი შეფერილობის. ყვავილობს აპრილ-ივნისში. იზრდება მდელოებზე, რუდერალურ ადგილებში, რუებისა და არხების გაყოლებით, ნათესებში. შეიცავს დიდი რაოდენობით საპონინებს. გარკვეულ პერიოდში ითვლებოდა მომქმედ საშუალებად ცოფის საწინააღმდეგოდ. მშრალ ბალახს იყენებდნენ მელანქოლიის, კიბოს სამკურნალოდ. მცენარის ყველა ნაწილი შხამიანია!

თუმცა გამოიყენება ჰომეოპათიურ სამედიცინო პრაქტიკაში, როგორც მრავალი სააფთიაქო საშუალებების კომპონენტი (გალენური პრეპარატები), რომლებიც შექმნილია სხვადასხვა გამონაყარისა და ნერვული აშლილობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

Anchusa italica Retz. - პატარძალა

რაჭასა და ზემო იმერეთში პროზიენას სახელითაა ცნობილი



ლაშქარასებრთა (Boraginaceae) ოჯახის ორ ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 40-60 სმ სიმაღლის დეროთი. ფოთლები ოვალური ან მოგრძო ლანცეტაა. ყვავილი მეწამული-ლურჯი ფერისაა. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება მშრალ, ქვიან ფერ-

დობებზე, რუდერალურ ადგილებში, ყამირზე, ერთეული ინდივიდების სახით. ხალხურ მედიცინაში ყვავილებისაგან დამზადებულ ნახარშს იყენებენ ნევრასტენიის, ბრონქიალური ასთმის, მკერდის არეში ტკივლების, სიყვითლის, ხველების საწინააღმდეგოდ. ხოლო აზერბაიჯანში ფესვებს ხარშავენ კარაქში და მისგან ამზადებენ მალამოს, რომელსაც ხმარობენ სისხლის შესაჩერებლად. გარდა აღნიშნულისა მცენარე ხასიათდება საფაღარათო და სიცხის დამწვევი მოქმედებით. გამოირჩევა დეკორატიულობითაც.

Anemone caucasica Willd. - კავკასიური ფრინტა



მრავალწლოვანი ეფემეროიდული 10-20 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა ბაიასებრთა (Ranunculaceae) ოჯახიდან. ფესურა ტუბერისებრია, კვერცხისებრი ან მომრგვალო ფორმის. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, სამად გაყოფილი. ყვავილე-

ბი მარტოულია, ცისფერი. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება ტყის სარტყელში, ტყეებსა და ბუჩქნარებში. მცენარის ნახარში გამოიყენება კანის დაავადებებისას.

Anemone ranunculoides L. - ზაიასებრი ფრინტა



მრავალწლოვანი მხოხავფესურიანი 30 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ფესვთანური ფოთოლი ერთია, თათისებრგანკვეთილი, გრძელ ყუნწიანი. ყვავილები ოქროსფერ-ყვითელია, 5-ფურცლიანი, საყვავილე ისრები მარტოულია. ყვავილობს აპრილ-

ში. იზრდება ტყის სარტყელში, უპირატესობას ანიჭებს ფართო-ფოთლოვან ტყეებსა და მუხნარებს.

შეიცავს ანემონილს, ანემონის კამფორას, რომელიც დაშლისას გამოჰყოფს ანემონინს - ტკივილგამაყუჩებელ ანტისპაზმურ ნივთიერებას, რომელიც დადებითად მოქმედებს გულზე. ხასიათდება ტკივილგამაყუჩებელი, ანტიმიკრობული, ანთებისა და სპაზმების საწინააღმდეგო მოქმედებით. ხალხურ მედიცინაში ბალახის ნაყენი გამოიყენება კუჭის ტკივილის, ყვიანახველის, ღვიძლის, ელენტის, შარდის ბუშტისა და ნაღველკენჭოვანი დაავადებების, წყალმანკის, ბრონქიალური ასთმის, დამბლის, მუნის, რაქიტის სამკურნალოდ; გამოიყენება აგრეთვე ისტერიის, ნიკრისის ქარის, რევმატიზმის, რადიკულიტის დროს. ხელს უწყობს თირკმელებისა და ფილტვების მოქმედების გაძლიერებას.

მცენარე ძლიერ შხამიანია!

საინტერესო ფაქტები: პალესტინაში ჯერ კიდევ არსებობს რწმენა, რომ ანემონე იზრდებოდა იმ ჯვრის ქვეშ, რომელზეც ჯვარცმული

იყო იესო. რის გამოც, იქ განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან ამ მცენარის მიმართ.

Aquilegia vulgaris L. - ჩვეულებრივი წყალიკრეფია



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ბაიასებრთა (Ranunculaceae) ოჯახიდან. ღერო ზედა ნაწილში დატოტვილია, შიშველი ან შებუსული, სიმაღლით 30-70 სმ. ფოთლები ბაცი მწვანეა, ლეგა ან შებუსული. ფესვთანური ფოთლები ორმაგ - სამმაგ დანა-

წევრებულია, გრძელყუნწიანი, მომრგვალო-შუბისებრი ფოთოლაკებით. ღეროსეული - ისეთივე ფორმისაა, მოკლყუნწიანები. ყვავილები სხვადასხვა შეფერილობისაა: ლურჯი, ვარდისფერი, იისფერი, წითელი, თეთრი. ყვავილობს აპრილ-მაისში. აქტიურად გამოიყენება დეკორატიულ მებაღეობაში. გამოყვანილია მრავალი ჯიში.

წყალიკრეფია ხასიათდება ანტისეპტიკური, დამამშვიდებელი, ნალველმდენი, საფაღარათო მოქმედებით. ყვავილები შეიცავს ვიტამინ C, თესლები - მჟავებს და ეთერზეთებს. სამკურნალო მიზნით გამოიყენება მცენარის წვენი, მიწისზედა ნაწილი - ბალახი, შეგროვილი ყვავილობის პერიოდში. იხმარება ნედლი და მშრალი სახით. იყენებენ თირკმელებში ქვების არსებობისას, წყალმანკის, ხველების, სიყვითლის, ფილტვების ანთების, თვალების, ქალური და ონკოლოგიური დაავადებებისას. ამავდროულად ყურადსაღებია, რომ მცენარე შხამიანია და გამოყენებისას ზუსტად უნდა იქნეს დაცული დოზები, მოწამლვის თავიდან ასაცილებლად.

საინტერესო ფაქტები: მცენარეს წყალიკრეფია იმის გამო ეწოდა, რომ წვიმების და უხვი ნამის შემდეგ აგროვებს წყალს გვირგვინის ფურ-

ცლებში. ლათინური სახელი **Aquilegia** მომდინარეობს ორი ლათინური სიტყვიდან aqua - "წყალი" და „lego” - "შეგროვება".

ძველი გერმანელები წყალიკრეფიას "ელფების ფეხსაცმელს" უწოდებდნენ, ინგლისსა და აშშ-ში კი ცნობილია „columbine“-ს სახელით, რაც "მტრედს" ნიშნავს. ამერიკელები წყალიკრეფიას ცოლ-ქმრული დალატის, უფრო სწორედ ქალის დალატის სიმბოლოდ თვლიან.

მე-17 საუკუნეში მცენარე განიხილებოდა, როგორც სიყვარულის ცდუნების, შევიწროებისა და დალატის სიმბოლო. ამიტომ, არ შეიძლებოდა ახალგაზრდა გოგონებისთვის მისი ჩუქება, ხოლო ქალბატონისთვის თაიგულის მირთმევა მის შეურაცხყოფად ითვლებოდა.

ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, პატარა ფრანგულ სოფელში ცხოვრობდა კაპასი ქალი, რომელმაც თავი მოაბეზრა ქმარს ზედმეტი წუწუნით. მან ვედარ გაუძლო მის სიანჩხლეს და გადაწყვიტა განშორებოდა. ქალს ამის შეეშინდა და ხალხს დახმარებისთვის მიმართა, ერთ-ერთმა მცხოვრებმა ურჩია, რომ მოეხარშა წყალიკრეფიას ყვავილები და როგორც კი წუწუნის სურვილი გაუჩნდებოდა, ნახარში პირში დაეგუბებინა მანამდე, ვიდრე სიანჩხლისა და ქმრის ჭკუის სწავლების სურვილი არ გაუქრებოდა. ის კეთილ რჩევას დაჰყვა. თანდათანობით მოიშორა ეს საშინელი ჩვევა და ოჯახში სიამტკბილობამ დაისადგურა. მას შემდეგ ფრანგები წყალიკრეფიას „ჭირვეული ქალის ბალახს“. უწოდებენ.

როგორც ჩანს, იცოდა აქვილეგიისთვის დამახასიათებელი ყველა სიმბოლო და ცრურწმენა, როდესაც შექსპირმა „ჰამლეტის“ სიუჟეტში შეიტანა გარკვეული ქვეტექსტი, რომელშიც ქმრის დალატის გამოგონება წართმეული ოფელია მდელოზე სწორედ წყალიკრეფიას ყვავილებს აგროვებს.

ქრისტიანულ სარწმუნეობაში წყალიკრეფია განასახიერებს წმინდა სულს, ხოლო ყვავილის გვირგვინის ფურცლები „წმიდა ძღვენის“ სიმბოლოა.

<https://infourok.ru/sbornik-legendi-o-cvetah-klassi-1328905.html>

Anthemis cotula L. – კამანია

საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი: ქვემო იმერეთში- ანაგრულა, კამა-კამას; გურიაში - ძაღლიქინძაი, ქამენიას; სამეგრელოში - ქამანია, ქამენიას



რთულყვავილოვანთა (Compositae) ოჯახის ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მთავარლერძა ფესვთა სისტემით. ღერო 15-40 სმ სიმაღლისაა, წამწამისებრი ბეწვით ოდნავ შებუსუსული, შუა ნაწილიდან ფარისებრ დატოტვილი. ფოთლები მოგრძო კვერცხისებ-

რია, ორმაგად ფრთისებრ დანაკვეთული წვრილ მთლიან სამკბილიან წაწვეტებულ გაფარჩხულ ნაწილაკებად. საყვავილე ღერძი მოკლეა, კალათები პატარა ზომისაა; ენისებრი ყვავილები თეთრია. ყვავილობს მაისიდან ოქტომბრამდე. იზრდება ყველანაირ ადგილსამყოფელში. ხალხურ მედიცინაში სამკურნალოდ ყვავილები გამოიყენება. ხასიათდება ანტისპაზმური და ჭიისმდენი მოქმედებით.

Anthriscus cerefolium (L.) Hoffm. - ჭყიმა-მხალი

გურიაში უწოდებენ ჭყიმასა და ჭყანას



ქოლგოსანთა (Umbelliferae) ოჯახის ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ინვითარებს ნაზ, კამკაშა-მწვანე ფოთლების უხვ როზეტს, გარეგანად ოხრახუმის მსგავსია, მაგრამ მისი მწვანილი უფრო წვნიანია, ანისულის ნაზი არომატით. ყვავილი თეთრია,

წვრილი, შეკრებილია რთულ ქოლგებად. მცენარე იზრდება და ვითარდება 40-50 დღეში, იძლევა ყველაზე ადრეულ ფხალეულს. ყვავილობს აპრილიდან ივნისამდე. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყელში, ტყის პირებზე, ტყის მდელოებზე, როგორც სარეველა რუდერალურ ადგილებში და საცხოვრებელი სახლების მახლობლად.

მედიცინაში გამოიყენება ბალახი, უმთავრესად ფოთლები, აგრეთვე მისი წვენი. შეიცავს ეთერზეთებს, ფიტონციდებს, მაკრო და მიკროელემენტებს, ვიტამინებს - ასკორბინის მჟავას, კაროტინს. გამოიყენება ციებ-ცხელების, ზედა სასუნთქი გზების ანთებითი პროცესების, ტუბერკულოზის, სიყვითლის, წყალმანკის, თავბრუსხვევისას. რეკომენდირებულია ბალახის წვენი 1/2-1 ჩაის კოვზი დღეში 3-ჯერ; გარეგანად - კანის ქავილის, მღიერის, სკროფულოზის, ბუასილის დროს საფენებისა და აპლიკაციების სახით. ჭყიმა-მხალი იწვევს საერთოგამამლიერებელ, ანთების საწინააღმდეგო, ფიტონციდურ, ამოსახველებელ და შარდმდენ მოქმედებას.

Artemisia caucasica Willd. – კავკასიური გიეში



რთულყვავილოვანთა (Compositae) ოჯახის მრავალწლოვანი ჰორიზონტალურ ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ქმნის კორდებს ძირში განვითარებული, მოკლე, სქლად შეფოთლილი ვეგეტატიური ყლორტებით. საყვავილე ღერო მრავალია, 10-30 სმ სიმაღლის, სწორი. ნაცრისფრად შებუსული მცენარეა. ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, ორმაგ ფრთისებრ ან თათისებრ განკვეთილი, ორივე მხარეზე ვერცხლისფერი მიტკეცილი ბეწვით შებუსული. კალათები ფართო ზარისებრია, მოკლყუნწიანი, გრძელ მტევნისებრ ყვავილედებად შეკრებილი. ყვავილები ყვითელია. ყვავილობს მაისიდან

ივლისამდე. იზრდება ქვიან ადგილებში, კირქვიან ფერდობებზე, ქმნის მცირე კორდებს. ხალხურ მედიცინაში სამკურნალოდ ბალახს იყენებენ.

Asarum ibericum Stev. ex Ledeb. - ქართული ხარისჩლიქა
სამეგრელოში უწოდებენ ოღალარის



მრავალწლოვანი 5-10 სმ სიმაღლის მხოვავ ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა - ძირმწარასებრთა (Aristolochiaceae) ოჯახიდან. ინვიტარებს მოკლე ტოტებს, რომლებზედაც ფოთლები და ყვავილები ვითარდება. ფოთლები გულისებრია ან სამკუთხა-გულისებრი. ყვავილები მილისებ-

რია, ქვევით დახრილი ყუნწებით, მუქი ყავისფერი. ყვავილობს აპრილიდან ივნისამდე. იზრდება ტყეებში მთის ქვედა სრტყლიდან ზედა სარტყლამდე.

სამკურნალოდ პრაქტიკულად მთელი მცენარე გამოიყენება. შეიცავს: ეთერზეთებს, ქაფურის მსგავსი ნივთიერების - აზარონის შემცველობით, შაქრებს, სახამებელს, ლორწოს, ეთერებს, სესკვიტერპენულ ნახშირწყლებს და სპირტებს, ფენოლკარბონულ მჟავებს, სტეროიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ვიტამინებს, საპონინებს, გულის გლიკოზიდებს, ორგანულ მჟავებს, ფისებს, მიკროელემენტებს, ალკალოიდებს.

ხასიათდება სამკურნალო თვისებების ფართო დიაპაზონით. ღებულობენ, როგორც ანთების საწინააღმდეგო, ბრონქების გამაფართოებელ, სისხლდენისშემამჩერებელ, კარდიოტონურ, ამოსახველებელ, დიურეზულ, სასაქმებელ, ჭრილობების შემახორცებელ, დამამშვიდებელ, სიცხისდამწევ, შარდმდენ, ანტიჰელმინტურ, ანტისკლეროტულ

საშუალებას. მცენარე მეტად ეფექტურია ფართო და ლოკალური ჭრილობების, წყლულების, მუნის სამკურნალოდ.

საინტერესო ფაქტები: ხარისჩლიქას შესახებ ამაღელვებელი ლეგენდა უკავშირდება ფოთლისა და ყვავილის ფორმას. ჩრდილიან ტყეში, მწვანე ხავსით შემორაგულ გარემოში ცხოვრობდა პატარა კეთილი გნომი (ქონდრისკაცი). მის სახლში მუდმივად ენთო ლამპარი - სამკბილიანი ფარანი.

გნომის ყველაზე სანუკვარი ოცნება იყო ხალხთან ახლოს ცხოვრება და მათთვის მსახურება. ერთ ღამეს, მან აიღო ფარანი და მასთან ერთად ზღურბლს გადააბიჯა ტყის დედოფალ ფლორასთან შესახვედრად. ქონდრისკაცმა გახედა თხოვნით მიემართა ფლორასთვის, რომელიც ცხენზე ამხედრებული ათვალისებრად თავის სამფლობელოს. მან ყურადღებით მოუსმინა გნომს და აპირებდა მისთვის პასუხის გაცემას, რომ მოხდა მოულოდნელი რამ, მისი ცხენი რაღაცისგან შეშინებული განზე გახტა და შემთხვევით დააბიჯა ტყის პატარა კაცს...

მზის პირველმა სხივმა გაარღვია ტყის წყვედიადი და გაანათა ქონდრისკაცის სიკვდილის ადგილი, ხოლო სევდიანი ფლორის ნება-სურვილით აქ პატარა მცენარე გაჩნდა. მისი მუქი მწვანე მზინავი ფოთლები ჩლიქის ფორმას მოგვაგონებს, ხოლო მოკრძალებული სამკბილიანი ყვავილი ზუსტად ჰგავს კეთილი ტყის კაცის ფარანს.

ჯუჯას სანუკვარი სურვილი ასრულდა: როგორც სამკურნალო მცენარემ დაიწყო ხალხის მსახურება, მაგრამ დამოუკიდებლად მისით მკურნალობას არ გირჩევთ, მცენარე შხამიანია!

<https://www.orlpolesie.ru/vesennij-chudo-tsvetok-orlovskogo-polesya>

Aristolochia clematitidis L. - ძირმწარა

საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი: ქიზიყში - ზარავანდის; გურიაში - საყმაწვილოს; იმერეთში - კალიობას; აჭარაში - წამალდიდის; ქანეთში - ჭანდიდის; სამეგრელოში - ტურაში, ყუჯი, ზინტკვილის



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ძირმწარასებრთა (Aristolochiaceae) ოჯახიდან. ფოთლები მარტივია, მომრგვალო თირკმლისებრი. ყვავილები ყვითელია, კონებადაა განლაგებული ფოთლის ილლიებში, ყვავილობს გვიან გაზაფხულზე - მაისში. იზრდება ტყეებში, ბუჩქნარებში და რუდერალურ ადგილებში.

სამკურნალოდ გამოიყენება მიწისზედა ნაწილი - ბალახი (გროვდება ყვავილობის პერიოდში) და ფესვები. შეიცავს ალკალოიდებს (არისტოქოლინი და მაგნოფლორინი), საპონინებს, მწარე და მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთერზეთებს, ორგანულ და ფენოლკარბონულ მჟავებს, ფლავონოიდებს, ფისებს. ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ბაქტერიციდული, ადაპტოგენური, გამაუმტკივნეული, ჭრილობების შემახორცებელი, საჭმლის მონელების მარეგულირებელი, შარდმდენი და ოფლმდენი ფარმაკოლოგიური მოქმედებით.

მცენარე მაღალი ტოქსიკურობით გამოირჩევა. შინაურ პირობებში მისი გამოყენება დაუშვებელია!

Arum albispathum Stev. ex Ledeb. - ნიუკა

საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი: კახეთში - ნიუკის; ფშავ-ხევსურეთში - დათვისტერფას; რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთში - ქალაკოდას; გურიაში - ღვინა-ღვინას; აჭარაში - გულგულაის; სამეგრელოში - კურდღელიში ყუჯის, ღვინდ-ღუმუში ჯინჯი, ღვინი დო ღუმუს; სვანეთში - ლაკოდას



კოთხუჯისებრთა (Araceae) ოჯახის რელიქტური, ერთლებნიანი სახეობაა, მრავალწლოვანი ბალახოვანი ეფემეროიდი, ფესურის მსგავსი ტუბერით. ფოთლები შუბისებრ-ისრისებრია, გრძელ ყუნწიანი; ტაროს ქვედა ნაწილი, რომელზედაც ყვავილებია განლაგებული, საბურველი-

თაა დაფარული, მისი ზედა ნაწილი (დანამატი) მეტწილად საბურველიდან ამოყოფილია, თითქმის ცილინდრულია, ყვითელი. ნაყოფი კენკრის მსგავსია, კაშკაშა წითელი, წვნიანი. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება ტყეებში, ბუჩქნარებში, მთის ქვედა და შუა სარტყელში.

სამკურნალოდ ტუბერები გამოიყენება, აგროვებენ ფოთლების განვითარებამდე. შეიცავს 70%-მდე სახამებელს, 0,5% ზეთებს, საპონინებსა და ალკალოიდების მსგავს აქროლად ნივთიერებას - არონინს 0,1%. ტუბერების წყალში მოხარშვის შემდეგ არონინი იხლიჩება და შესაძლებელია მისი საკვებად გამოყენება. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება რევმატორული ანთებისა და ნევრალგიისას.

მცენარის ყველა ნაწილი შხამიანია!

საინტერესო ფაქტები: ნიუკას სახეობების ყველაზე უმთავრესი ღირებულებაა საუცხოობა და სილამაზე. თქმულება ბერძნული მითიდან

მოდის, სადაც ნათქვამია, რომ ყვავილი წარმოიშვა ბერძენი ქალღმერთის ჰერას ძუძუს რძისაგან.

ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ზევსმა (ძველბერძნულ მითოლოგიაში ცის, ელვისა და ქუხილის ღმერთი, რომელიც მთელ მსოფლიოს განაგებდა) ჰერკულესი გააჩინა მოკვდავ ქალ ალციემესთან ურთიერთობის შედეგად. მას სურდა, რომ მისი შვილი ღვთიური და ამავდროულად მოკვდავი გამხდარიყო, ამიტომ მან ჰერკულესი მიიყვანა თავის ცოლთან ჰერასთან (ძველ ბერძნულ მითოლოგიაში უზენაესი ქალღმერთი, ქორწინებისა და მშობიარობის მფარველი; ეჭვიანი, ჭირვეული, ბუზღუნა და მზაკვარია, დაუნდობლად სდევნის ზევსის რჩეულებს და შვილებს) მისი დაძინების შემდეგ, ბავშვი მის მკერდს მიადო და ჰერკულესმა დაიწყო ძუძუს წოვა. ჰერამ რომ გაიღვიძა, მეძუძური ბავშვის დანახვაზე შეცბა და თავიდან მოიშორა. ამავდროულად, მისი რძის ნაწილი ცაზე გადმოთქრიალდა და რძიანი გზა შექმნა. რამდენიმე წვეთიდან ზოგი დაეცა დედამიწაზე და მათგან ყვავილები გაჩნდნენ, რომლებიც დღეს ნიუკას სახეობებს წარმოადგენს. რომაული ლეგენდა გვამცნობს, რომ როდესაც ვენერა ზღვის ქაფიდან წამოდგა, მან თვალი მოჰკრა ნიუკას ყვავილებს და მწვავე ეჭვიანობამ შეიპყრო. მცენარის სილამაზემ ვენერას აფიქრებინა, რომ იგი მისი სილამაზის კონკურენტი გახდებოდა. მან დაწყევლა ის და ყვავილის ცენტრში წარმოიქმნა დიდი ზომის მძიმე ბუტკო. ამრიგად, მცენარე განასახიერებს ვენერას და სატირების გაერთიანებას, ასახავს ვნებას.

ქრისტიანული სააღდგომო მსახურება ნიუკას იყენებს როგორც "აღდგომის" სიმბოლოს. ითვლება, რომ კონუსისებრი ფორმის ყვავილები საყვირების - გამარჯვების გამოცხადების - სიმბოლოა.

ნიუკა ასევე ითვლება ელევანტურობისა და დახვეწილობის, ქორწინების, გაზაფხულის განახლებისა და სიახლის სიმბოლოდ.

<https://ogorodniki.com/catalog/aronnik>

Asparagus officinalis L. - ბაღის სატაცური (სამკურნალო სატაცური)



მრავალწლოვანი ერთლებნიანი ბალახოვანი მცენარეა სატაცურისებრთა (Asparagaceae) ოჯახიდან. ღერო ძლიერ დატოტვილია. ფოთლები რედუცირებულია ოდნავ შესამჩნევ ქერქლებად, რომელთა უბეებში კონებად (3-6) სხედან კლადოდიუმები - სახეცვლილი ყლორტები, რომლებიც

ფოთლების მსგავსია, წვრილი, ნემსისებრ-მაფისებრი. ყვავილი მომწვანო-ყვითელია, წვრილი. ნაყოფი წითელი, სფერული კენკრაა, რამდენიმე თესლით. ყვავილობს მაის-ივნისში. იზრდება ველებსა და დატბორილ მდელოებზე, ქვიშნარ ნიადაგებზე, ღორღიან ველებზე, მეჩხერ ბუჩქნარ რაყებსა და სითბოს მოყვარულ მუხნარებში, ჭაღის ტყეებსა და მისი დერივატების გავრცელების არეში, ზღვისპირა ზოლსა და მთის წინებზე, 800 მ სიმაღლემდე.

სატაცური დიეტური და სამკურნალო ბოსტნეულია. სამკურნალოდ გამოიყენება ფესურა ფესვებითურთ და ნორჩი მწვანე ყლორტები (კლადოდიუმები). ფესურა შეიცავს ასპარაგინსა და არგინინს, ჰელიდონის მჟავას, სტეროიდულ საპონინებს, კუმარინს, ნახშირწყლებს, ეთერზეთებს კვალის სახით, კაროტინს; ყლორტებში აღმოჩენილია ასპარაგინი და უმნიშვნელო რაოდენობით კაროტინი, ასკორბინის მჟავა, მდიდარია ვიტამინებით: A, B₁, B₂, B₆, C, PP. სატაცურის პრეპარატების ძირითადი მოქმედება შარდმდენია. ექსპერიმენტალურად დამტკიცებულია, რომ ასპარაგინი და სატაცურის ექსტრაქტი ვენაში შეყვანისას იწვევს არტერიალური წნევის დაწევას, ამლიერებს გულის მოქმედებას და ამცირებს მის რიტმს, აფართოებს პერიფერიულ სისხლძარღვებს, ზრდის დიურეზს და აუმჯობესებს ღვიძლის ფუნქციას.

ბალახის ნახარშს იყენებენ გულის ტკივილების, თირკმელებისა და შარდის ბუშტის დაავადებებისას.

საინტერესო ფაქტები: უძველეს სამკურნალო და საკვებ მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება. ძველ საბერძნეთში ითვლებოდა სიყვარულის ქალღმერთის აფროდიტას ერთ-ერთ ატრიბუტად. სატაცურის ტოტებით ხდებოდა ახლად დაქორწინებულების დაგვირგვინება. ითვლება, რომ მისი მოშენება ძველ რომში დაიწყო. მცენარის აღწერილობას ვხვდებით რომაელი მეცნიერების (პლინიუსი და სხვ.) შრომებში. ძველი რომაელები განაკუთრებით გამოყოფდნენ სატაცურის გამამხნევებელ მოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე, მის ნერვულ სისტემაზე, სევდიანი და სასოწარკვეთილი ადამიანების მხიარულ და ხალისიანად გარდაქმნაზე. მის სამკურნალო თვისებებზე იმ უძველეს პერიოდში ტრაქტატებს ქმნიდნენ. რომაელები იმდენად აფასებდნენ ამ მცენარეს, რომ ამულეტების სახით კისერზე ჩამოკიდებულებს დაატარებდნენ.

ძველ ბერძნულ და რომაულ ცივილიზაციებამდე ბევრად ადრე, სატაცური ეგვიპტეში ყოფილა გავრცელებული, რასაც მოწმობს ეგვიპტელი ფარაონების სარკოფაგებზე მისი გამოსახულება. ფიქრობენ, რომ შესაძლებელია, სწორედ იმ დროიდან მოდის გამოთქმა „მეფის ბოსტნეული“ ან შესაძლებელია XV-XVIII ს-დან, როდესაც დაიწყო მისი მოშენება საფრანგეთსა და გერმანიაში. მაშინ სატაცურის ნედლეულის ყიდვა ყველას არ შეეძლო, სიძვირის კი არა სპეციალური ბრძანებულების გამო, ვინაიდან მისი მოსავალი, მხოლოდ ხელმწიფის სუფრისათვის იყო განკუთვნილი.

<https://www.dw.com/ru/26052001-все-о-спарже/a>

Asphodeline lutea (L.) Reichenb. – ყვითელი ასფოდელი



მრავალწლოვანი ფესურიანი მცენარე ასფოდელოსებრთა (Asphodelaceae) ოჯახიდან. ფოთლები ხაზურია, სამწახნაგოვანი, კიდებზე გლუვი; მტევანი გრძელია და ხშირყვავილიანი; მომწვანო-ყვითელი ყვავილები, თანყვავილებს აღემატება; ნაყოფი

ფართო და მოკლე ელიფსურია. ყვავილობს აპრილ-მაისში. საქართველოში დიზუნქციური არეალითაა წარმოდგენილი, იზრდება ღია ადგილებში, სამხრეთისა და აღმოსავლეთის ექსპოზიციის კლდოვან და ღორღიან ფერდობებზე, გამეჩხერებულ მდელოს ბალახნარში, ზღვ.დ. 700-1200 მ-ის ფარგლებში.

მოხსენიებულია ძველ ბერძნულ წყაროებში, როგორც „მედეას ბაღში“ მოზარდი უძველესი სამკურნალო მცენარე. ფესვები ხასიათდება ძლიერი შარდმდენი მოქმედებით, გარეგანად გამოიყენება წყლულებისა და მუნის საწინააღმდეგოდ.

საინტერესო ფაქტები: მეტად საინტერესო ასფოდელოსის განმარტებას იძლევა სულხან-საბა ორბელიანი: “ასფოდელოს ნერგსა იტყვის, ასფოდელოს სამოთხესა იტყვის, ასფოდელოს სავსებასა იტყვის, ასფოდელოტოი სახელი არს მწვანილისა, რომლისა სუნი სუნნელი და ფერი შვენიერი და ძირი მისი წამალი სარგებელი”. რითაც გამართლებულია მისი მოხვედრა მედეას სამკურნალო მცენარეთა ბაღში.

Barbarea vulgaris R. Br. - ბარბარეა



კოსმოპოლიტური სახეობაა, 30-80 სმ-მდე სიმაღლის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე ჯვაროსანთა (Cruciferae) ოჯახიდან. ფესვთანური და ქვედა ღეროსეული ფოთლები გულისებრ ნაკვეთლებიანია, კიდეებზე ხერხკბილა. ყვავილები ოქროსფერ-

ყვითელია, შეკრებილია მტევნისებრ ყვავილედებად. ყვავილობს მაის-ივნისში, 30-მდე დღის განმავლობაში. სარეველა მცენარეა, უმთავრესად ტყის ზონის, როგორც რუდერალი იზრდება ტენიან ადგილებში, მდინარეების ნაპირებზე, ტყის მდელოებზე, ბუჩქნარებში, ნაჩხატებში, გზის პირებსა და დანაგვიანებულ ადგილებში. შეიცავს სხვადასხვა ტიპის გლიკოზიდებს, ტოქსიკურ ნივთიერებებს. ფოთლები მდიდარია ასკორბინის მჟავით, თესლები - თიოგლიკოზიდებით. სამკურნალოდ იყენებენ მცენარის მიწისზედა ნაწილებს. ხასიათდება ჭრილობების შემახორცებელი და შარდმდენი მოქმედებით, აძლიერებს მადას, გამოიყენება სურავანდის სამკურნალოდაც.

Bellevalia montana (K.Koch.) Boiss. - ვილჰელმის ბელევალია



კავკასიის ენდემური სახეობაა, პოლიკარპული ერთლებნიანი ბოლქვოვანი ეფემეროიდული გეოფიტი სუბულისებრთა (Hyacinthaceae) ოჯახიდან. ფოთოლი ლეგაა, მოგრძო-ლანცეტა. ყვავილები მტევნებადაა შეკრებილი. კოკრები მუქი იისფერია, ხოლო ყვავილსაფარი მოყვითალო მურა შეფერილობის; ყვავილობს მარტ-აპრილში. იზრდება მთის

ქვედა სარტყელში, მშრალ, თიხნარ ფერდობებზე, სტეპებსა და კირქვიანებზე.

Bellevalia speciosa G.Wor . - მშვენიერი ბელევალია



პოლიკარპული ერთლებნიანი ეფემეროიდული გეოფიტია მომრგვალო, კვერცხისებრი ბოლქვითა და 15-20 სმ სიმაღლის ღეროთი. ფოთოლი ფართო-ღვედისებრია, ლეგა და კიდევზე ხშირი წამწამებით შემოსილი. ყვავილენი მრავალყვავილიანი მტევანია; კოკრები თეთრია, ყვავილსაფარი

სრული ყვავილობისას მღვრიე ყავისფერია. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება მთის შუა სარტყელში ზღ.დ. 800-2000 მ სიმაღლემდე, მთის ველობებზე, მშრალ ფერდობებზე, მინდვრებსა და სტეპებში. ბელევალის სახეობები ხასიათდება პირსასაქმებელი მოქმედებით.

Bellis perennis L. -ზიზილა

იმერეთში ცნობილია ყუყუნას, ხოლო გურიაში ბორჩხებას სახელით.



მრავალწლოვანი, 10-20 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა რთულყვავილოვანთა (Compositae) ოჯახიდან. ფოთლები მოგრძოკვერცხისებურია, კიდე დაკბილული, შებუსული, წარმოქმნის ფესვთანურ როზეტს. ყვავილედ იმართებული კალათაა. ენისებრი ყვავილები თეთრია, ვარდისფერი ან წითელი ფერის. ყვავილობს აპრილიდან დაწყებული, ზოგჯერ მთელი ზფხულის განმავლობაში. იზრდება ტყის შუა სარტყლამდე, ნატყევარ, ტენიან მდელოებზე, ტყის ფანჯრებში, ბუჩქნარებში, ბილიკების გასწვრივ, დანაგვიანებულ ადგილებში.

ზიზილას ქიმიური შემადგენლობა ნაკლებადაა შესწავლილი, თუმცა ცნობილია, რომ შეიცავს ინულინს, ვიტამინ C, ლორწოვან ნივთიერებებს, ტრიტერპენოიდებს, საპონინებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფლავონოიდებს და მცირე რაოდენობით ეთერზეთებს. ხასიათდება სისხლის გამწმენდი მოქმედებით, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას.

ზიზილას მედიცინაში ყვავილები გამოიყენება როგორც ამოსახველებელი საშუალება ზედა სასუნთქი ორგანოების დაავადებებისა და ბრონქიალური ასთმის, ღვიძლის, შარდის ბუშტისა და თირკმელების დაავადებების, სიყვითლის, ნიკრისის ქარის, რევმატიზმის სამკურნალოდ. გარეგანად - მცენარის ნედლი წვენი საფეხების სახით გამოიყენება ფურუნკულოზის, ბუასილის, მასტიტის და მასტოპათიის, წყლულების, კანის ყოველგვარი გამონაყრების დროს.

საინტერესო ფაქტები: სკანდინავიელი ხალხების საგაში, ზიზილას უწოდებდნენ „მზის პატარძალს“, „სიყვარულის ყვავილს“ და უძველესი დღეებიდან გაზაფხულისა და სიყვარულის ქალღმერთ ფრეიას.

ბევრი ქრისტიანული ლეგენდა არსებობს ზიზილების შესახებ. აი, ერთ-ერთი მათგანი: ზამთრის ერთ გრძელ საღამოს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს სურდა ყვავილებით გაეხარებინა თავისი პატარა ვაჟი იესო. მაგრამ, თოვლიან გარემოში მან ვერც ერთ ყვავილს ვერ მიაგნო, ამიტომ გადაწყვიტა, თვითონ შეექმნა ყვავილი, მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით.

მარიამ ღვთისმშობელმა ლამაზი მზინავი აბრეშუმისა და ძაფებისგან შეკერა პატარა ყვავილები და უწოდა ზიზილები. ეს უპრეტენზიო ყვავილები ძალიან შეუყვარდა იესოს და მათ ინახავდა მთელი ზამთრის განმავლობაში. გაზაფხულის დადგომისთანავე იესომ ყვავილები მიწაში ჩარგო და მათი მორწყვა დაიწყო. ზიზილები გაიფურქვნენ, აყვავდნენ და მთელი დედამიწა დაფარეს.

<http://floweryvale.ru/interesting-facts/legend-of-daisies.html>

Bifora radians Bieb - ქინძარა

საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი: ქართლში - ქინძმანბუკის; კახეთში - მინდვრის ქინძი, ხაზუას; მთიულეთსა და ფშავში - ქინძრუტას; თუშეთში - ყანისმწვანილას



ერთწლოვანი ბალახოვანი 19-30 სმ-მდე სიმაღლის სარეველა მცენარეა ქოლგოსანთა (Umbelliferae) ოჯახიდან. ღერო მარტივია, შიშველი; ფოთლები ორმაგ-სამმაგ ფრთისებრ განკვეთილია, ზედა მჯდომარე, ქვედა - გრძელყუნწიანები. ყვავილები თეთრია, რთულ ქოლგებადაა შეკრებილი. ყვავილობს მაის-ივნისში. რუდერალუ-

რუდერალუ-

რი და სეგეტალური მცენარეა, ასარევიანებს უმთავრესად საშემოდგომო ნათესებს.

შეიცავს უმაღლეს ალიფატურ ნახშირწყლებს: ჟიტატრიაკონტანს, პოლიაცეტილურ შენაერთებს, ეთერზეთებს, ფლავონოიდებს (კვერცეტინს, კემპფეროლს). ნაყოფებში აღმოჩენილია ფლავონოიდი რუტინოზიდი, რომლის შემადგენლობაშია პერტოზელინის, პალმიტინის, სტეარინის, ოლეინის, ლინოლინის მჟავები. ხალხურ მედიცინაში ფოთლების ნაყენს იყენებენ ჰეპატიტის დროს, ხოლო ნედლე ფოთლებს ხმარობენ ჩირქგროვებისა და კანის დაავადებებისას.

Borago officinalis L. - კიტრისუნა



ერთწლოვანი 60-100 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა ლაშქარასებრთა (Boraginaceae) ოჯახიდან. ღერო სწორია ან ამომაკალი, სქელი, წახნაგოვანი, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფესვთანური და ქვედა ღეროსეული ფოთლები ელიფსური ან ოვალური,

ღეროს მსგავსად, დაფარულია ხეშეში ბეწვით.

ყვავილები გრძელყუნწიანია, მუქი ცისფერი, იშვიათად თეთრი, შეკრებილია ხვეულებად. ყვავილობს მაის-ივლისში. იზრდება ბოსტნებში, დანაგვიანებულ ადგილებზე როგორც სარეველა.

ფოთლები შეიცავს კაროტინს, ასკორბინის მჟავას, მინერალურ მარილებს (უმთავრესად კალიუმს), ორგანულ მჟავებს, ლორწოვან ნივთიერებებს, საპონინებს, ტანინებს; ყვავილები - ლორწოსა და ეთერზეთებს. წარსულში ფოთლებს ნედლი და მშრალი სახით იყენებდნენ სახსრების რევმატიზმის, ნიკრისის ქარის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული კანის დაავადებებისას, ასევე იხმარებოდა როგორც შარდმდენი, ოფლმდენი და შემომგარსავი საშუალება. მცე-

ნარის ვიტამინიზირებული სალათა არიდებს ანთებით პროცესებს თირკმელებსა და ნაწლავებში და ამცირებს ნერვოზულ გაღიზიანებას ადვილად ამღვანებ ავადმყოფებში, დადებითად მოქმედებს ნივთიერებათა ცვლაზე, რის გამოც რეკომენდირებულია თირკმელების, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის დაავადებებისას.

საინტერესო ფაქტები: უძველეს წარსულში მცენარეს იყენებდნენ სამკურნალო მიზნით. მისგან ამზადებდნენ გულის სამკურნალო საშუალებებს. მას უწოდებდნენ „გულის სიხარულს“ და „გულის ყვავილს“. ძველ რომსა და შუა საუკუნეების ევროპაში ფოთლებსა და ყვავილებს უმატებდნენ ღვინოში, მეომრებისათვის ბრძოლის წინ სიმხნევის მისაცემად. XV ს-ში მიიჩნევდნენ, რომ ბალახი ამაღლებს განწყობას და აქრობს ნაღველს.

XVI საუკუნეში ბრიტანეთში ექიმბაშები ბორაგოს ფოთლებისა და ყვავილებისგან ამზადებდნენ მთვარეულის, მელანქოლიის და დეპრესიის მოსახსნელ საშუალებას. <https://ogorodniki.com/article/top-15-interesnykh-faktov-pro-ogurechnik>

Bryonia dioica Jusq. - ლეშურა
ცნობილია ღოსტაკოს სახელითაც



მრავალწლოვანი, მხოხავი, ხვია-რა ლიანაა გოგრისებრთა (Cucurbitaceae) ოჯახიდან. ღერო 2-3 მ სიგრძისაა, მცოცავი, მარტივი ულვაშებით. ფოთლები მარტივია, გულისებრი, უთანაბროდ მსხვილად დაკბილული. ყვავილები შეკრებილია იდლიურ ყვავილედებად, გვირგვინი მომწვ-

ანო-ყვითელია, ნაყოფი კენკრაა, მომწიფებისას მოწითალო-მოყავისფრო. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება ჭალის ტყეებში, დაბლობებსა და ბორცვიან, მზით გამთბარ ადგილებში.

ცნობილი სამკურნალო მცენარეა. ძლიერ პოპულარული იყო ძველ მედიცინაში, განსაკუთრებით ბერძნულ-სპარსულში. ითვლებოდა, რომ მისი გამოყენებისას ადამიანის ორგანიზმში იშლება და სრულად გამოიდევენება ფლეგმა, ინკურნება თავის ტკივილის ყველა სახის ავადმყოფობა, შაკიკი, დამბლა, სახის გამრუდება, კრუნჩხვები, მახსოვრობა. სასარგებლოდ ითვლებოდა გველის ნაკბენისას. ნედლი ნაყოფები წარმოადგენს სამკურნალო საშუალებას კუჭის, ნაწლავების, თირკმელების, ღვიძლის, შარდის ბუშტის, საშვილოსნოს, სახსრების დაავადებების დროს. შველის ასციტს, კეთრს, ბუდობრივ სიმელოტეს, სპილოს დავადებას, ბუასილს. თანამედროვე ტაჯიკეთის ხალხურ მედიცინაში მას იყენებენ, როგორც საშვილოსნოს ჰემოსტატიკურ, ტკივილგამაყუჩებელ, საფადართო და ანტიჰელმინტურ საშუალებას. ნედლი ფესურით იზილენ მტკივნეულ ადგილებს ნიკრისის ქარისა და რევმატიზმის დროს. თესლი გამოიყენება როგორც დამამშვიდებელი და პირსასაქმებელი საშუალება. უზბეკურ ხალხურ მედიცინაში ნაყოფები გამოიყენება მხედველობის დაქვეითების, თმის ცვენისა და კიდურების მწვავე ტკივილებისას.

ფესვები გამოირჩევა ანტიდიაბეტური, ანტიბაქტერიალური, სიმსივნის საწინააღმდეგო, სისხლშემაჩერებელი და ჭიისმდენი თვისებებით. ფესვების ნედლი წვენი შხამიანია!

Brunnera macrophylla (Bieb.) - მსხვილფოთოლა ციურა



მრავალწლოვანი ბალახოვანი მოკლე ფესურიანი 60 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა ლაშქარასებრთა (Boraginaceae) ოჯახიდან. ფესვთანური ფოთლები თირკმლისებრ-გულისებრია, თხელი, დაფარულია წვრილი ჯაგრისებრი ბეწვებით. ყვავილები ცისფერია, შეკრებილია ფაშარ

საგველა ყვავილედებად. ყვავილობს მაის-ივნისში. იზდება დაჩრდილულ ტყეებში, ზოგჯერ სუბალპურ მდელოებზე. კრიფტოფიტია. ხალხურ მედიცინაში ბალახს იყენებენ ანთების საწინააღმდეგო და სიცხის დამწვევ საშუალებად.

საინტერესო ფაქტები: ციურას ხალხში უწოდებენ „ნუ დაივიწყებ“. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ქალღმერთმა ფლორამ ყველა მცენარეს მიანიჭა რა თავის სახელი, უყურადღებოდ დატოვა ეს ცისფერი ყვავილები. წასვლისას მას მოესმა ამ ყვავილის ჩურჩულით ნათქვამი „მე ნუ დამივიწყებ.“ ფლორას გაეღიმა და მას დაუვიწყარი უწოდა, რითიც მან ადამიანებს მოგონებების არ დავიწყების შესაძლებლობები მისცა.

<http://flowerpark.com.ua/mnogoletniki/495-brunnera-krupnolistnaya-brunnera-macrophylla.html>

Bupleurum rotundifolium L - მრგვალფოთოლა ქვაპურა

ქართლში უწოდებენ ბებრისჭიპას, ქიზიყში - გულსამტვრეველას და გულისატეხელას



მრავალწლოვანი 20-60 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა ქოლგისებრთა (Umbelliferae) ოჯახიდან. ფოთლები კვერცხისებრი ან ელიფსურია, წვერზე წვეტი. ყვავილი მომწვანო-შეფერილობისაა, შეკრებილია მრავალრიცხოვან ქოლგებად, ნაყოფი კვერცხისებრი, ტყუპი თესლია.

ყვავილობს მაის-ივნისში. გზად მოყოლილი სეგეტალური სარეველაა, იზრდება მშრალ ღია ფერდობებზე, ბუჩქნარებში. ხასიათდება ნალველმდენი, ანტისეპტიკური, ანთებისსაწინააღმდეგო და მატონიზირებელი მოქმედებით. ბალახის ნაყენი ცვლის ნალვლის ქიმიურ შემადგენლობას, მასში ამაღლებს მჟავებს, ბილირუბინსა და ქოლესტერინს. ახდენს საერთო გამაძლიერებელ მოქმედებას ორგანიზმზე, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის გამაძლიერების პროცესებს. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ჩირქგროვებისა და ჭრილობების შესახორცებლად.

საინტერესო ფაქტები: მცენარის რუსული სახელი „волдушка“ გვამცნობს, რომ ძველ საბერძნეთში ცხოვრობდა გოგონა - ვოლოდიკა. იგი დაავადებული იყო "ყვითელი დაავადებით", რომლის განკურნებაც ვერავინ შეძლო. შემდეგ კი ქალღმერთმა აფროდიტამ მისთვის გაზარდა მცენარე ოქროს ყვავილებით, რომელსაც ამ დაავადების განკურნება შეეძლო. ოღონდ მხოლოდ იმ პირობით, თუ ორფეოსი, მისი მეგობრის მეგობარი, არფაზე დაუკრავდა მანამდე, ვიდრე არ გამოჯანმრთელდებოდა. ეს პირობა შესრულდა და გოგონა სწრაფად გა-

მოჯანმრთელდა, ხოლო ხალხმა შეინარჩუნა აფროდიტეს ყვავილის სახელი - ვოლოდიკა ან ვოლოდუშკა.

<https://zen.yandex.ru/media/annagauergarden/volodushka-rastenie-na-vse-sluchai-jizni-zavedite-ee-u-sebia-v-sadu->

***Caltha palustris* L. - დიდბაია, ჭყანტა**

მესხეთში ცნობილია ბაყაყის ყვავილის სახელით.



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ბაიასებრთა (*Ranunculaceae*) ოჯახიდან, ხორცოვანი სწორმდგომი 30-40 სმ სიმაღლის ღეროთი. ფესვთანური ფოთლები მსხვილია, მთლიანი, თირკმლისებრი ან გულისებრი, კიდედაკბილული, მუქი მწვანე, შიშველი, გრძელყუნწიანები; ფესვთანური

- მნიშვნელოვნად მცირეა, მორიგეობითი. ყვავილები კაშკაშა ყვითელია, გრძელყუნწიანები, განლაგებულია ზედა ფოთლების უბეებში. ყვავილობს აპრილ-მაისში. ტენის მოყვარულია, იზრდება ტბებისა და მდინარეების ნაპირებზე, დაჭაობებულ მდელოებზე და ჭაობების გასწვრივ.

წვენი შეიცავს მრავალ სასარგებლო ნივთიერებას: ასკორბინის მჟავას, საპონებს, კაროტინს, ფლავონოიდებს, ცხიმოვან ზეთებს, ალკალოიდებს-ანემონინს, ბერბერინს, ქოლინს, საღებავ ნვთიერებებს. შედის გაციების, თირკმელებისა და შარდის ბუშტის, ბრონქიტის, რევმატიზმის, ასთმის, კანის დაავადებების, ჭრილობებისა და დამწვრობის სამკურნალო პრეპარატებში, ახდენს ნივთიერებათა ცვლის ნორმალურებას. გარეგანად ნედლი ბალახის ნაყენს იყენებენ როგორც ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას.

მთელი მცენარე უხშიანია!

საინტერესო ფაქტები: გვარის მეცნიერული სახელის წარმოშობა ზუსტად არ არის ცნობილი. შესაძლოა ლათინური სახელი მომდინარეობს გერმანული სიტყვიდან Trollblume, რომელიც შეიძლება ითარგმნოს როგორც "ტროლების ყვავილი". ძველი სკანდინავიური და გერმანული ლეგენდების თანახმად, ეს მცენარე ითვლებოდა ტროლების, მთის სულების საყვარელ ყვავილად.

რუსული სახელი „купальница“ ასოცირდება ზრდის ადგილსამყოფელთან. მასთან დაკავშირებით რუსული ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ახალგაზრდა ქალთევზას (ალს) შეუყვარდა მხიარული და ლამაზი მწყემსი ალექსეი, მაგრამ მისგან ვერ მიიღო რა თანაგრძნობა, პატარა ყვითელ ყვავილად გადაიქცა.

<http://floweryvale.ru/interesting-facts/trollius.html>

Campanula rapunculoides L. - რაპუნკულუსისებრი მაჩიტა

საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ცნობილია შემდეგი სახელებით: თუშეთში, ფშავში - მაჩიკა, ნაჩიკა, მიჩიკა, მიჩიკტარა, სატყლამუნა; მთიულეთსა და ხევში (მოხევეურად)კაწი, საფეთქებელა, სატყემებელა; რაჭასა და ზემო იმერეთში - ჩიტითავა; ლეჩხუმში - სათითურა; აჭარაში - კოსტანტილა; ქანეთში - ტუკში; სამეგრელოში - შუშულუბა; სვანეთში - ღვაჭი, მგლჯა



მაჩიტასებრთა (Campanulacea) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა მოკლე ჯაგრისებრი ბეწვით მოფენილი. ღერო 40-80 სმ სიმაღლისაა, აღმავალი, მარტივი, იშვიათად დატოტვილი, უხეში ბეწვით შებუსუსული. ფოთლები ხერხებილიაა,

ქვედა მათგანი გრძელყუნწიანია, მოგრძო-გულისებრი ან კვერცხისებრ-გულისებრი, ზედა - მჯდომარეა, მოგრძო-ლანცეტა ფორმის.

ყვავილები მოკლევუნწიანია, შეკრებილია გრძელ ცალგვერდა მტევნად; გვირგვინი მუქი იისფერია, მილისებრ-ზარისებრი. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება კლდეებზე, მშრალ ხრიოკ ჰაბიტატებზე.

საინტერესოა, რომ ადრეულ წლებში ამ მცენარეს ევროპაში ამრავლებდნენ, როგორც ბოსტნეულ კულტურას, საკვებად გამოიყენებოდა ფესვები, რომელსაც ნედლი სახით იყენებდნენ ბოლოკის მსგავსად, ხოლო მოხარშულს - გარნირის სახით. ფოთლებს სალათაში ხმარობდნენ, საყვავილე ყლორტებს კი ამზადებდნენ სატაცურის მსგავსად. ამავდროულად გამოირჩევა სამკურნალო მნიშვნელობითაც. ფესვების ნახარში ხსნის ყელისა და პირის ღრუს ანთებას, ბალახის ნაყენი აახალგაზრდავებს კანს.

საინტერესო ფაქტები: გვარი Campanula-ს მეცნიერული სახელი წარმოიქმნა ძველ ლათინური და იტალიური ენებიდან campana, რაც ზარს ნიშნავს, რომელიც ყვავილის ფორმას გამოხატავდა, აქედან მოდის ზარის შესატყვისი რუსული სახელიც - колокольчик. ამბობენ, რომ იტალიის ეპისკოპოს პაულინიუსს სეირნობისას ძალიან მოეწონა ეს ყვავილები, მას მოეჩვენა, რომ ქანაობისას ისინი ზარის რეკვის ხმას გამოსცემდნენ. ამის შემდეგ ეპისკოპოსმა ბრძანა, ასეთივე ყვავილი ჩამოესხათ სპილენძისაგან - ეს იყო პირველი ზარი. ამგვარად, 1500 წელს პირველი ზარები გამოჩნდა იტალიის პროვინცია კამპანიაში. იტალიაში სამრეკლოებს კამპანილას უწოდებდნენ.

<http://floweryvale.ru/interesting-facts/kampanula.htm>

Cannabis ruderalis Janisch. - ველური კანაფი

სულხან-საბა ორბელიანი მოიხსენიებს ექუსუნჯის სახელით; საინგილოში - ჰასრალ, ჭანეთში - კერფი, კეფის; სამეგრელოში - კეფი, კიფის; სვანეთში - გიმზამის სახელით;



ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა კანაფისებრთა (Cannabaceae) ოჯახიდან. ღერო 30-150 სმ სიმაღლისაა, წახნაგოვან-ხაოიანი, ხშირფოთლიანი. ფოთლები თათისებრ დაკვეთილია 5-9 ფოთოლაკად, თითოეული მათგანი მსხვილკბილა-ხერხისებრია, ზემოდან მუქი მწვანე და მოკლე

ბეწვით მოფენილი, ქვემოდან - უფრო მკრთალი. მამრობითი ყვავილები შეკრებილია კენწრულ საგველასებრ ყვავილედებად; მდედრობითი ყვავილები ზედა ფოთლების ილიებშია ჯგუფებად ან მჭიდრო თავთავისებრ ყვავილედებად შეკრებილი. ყვავილსაფარი მოყვითალო-მწვანე ფერისაა, სიფრიფანა, ნაყოფობისას სწრაფად იზრდება და ნაყოფზეა შემოხვეული. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება რუდერალურ ადგილებზე, ნათესარებსა და ნაჩხატებში, მშრალ ეკოტოპებზე.

კანაფი ათასეული წლების განმავლობაში სხვადასხვა ხალხის პრაქტიკაში იხმარებოდა ადამიანებისა და ცხოველების სამკურნალოდ; გამოიყენებოდა მცენარის წვენი, თესლები, ფესურა. კანაფის გამოწარმოების, ნახარშები და ნაყენები ითვლებოდა ეფექტურ საშუალებად ნიკრისის ქარის, ოტიტის, კუჭ-ნაწლავის ორგანოების სუსტი მოქმედების, მამრობითი სასქესო ორგანოების დაავადებებისა და დამწვრობის დროს. ინდური კანაფისგან განსხვავებით, ჩვენს სარტყელში კულტივირებული სათესი კანაფი არ ფლობს მნიშვნელოვან ფსიქოაქტიურ თვისებებს, რის გამოც ტრადიციულად მის თესლებს

იყენებდნენ საკვებად, ხოლო ბოჭკოსაგან ამზადებდნენ ქსოვილებს, თოკებს, ბაგირებს, ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს.

საინტერესო ფაქტები: ინდოელმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ კანაფმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ინდოეთის შტატის მახარაშტრას, ქვეყნის დასავლეთ ნაწილში მდებარე ელორის უძველესი ნაგებობების დაცვის საქმეში. ელორა აგებულია V და X საუკუნეებს შორის და შედგება 34 მონასტრისა და ტაძრისაგან. წარმოადგენს ინდური კლდის არქიტექტურის უბრწყინვალეს ნიმუშს.

ინდოელმა მეცნიერებმა ბხიმრაო ამბედკარას უნივერსიტეტიდან შეისწავლეს გამოქვაბულების სამონასტრო კომპლექსის ელორას # 12 მღვიმედან აღებული თაბაშირის ნიმუშები. მათმა შესწავლამ სკანირებული ელექტრონული მიკროსკოპისა და ინფრაწითელი სპექტროსკოპისა და სტერეომიკროსკოპის მეთოდების საშუალებით აჩვენა, რომ მათ შემადგენლობაში სათესი კანაფის (*Cannabis sativa*) 10 %-მდე აღინიშნებოდა.

ნიმუშებში აღმოჩნდა როგორც ყლორტების ფრაგმენტები, ასევე მცენარის ფოთლების ნაკვრები. ელორაში ნაპოვნი ნიმუშების შედარებისას ქ. აურანგაბადის მახლობლად მოზარდ კანაფის ნედლე მცენარესთან, გაირკვა, რომ ეს ერთიდაიგივე ბიოლოგიური სახეობაა. მეცნიერების ვარაუდით, კანაფის, თიხისა და კირის ნარევი გამოიყენებოდა როგორც დამაკავშირებელი ნივთიერება, ამავე დროს, სამშენებლო მასალას ანიჭებდა სიმყარეს. ამასთან ერთად, კანაფიანი ბათქაში ახდენდა ტენიანობის დონის რეგულირებას და აფრთხობდა მავნებელ-მწერებს. ამ სახით დამზადებულმა ბათქაშმა გადამწყვეტი როლი შეასრულა მღვიმეებისა და ციხე-დარბაზების და იქ არსებული ფრესკების იმ სახით შენარჩუნებაში, რა სახითაც ბუდისტური ბერების მიერ იყო განხორციელებული. ელორას 1983 წელს მიენიჭა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსი (ბიძინაშვილი, 2020).

Capsella bursa-pastoris (L.) Medik.- წიწმატურა

საქართველოს რეგიონებში შემდეგი სახელებითაა ცნობილი, ქართლში - ხაჭმაჭიჭას; კახეთში-ხეჭეჭორას; ფშავში, მთიულეთში, გარე კახეთში, ქიზიყში - ხაჭიჭორა, ყაჭიჭორას; მოხევეურად - წიწმატაი; თუშეთში - სანება, ხავარტას; ხევსურეთში - შურშენას; ჯავახეთში-ჩიტის პურის; იმერეთში, ლეჩხუმში, გურიასა და აჭარაში - ოდელია, ოდელიეს; წალკაში, რაჭასა და ზემო იმერეთში-ხარიკბილა, ხარიკრიჭას; სამეგრელოში - ტყარი წიწმარტეს



ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ჯვაროსანთა (Cruciferae) ოჯახიდან, 5-40 სმ-მდე სიმაღლის სწორი ღეროთი. ქვედა ფოთლები როზეტადა შეკრებილი, ფრთისებრ დაყოფილია, ღეროსეული - უფრო მცირე ზომისაა, ლანცეტა, კიდეშთლიანი ან ამოკვეთილ-დაკბილული.

ყვავილები პატარებია, თეთრი, შეკრებილია მტევნისებრ ყვავილედებად. ყვავილობს მარტიდან მაისამდე. საქართველოში ფართოდ გავრცელებული სარეველაა. იზრდება მთის ზედა სარტყლამდე, მინდვრებში, ბოსტნებში, გზის პირებზე, ნასვენ და რუდერალურ ადგილებზე.

სამკურნალოდ ბალახს (მცენარის მიწისზედა ნაწილი) იყენებენ. დაუშვებელია მცენარის შეგროვება თესლების სიმწიფის პერიოდში. შეიცავს ცილოვან და მთრიმლავ ნივთიერებებს, ნახშირწყლებს, ქოლინსა და აცეტილქოლინს, ინოზიტს, ორგანულ მჟავებს, სტეროიდებს, საპონინებს, ვიტამინებს - თიამინს, რიბოფლავინს, ფილოხინონს, ასკორბინის მჟავას, კაროტინს, კუმარინებს, ფლავონოიდებს, ფოტონციდებს. ხასიათდება ჰიპოტენზიური, შარდმდენი, სიცხისდამწევი, შემომგარსავი, საშვილოსნოსა და ნაწლავების გლუვი კუნ-

თების ტონუსის გამაძლიერებელი მოქმედებით. კლინიკურად დამტკიცებულია მცენარის ნაყენის დადებითი თერაპიული ეფექტი მწვავე და ქრონიკული პიელონეფრიტის დროს. თხევადი ექსტრაქტი მიიღება საშვილოსნოს ათონიის სამკურნალოდ.

ხალხურ მედიცინაში შინაგანად ფართოდ გამოიყენება გულის დაავადებების, ქოლეცისტიტის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, კუჭიდან, თირკმელებიდან და საშვილოსნოდან სისხლდენის, შარდკენჭოვანი დაავადებების, რევმატიზმის, მწვავე და ქრონიკული ენტერიტების, კოლიტების, ენტეროკოლიტების, გასტრიტის, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულის, ფაღარათისა და დიზენტერიის დროს, როგორც შემკვრელი და ჭრილობების შემახორცებელი საშუალება. განსაკუთრებით ეფექტურია მცენარის ნედლი ნაწილები. აქტიურად გამოიყენება ჰომეოპათიაში.

საინტერესო ფაქტები: მცენარის რუსული სახელიდან "пастушья сумка" გამომდინარე ხალხში საინტერესო ლეგენდებს მოისმენთ. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, ერთ დილას, სხვა დღეების მსგავსად, მწყემსმა საქონელი საძოვრად წაასხა. ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა. მოულოდნელად მან შენიშნა, რომ ტყიდან გავეშებულმა მხეცმა ისკუპა. გამოცდილმა მცველმა მასში მგელი შეიგნო და რაც მთავარია ის მარტო არ იყო. შემფოთებული მწყემსი ხმამაღალი ყვირილითა და შოლტის ცემით ცდილობდა სამწყსოს სახლის მიმართულებით განდევნას, საქონელმა მას გაუგო და გომურისკენ გაქუსლა.

მტაცებლებს საკვები გაექცათ და იძულებულები გახდნენ უკან დაეხიათ. გამარჯვების სასიხარულო ამბის პარალელურად, მწყემსმა დისკომფორტი იგრძნო ქუსლში შუშის ნამსხვრევის შერჭობის გამო. ჭრილობიდან სისხლი ღვარად იღვრებოდა. მან ტანსაცმელი მთლიანად შემოიხია, მაგრამ გაჟონვა ვერ შეაჩერა. იგრძნო რა, რომ ძაღლონეს კარგავდა, მიწაზე დაეშვა და უძლურებისაგან ატირდა. ამავდროულად შეამჩნია, რომ ცრემლები მიწაზე კი არ ეცემოდა, არამედ დაბალ დატოტვილ მცენარეზე, რომელიც აქამდე არ ენახა. მან ეს ღვ-

თის წყალობად ჩათვალა, ბალახი ამოგლიჯა და ჭრილობაზე დაიდო - სისხლი მაშინვე შეწყდა, ტკივილიც გაუნელდა და ფეხზე ადგომაც შეძლო. აქ თანასოფლელებმაც დროულად მიაკითეს, მათ დაინახეს, რომ პირუტყვი უდროოდ ბრუნდებოდა შინ და მიხვდნენ, რომ უბედურება მოხდა და მწყემსის დასახმარებლად გაემშურნენ.

მწყემსი მალე გამოჯანმრთელდა, მტაცებლები იმ მხარეში აღარ გამოჩენილან, ხოლო ბალახის შეგროვება საკვებად და სამომავლოდ გამოსაყენებლად ყველამ დაიწყო. მათ ასევე შეამჩნიეს, რომ მცენარის თესლები პატარა ჩანთის მსგავს სამკუთხა კოლოფში იყო თავმოყრილი, მაცხოვრებლები მიხვდნენ, რომ ეს მწყემსის გაყინული ცრემლები იყო და მათ გადამრჩენს "მწყემსის ჩანთას"- უწოდებდნენ ...

<https://proza.ru/2012/01/27/>

Capparis spinosa L – კაპარი



მრავალწლოვანი მცენარეა, ნახევრადბუჩქი კაპარისებრთა (Capparidaceae) ოჯახიდან, ნიადაგზე გართხმული 150 სმ-მდე სიგრძის ტოტებით; ფოთლები მარტივია, ელიფსური ან უკუკვერცხისებრი ფორმის, წვერზე ეკლით დაბოლოებული. ყვავილი მარტოუ-

ლია, გრძელყუნწიანი, ფოთლის ილიებში განლაგებული; გვირგვინის ფურცლები თეთრი ან ვარდისფერია. ყვავილობს აპრილ-ივნისში. იზრდება დაბლობებზე, კლდეებზე, ნაშალეებზე, ქვიან და ხრიოკ ადგილებში, ნახევრადუდაბნოებსა და მშრალ ფერდობებზე.

ფესვები შეიცავს გლიკოზიდ კაპორიდინს; ქერქი და ფოთლები - გლიკოზიდ სტახიდრინს; ნაყოფები - შაქრებს, ფერმენტებს, სტეროიდულ საპონინებს, ცხიმებს, წითელ პიგმენტს, იოდს, სახამებელს, უჯრედისს, ვიტამინებს (B₁, B₂, B₃, B₅, B₆, B₉, C, E, K), ქოლინს; მაკ-

როელემენტებს (Ka, Ca, Mg, Na, F); მიკროელემენტებს (Fe, Cu, Mn, Zn), ეთერზეთებს, პექტინებს; თესლები - ცილებს, ცხიმზეთებს. ფესვებს სამკურნალოდ იყენებდნენ ჯერ კიდევ ძველ არაბულ მედიცინაში ალურგიის, დამზლის, რევმატიზმის, იპოხოზდრიის, სიყვითლის, ჰიპერტონიის, მუნის, ბრუცელოზის, ისტერიისა და ნევროზების დროს. ახლად მოგროვილი ტოტების ნახარში ფოთლებთან ერთად ხასიათდება ანტიესპტიკური, ნალველმდენი, შარდმდენი და ტკივილგამაყუჩებელი მოქმედებით. საყვავილე კვირტები მიიღება გულსისხლძარღვთა დაავადებებისას; ყვავილების წვენი, ასევე მისი ნახარში მითითებულია დიათეზისა და ჭრილობების შესახორცებლად; ნაყოფები ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით, იყენებენ ღრძილების, კბილების, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებისას.

საინტერესო ფაქტები: ჯერ კიდევ ანტიკურ დროში ადამიანები იყენებდნენ მცენარის ნაყოფს, როგორც სანელებელს და მედიკამენტს. ყვავილების ნახარშს ხმარობდნენ ჭრილობების შესახორცებლად, გულის გასაძლიერებლად; ტუბერების ნაყენს - როგორც საანესთეზიო, ანტირევმატიულ საშუალებას; კოკრებსა და ნაყოფებს - კბილის ტკივილის დროს. კაპარის თესლისგან მიღებულ ზეთს იყენებდნენ დასაზელოდ, ხოლო ქერქის ნახარში გამოიყენებოდა ნევროზული აშლილობის დროს.

უძველესი დროიდან, კაპარს თვლიდნენ ძლიერ აფროდიზიაკად, რომელსაც შეეძლო ვნების გაძლიერება.

<http://www.runyweb.com/articles/64/capers-bud-seasoning.html>

Centranthus longiflorus Stev.– კლდის იასამანი
ქართლში უწოდებენ კლდის ყვავილს



მრავალწლოვანი ბალახოვანი ლეგა მცენარეა კატაბალახისებრთა (Valerianaceae) ოჯახიდან. ღერო მრავალია, სწორი, 80 სმ-მდე სიმაღლის. ფოთლები ლანცეტა-ხაზურია. ყვავილეთი საგველასებრია, შედგება ნახევარ ჩხროებისაგან. გვირგვინი კაშკაშა ვარდისფერია. ყვავილობს მაის-ივნისში.

იზრდება ქვიან ადგილებზე და ჩამონახვავებზე, მთის ქვედა და შუა სარტყელში. სამკურნალო მიზნით არ გამოიყენება, კონტინენტალური ევროპის ზოგიერთ ნაწილში მის ფოთლებს იყენებდნენ საკვებად, სალათების სახით. თესლებს უძველეს დროში სხეულის ბალზამირებისას ხმარობდნენ.

საინტერესო ფაქტები: კ. ლინე ამ გვარის ერთ-ერთ სახეობას განიხილავდა გვარ Valeriana-ს შემადგენლობაში, როგორც Valeriana rubra-ს, მაგრამ დე კანდოლმა ის მიაკუთვნა გვარ Centranthus და ყველა შემდგომი ბოტანიკოსი ამის მიმდევარი იყო. გვარის სახელი გვირგვინთან დაკავშირებით წარმოიქმნა ბერძნულიდან kentron (დეზი) და anthos (ყვავილი), რაც დაკავშირებულია ყვავილის გვირგვინთან, რომლის ძირშიც ვითარდება დეზი, რითიც განსხვავდება ნამდვილ ვალერიანისაგან (კატაბალახა).

<https://ogorodniki.com/catalog/kentranthus-krasnyi>

Ceterach officinarum Willd. – სამკურნალო ცეტერახი



მრავალწლოვანი, მცირე ზომის მოკლე ფესურიანი სპოროვანი, ბალახოვანი მცენარეა გვიმრუჭასებრთა (Aspleniaceae) ოჯახიდან. ფოთლები ტყავისებრია, ფრთისებრ განკვეთილი, ლანცეტა ან მოგრძო ლანცეტა ფორმის; სეგმენტები მომრგვალო ოვა-

ლურია, ზემოდან მქრქალი მონაცრისფრო მწვანე, შიშველი, ქვემოდან - ყუნწიანად დაფარულია კრამიტისებრად განლაგებული მურა ფერის ქერქლებით, რომლებშიც სორუსებია ჩამალული. სპორები ოვალურ-თირკმლისებრია, ბლაგვეკლიანი. ყვავილობს მაის-ივნისში. იზრდება კლდეების დაფარულ ნაპრალებში, ქვის ფერდობებზე. ფოთლები ხასიათდება შემკვრელი და ჭიისმდენი მოქმედებით.

Chelidonium majus L. - ქრისტესისხლა

საქართველოში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი, ხევესურეთში - სისხლა ბალახის, ქიზიყში - ყორის ყაყაჩოს, რაჭა-ლეჩხუმში - ცხენისოფას, აჭარაში - ქარცეცხლას, საყვითლოს; ინგუშეთში - სურსულაი წამალის; სამეგრელოში - ნაწიფუ, ნაწიფი, ჯაში ზისხირის; სვანეთში - მეღფი მელილდ, ჭედიშ მელილდის სახელით

ყაყაჩოსებრთა (Papaveraceae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ნარინჯისფერი, რძისებრი წვენი. ღერო 30-100 სმ სიმაღლისაა, დარებიანი, სწორი, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფოთლები შიშველია, ჩანგისებრ ფრთისებრ დაკვეთილი, 5-7 ოვალური ან კვერცხისებრი მრგვალებილა ნაკვეთიანი სეგმენტებით. ყვავილები 3-8, შეკრებილია კენწრულ ქოლგისებრ ყვავილედად. გვირგვინის ფურ-



ცლები კაშკაშა ყვითელია, მოგრძო უკუკვერცხისებრი. ყვავილობს აპრილიდან სექტემბრამდე; იზრდება დაბლობიდან ტყის ზედა სარტყლამდე, ტყეებში, ტყის პირებზე, ნაკაფებში, არხების პირებზე, ბაღებში, დანაგვიანებულ ადგილებში, ღობეებთან და სხვ.

ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ ქრისტესისხლაში შემავალი ალკალოიდები თრგუნავს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, იწვევს ავთვისებიანი სიმსივნეების ზრდის შეფერხებას, ხასიათდება ფუნგისტატიკური და ბაქტერიოსტატიკური მოქმედებით ტუბერკულოზის მიკრობაქტერიების მიმართ. ბალახის ნაყენი მიიღება სტენოკარდიის, ჰიპერტონიის დროს; ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ღვიძლის, ნაღვლის ბუშტისა და სიმსივნური დაავადებებისას.

შინაგანი მიღებისას მცენარე იწვევს მაჯისცემის შენელებას და აქვეითებს არტერიალურ წნევას. მცენარე შხამიანია!

საინტერესო ფაქტები: ბალახის ლათინური სახელი ასოცირდება ერთ-ერთ ფრინველის სახელთან, რომელსაც ბერძნები „ჰელიდონს“ უწოდებენ, ვინაიდან ქრისტესისხლა ზრდას იწყებს მათი მოფრენისას, ხოლო ხმება მათ გადაფრენისას. ეს მოსაზრება ზოგადად მიღებული იყო 2000 წლის განმავლობაში, აქედანაა მისი სხვა სახელიც „მერცხლის ბალახი“.

ამასთან, არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომელიც ამ სახელწოდების წარმოშობას აკავშირებს ძველ ლათინურ სახელთან *coelidionum*, რაც „ციურ საჩუქარს“ ნიშნავს. მცენარეებისთვის უჩვეულო რძის წვენის შეფერილობამ შუა საუკუნეებში ალქიმიკოსების ყურადღებაც მიიპყრო. ამას ქრისტესისხლას ოქროსთან უშუალოდ ნათესაური კავშირით ხსნიდნენ და დიდი ხნის მანძილზე იკვლევდნენ ამ მიმარ-

თებით. თანამედროვე მეცნიერებმა რძიანი წვენი ასეთი უჩვეულო შეფერილობის მიზეზი ახსნეს მოწითალო-ნარინჯისფერი პიგმენტის - კაროტინის დიდი რაოდენობის შემცველობით.

მცენარე ცნობილია "სინათლის ბალახის" სახელითაც, რაც გამომდინარეობდა მრავალი თაობის ექიმის მოსაზრებით, ძველ ბერძნულიდან დაწყებული მე-18 საუკუნემდე, რომლებიც ქრისტესისხლას თვლიდნენ თვალის დაავადებების სასარგებლო სამკურნალო საშუალებად. ეს რწმენა ეფუძნებოდა ძველ ლეგენდას, რომელშიც ნათქვამია, რომ მერცხალი თავის ბრმა ბარტყებს მცენარის რძის წვენით კურნავდა.

<https://botsad.ru/menu/mir-rastanii/lekarstvennye-rasteniya/skazaniya-o-lekarstvennyh-rasteniyah/chistotel-bolshoj-chelidonium-majus/>

Chrysosplenium alternifolium L. - მჭამელა



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ფხიჯასებრთა (Saxifragaceae) ოჯახიდან. ფოთლები მორიგეობითია, თირკმლისებრ მორგვალ, გულისებრი ძირით. ყვავილები მარტივ ყვავილსაფრიანია, შედგება 4 ფოთლიანი

მოყვითალო ფერის ჯამისაგან. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე, ტენიან და დაჭაობებულ დაჩრდილულ ადგილებში.

ხალხურ მედიცინაში ბალახის წყლიან ნაყენს ღებულობენ ხველების, სისხლიანი ნახველის, სიყვითლის, ელენტის დაავადებების სამკურნალოდ; გარეგანად - ჭრილობებისა და წყლულების შესახორცებლად.

Colchicum speciosum Stev. - უცუნა

თუშეთში უწოდებენ უცანას; ზემო რაჭაში - უცუნის; ლეჩხუმში - შან-შველას; გურიაში - თავნიორას; აჭარაში - სათოვლიას; სამეგრელოში - დღრჩე, ჯირჩე, ლაჰა გვაჯას; სვანეთში - შაშვლის.



მრავალწლოვანი ბალახოვანი ტუბერბოლქოვანი მცენარეა სათოვლიასებრთა (Colchicaceae) ოჯახიდან, 40 სმ-მდე სიმაღლის მიწისზედა ყლორტებით. საინტერესო მცენარეა განვითარების რიტმით, ფოთლები და ნაყოფები – გაზაფხულზე ვითარდება, ყვავილები - შემოდგომით. ფო-

თოლი 3-4 (6), ფართო ლანცეტა, წვერში მოზღაგვო, გრძელ ვაგინიანი. ჩვეულებრივ ვითარდება ერთი, იშვიათად 3 იისფერ-ვარდისფერი, უსუნო ყვავილი, უფოთლო საყვავილე ისრით. ტყის სარტყელში ვეგეტაციას იწყებს თებერვლის ბოლოს და ამთავრებს ივნისის პირველ ნახევარში, თესლი მწიფდება მაისის ბოლოს; ხოლო სუბალპურ სარტყელში – მაისის ბოლოს და ივლისში. ყვავილობა შესაბამისად მიმდინარეობს აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის პირველ ნახევარში ან სექტემბერ-ოქტომბერში.

სინათლის მოყვარული მეზოფიტია. კარგად ვითარდება წვრილ-ღორღიან ნიადაგებზე, გაურბის ჭარბტენიან ადგილებს, იზრდება წიფლნარ-წაბლნარ, წიფლნარ-რცხილნარ-ნეკერჩხლიან ტყეებში, ბუჩქნარების რაყებში, ტყეკაფებზე, განსაკუთრებით ჭარბადაა მთის შუა სარტყლის ნატყევერ მდელოებზე.

სამკურნალოდ ტუბერბოლქვები გამოიყენება. შეიცავს ალკალოიდებს, მათ შორის ძირითადია - კოლხიციინი (ძლიერ ტოქსიკურია, ითვლება მიტოზურ შხამად), კოლხამინი, სპეციოზინი და კოლხი-

ცერინი. კოლხამინი ხასიათდება კოლხიციანის მსგავსი მოქმედებით, მაგრამ ნაკლებ შხამიანია. მცენარეული წარმოშობის ერთ-ერთი პირველი სამკურნალო საშუალებაა, რომელსაც თანამედროვე ონკოლოგიაში, სიმსივნის სამკურნალოდ იყენებენ. მიღებულია პრეპარატები: 0,5% კოლხამინის მალამო, იხმარება კანის კიბოს ენდოფიტური და ეგზოფიტური ფორმების I და II სტადიის დროს; პრეპარატი კოლხამინი (დემოკოლცინი, ომანინი) გამოიყენება ლეიკოზისა და კუჭ-ნაწლავის კიბოს დროს.

საინტერესო ფაქტები: უძველეს წარსულში, როდესაც ბერძნები შეიჭრნენ ლეგენდებით მოცულ კოლხეთში და გაეცნენ მის მცენარეულ საფარს, მათი ყურადღება მიიქცია ერთ-ერთმა მცენარემ, რომელიც ზაფრანს (Crocus) მიახლოებდა. იგი ძლიერ შხამიანი იყო (ცხოველები არ ეკარებოდნენ) და საოცარი თვისება ჰქონდა, ნაყოფები ფოთლებთან ერთად გაზაფხულზე ვითარდებოდა, ყვავილობდა კი შემოდგომით. ბერძნებმა მას, მისი სამშობლოს აღსანიშნავად „კოლხიკუმი“ უწოდეს.

ბერძნული სხვა ლეგენდა გვამცნობს, რომ ეს ყვავილი პრომეთეს სისხლზე აღმოცენდა.

ძველ საბერძნეთში ასევე თვლიდნენ, რომ უცუნა წარმოიშვა მიწის ქალღმერთის გეის ქალიშვილის პერსეფონის წყალობით. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ არ იცოდა რა, სად გაუჩინარდა მისი შვილი, გეი ძალიან იყო დამწუხრებული. რის გამოც მის ირგვლივ ყველა მცენარემ დაიწყო ჭკნობა და ხმობა, ხეებიდან ცვიოდა ფოთლები, ირგვლივ ყველაფერი სევდამ მოიცვა. მიწისქვეშა სამეფოს ღმერთის მიერ მოტაცებულმა მშვენიერმა პერსეფონმა დედისადმი მისალმების ნიშნად, დედამიწაზე გამოაგზავნა უცუნას ყვავილები. რამაც ქალღმერთი მიახვედრა, რომ ეს იყო მინიშნება, თუ სად უნდა ეძებნა ქალიშვილი.

უცუნას მეტად საინტერესო განმარტება მოჰყავს ზ. მაყაშვილს (1966) – „როგორც სამკურნალო მცენარე შეიძლება იყოს „უწუნო“ .

Convallaria transcaucasica Utk. – შროშანა

საქართველოს რეგიონებში შემდეგი სახელითაა ცნობილი: ქართლში - დათვიყანა, დათვისიმინდი, ტყის სიმინდის; რაჭაში - მკვდრის ყვავილის



კავკასიის ენდემური და უძველესი რელიქტური სახეობაა, მხოხავ ფესურიანი, მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე შროშანასებრთა (*Convallariaceae*) ოჯახიდან. ღეროსეული ფოთლები გრძელი ვაგინებითაა და მოგრძო კვერცხისებრი ან ელიფსური წვეტიანი ფირფიტით. ყვავილები ზა-

რისებრ - სფეროსებრია, დახრილ ყუნწებიანი, თეთრი. ნაყოფი სფეროსებრი, წითელი კენკრაა, ყვავილობს აპრილ-მაისში. უმთავრესად გვხვდება მუხნარებში, რცხილნარებსა და წიფლნარებში.

გულის გლიკოზიდების - კონვალატოქსინისა და კონვალარინის მიღების ძირითადი წყაროა, რომლებიც გამოირჩევიან კარდიოტონური ბიოლოგიური აქტივობით, მოქმედების სწრაფი განვითარებით და სუსტად გამოხატული კუმულიატორული მოქმედებით. სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს ფოთლები, ყვავილები, ნაყოფები.

შროშანას პრეპარატები ფართოდ გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალოდ. კარდიალური ტიპით მიმდინარე ნეიროციკლურატორული დისტონიის, ისტერიის დროს. მასში შემავალი გულის გლიკოზიდების შემცველობის გამო (უმთავრესად კონვალატოქსინი და კონვალარინი) შროშანას პრეპარატები იხმარება გულის მოქმედებისა და სისხლის მოძრაობის ნორმალიზაციისათვის, გულის ნევროზების, კარდიოსკლეროზის, გულის მანკისა და გულის უკმარისობის, დიფუზური ტოქსიკური ჩიყვის დროს. მას ხშირად იყენებენ სამკურნალო კატაბალახასა და კუნელთან ერთად.

ხალხურ მედიცინაში - როგორც დამამშვიდებელი და დიურეზული საშუალება; გამოიყენება გულის დაავადებებისას, განსაკუთრებით ტახიკარდიის დროს, გულის რიტმის რეგულირებისათვის; შეშუპებების, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების, ეპილეპსიის, ციებ-ცხელების, ყელის ტკივილებისას; ნაყენი გარეგანად (საფენების სახით) იხმარება თვალის დაავადებებისა და რევმატიზმის საწინააღმდეგოდ.

საინტერესო ფაქტები: უხსოვარი დროიდან შრომანა ასოცირდება სიწმინდის, სინაზის, ერთგულების, სიყვარულსა და ყველაზე ამაღლებულ გრძნობებთან. შრომანასაგან კრავდნენ საქორწილო თაიგულებს ნორჩი პატარძლებისათვის, რომლებიც განასახიერებდნენ სიყმაწვილესა და უბიწოებას. რამდენი საუცხოო ყვავილია დედამიწაზე, მაგრამ ძველი გერმანელები და სკანდინავიელები მხოლოდ შრომანას მიიჩნევდნენ ამომავალი მზის ქალღმერთის ყვავილად. უამრავი ლეგენდა და ზღაპარია მასთან დაკავშირებული. ძველბერძნული მითის თანახმად, ნადირობის ქალ-ღმერთი ერთ-ერთ სეირნებისას უცნობ ტყეში მოხვდა, მისი სილამაზით გაოგნებული ფაუნები შეპყრობის მიზნით გამოედევნენ; შეშინებული დიანა გაუსხლტდა მდეგრებს, თუმცა დიდხანს და სწრაფად მოუწია სირბილმა, მისი მშვენიერი სხეული კი არომატული ოფლის წვეთებით დაიფარა, რომლებიც მიწაზე ცვიოდა და ჯადოსნურ ყვავილებად გარდაიქმნებოდა.

ძველრუსული ლეგენდა შრომანას წარმოქმნას უკავშირებს წყლის ქვეშ მცხოვრები მოგვების დედოფლის ცრემლებს; მას შეუყვარდა მომღერალი სადკო, რომელმაც თავისი გული დედამიწის ქალწულს მიუძღვნა. დამწუხრებული დედოფალი ღამ-ღამობით ზღვიდან ამოდიოდა და გულდათუთქული ტიროდა, დაცვენილი ცრემლებიდან შრომანას ყვავილები წარმოიქმნებოდა.

ქრისტიანულ მითოლოგიაში შრომანები - ეს არის მარიამ ღვთიშობლის წმინდა ცრემლები, რომელსაც აფრქვევდა ჯვარცმული ძის წინაშე მდგომი წმინდანი.

ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, რომელიც ქრისტიანულად სახე-
ცვლილი მითია, შრომანად ქცეულა წმინდა გიორგის გველეშაპთან
შერკინებისას მიწაზე დაცემული სისხლის წვეთები.

გერმანიაში არსებობს თქმულება, რომ ნათელ მთვარიან ღამეებში,
როდესაც დედამიწას ღრმა ძილი მოიცავს, მცირერიცხოვანი, გამორ-
ჩეული მორწმუნეების წინაშე ჩნდება (ცხადდება) წმინდა მარიამი -
შრომანას ვერცხლისფერი ყვავილების გვირგვინით თავშემკული.

ინგლისში საუკუნიდან საუკუნეში გადასცემდნენ ლეგენდას იმის შე-
სახებ, რომ შრომანა ტყეში იმ ადგილას იზრდება, სადაც ზღაპრულმა
ლეონარდმა დაამარცხა დრაკონი, რომელიც გმირს თავისი მრავალ-
რიცხოვანი ეშვებითა და ბრჭყალებით ებრძოდა; და მართლაც თუ
ყურს მივუგდებთ, მოგვეჩვენება, რომ საოცრად ნაზი და სუფთა შრო-
მანას ზარისებრი ყვავილები თითქოსდა გამარჯვების ჰიმნს რეკავენ.

ინგლისში შრომანაზე სხვა ისტორიასაც ყვებიან: უსმენდა რა ბულბუ-
ლის გალობას მას შეუყვარდა ეს ფრინველი, მაგრამ ერიდებოდა თავისი
გრძნობების გამოხატვის და მაღალ ბალახეულობაში დაიმალა,
რათა უკეთ დამტკბარიყო მისი გალობით; ხოლო ბულბული აღმა-
ფრენილი ყვავილების ნაზი, მომაჯადოებელი არომატით დარჩა მარ-
ტო, ვისთვისღა უნდა ემღერა?!... და გაფრინდა. მას შემდეგ არსებობს
ცრურწმენა, რომ ბულბულები გალობას იწყებენ, როდესაც ჰაერში
გრძნობენ შრომანას ყვავილების არომატს, ან როდესაც მცენარე ყვე-
ლას თვალწინ ყვავილობს.

სხვა ლეგენდებში ნათქვამია, რომ შრომანა წარმოიშვა ფიფქიას ყელ-
საბამის გაფანტული მძივებისაგან; ისინი გნომების ფარნებს წარ-
მოადგენენ, რომ მათში ცხოვრობენ ტყის პატარა კაცუნები - ელფები,
რომ შრომანებში ღამ-ღამობით მზის კურდღლები იმალებიან.

კელტები თვლიდნენ, რომ შრომანა არც მეტი და არც ნაკლები ელ-
ფების განძია. მათი ლეგენდით - ახალგაზრდა მონადირეებმა თვალი
მოჰკრეს ელფს, რომელიც მძიმე ტვირთით მიფრინავდა, გაუყვნენ მის
გზას და აღმოჩნდა, რომ მას მარგალიტი მანგოს მთაზე მიჰქონდა;

ერთ-ერთმა მონადირემ ვერ გაუძლო ცდუნებას და ნამცეცა სადავის ბურთულის აღება გადაწყვიტა, მაგრამ შეხებისთანავე საგანძურის მთა ჩამოიშალა; ადამიანებმა გამალებით დაიწყეს მარგალიტების შეგროვება, დაივიწყეს რა სიფრთხილე. ხმაურზე ელფების ხელმწიფე მოფრინდა, რომელმაც მარგალიტები სურნელოვან ყვავილებად გადააქცია. იმ დროიდან მოყოლებული, ელფები შურს იძიებენ ხარბ ადამიანებზე მათი საგანძურის დაკარგვის გამო, ხოლო შრომანები იმდენად უყვართ, რომ ყოველთვის წმენდენ მთვარის სინათლისაგან მოქსოვილი ხელსახოცებით.

შრომანას გადაყვავილების შემდეგ წარმოიქმნება პატარა მრგვალი ნარინჯისფერი კენკროვანი ნაყოფები - მწვავე, ცეცხლოვანი ცრემლები, რითიც შრომანა გაზაფხულს მისტირის.

არა მხოლოდ ლეგენდები, თქმულებები და ლექსები ეძღვნებოდა მომხიბლავ ყვავილს, მის საპატივცემულოდ აწყობდნენ დღესასწაულებს, სეირნობებს.

შრომანას ბევრი ხალხი გაზაფხულის სიმბოლოდ თვლიდა. წარსულში გერმანელები საგაზაფხულო დღესასწაულზე “ოსტერნი” ირთვებოდნენ მისი ყვავილებით, დღესასწაულის დასასრულს კი დამჭკნარ ყვავილებს წვავდნენ. ამით, თითქოსდა შესაწირს უძღვნიდნენ სხივნათელ განთიადის ღმერთს ოსტარს, რომელსაც სითბოს მეკვლედ თვლიდნენ.

მაგრამ არავინ არ აღმერთებს შრომანას ისე, როგორც ფრანგები. XVII საუკუნიდან დღემდე მაისის პირველ კვირას საფრანგეთში ყოველწლიურად აღნიშნავენ შრომანას დღესასწაულის დღეს. ამ დღისათვის სოფლის მაცხოვრებლები მოეფინებიან ტყეებს, რათა რაც შეიძლება მეტი ყვავილი მოკრიფონ. შრომანით, რომელსაც ბედნიერების მომასწავებლად თვლიან, რთავენ ფანჯრებს, ღუმელებს, მაგიდეებს; დღესასწაული რა თქმა უნდა, სიმღერის გარეშე არ მთავრდება. შემდეგ ქალიშვილები ყვავილებს კაბებზე იმაგრებენ, ვაჭები კოსტიუმების ჯიბეებზე; თუ მოცეკვავე წყვილი ცვლის ყვავილს, ე.ი. მათ

ერთმანეთი მოეწონათ. უფრო შორეულ წარსულში კი მათ უკვე დანიშნულებად თვლიდნენ. ყვავილზე უარის თქმა მეგობრობის უარყოფას ნიშნავს, ხოლო თაიგულის ფეხქვეშ დაგდება - ძლიერი სიძულვილის ნიშანია.

აღსანიშნავია, რომ ოდესღაც შრომანა მედიცინის ემბლემას წარმოადგენდა. საინტერესოა, რომ კოპერნიკი - ძველ პორტრეტებზე გამოსახულია შრომანას თაიგულით ხელში, რომელიც მას სამკურნალო დამსახურებისათვის მიართევს. უდიდესი ასტრონომი ამავე დროს ბრწყინვალე მკურნალიც იყო.

1967 წელს შრომანა ფინეთის ეროვნული ყვავილი გახდა.

შრომანას სტილიზირებული გამოსახულებები განთავსებულია ქალაქების - ვეილერის (გერმანია), ლუნენერის (ნორვეგია) და მელერუდის (შვედეთი) გერბებზე (ბიძინაშვილი, 2011).

Convolvulus arvensis L. - ხვართქლა

საქართველოში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი, ფშავ-ხეცსურეთსა და მთიულეთში - ფათალა, მხვევარა, ხორთქლას უწოდებენ; თუშეთში - ხვევნურას; ზემო იმერეთში - გოჭიწელას; მესხეთში - გაბმულას; ჭანეთში - მშანკოს; სამეგრელოში-მაზერა, მაზურა, დიხაში სურო, დიხაში ცურუ, ბადადია; სვანეთში - ნახგრწელ, ნაწგრხელს



მრავალწლოვანი ხვიარა მცენარეა ხვართქლასებრთა (Convolvulaceae) ოჯახიდან. ინვითარებს გრძელ მთავარღერძა ფესვს, რომელიც ნიადაგში 3 მ-მდე სიღრმით ვრცელდება. ღეროები 120 სმ-მდე სიგრძისაა, გართხმული, წარმოქმნის ხშირ როზეტს.

ფოთლები ისრისებრ-შუბისებრია, გრძელყუნწიანი. ყვავილები მსხვილია ძაბრისებრი, მოთეთრო-ვარდისფერი, სუსტი, სასიამოვნო

სურნელის. ყვავილობს მაისიდან სექტემბრამდე. იზრდება ფერდობებზე, ასარევიანებს ნათესებს, გვხვდება აგრეთვე ველებზე და გზის პირებზე, მთის შუა სარტყელში.

მცენარე მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით. ყველა ნაწილი შეიცავს ფლავონოიდებს, გლიკოზიდებს, ვიტამინებს, განსაკუთრებით A, C და E, მწარე ნივთიერებებს, ზოგიერთ ტოქსიკურ ალკალოიდებს, რის გამოც მისი გამოყენება სიფრთხილეს მოითხოვს, ზუსტად უნდა იქნეს დაცული დოზები. სამკურნალო ნედლეულს ღეროები და ფესვები წარმოადგენს, იშვიათად ყვავილები და თესლები. გროვდება ყვავილობის პერიოდში. მცენარე ხასიათება საფადართო და ჰიპოტენზიური მოქმედებით. იყენებენ როგორც ნაღველმდენ, შარდმდენ, საფადართო საშუალებას. ძალიან პოპულარულია ხალხურ მედიცინაში. ფესვებს იყენებენ ნევროზის, კბილის ტკივილის, გასტრიტის, ჭრილობების შესახორცებლად. ბალახის ნაყენი, ნახარში და ჩაის - სიმსივნის, ტუბერკულოზის, ყელის ტკივილის, პირის ღრუს, ციებ-ცხელების, ქრონიკული ბრონქიტის დროს. ბალახის წვენი შველის დერმატომიკოზს და დერმატიტებს. ყვავილების ნახარშს ხმარობენ გულის წასვლის, ნევროზის, დერმატიტის სამკურნალოდ. ხოლო თესლების ნახარშით კურნავენ ხველას, ნეფრიტს, დიზურეას.

***Corydalis angustifolia* (Bieb.) DC. – ვიწროფოთოლა ბუჩქისძირა კახეთში მამლის იის სახელითაა ცნობილი**

მრავალწლოვანი ტუბეროვანი ბალახოვანი მცენარეა შავთარასებრთა (Fumariaceae) ოჯახიდან. ღერო 10-25 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, მარტივი. ფოთოლი ორია ან სამი, მორიგეობით განლაგებული, ორმაგ-სამმაგ დაყოფილი მოგრძო ან ვიწრო ხაზურ ნაკვეთბად. ყვავილები შეკრებილია ფარჩხატ, მტევნისებრ ყვავილედად. გვირგვინი ღია ყვითელი ან თეთრია, საკმაოდ დიდი ზომის. ყვავილობს



თებერვალ-მარტში. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყელში, ტყეებში, ტყის პირებზე და ბუჩქნარებში, ნახევრად დაჩრდილულ ნოყიერ ჰაბიტატებზე. ფართოდაა გავრცელებული, ქმნის ადრე გაზაფხულის სინუზიას.

Corydalis marschalliana Pers. - მარშალის ბუჩქისძირა



მრავალწლოვანი, ბალახოვანი, ტუბერიანი მცენარეა შავთარასებრთა (Fumariaceae) ოჯახიდან. ღეროსეული ფოთლები 2, მორიგეობითი, სამად დაყოფილი მოგრძო ელიფსური სეგმენტებით. გვირგვინი ყვითელია ან მოყვითალო-ვარდისფერი.

ყვავილობს მარტ-აპრილში, იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლის ტყეებში. ქმნის ადრე გაზაფხულის სინუზიას.

ბუჩქისძირას სახეობების სამკურნალო ნედლეულს მცენარის ყველა ნაწილი წარმოადგენს. შეიცავს ალკალოიდებს: კორიდალინს, კორიდალინს და სხვ. რომლებიც ძლიერი შხამიანობით ხასიათდებიან და თერაპიაში მცირე დოზებით იხმარება. მაღალი ნარკოტიკული მოქმედების გამო, დიდ დოზებში იწვევს კატალექსიას (მთელი სხეულის ან კიდურების გაშუმება). გამოიყენება ნევროლოგიასა და ფსიქიატრიაში ნერვული დაავადებების სამკურნალოდ, ექიმის მკაცრი კონტროლის ქვეშ! იწვევს მაჯისცემის შენელებას და აქვეითებს არტერიულ წნევას; ხასიათდება ნაღველმდენი მოქმედებით. მიიღება სტენოკარდიის, ჰიპერტონიის დროს; კუჭის კიბოზე მოქმედებს გამა-

ყურებლად, წარმატებით გამოიყენება ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებებისას, მხოლოდ ექიმის მეთვალყურეობით!!!

საინტერესო ფაქტები: არსებობს ლეგენდები ამ საინტერესო მცენარის შესახებ.

ერთ-ერთი მათგანი მოგვითხრობს მასზე, თუ როგორ დაფრინავდნენ ტოროლები ადრე გაზაფხულზე მაღლა ცაში და ერთმანეთს გაბრაზებულები საჩხუბრად წაეკიდნენ, იმდენად ძლიერად იბრძოდნენ, რომ ერთმანეთს დეზი და ქოჩორი დააგლიჯეს, რომლებიც ტყის ნიადაგზე დაეცა და ბუჩქისძირას ყვავილებად მოგვევლინენ. მისი გერმანული სახელი "lark spur" - ნიშნავს „ტოროლას დეზს“.

კიდევ ერთი მსგავსი ლეგენდის თანახმად, ორ ტოროლას ერთი და იგივე დედალი ტოროლა შეუყვარდა. მათ გადაწყვიტეს ურთიერთობა ბრძოლით გადაეჭრათ. ისეთი ჩხუბი გამართეს, რომ მიწაზე ცვიოდა არა მხოლოდ ბუმბულები, არამედ დეზიც და ქოჩორიც. სწორედ მათგან წარმოიქმნა ეს მშვენიერი ყვავილები.

<https://stihi.ru/2020/04/28/>

Coronilla varia L. - ყვავისფრჩხილა

ქართლში უწოდებენ ცხენის იონჯას; ზემო იმერეთში - ხრიანას;

მესხეთში - ბროწეულას.



პარკოსანთა (Leguminosae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მოკლე ფესურით. ღერო 20-90 სმ სიმაღლისაა, მრავალი, წამოწეულგაფარჩხული ან გართხმული, ღრუ, წახნაგოვანი, ცოტად თუ ბევრად დატოტვილი. ფოთლები კენტფრთისებ-

რია, შედგება 7-12 წვრილი ფოთოლაკისაგან, რომლებიც მოკლექუნწიანია, მოგრძო ან ოვალური, თავბლაგვი და ზოგჯერ პატარა წვე-

ტით დაბოლოებული. ყვავილები 12-20 რაოდენობით შეკრებილია ქოლგისებრ ყვავილედებად. გვირგვინის აფრა ვარდისფერია, ფრთები თეთრია, ნავის წვერი მუქი წითელი ფერის. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება მზიან, ქვა-ღორღიან ჰაბიტატებზე.

მცენარის წვენი შხამიანია, ადამიანებში იწვევს პირღებინებას და კუჭის აშლილობას; ხალხურ მედიცინაში ბალახის ნაყენი გამოიყენება წყალმანკის, ქლექის, ციებ-ცხელებისა და მუცლის ტკივილების სამკურნალოდ.

Crocus adamii I.Gay. - ადამის ზაფრანა



მრავალწლოვანი, ადრე გაზაფხულზე მოყვავილე ეფემეროიდული გეოფიტია ზამზახისებრთა (Iridaceae) ოჯახიდან, მობრტყეო-სფერული ტუბერ-ბოლქვით; ფოთოლი 3-4 ცალია, ყვავილებთან ერთად ვითარდება. ყვავილსაფარი ღია სოსანია, მოქროსფრო ხახითა და გარეთა

ფოთლებზე მუქი იისფერი და ფრთისფერ დატოტვილი ზოლებით. ყვავილობს თებერვალ-მარტში. იზრდება ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ტყის პირებზე, ნაკაფებში, ტყის ფანჯრებში და სხვ. მთის შუა სარტყელამდე.

ზაფრანის სახეობების სასარგებლო თვისებები ასეული წლებით ადრე იყო ცნობილი ჩვ.წ.ად-მდე, რაც დაფიქსირებულია იმ დროის ჩინურ და ეგვიპტურ ხელნაწერებში. ხასიათდება ანტისეპტიკური მოქმედებით. გამოიყენება ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებებისას. **საინტერესო ამბები:** მრავალი განსხვავებული ლეგენდა ასოცირდება ზაფრანთან, რომლის გმირები ოლიმპოს მკვიდრნიც კი იყვნენ. ასე, ერთ-ერთი ძველბერძნული ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ღმერთმა

ჰერმესმა მოაწყო შეჯიბრი დისკით სროლაზე თავის ახლო მეგობართან - კროკოსთან. მაგრამ ჰერმესმა ვერ გათვალა თავისი ძალა და ახალგაზრდა კაცს დისკი მოარტყა - ეს დაზიანება სასიკვდილო აღმოჩნდა მისთვის. იმ ადგილას, სადაც უბედური ჭაბუკის სისხლი დაიღვარა მის მსგავსად ლამაზი კროკუსის ყვავილი წარმოიქმნა.

ბუდისტური ლეგენდის მიხედვით, კროკუსის ყვავილი ხალხს თავად არჰატმა ნიმატუნმა აჩუქა, რომელმაც ზეციდან ჩამოიტანა და ქაშირში დარგა. ამ ლეგენდის წყალობით, ინდოეთი ითვლება კროკუსის სამშობლოდ.

თუ დაეჯერება ანტიკური ხანის ლეგენდას ამ ყვავილზე - კროკუსი ერქვა ჭაბუკს, რომელმაც შეიყვარა ნიმფა სმილაქსი და დაიწყო მის კვალდაკვალ სიარული, უმღეროდა რა სევდიან სიმღერებს. გოგონას ეს მალე მობეზრდა და ღმერთებს სთხოვა მისგან მოეშორებინათ აბეზარი მიჯნური. კროკუსი ყვავილად გარდაქმნეს, რომლის შუაგულში თითქოსდა ცეცხლის ენაა მიმაღული.

<https://ok.ru/nashajiznprekrasnoevmjnovenie/topic/>

Cyclamen vernum Sweet. - ქართული ყოჩივარდა

ქართლ-კახეთში ეძახიან პაპიყვერას; მთიულეთში - პაპლაყვერას; რაჭა-ლეჩხუმში - კოჩიოტას, კაწალ-კუწალას; ზემო იმერეთში - ქორციოტა, ქორჩოტია, ქოჩიოტა, კორჩიოტა, კოჩიატას; ქვემო იმერეთსა და გურიაში - კვარაკუნჩხას; ერწოში - ტურიპროჭას; აჭარაში - ყიყვის წამალს; ჭანურად - კვარშილი, ქაცრაა; სამეგრელოში - კარაკუნჩხა, ტყვარჩელია, ტკვარჩელიას.

ფურისულასებრთა (Primulaceae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ტყის ტიპური ეფემეროიდი. ფოთლები კვერცხისებრ გულისებრიდან თითქმის მომრგვალომდეა. გვირგვინი პატარა ზომისაა, მისი ფურცლები ელიფსური ფორმისაა, ლილისფერ-ვარდისფერი მეზოქსეროფილური. ყვავილობს იანვარ-აპრილში. იზრდება

მთის ქვედა და შუა სარტყელში, ტყეებში, ბუჩქნარებში, ტყის მდელოებზე. ქმნის გაზაფხულის სინუზიებს.

ნედლი ტუბერები შხამიანია, იწვევს გულის რევასა და კუჭის აშლილობას, გამშრალი სახით კი უვნებელია.



გამოიყენება ნაწლავების პერისტალტიკის ასამაღლებლად, ბუასილის, რევმატიზმის საწინააღმდეგოდ, საშვილოსნოს ზოგიერთი დაავადებისა და შხამიანი გველების ნაკბენის შემთხვევაში.

საინტერესო ფაქტები: ამ ყვავილის შესახებ ერთ-ერთი ლეგენდა გვამცნობს, რომ როდესაც მეფე სოლომონმა იერუსალიმში ტაძარი ააგო, მან გადაწყვიტა მისთვის გვირგვინი შეექმნათ. ოსტატები სხვადასხვა სახის გვირგვინებს სთავაზობდნენ, მაგრამ არცერთი მათგანი არ მოსწონდა მეფეს.

იმედგაცრუებულმა გაისეირნა მდელოებსა და გორაკებზე და ნახა, რომ მთელი გარემო ნაირგვარი ყვავილებისაგან შექმნილი ხალიჩებით იყო მოფენილი. თითოეული ყვავილი ცდილობდა მეფის ყურადღების მიპყრობას და საკუთარ თავს, როგორც გამორჩეულს სთავაზობდა საგვირგვინედ.

მაგრამ თავმდაბალ მეფე სოლომონს არ სურდა, რომ მისი გვირგვინი თავკერძა და ტრაბახა ყვავილებით შემკობილიყო. ტაძრისკენ უკან მიმავალმა შენიშნა მორცხვი ვარდისფერი ყოჩივარდა, რომელიც კლდეებს შორის განაბულიყო. მეფეს თვალები გაუბრწყინდა და გადაწყვიტა სწორედ ამ ყვავილის ფორმის მსგავსი გვირგვინი დაემზადებინათ მისთვის.

მეფემ გაიფიქრა, რომ ეს გვირგვინი მისთვის იმის შეხსენებაც იქნებოდა, რომ ხალხს უნდა ბრძნულად და ამავე დროს მოკრძალებულად

მართავდეს. მეფე სოლომონის სიკვდილის შემდეგ ყოჩივარდმა მოიწყინა და თავი უფრო მდაბლად დახარა.

არსებობს უძველესი ნიშანი: თუ თქვენს სახლში ხარობს ყოჩივარდა, თქვენს წინააღმდეგ მიმართული არც ერთი ბოროტი შელოცვა არ იმოქმედებს. გარდა ამისა, ამ ყვავილებს კიდევ ერთი თვისება გააჩნიათ - ისინი სახლს იცავენ სტიქიისა და უამინდობისაგან.

ყვავილის ძირითადი თვისებებია: სიყვარული, ბოროტი ძალებისაგან დაცვა, მათ შორის ენერგეტიკულის.

<https://culture.wikireading.ru/>

Cynoglossum officinale L. – ძაღლის ენა

მოხვეურად უწოდებენ ძაღლის მახალაის; ხევსურეთში - ღორნიკა, ქირის; მესხეთში - მგელისყურა, ლოსტოკის; სამეგრელოში - სახოკიას; სვანეთში - ჟაღვემ ნინ, ჟელი ნინს.



ლაშქარასებრთა (Boraginaceae) ოჯახის ორწლოვანი ბალახოვანი, მონაცრისფრო ქერისებრ შებუსული მცენარეა 30-100 სმ სიმაღლის ღეროთი. ფოთლები მოგრძო ლანცეტა ან ელიფსური ფორმისაა. ყვავილი ჭუჭყისფერ-მეწამულია, დიდი ზომის. ყვავილობს აპრილ-აგვისტოში. იზრდება

ქვიან ადგილებში, ბუჩქნარებში, 1500-2000 მ სიმაღლემდე. შხამიანია, ყველა ორგანო შეიცავს ალკალოიდებს (ცინოგლოსინს, ცინოგლოსეინს, გლუკოალკალოიდ კონსოლიდინს და სხვ.), რომლებიც კურარეს შხამის მსგავსი მოქმედებით ხასიათდება. მიწისზედა ორგანოებში აღმოჩენილია ეთერზეთები, ქოლინი, კაროტინი; ფესვებში - მთრიმლავი ნივთიერებები, ინულინი, ფისები. ინსექტიციდური მცენარეა, გამოიყენება მღრღნელებთან საბრძოლველად. ხა-

სიათდება ანტიბაქტერიული აქტივობით, ტკივილგამაყუჩებელი, სედატური და შემკვრელი მოქმედებით. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ფილტვებისა და საკვებმომწელებელი ორგანოების დაავადებებისას; იხმარება როგორც დამამშვიდებელი და ამოსახველებელი საშუალება. ფესვები შედის მრავალი ქვეყნის ფარმაცოპიაში. ფართოდ იყენებენ ჰომეოპათიაში.



Dentaria quinquefolia Bieb. –

ტყის ბოლოკა

ჯვაროსანთა (Cruciferae) ოჯახის მრავალწლოვანი, ბალახოვანი გრძელ ფესურიანი მცენარეა 20-35 სმ სიმაღლის ღეროთი. ფოთლები 5-ფოთოლაკიანია, ფოთოლაკები ხაზური ან მოგრძო ლან-

ცეტაა, კიდეზე მსხვილად დაკბილული. გვირგვინის ფურცლები იისფერია, იშვიათად ვარდისფერი. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება მთის შუა სარტყლამდე, ტყის ჩრდილებში. ქმნის გაზაფხულის სინჯიას. ფესვები ხასიათდება შემკვრელი მოქმედებით, იხმარება სისხლიანი ფაღარათისას.

Dictamnus caucasicus (Fisch. et C.A.Mey) Grossh. – კავკასიური

იფნურა

ლექსუმში უწოდებენ მოიფნიე, მეიფუნას; ზემო იმერეთში - ორსუნელას.

ტეგანისებრთა (Rutaceae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები კენტფრთართულია, შედგება 5-8 წყვილი, ვიწრო, მოგრძო ლანცეტა, წვერისკენ გრძლად, ძირისკენ ოდნავ შევიწროებული ფოთოლაკებისაგან. ყვავილი იისფერია ან მოვარდისფრო-იისფერი მეწამული ფერის ძარღვებით, შეკრებილია მტკენი-

სებრ ან საგველასებრ ყვავილედებად. ყვავილობს აპრილ-ივნისში. იზრდება მთის შუა სარტყლამდე, ტყეებსა და ბუჩქნარებში.



იფნურას ბალახის ძირითადი სამკურნალო თვისებაა მისი შარდმდენი ეფექტი. აუმჯობესებს სისხლის ფილტრაციას თირკმლის ქსოვილების მეშვეობით, ხელს უწყობს შინაგანი ორგანოებიდან უხსნადი შენაერთების (ქვიშა) გამოდევნას თირ-

კმელკენჭოვანი და შარდკენჭოვანი დაავადებებისას. იფნურას ანთების საწინააღმდეგო მოქმედება გამოიყენება შარდსადინარი სისტემის ორგანოების (ნეფრიტი, ცისტეიტი, ურეთრიტი, პიელოიტი) დაავადებებისას. ასტიმულირებს სასქესო ორგანოების ფუნქციებს, ახდენს მენსტრუაციის დაწყების პროვოცირებას მისი დახანების ან შეჩერების შემთხვევაში.

იფნურა საჭმლის მომნელებელ ტრაქტზე მოქმედებს როგორც შემკვრელი საშუალება. აჩერებს დიარეას, მეტეორიზმს. ხსნის ნაღვლის სადინარებისა და კუჭის ლორწოვანი გარსის ანთებას (გასტრიტი). ხასიათდება ანტიჰელმინტური მოქმედებითაც. იფნურას ბალახს იყენებენ ეპილეფსიით დაავადებულ პაციენტთა კრუნჩხვებისაგან გასათავისუფლებლად. მცენარე შხამიანია.

საინტერესო ფაქტები: ფრიად დეკორატიულია, როგორც ყვავილები, ასევე ნაყოფები, რომელთა მიმართ სიფრთხილის დაცვაა საჭირო. ცხელ მშრალ ამინდში, მცენარის ყველა ნაწილი, განსაკუთრებით ყვავილები და თესლი, წამლის მკვეთრ სუნს გამოჰყოფს. ასეთი სურნელისაა ეთერზეთები, რომელსაც მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს და რომლითაც გაჟღენთილია ჰაერი მის ირგვლივ. თუ ანთებულ ასანთს მიუახლოვებთ ყვავილებს, ხდება ალის აფეთქება, რასაც თან ახლავს ტკაცუნის და შავი კვამლის გამოყოფა.

შესაძლოა, ეს ის მცენარეა, რომელიც ბიბლიაშია მოხსენიებული, სადაც აღწერილია მოსეს მოგზაურობა ეგვიპტის უდაბნოში ებრაელ ხალხთან ერთად, როდესაც მზეზე ბუჩქების აალება ხდებოდა. აღსანიშნავია, რომ დასაწყისში მცენარესთან შეხებისას ადამიანი ვერაფერს გრძნობს, რამდენიმე საათის შემდეგ კი კანი წითლდება და წარმოიქმნება ბუშტუკები, რომლებიც წყლულებით იცვლება, რასაც თან ახლავს მაღალი ტემპერატურა და საერთო სისუსტე. გაფრთხილდით, მცენარის ყველა ნაწილი შხამიანია.

<http://rozavetrov8.ru/jasenec-trava-kupit>
<http://rozavetrov8.ru/jasenec-trava-kupit>

Diocorea caucasica Lipsky - კავკასიური დიოსკორეა



მრავალწლოვანი ბალახოვანი ერთლებნიანი ფესურიანი ლიანაა დიოსკორიასებრთა

(Dioscoriaceae) ოჯახიდან. ღეროები ხვიარაა, ფოთლები კვერცხისებრ-გულისებრია, წაწვეტებული წვერით, კიდემთლიანი. ყვავილი მწვანეა, პატარა ზომის, ცალსქესიანი. მამრობითი ყვავი-

ლები შეკრებილია თავთავისებრ ყვავილედებად, ზარისებრია. მდედრობითი ყვავილები ზომითა და შეფერილობით მამრობითის მსგავსია, განლაგებულია მარტივ უბისეულ თავთავებად ან მტევნებად. ყვავილობს მაის-ივნისში.

აფხაზეთ-ჩერქეზეთის ენდემია, კოლხეთის რელიქტი, გავრცელებულია აფხაზეთის შავი ზღვისპირა რაიონებში, მთის ქვედა და შუა სართყლების ფართოფოთლოვან ტყეებში, უმთავრესად მუხნარებსა და მუხნარ-რცხილნარებში.

სამკურნალო ნედლეულს ფესურა წარმოადგენს, შეიცავს სტეროიდული საპონინების ჯამს. მათ ძირითად ნაწილს შეადგენს დიოსცინი, რომელიც იხლიჩება გლუკოზად, რამნოზად და დიოსგენინად. უკანასკნელი შეიძლება გამოყენებული იქნეს კორტიზონის ტიპის რიგ ჰორმონად.

დიოსკორეის პრეპარატები ამცირებს სისხლში ქოლესტერინის შემცველობას და ადაბლებს არტერიულ წნევას. გამოიყენება თავის ტვინის სისხლძარღვებისა და სხვა ორგანოების ათეროსკლეროზის, კარდიოსკლეროზის, ინფარქტის, ინფარქტის შემდგომ პერიოდში, ინსულტის, გაფანტული სკლეროზის, რევმატიოიდული ართრიტის, სამწვერა ნერვის ანთების, ყურებში და თავში ხმაურის, ნეფრიტის, დიაბეტის, ედისონის დაავადების, ართრიტების, ბლეფარიტის, კონიუნქტივის, კერატიტის, ჰიპოფიზის ფუნქციის დარღვევის, ანთებისა და ალერგიის, ვირუსული და სოკოვანი დაავადებების, ალერგიული დერმატიტების დროს; აუმჯობესებს ძილს, მახსოვრობას, მხედველობას, გულის, ღვიძლისა და თირკმელების მუშაობას; ნედლი ფესვების ნაყენს იყენებენ ნაღველკენჭოვანი დაავადებების, ქოლეცისტიტის გამწვავების, ჰეპატო-ქოლეცისტიტისა და რეციდივური სიყვითლისას. არსებობს დიოსკორეით ქრონიკული გასტრიტის მკურნალობის მონაცემები.

არ არის რეკომენდირებული ბრადიკარდიის (შენელებული პულსაცია) და ჰიპოტონიის დროს, ვინაიდან ხელს უწყობს არტერიული წნევის დაწევას.

საინტერესო ფაქტები: ხალხში კავკასიურ დიოსკორეას „მუდმივ ახალგაზრდობის ფესვს“ უწოდებენ, მისი არაჩვეულებრივი სამკურნალო თვისებებიდან გამომდინარე. განსაკუთრებით სასარგებლოა ასაკოვანი ადამიანებისათვის. არსებობს რამდენიმე ლეგენდა მცენარის სახელის წარმოქმნაზე.

ერთ-ერთი ვერსიით - სახელი ამ უნიკალურმა მცენარემ მიიღო რომის იმპერატორ ნერონის სამხედრო ექიმის, ფარმაკოლოგისა და ნა-

ტურალისტის, ბოტანიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის დიოსკორიდის საპატივცემულოდ, რომელმაც პირველად აღწერა და შეისწავლა ეს მცენარე.

მეორე ლეგენდა, ასევე ძველბერძნული, გვამცნობს, რომ თავისი სახელი ამ გამორჩეულმა ლიანამ მიიღო, მშვენიერი შეყვარებული გოგონას - დიოსკორეის საპატივცემულოდ. მცენარის ფოთლები ფორმით გულისებრია - ისეთივე ნაზი და მყიფე, როგორც შეყვარებული ბერძენი გოგონას გული.

სხვა თქმულების თანახმად, ახალგაზრდა გოგონა დიონა (დიონისია) დასახმარებლად მივიდა ძველ ბერძენ ექიმ დიოსკორიდესთან და მამის, ცნობილი მდიდარი ვაჭრის გადარჩენა სთხოვა. ვაჭარმა, რომელიც სასარგებლო გარიგებიდან ახალი დაბრუნებული იყო, მეგობრების თანდასწრებით წაიტრაბახა, რომ წარმატებისათვის ტამარში არ გამოხატავს მადლიერებას ქალღმერთ ჰერას მიმართ და არაფრით დაეხმარებოდა ღატაკებს. მოკლედ, უზომოდ გაამაყდა. ქალღმერთმა ჰერამ ეს ვერ აპატია და თავში მსუბუქად წამოარტყა. მას შემდეგ, მამამისი დაბეჩავებული ლოგინად იყო ჩავარდნილი. ავადმყოფის გასინჯვის შემდეგ, დიოსკორიდი მიხვდა, რომ მისი დაავადება მოულოდნელი ელდით იყო გამოწვეული. მან მიიყვანა დიონა პელიონის მთაზე, აჩვენა ლამაზი ლიანა გულისებრი ფოთლებით და აუხსნა, რომ ამ მცენარის მეშვეობით განკურნავდა მამამისს. მაგრამ მცენარე ჯერ საჭირო ასაკს არ იყო მიღწეული, საჭიროებდა მოვლა-პატრონობას, ხოლო ამ დროის მანძილზე ვაჭარს კეთილი საქმეებით უნდა გამოესყიდა ცოდვები და მიეღო პატიება მათგან ვისაც აწყენინა. ავადმყოფი ვერ მოძრაობდა, მხოლოდ ტიროდა მომსვლელთა წინაშე და მათ პატიებას სთხოვდა. გაიზარდა მცენარე - ლამაზი ლიანა (დიოსკორიდი) და დიონამ დაიწყო მისი მეშვეობით მამის მკურნალობა. ავადმყოფს აუმოდრავდა ხელები, ფეხებიც, მაგრამ რაღაც ძალა არ ამლევიდა ადგომის საშუალებას; ამ დროს მას გაახსენდა, რომ ოდესღაც სახლიდან გააგდო მოხუცი შინამოსამსახურე, მხოლოდ იმიტომ, რომ

მან უპატრონო ძაღლს მისი სუფრის ნარჩენები აჭამა. დაიწყეს ამ ქალის მოძიება - და იპოვეს იმ ძაღლთან ერთად. მდიდარმა ვაჭარმა სთხოვა ეპატიებინა მისთვის და ის ძაღლიც სახლში მიაყვანილა. ამის შემდეგ ვაჭარი ფეხზე წამოდგა!

<http://medlabnews.ru/unikalnaya-dioskoreya/>

Doronicum orientale Hoffm. – ყვითელი გვირილა



რთულყვავილოვანთა (Compositae) ოჯახის მრავალწლოვანი გრძელფესურიანი ბალახოვანი მცენარეა 15-50 სმ სიმაღლის, შიშველი ან გაბნეული ბეწვით შემოსილი, ზედა ნაწილში უფოთლო ღეროთი. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, მომრგვალო

გულისებრი ფორმის, კიდებზე ამოკვეთილ დაკბილული ან კიდემთლიანი. ღეროსეული - ღერომხვევია, კვერცხისებრი. კალათები მარტოულია, ყვავილები მკრთალი ყვითელია. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება ტყის სარტყელში, დაჩრდილულ ადგილებში. ბალახი გამოიყენება ხალხურ მედიცინაში თავბრუსხვევისა და ეპილექსიის სამკურნალოდ; ფრიად დეკორატიულია.

Dorycnium graecum (L.) Ser.- ხუთყურა



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა პარკოსანთა (Leguminosae) ოჯახიდან. ფოთლები ხუთმაგია. ყვავილები თეთრია, პატარა ზომის, შეკრებილია სფეროსებრ-ქოლგისებრ თავაკებად. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრ-

დება მთის შუა სარტყლამდე, ტყეებში და ტყის პირებზე. საკმაოდ ჩვეულებრივია დაჩრდილული ტყეებისათვის, სადაც ფართო ფრაგმენტების სახით გვხვდება. ბალახი გამოიყენება თავბრუსხვევისა და ეპილეფსიის სამკურნალოდ.

Ecballium elaterium (L.) A. Rich. - კიტრანა



მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა გოგრისებრთა (Cucurbitaceae) ოჯახიდან. ღერო 20-25 სმ სიმაღლისაა, გართხმული ან სწორი. ფოთლის ფირფიტა გრძელყუნწიანია, გულისებრ-კვერცხისებრი ან სამკუთხოვანი, კიდეებზე არათანაბრად დაკბილული, ქვემოდან თეთრი ქეჩისებრი, მოთეთრო-ვერცხლისფრად სქლად შებუსული. ყვავილები ერთსქესიანია, ერთსახლიანი, დიდი ზომის, ილლიური; ბუტკოიანი ყვავილები მარტოულია, გვირგვინი ბაცი ან მუქი ყვითელი შეფერილობის; მტვრიანიანი ყვავილები მოკლე ზარისებრია, გრძელ მტევნებადაა შეკრებილი. ყვავილობს მაისიდან ოქტომბრამდე. იზრდება ქვა-ღორღიან ჰაბიტატებზე, გზის პირებზე, რუდერალურ ადგილებში. ხალხურ მედიცინაში რეკომენდირებულია წყალმანკის სამკურნალოდ, გარეგანად-აბსცესების, რევმატიზმის, ბუასილის, ქრონიკული სურდოს დროს, მაგრამ უკიდურესი სიფრთხილით.

საინტერესო ფაქტები: კიტრანა ბოტანიკურ სახელმძღვანელოებში შესულია როგორც მცენარეების გამრავლების საილუსტრაციო მაგალითი; ნაყოფი მომწიფებისას ყუნწს სცილდება და ყუნწის მიმაგრების ადგილზე გაჩენილ ღრუდან სითხესთან ერთად თესლები საკმაოდ სიძლიერით იტყორცნება, რაც ნაყოფის კედლების განსაკუთრებული

აგებულებით და ქიმიზმით აიხსნება. ამის გამო რუსულ ლიტერატურაში ცნობილია, “ცოფიანი კიტრის” სახელწოდებით.

Epimedium colchicum (Boiss.)Trautv. - ჩიტაწვივა

აჭარაში უწოდებენ - წამალდიდს, ჩიტაწუას, ღორიკვაშილას; სამეგრელოში - ოხორკალაიას



მრავალწლოვანი ბალახოვანი მხოხავ ფესურიანი მცენარეა კოწახურისებრთა (Berberidaceae) ოჯახიდან. ყველა ფოთოლი ფესვთანურია, ფრთისებრ დაყოფილი ან სამფოთოლაკიანი, ფოთოლაკები ოვალურია ძირში ღრმად, გულისებრ ამოკვეთილი. ყვა-

ვილი გოგირდისფერ ყვითელია, 4-ფურცლიანი. ყვავილობს მარტ-აპრილში. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლის ტენიან და დაჩრდილულ ტყეებში.

აღმოსავლურ ალტერნატიულ მედიცინაში, მცენარე განიხილება ყველაზე ძვირფას მატონიზირებელ და გამამდიერებელ აგენტად, რომელსაც ძირითადად იყენებენ ჯანმრთელი სექსუალური აქტივობის აღდგენასა და შენარჩუნებაში. ხელს უწყობს ორგანიზმში ნეირომედიატორების - ადრენალინის, ნორადრენალინის, სეროტონინის, დოფამინის გაზრდას, რომლებიც მონაწილეობენ ჰორმონების გამომუშავებაში. დოფამინი, კერძოდ, უზრუნველყოფს ტესტოსტერონის, მამრობითი სასქესო ჰორმონის გამომუშავებას; მცენარის ფოთლების გამოყენება ასტიმულირებს ჰორმონების სეკრეციას მამაკაცებში, აძლიერებს სქესობრივ ლტოლვას და უზრუნველყოფს საკმარის სექსუალურ ენერგიას როგორც კაცებში, ასევე ქალებში. სენსორულ ნერვებზე მასტიმულირებელი ეფექტის წყალობით, იზრდება სექსუალური აქტივობა და სპერმის წარმოება. მცენარის თვისებები ფარ-

თოდ გამოიყენება თირკმელების, ღვიძლის, სახსრების (მუხლების ჩათვლით) დაავადებების, უშვილობის სამკურნალოდ. გამოყენების ჩვენებები: ერექციული დისფუნქციის დარღვევა; სპერმატოგენეზი; დაბალი იმუნიტეტი; ტესტოსტერონის სეკრეციის დარღვევა; იმპოტენცია; სისხლძაღვოვანი სისტემის დარღვევა; არტერიალური ჰიპოტენზია; რევმატიული არტრალგია; კიდურების სისუსტე; კლიმაქტერიული ჰიპერტონია; ქრონიკული სხივური დაავადება.

საინტერესო ფაქტები: ჩიტიწვივა კაცობრიბისათვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ახ. წ. აღ.-მდე და ამ ფაქტს ოფიციალურად ადასტურებს თავის შრომებში დიოსკორიდი. ფართო გვარია, მსოფლიოში 60-მდე სახეობითაა წარმოდგენილი.

თანამედროვე გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ გვარი *Epimedium*-ის სახეობები აფროდიზიაკური თვისებებით გამოირჩევიან. შუა საუკუნეებში სლავურ მოსახლეობაში არსებობდა პოეტური ლეგენდა, რომლის მიხედვითაც ნიმფებმა ჩიტიწვივა საჩუქრად მიართვეს ტყის კეთილ ფერიას იმის ნიშნად, რომ ტყის ბინადრებს წარმატებით გადაეტანათ მორიგი ზამთარი.

ბულგარეთში ეს ლეგენდარული მცენარე გაზაფხულის სიმბოლოდ ითვლება და თავისი კეთილი, ნათელი ძალების უპირატესობით ჯაბნის ბოროტების ბნელ ძალებს.

დასავლეთ ევროპაში ჩიტიწვივას ელფების ყვავილს უწოდებენ და ყვებიან მის რომანტიკულ ისტორიას, რომ მფრინავი ელფები ტყეში აგროვებენ ყვავილების ნექტარს და ჩიტიწვივას ყვავილებში, რომლებიც პატარა ჭურჭელს მოგვაგონებს, ხარშავენ მუდმივი სიცოცხლისა და ახალგაზრდობის ელექსირს, მზის პირველი სხივების გამოჩენისთანავე ფლავონებში ასხავენ და ადამიანებისაგან შორს ტყის კუნჭულებში მალავენ. შრომისაგან დაღლილი ფერიები ისვენებენ ჩიტიწვივას ყვავილებში, რომლებიდანაც ხშირად შენიშნავთ ელფების ფრთებს.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ლეგენდა ჩიტინჯივზე ჩინეთის მოსახლეობაშია ჩამოყალიბებული. მოგვითხრობენ, რომ ერთმა ჩინელმა მწყემსმა როდესაც თხები საძოვარზე განდევნა, ერთი არაჩვეულებრივი მოვლენა შენიშნა, ჩიტინჯივას ბალახის ჭამის შემდეგ ისინი გაცხოველებულად ბობოქრობდნენ და საოცრად აღიგზნებოდნენ. ამ ლეგენდის მიხედვით ჩიტინჯივას ყველა აზიურმა სახეობამ მიიღო ხალხური სახელი „თხების ავხორცი ბალახი“ ან ბალახი „ინ-იან ხო“ (რაც ნიშნავს ბნელის და ნათელის საწყისს).

<https://www.liveinternet.ru/users/lorine/>

Equisetum arvense L. - შვიტა

საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი: ქართლში - მუხლა, ნაწყვეტას; კახეთსა და იმერეთში - ცხენისძუა, ჯორისძუას; ხევსურეთში - ბორბალას; მოხევეურად - ტრიალას; მესხურად - თოფისახოცელას; რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთში დათვიფანჩარი, ვირიძუა, მონაძუას; ზემო იმერეთში - ცხენის-ძუას; საინგილოში - ყირხ ბულუმ; აჭარაში -ნამვა-ბალახას; სამეგრელოში - თუნთიში ჭემი, დემიში ჭემი, მაჭყვადურის; სვანეთში-ბგზგლდ



შვიტასებრთა (Equisetaceae) ოჯახის მრავალწლოვანი სპოროვანი, მხოხავ ფესურიანი, 40 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა, დამუხლული, დაღარული ღრუ ღეროთი და რგოლურად განლაგებული ტოტებით. სასპორე ღეროები

უფრო წვრილია, მოწითალო-მღვრიე ყავისფერი; უნაყოფო ღეროები მონაცრისფრო-მწვანე, დატოტვილი. თითოეული მუხლის ძირში განვითარებულია კბილებიანი ვაგინა, რომელიც შედგება ასიმეტრიული უნარდაკარგული, შეზრდილი ერთძარღვიანი ქერქლოვა-

ნი ფოთლებისაგან. ყვავილობს მარტიდან მაისამდე. იზრდება ტენიან მდელოებზე, წყლით მოსილულ ნაპირებზე, ნათესებში, დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე.

ოფიცინალურ მედიცინაში სამკურნალო ნედლეულს უნაყოფო გაზაფხულის ყლორტები (ბალახი) წარმოადგენს, რომელსაც ზაფხულის დასაწყისში აგროვებენ. შეიცავს ნახშირწყლებს (პექტინი, გალაქტოზა, გლუკოზა, მანოზა, არაბინოზა, ქსილოზა), ორგანულ მჟავებს (აკონიტის, ფუმარინის, გლუკონის, გლიცერინის, ვაშლის, მალონის, ქინაქინის, ციკორიუმის), სტეროიდებს (მათ რიცხვში ბეტა-სიტოსტერინი, კამპესტერინი, იზოფუკო-სტერინი, ქოლესტერინი), საპონინებს. ლიგნინს, ფლავონოიდებს (იზოკვერციტრინი, კემპფეროლი, კვერცეტინი, ლუთეოლინი), ფენოლკარბონულ მჟავებს და მათ წარმოებულებს (კერძოდ: ვანილინის, გალის, ფერულის, კოფეინის), კაროტინოიდებს, ვიტამინ C.

ნაყენი ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, შარდმდენი, სისხლდენის შემაჩერებელი, ჭრილობების შემახორცებელი, შემკვრელი, საერთოგამამლიერებელი მოქმედებით. გალენურ პრეპარატებს, როგორც შარდმდენ საშუალებას უნიშნავენ გულის მანკის, გულის უკმარისობის, შეშუპების (რაც გულ-ფილტვების უკმარისობასთანაა დაკავშირებული), გულ-სისხლძარღვთა და თავის ტვინის ათეროსკლეროზის, შარდ-სადინარი გზების დაავადებების (პიელოტი, ცისტიტი, ურეთრიტი), თირკმელებისა და შარდის ბუშტის ანთების, აგრეთვე ფილტვებისა და კანის ტუბეკულოზის შემთხვევაში. როგორც რემინერალიზირებულ საშუალებას უნიშნავენ ასაკოვან ადამიანებს; ქიმიოთერაპიული მკურნალობის პროცესის პარალელურად, სისხლდენის შემაჩერებელი მოქმედებიდან და მისი თვისებიდან (ორგანიზმიდან ტყვიის გამოდევნა) გამომდინარე უნიშნავენ ჰემოროიდულ და საშვილოსნოდან სისხლდენებისას, ტყვიით მწვავე და ქრონიკული მოწამლვისას. ხასიათდება რა მადეზინფიცირებული მოქმე-

დებით წყლის ნაყენს ხმარობენ გარეგანად ქრონიკული წყლულებისა და ჩირქიანი წლულების მოსაშუშებლად

საინტერესო ფაქტები: შვიტა ჩვენი პლანეტის უძველესი მკვიდრია, ისინი დინოზავრებზე უფრო მეტი ხნისაა. მცენარეთა ეს ჯგუფი დედამიწაზე 400 მილიონი წლის წინ გაჩნდა და ყველაზე აყვავებას ქვის ხანაში მიაღწია. უზარმაზარი ხეების, კალამიტების, ახლა უკვე დაბალ ბალახოვანი შვიტას წინაპრების ნაშთებს დღეს ნახშირის მოპოვების დროს ნახულობენ. რის საფუძველზე მტკიცდება, რომ კალამიტები 30 მ-მდე სიმაღლის უზარმაზარი ხეები იყვნენ. პალეონტოლოგები ითვლიან 50-მდე სახეობის კალამიტებს. შედარებისთვის: ჩვენს დროში შვიტას 30-ზე მეტი სახეობა არ არსებობს. დღეს ძნელია შვიტამ ზომებში კონკურენცია გაუწიოს წიწვოვან ან ყვავილოვან მცენარეებს, რომლებიც ევოლუციური თვალსაზრისით გაცილებით ახალგაზრდაა.

<https://mirchudes.net/flora/1148-equisetum-arvense.html>

Eremurus spectabilis Bieb. - შრეშო



ასფოდელოსებრთა (Asphodelaceae) ოჯახის ფესურიან-ფუნჯა-ფესვიანი პოლიკარპული მცენარეა, ფესვთანური, გრძელი ვიწრო ფოთლებითა და 1 მ-მდე სიმაღლის უფოთლო საყვავილე ღეროთი, რომელიც მთავრდება ხშირი საყვავილე მტევნით, მრავალრიცხოვანი, მოყვითალო ყვავილებით. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება ღორღიან ადგი-

ლებში, მშრალ ფერდობებსა და კლდეებზე, ბუჩქნარებში, მთის წინებსა და მთის შუა სარტყელში, მცირე ჯგუფებისა და მცირე ფრაგ-

მენტების სახით. სამკურნალოდ ფესურები გამოიყენება. შეიცავს პოლისაქარიდებს ერემურინს, გუმიარაბიკის შემცველს, გლუკო-მანანებს. სადღეისოდ ცნობილია გლუკომანანების გამოყენების შემდეგი შესაძლებლობები: 1. მანოზის მიღების წყარო; 2. ემულ-გატორი ფარმაცისა და მსუბუქ მრეწველობაში; 3. მედიცინაში ბიო-ლოგიურად აქტიური ნივთიერებების სახით გამოყენება.

არის მონაცემები შრემის ექსპერიმენტალურ მედიცინაში სხვადასხვა დაავადებების საწინააღმდეგოდ გამოყენებისა: თირკმელებისა და შარდის სადინარების, კანისა და კანქვეშა ცხიმოვანი უჯრედების, ფურუნკულების განსაკურნავად (ფესურა და თესლები); ტრავმების – მოტეხილობისას (ფესურა).

საინტერესო ფაქტები: მცენარის ლათინური სახელწოდება წარმოს-დგება ძველბერძნული სიტყვებიდან **“eremos” (უდაბნო)** და **“ura” (კუდი)** - **“უდაბნოს კუდი”**, ალბათ მისი გრძელი საყვავილე ღერო-დან გამომდინარე, რომელსაც მელიის კუდაც ადარებენ. რუსეთში უწოდებენ “ჩერეშს” (череш), “ალტაის ჩალმას” (алтайская чалма), აზი-ურ ქვეყნებში - “შირიაშს” (ширяш) ან “შირის” (шырыш), რაც თარგმანში წებოს ნიშნავს, აგრეთვე - “მელიის კუდას”, გერმანიაში - “უდაბნოს სანთელს”, ინგლისში - “კლეოპატრას ნემსებს”, პოლონეთში - “უდაბ-ნოსეულს”.

აღსანიშნავია, რომ უძველეს რელიქტურ მცენარეთა რიცხვს მიეკუთ-ვნება, წარმოიშვა გამყინვარებამდე; პალინოლოგიური მონაცემები-დან ცნობილია, რომ შრემის მტვრიანები ნაპოვნია დას. თურქმენე-თის პლიოცენურ შრეებში, რომლის ტერიტორიამ შეინარჩუნა უდაბ-ნოს - სტეპის ხასიათი უძველესი დროიდან დღემდე. ნაპოვნი მტვრის მარცვლები უდაბნოს თანამედროვე სახეობების მტვრის მარცვლე-ბისაგან განსხვავდება უფრო დიდი ზომებით (ბიძინაშვილი, 2012).

Erodium cicutarium (L.) L. Herit. – სავარცხელა

რაკა-ლექხუმსა და იმერეთში უწოდებენ ბატიფხას; ზემო იმერეთში - ჯიჯიბერას; ქიზიყში - ნემსიყლაპიას; მესხეთსა და ჯავახეთში - საათას.



ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი ეფემერული მცენარეა ნემსიწვერასებრთა (Geraniaceae) ოჯახიდან. ღერო 5-35 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი, გართხმული ან წამოწეული, ან მცენარე თითქმის უღეროა, დაფარულია გაფარჩხული, მარტივი, იშვიათად მიტკე-

ცილი ბეწვით. ფესვთანური და ღეროსეული ფოთლები ძირამდე ფრთისებრია განკვეთილი. საყვავილე ღერძები გრძელია, ილლიური, სიგრძით ფოთლებს აღემატება, ქმნის ორ-შვიდყვავილიან, ჯირკვლოვანი ბეწვით მოფენილ ყვავილედებს, გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება დაბლობებსა და მთისწინებზე, ბალახოვან ფერდობებზე, ნათესებში, გზისპირებზე, რუდერალურ ადგილებზე. ბალახი შეიცავს მწარე და მთრიმლავე ნივთიერებებს, ფლავონოიდებს, ფისებს, აცეტილქოლინს, კაროტინს, შაქრებს, ორგანულ მჟავებს, ასკორბინის მჟავას, კაროტინს, ვიტამინებს K და C, საპონინებს, კალციუმს და სხვა მიკროელემენტებს. სამკურნალო პრეპარატები ხასიათდება შემკვრელი, სისხლშემაჩერებელი და კრუნჩხვების საწინააღმდეგო მოქმედებით. ფოთლები ხალხურ მედიცინაში გამოიყენება თავის ტკივილების, სისხლის დამწმენდ, შარდმდენ და ოფლმდენ საშუალებად.

Eryngium campestre L. – მინდვრის ნარო



ქოლგოსანთა (Umbelliferae) ოჯახის მრავალწლოვანი მონაცრისფრო-მომწვანო ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-60 სმ-მდე სიმაღლისაა, მარტოული, შუა ნაწილიდან ძლიერ გაფარჩხულ-დატოტვილი. ფოთლები მკვერვია, ტყავისებრი, ფართო კვერცხისებრი

მოხაზულობის, კიდეებზე ეკლისებრ კბილებიანი. ყვავილები თეთრია, შეკრებილია მჭიდრო თავაკისებრ ყვავილედეხად. ყვავილობს მაისიდან აგვისტომდე. იზრდება მშრალ ქვიან ფერდობებზე, სტეპებში, როგორც სარეველა გზის პირებზე. მცენარის მიწისზედა ნაწილები გამოიყენება ხალხურ და მეცნიერულ მედიცინაში ფეხების შეშუპების, გულ-მკერდის დაავადებების, ყაზოზისა და სიყვითლის სამკურნალოდ.

Erysimum repandum L. - ერიზიმუმი



ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ჯვაროსანთა (Cruciferae) ოჯახიდან. ფოთლები ლანცეტაა, შებუსვილია მარტივი ბეწვებით. ყვავილები ყვითელია. ყვავილობს აპრილიდან ივლისამდე. იზრდება ქვიშნარ და ღორღიან ნიადაგებზე, სახლდება უმთავ-

რესად დანაგვიანებულ ადგილებზე, გზებისა და რკინიგზების გასწვრივ. დამტკიცებულია, რომ ამ გვარის ყველა სახეობა შეიცავს გულის მოქმედების გლიკოზიდებს, რომლებიც ბიოლოგიური აქტივობით აჭარბებენ ფუტკარას ფოთლებს.

Erythronium caucasicum Woronow – კავკასიური კაბაჭრელა

სულხან-საბა ორბელიანი მოიხსენიებს კორდის ენის სახელით; ზემო იმერეთში - გოდრიელა, კოდრიელა, კორდიელას უწოდებენ; რაჭა-ლეჩხუმში - კოდინელას; გურიაში - ხობზის მკერდაის, ხახვის მკერდაის.



შრომანისებრთა (Liliaceae) ოჯახის მრავალწლოვანი ადრე გაზაფხულის ეფემეროიდული ბოლქვიანი მცენარეა. კავკასიის ენდემური სახეობა. ღერო 10-15 სმ სიმაღლისაა, შუაში ორი მოპირისპირე ფოთლით, რომლებიც კვერცხისებრ-მოგრძოა, კაშკაშა

მწვანე, მარმარილოსებრი ლაქებით. ყვავილი ერთია თავდახრილი; ყვავილსაფრის ფოთლები მოყვანილობით ლანცეტაა, უკან გადაღუნული, გარედან თეთრი ან მოვარდისფრო, შიგნიდან მკრთალი ყვითელი, ძირში უფრო მუქი მოყვითალო ლაქით, რომელიც მუქი წითელი წინწკლებითაა მოფენილი. ყვავილობს მარტ-აპრილში. იზრდება ტყის, სუბალპურ და ალპურ სარტყელში, ზღვ. დ. 2300 მ სიმაღლემდე მუხნარებში, მდელოებზე, კირქვიან ადგილებში.

ბოლქვები ხასიათდება საკვები და სამკურნალო მნიშვნელობით. შეიცავს ნახშირწყლებს და ცილებს. ხალხურ მედიცინაში ნედლი ბოლქვები გამოიყენებოდა როგორც ჭიისმდენი, ეპილეპსიის საწინააღმდეგო აფროდიზიაკური საშუალება.

საინტერესო ამბები: არსებობს ლეგენდა სულის შესახებ, სახელად კანდიკი - მონსტრის თანაშემწე "ქვედა სამყაროდან". ჩვენს სამყაროში მოხვედრისას, გზად ყველაფერს შთანთქავს, ვიდრე ენეკენის სული - ბუგა არ გააგზავნის თავის სულებს კანდიკთან საბრძოლველად. სულები სტყორცნიან დანებს და თუ კანდიკი დანას გადაყლაპავს, ის მა-

შინვე ქრება მიწაში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლეგენდას არაფერი აქვს საერთო მცენარესთან, მაგრამ არსებობს კანდიკის რამდენიმე საერთო თავისებურება - სულსა და მცენარეს შორის. კაბაჭრელა სულის მსგავსად, თითქოსდა არსაიდან მოულოდნელად ჩნდება და ასევე მოულოდნელად ქრება; მცენარეს ასევე შეუძლია ტერიტორიების "გადაყლაპვა" და მყარი ხალიჩით დაფარვა.

<http://flower55.ru/flower-catalog/lukovichnye-i-klubnelukovichnye/eritronium-kandyk/#sthash>.

Euphorbia helioscopia L. - მზესმოცქირალი რძიანა



ერთწლოვანი, შემოტანილი სარეველაა რძიანასებრთა (Euphorbiaceae) ოჯახიდან. ღეროსეული ფოთლები უკუკვერცისებრ-სოლისებრია. ყვავილები მომწვანოა, შეკრებილია ფარისებრ ყვავილედებად.

ყვავილობს მარტიდან ივნისამდე. იზრდება რუდერალურ ადგილებზე, გზის პირებზე, ნათესებში, ბალახოვან ფერდობებზე. შხამიანი, ზეთოვანი მცენარეა. ხალხურ მედიცინაში ფოთლები გამოიყენებოდა ათაშანგის საწინააღმდეგოდ.

საინტერესო ფაქტები: არსებობს ძველი რწმენა, რომ წმინდა გიორგის დღეს (6 მაისი) შეგროვილი ჭინჭრისა და რძიანას ბალახი, კონებად ჩამოკიდებული ეზოს ან ბოსელის ჭიმჭრებზე, ხელს უწყობს ძროხებში, ცხვრებსა და თხებში დაკარგული რძის უნარის აღდგენას.

Ficaria ledebourii Grossh. et Schischk. – ჩაწყობილა ბაია

კახეთში უწოდებენ - ერბოკარაქა, კარაქას; ქართლში - ერბოქილას; ზემო იმერეთში - ლობიანას; გურიაში - ოკნატუას; საინგილოში - ყო-ვიჭყანტაის; სამეგრელოში - მუმულიში ცვაჯის.



კავკასიის ენდემური სახეობაა, მრავალწლოვანი, ეფემეროიდული, ბალახოვანი მცენარე ბაიასებრთა (Ranunculaceae) ოჯახიდან. ფოთოლი გულისებრ კვერცხისებრია, ძირში ამოკვეთილი, თითქმის კიდემთლიანი ან ტალღისებრი. გვირგვინის ფურცლები მოგრძო ელიფსურია, კაშკაშა

ყვითელი. ყვავილობს თებერვალ-აპრილში. იზრდება მთის შუა სართულამდე, ტყეებში, ტყის ფანჯრებში, ტყის მდელოებზე, ტყისპირებზე, ტენიან ადგილებში. ხშირად ქმნის გაზაფხულის სინუზიებს. ფოთლები შეიცავს პროტოანემონინს, საპონინებს და სენილურ მჟავას კვალის სახით. ხალხურ მედიცინაში გამოიყენებოდა გველის ნაკბენის საწინააღმდეგოდ. ფოთლების ნახარშს ლებულობდნენ შინაგანად, ხოლო დაქუცმაცებულ ნედლ ფოთლებს ურევდნენ ღორის ქონს და ადებდნენ ნაკბენზე. მალამოს იყენებდნენ ბუასილის სამკურნალოდაც. იხმარებოდა კანის დაავადებების და ჰიპოავიტამინოზის დროს. შხამიანი მცენარეა!

<http://www.lepestok.kharkov.ua/garden/>

Filipendula vulgaris Moench - ჩვეულებრივი ქაფურა
კახეთში ძლიერას უწოდებენ.



ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, თითისტარისებრი ან გორგლისებრ გამსხვილებული ფესვებით. ღერო 30-60 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, მარტივი ან ზედა ნაწილში ოდნავ დატოტვილი. ფოთლები ფესვის ყელთანაა თავმოყრილი, მრავალრი-

ცხოვანია, მოგრძო ლანცეტისებრი, წყვეტილ-ფრთისებრი, ფრთისებრდაკვეთილი ან ჩაჭრილდაკვილებული გვერდითი ფოთოლაკებით. ყვავილები პატარა ზომისაა, შეკრებილია ფარისებრ-საგველასებრ ყვავილედებად; გვირგვინის ფურცლები თეთრი, მკრთალი ყვითელი ან მოწითალოა. ყვავილობს მაის-ივნისში. იზრდება მდელოებზე, ბუჩქნარებში.

ხალხურ მედიცინაში იყენებენ მცენარის ფესვებსა და ფოთლებს, შეიცავს ტერპენებს, ფლავონურ და მთრიმლავ ნივთიერებებს, კუმარინებს, ვიტამინ C, ვანილინს, ფიტონციდებს და მიკროელემენტებს. ფესვების ნახარში და ნაყენი ხასიათდება ანტიმიკრობული და შემკვრელი მოქმედებით, ასტიმულირებს ქსოვილების გრანულირებას. უძველესი დროიდან იყენებდნენ რევმატიზმის სამკურნალოდ. ფესვები ასევე შველის სისხლდენის შეჩერებას და ეფექტურად გამოიყენება ჭრილობების შესახორცებლად.

საინტერესო ფაქტები: ძველი ლეგენდის თანახმად, ქაფურა იმ ადგილას წარმოიქმნა, სადაც დაეცა აფროდიტეს ულამაზესი სხეულიდან ჩამოღვენილი ზღვის ქაფი, როდესაც პირველად ზღვიდან ხმელეთზე გადმოვიდა. იქ, სადაც ქაფი მიწას ეხებოდა, ვითარდებოდა მაღალი ბალახები არომატული თეთრი ყვავილებით. ქაფურა ითვ-

ლება ძლიერ მაგიურ მცენარედ. მათ რიტუალებში იყენებდნენ ყაზახები, უდმურტები, ბაშკირები და აზიის სხვა ხალხები. აგრეთვე - უძველესი ტომები - დრუიდები.

https://vk.com/@totem_lodjur-labaznik-vyazolistnyi-travnaya-monografiya

Fragaria vesca L. - ტყის მარწყვი

იმერეთში უწოდებენ - დარდალას; ზემო რაჭაში - წიწინდერას; ჭანურად - კანდლუს; სამეგრელოში - ცგმუა, ცგმცუა, წიწიმდერა, წიწინდარა, ხვიხვინიას; სვანეთში - ბასყი, ბასყს.



მრავალწლოვანი ბალახოვანი, მხოხავი, ფესვმომკიდე, პწკალე-ბიანი კენკროვანი მცენარეა ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახიდან. ფოთლები სამფოთოლაკიანია და ყუნწის ძირში თანაფოთლები აქვს მიზრდილი. ნაყოფი კვერცხისებრია ან კონუსური, სავსე-

ბით მომწიფებული კაშკაშა წითელია, ძირიდან ბოლომდე თესლურებიანი. ყვავილობს მაის-ივლისში. გავრცელებულია ტყის სარტყელში.

სამკურნალოდ გამოიყენება ნაყოფი, ფოთლები, ფესვი და ფესურა. ნაყოფი შეიცავს: ნახშირწყლებს, ორგანულ მჟავებს (ლიმონის, ვაშლის, ფოლიოს), მთრიმლავ და პექტინოვან ნივთიერებებს, ალკალოიდებს, ვიტამინებს (B₁, B₂, B₆, კაროტინს), Fe, Ca, Mn, P-ის მინერალურ მარილებს. ფოთლებში აღინიშნება: ასკორბინის მჟავა, მთრიმლავი ნივთიერებები, ეთერზეთები. ხასიათდება შარდმდენი, ოფლმდენი, ანტიოქსიდანტური, ნივთიერებათა ცვლის მომწესრიგებელი, სისხლდენის შემაჩერებელი, ჭრილობების შემხორცებელი, ანთების საწინააღმდეგო, შემომგარსავი, ჭისმდენი მოქმედებით. ახალი გამოკვლევებით დადგენილია მცენარის ანტისიმსივნური აქტივობა.

ნაყოფები და ფოთლები მედიცინაში გამოიყენება როგორც ნედლი, ასევე მშრალი სახით. არის დიეტური საშუალება; იხმარება გულის, თირკმელკენჭოვანი და ნღველკენჭოვანი დაავადებების, ქოლესტისტიტის, ჰიპერტონიის, ათეროსკლეროზის, სისხლნაკლებობის, გასტრიტის, ავიტამინოზის, მრგვალი და თასმა ჭიების, კანის სხვადასხვა დაავადებების, ნიკრისის ქარების დროს. ეფექტურია როგორც შარდმდენი საშუალება, ხელს უწყობს ათეროსკლეროზის დროს მარილებისა და შლაკების გამოდევნას ორგანიზმიდან, ადაბლებს არტერიულ წნევას.

საინტერესო ამბები: ტყის მარწყვი ყველაზე საყვარელი და სასარგებლო კენკრაა მსოფლიოში. ცნობილი იყო უძველეს დროიდან, მას სამკურნალოდ იყენებდნენ ახ.წ.-აღ-მდე 2000 წლით ადრე. მის სამკურნალო მნიშვნელობაზე წერდნენ პლინიუსი, ავიცენა, პოეტები ვირგილიუსი, ოვიდიუსი და სხვ. ჰიპოკრატეს, გალენის თხზულებებში არის მონაცემები ტყის მარწყვის, როგორც ეფექტური სამკურნალო საშუალების გამოყენების შესახებ სხვადასხვა დაავადებებისას. ბელგიაში მისი მუხეუმიცაა შექმნილი, ხოლო ქალაქ ვეპიონს თვლიან ტყის მარწყვის დედაქალაქად. პლატ სიტში (ფლორიდა) არსებობს ტყის მარწყვის ლაბორატორია, სადაც სწავლობენ ამ კულტურას და დაკავებულები არიან ახალი ჯიშების გამოყვანაზე. პასადინში (ტეხასი) მისი ნაყოფები გახდა ქალაქის სიმბოლო, მას შემდეგ, როდესაც ქარიშხალმა 1900 წელს გაანადგურა ტყის მარწყვის მოსავალი. აქ, ყოველწლიურად ატარებენ ტყის მარწყვის ფესტივალს. ასეთივე ფესტივალი ტარდება იტალიის ქალაქ ნემში იენისის დასაწყისში, სადაც ორი კვირა სეირნობენ. უზარმაზარ ჭურჭელში ათავსებენ 1001 კგ ტყის მარწყვს და ასხავენ შამპანურს (10 ყუთი) და შემდეგ უფასოდ არიგებენ.

საფრანგეთში ტყის მარწყვის დღესასწაული იწყება ყოველწლიურად 13 მაისს. მისგან ამზადებენ სხვადახვანაირ ტკბილეულობას და დელიკატესებს და ყიდიან ქალაქის ქუჩებში. მაგრამ მთავარი მოვლენაა

უზარმაზარი ტკბილი ღვეზელი ტყის მარწყვით, რომელსაც აგემოვნებენ ფესტივალის მონაწილეები. სწორედ, ფრანგების წყალობით გამოიკვეთა ტყის მარწყვის აფროდიზიაკის უნარი.

ახალ დაქორწინებულებს XVIII საუკუნეში ტრადიციულად ართმევდნენ ტყის მარწყვის ნაღებიან წვნიანს.

ტყის მარწყვზე მრავალი ლეგენდა არსებობს, ერთ-ერთი მათგანია: და-ძმა ჰანსი და ჰელგა ცხოვრობდნენ ტყისპირას გერმანიის ერთ-ერთ სოფელში. ბავშვებმა დაკარგეს მშობლები და ცხოვრობდნენ უცხო ადამიანებთან, ობლების ბედი მეტად სავალალო იყო, ისინი არავის აინტერესებდა. როდესაც მთელ ქვეყანაში შიმშილობა დაიწყო, დედინაცვალმა ბავშვები ტყეში წაიყვანა და მიატოვა, ისინი საცოდავად მოთქვამდნენ, მაგრამ დედინაცვალი უღმობელი იყო. დიდხანს დახეტიალობდნენ ბავშვები ტყეში, გაითოშნენ და მოშივდათ. მოულოდნელად შენიშნეს მდელო და პატარა ქობი, სადაც გნომები ცხოვრობდნენ. მათ ბავშვებს აჩუქეს ჯადოსნური კენჭები და დაარიგეს, რომ როდესაც ძალ-ღონე გამოეღოდათ, კენჭები მიწაზე დაეყარათ და ისინი გადაიქცეოდნენ ძალის აღმდგენ, ძლიერ სურნელოვან და ძალიან სასარგებლო ნაყოფებად. მათ ტყის მარწყვი უწოდეს.

<https://culture.wikireading.ru/>

Fritillaria caucasica Adams - კავკასიური ღვინა



შრომანისებრთა (Liliaceae) ოჯახის მრავალწლოვანი ეფემეროიდული გეოფიტია თეთრი, სფერული ბოლქვით და 15-30 სმ სიმაღლის, შუა ნაწილიდან შეფოთლილი ღეროთი. ფოთლი 3-4, ლეგა, მორიგეობით განლაგებული, ქვედა - ფართო ოვალური,

დანარჩენები - ლანცეტა ან ვიწრო ლანცეტა. ყვავილი ერთია. ყვავილ-

საფარი კონუსურ-ზარისებრია, ღვინისფერი და ლეგა. ყვავილობს აპრილში. იზრდება ღორღიან, ღია და მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ტყის პირებზე, ველობებზე, მთის ქვედა და შუა სარტყელში. ღვინას სახეობებს ხალხურ მედიცინაში იყენებდნენ სისხლნაკულობის, ტუბერკულოზის, გაციებისას. ბოლქვების ექსტრაქტი დამორგუნველად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე.

საინტერესო ფაქტები: ღვინას სახეობებზე მრავალი ლეგენდაა შექმნილი, ერთ-ერთ მათგანზე *Fritillaria imperialis*-ზე (ცნობილია იმპერატორის გვირგვინის სახელითაც) ევროპულ ლეგენდაში ნათქვამია: ეს ყვავილი გეთსიმანიის ბაღში იზრდებოდა იმ დროს, როდესაც იუდას დალათის გამო იესო ქრისტე შეიპყრეს. მისი ყვავილები თოვლისებრ-თეთრი იყო და თავჩაქინდრულები კი არა, ამაყად თავაწეულები ცას უმზერდნენ. როდესაც ქრისტემ თავის მოწაფეები დატოვა და სალოცავად გავიდა ბაღში (იესო ქრისტეს ლოცვა გეთსიმანიასში - ეპიზოდი ლუკას სახარებაში (22:43-44)), სადაც აღწერილია იესოს ლოცვა მას შემდეგ რაც მიიღებს ანგელოზისგან შემწეობას ზეთისხილის მთაზე მისი გაცემისა და დაჭერის წინ.), მის ირგვლივ მყოფმა ყვავილებმა მწუხარებისაგან თავი მიწამდე დახარეს, მხოლოდ ეს ყვავილი აგრძელებდა ამაყად დგომას. როდესაც დაპატიმრებული იესო მიჰყავდათ, მან ყვავილს შეხედა, მის მზერაში იმხელა დარდი გამოსჭვიოდა, რომ ღვინამ თავი ვერ შეიკავა და ყვავილები დახარა. მისი გვირგვინის ფურცლები სირცხვილისაგან შეიღებნენ, ხოლო ზარისებრმა ყვავილებმა თავი სამუდამოდ ჩაქინდრეს და აღარასოდეს გასწორებულან.

მეორე ლეგენდა გვამცნობს, რომ როდესაც ქრისტეს ჯვარცმის ამბავმა მარიამ ღვთისმშობლამდე მიაღწია, ის მწარედ აქვითინდა და მასთან ერთად ატირდა ეს ყვავილიც და დღემდე ტირის. თავჩაქინდრული ყვავილი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ ის ქრისტეზე დარდობს. ამასთან ისე უხვად იღვწენთება მისი ნექტარის წვეთები, რომ როდე-

საც ძალიან არ ცხელა და არც დიდი სიმშრალეა, ღვინას ძირში ტენი-საგან წარმოიქმნება მუქი წრეები.

ირანში იმპერატორის ღვინასთან დაკავშირებით შექმნილია განსაკუთრებული მითი. ლეგენდის მიხედვით, როდესაც თურანის მეფის აფრასიაზის ბრძანებით გმირ სიავუშისათვის თავი უნდა მოეკვეთათ (ეს ისტორია აღწერილია ფირდოუსის ცნობილ პოემაში „შახნამე“), ღვინა შეესწრო რა ასეთ სიმკაცრეს და უსამართლობას, ცრემლები ვერ შეიკავა და მწუხარედ თავი დახარა. ამ ლამაზი ყვავილის ისტორიული სიმბოლიზმით აღფრთოვანებული მრავალრიცხოვანი ტურისტი ცდილობს თან გაიყოლოს ამ გამორჩეული მცენარის ყვავილები, რამაც დიდი საფრთხე შეუქმნა მის შენარჩუნებას. რის გამოც ირანში მიღებულია სპეციალური კანონი, რომლის მიხედვითც თითოეულ მოწყვეტილ ყვავილზე დამრღვევი მაღალ ჯარიმას იხდის.

<https://www.facebook.com/uvularia/posts/>

Fumaria officinalis L. - სამკურნალო შავთარა

ქართლში ეძახიან დაჭრილის წამალს; ჯავახეთში - კაკბისაწეწელას; მესხეთში - ჟუჟუნას



ერთწლიანი, გზადმოყოლილი სარეველაა შავთარასებრთა (Fumariaceae) ოჯახიდან. ღერო 15-30 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი. ფოთლები სამმაგ-ოთხმაგ განკვეთილია ვიწრო ხაზურ წაწვეტილ ნაკვეთებად. ყვავილები შეკრებილია ყუნწიან, მეტ-ნაკლებად კუმს მტევნისებრ ყვავილე-

დებად. გვირგვინი მოვარდისფრო-იასამნისფერია. ყვავილობს მარტ-აპრილში. იზრდება რუდერალურ ადგილებში, ნათესებში და ყამირებზე.

მცენარის მიწისზედა ნაწილები ხასიათდება სპაზმოლიტური და ანალგეტიკური მოქმედებით. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, ღვიძლისა და ნაღვლის სადინარების დაავადებებისას, სპაზმური შეკრულობის, კუჭის წყლულის, მეტეორიზმის სამკურნალოდ. რეკომენდირებულია ასევე კანის გამონაყრებისა და ბუასილის დროს.

საინტერესო ფაქტები: მცენარის ლათინური სახელი - **Fumaria** - წარმოიქმნა ლათინური სიტყვიდან fumus - ბოლი. ამბობენ, რომ მისი ფესვების დაწვისას წარმოიქმნება შავი სქელი ბოლი.

სხვა ვერსიით ბოლის ასოციაცია დაკავშირებულია მცენარის ღეროს მონაცრისფრო-ლუგა-კვამლისფერ შეფერილობასთან.

ლეგენდა გვამცნობს, რომ შავთარა თესლიდან კი არ იზრდება, არამედ მიწის მაცოცხლებელი ორთქლისგან და მდელოებზე განფენილია ფოშფოშის მსგავსად.

<http://himbiren.com/dymyanka-aptechnaya/>

Gagea chlorantha (Bieb) Schult. & Schult. – მწვანეყვავილა ჩიტისთავა



შრომანისებრთა (Liliaceae) ოჯახის მრავალწლოვანი ეფემერული სახეობაა, ერთი მოგრძო სფერული ბოლქვითა და 5-10 სმ სიმაღლის, სადგისისებრი ან ვიწრო-ხაზური ფოთლებით შეფოთლილი ღეროთი. ყვავილსაფარის ფოთლები მოგრძოა, თავბლაგვი, ძირისკენ შევიწროებული, გარედან მღვრიე მწვანე, შიგნიდან ოქროსფერ-ყვითელი. ყვავილობს თებერვალ-მარტში. იზრდება მშრალ, ღია და ღორღიან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, მთის ქვედა და შუა სარტყელში.

Gagea commutata C. Koch – ცვალებადი ჩიტისთავა



მრავალწლოვანი მინიატურული ბოლქვოვანი ეფემეროიდული გეოფიტია. საყვავილე ღერო 5-20 სმ-მდე სიმაღლისაა, მისი ქვემო ნაწილი დაფარულია ბოლქვის ბადისებრ-ბოჭკოვანი უხეში ქერქლების მოკლე ყელით. ღეროსეული, ყვავილედის ძირში განვითარებული ფოთლები ხაზური

ან ხაზურ-ლანცეტა ფორმისაა, სხვადასხვა სიგრძის. ყვავილსაფრის ფოთლები შიგნიდან ყვითელია, გარედან-მწვანე. ყვავილობს მარტ-აპრილში. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ნახევრად უდაბნოში, დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე, გვხვდება ფრაგმენტულად, მცირერიცხოვანი ჯგუფების სახით.

Gagea dubia Terr. - საეჭვო ჩიტისთავა



მრავალწლოვანი ეფემეროიდული გეოფიტია ორი ტყუპი ბოლქვით. ღერო 8-15 სმ სიმაღლისაა, სუსტად შებუსვილი. ფესვთანური ფოთოლი 2-ია, ვიწრო-ხაზური, შიგნით ღრუ, სიგრძით ბევრად აღემატება ყვავილედს, ყვავილედი უსწორო დატოტვილი, 3-10 ყვავილიანი. ყვავილ-

საფრის ფოთლები მოგრძო-ლანცეტაა, შიგნით ოქროსფერ-ყვითელი, გარედან-მწვანე, მეტნაკლებად წვრილად შებუსვილი. ყვავილობს აპრილში. იზრდება მშრალ ფერდობებსა და ნათესებში, როგორც სარეველა.

Gagea lutea (L.) Ker.-Gawl. – ყვითელი ჩიტისთავა



მრავალწლიანი ბოლქვოვანი, 10-30 სმ სიმაღლის ეფემეროიდული გეოფიტია, ბრტყელი, პრიალა მწვანე ფოთლებით. ყვავილედ იყვავილიანი ქოლგა; ყვავილსაფრის ფოთლები გარედან მწვანეა, შიგნიდან - მკრთალი ყვითელი, ოდნავ მომწვანი, თავბლა-

გვი. ყვავილობს აპრილში. იზრდება ნოტიო და ჰუმუსიან ნიადაგებზე, ტყის ველობებსა და ბუჩქნარებში, მეზოფილურ, ალუვიალურ მდელოებზე – დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე.

მთელი მცენარე შეიცავს ნივრის სურნელების ეთერზეთებს, რომლის შემადგენლობაში აღინიშნება გოგირდი; ფოთლები გამოიყენება სალათებისათვის. უკრაინის ხალხურ მედიცინაში ბოლქვების ნახარში შინაგანად მიიღებოდა სიყვითლის, ბრონქიალური ასთმის დროს. დაქუცმაცებული ბოლქვები გარეგანად ჭრილობების შესახორცებლად გამოიყენებოდა.

ჩიტისთავას სხვა სახეობების ბოლქვები გამოიყენება ხალხურ მედიცინაში წყალმანკის, სიყვითლის, ბრონქიალური ასთმის დროს; გარეგანად – ჩირქგროვებისა და ჭრილობების შესახორცებლად იხმარებოდა. რძეში მოხარშულ ნედლ ფოთლებს იყენებდნენ საყმაწვილოს წინააღმდეგ.

საინტერესო ფაქტები: ოდესღაც ბევრი ჩიტისთავა იზრდებოდა მინდვრებსა და ტყის მდელოებზე და ამ ადგილებს გაზაფხულობით ბევრი გარეული ბატების გუნდი სტუმრობდა, რათა დაესვენათ რთული გადაფრენისას და დაეწიწნათ ჩიტისთავას აღმონაცენი, რომელიც ძალიან უყვარდათ. სწორედ აქედანაა წარმოქმნილი ადრე გაზაფხულზე მოყვავილე მცენარის რუსული სახელი - гусиный лук (ბატის ხახვი). და მართლაც, საკმარისია წარმოიქმნას ჩიტისთავას პირველი

ყვავილები, მაშინვე მაღლა-მაღლა ცაში გამოჩნდება გადამფრენი ბატების გუნდი, რომლებიც გაზაფხულზე სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მიფრინავენ სამშობლოში.

<http://www.myshared.ru/slide/>

***Galanthus alpinus* Sosn. subsp. *caucasicus* Gagnidze – კავკასიური თეთრყვავილა**

საქართველოს რეგიონებში თეთრყვავილას შემდეგი სახელებით მოიხსენიებენ: ქართლში - თეთრი ყვავილი, ტყის ნიორი; კახეთში-თეთრი ენძელა; მთიულეთში - მთის ნიორი; ფშავსა და თუშეთში-ყვავთნიორა; რაჭაში-წვადინელა; იმერეთში - მწვადინელა; გურიაში-ცხენისკბილა; სამეგრელოში-ჯამკვატარ; ჭანურად - მტკუი ლეი, მტკუი ლერი.



კოლხური წარმოშობის სახეობაა, ეფემეროიდული, ბოლქვოვანი გეოფიტი ამარილისებრთა (*Amaryllidaceae*) ოჯახიდან. ფოთლები ხაზურია, ლეგა სანთლისებრი ნაფიფქით მოფენილი, ქვემოდან ქედიანი, ბლაგვი წვერით, ოდნავ შესამჩნევი ჩაჩით დაფარული. საყვავილე ისარი ცილინდრულია, 5-6 სმ სიგრძის, დაყვავი-

ლების შემდეგ გრძელდება; ყვავილი ერთია, ყვავილსაფარი თეთრია, ნად გაყოფილი, მისი ფოთლები სხვადასხვა ზომისაა, გარეთა ფოთლები შიგნითებზე უფრო გრძელია, ფართო ნიჩბისებრი; შიგა ფოთლები გარეთაზე ორჯერ მოკლეა, უკუკვერცხისებრ სოლისებრი მოყვანილობის, ოდნავ თავმოკვეთილი, წვეროსთან ფართო თირკმლისებრი, ან უკუგულისებრი მწვანე ლაქით; ყვავილობს იანვარ-მარ-

ტში. იზრდება ტყეებში, ბუჩქნარებსა და ტყის პირებზე. თეთრყვავილას სახეობები ხასიათდებიან ალკალოიდების - გალანტამინის, გალანტინისა და გალანტიდინის შემცველობით, რომლებიც ხელს უწყობს ნერვულ-კუნთოვანი გამტარიანობის აღდგენას, გლუვი მუსკულატურის ტონუსის ამაღლებას, პერიფერიული სისხლძარღვების გაფართოებას.

Galanthus kemulariae Kuthath. - კემულარიას თეთრყვავილა



თბილისის მიდამოების ვიწრო ლოკალური, ენდემური სახეობაა, მრავალწლოვანი ევემერიოდული გეოფიტი. ბოლქვი კვერცხისებრია, 0,8-1,3 სმ დიამეტრის, ყავისფერი შეფერილობის გარეგანი ქერქლებით. ფოთლები მუქი მწვანეა, პრიალა, ხაზური ფორმის, ბრტყელი, განწყობილია მიწისპირა კონებად; ყვავილი წვრილია, 2 სმ-მდე სიგრძის, სასიამოვნო სურნელის; ყვავილსაფარი 6 ნაკვეთიანია, გარეთა ნაკვეთები უკუკვერცხისებრია, ან მოგრძო უკუკვერცხისებრი, რომლებიც ფუძესთან თანდათანობით ვიწროვდება. შიგნითა ნაკვეთები მოგრძო უკუკვერცხისებრია, წვერზე ვიწრო ამოკვეთილი ნალისებრი მწვანე ლაქით; ყვავილობს მარტ-აპრილში. იზრდება ჩრდ. უმზეო ფერდობებზე, მთის შუა სარტყელში, ზღვ. დ. 1200 მ სიმაღლეზე, მუხნარ-ცხილნარი ტყის ფორმაციებში. გამოირჩევა მაღალი დეკორატიულობით და სამკურნალო მნიშვნელობით. პერსპექტიულია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ალკალოიდების (გალანტამინი, ლიკორინი) მიღების თვლსაზრისით.

Galanthus krasnovii A.Khokhr. - კრასნოვის თეთრყვავილა



მრავალწლოვანი პოლიკარპული, ეფემეროიდული მცენარეა, მომრგვალო ბოლქვით. ფოთოლი 2, იშვიათად 3, პრიალა, კაშკაშა მწვანე, კვირტწყობაში დახვეული, სიგრძივი ნაკეცებით, ძირში თანდათან შევიწროებული, წვერზე ჩაჩით, რომელიც განსაკუთრებით ფართოა ზედა ნაწილში.

საყვავილე ისარი მარტოულია, იშვიათად 2, ცილინდრული ან ოდნავ შებრტყელებული, სუსტად წახნაგოვანი, ღრუ, ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები უკუკვერცხისებრია, სუსტად ჩაზნექილი, შიგა ფოთლები – ლანცეტაა, მობლაგვო ან წაწვეტებული წვერით, სხვადასხვა ინტენსივობის მწვანე ლაქით. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე; წიფლნარებში, რცხილნარებსა და შერეულ ტყეებში, წაბლნარში ბზის ქვეტყით, ღარტაფებში, ტენიან ხეობებში, ნაკაფებში, ტყის პირებზე, ბუჩქნარებში ზღვ. დ. 1400 მ სიმაღლემდე, უმთავრესად ვორონოვის თეთრყვავილასთან (*Galanthus woronowii*) ერთად; ხოლო სუბალპურ სარტყელში კირქვიან ქედებზე ზღვ. დ. 1800-2200 მ სიმაღლეზე. პერსპექტიულია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ალკალოიდების (გალანტამინი, ლიკორინი) მიღების თვალსაზრისით.

Galanthus lagodechianus Kem.-Nath. - ლაგოდების თეთრყვავილა



საქართველოს ენდემური სახეობაა. მრავალწლოვანი პოლიკარპული ეფემეროიდული გეოფიტია, მოგრძო-კვერცხისებრი ბოლქვით. ფოთლები ბრტყელია, მუქი მწვანე, პრიალა, ხაზური ფორმის, ბლაგვი წვერით დაბოლოებული, ყვავილი თეთრია,

დიდი ზომის. ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები მოგრძო კვერცხისებრ-ნიჩბისებრია (ღრმად ჩაზნექილი), თანდათანობით შევიწროებული მოკლე და ფართო ფრჩხილად; შიგა ფოთლები ფართო სოლისებრია, წვერში ამოკვეთილი, მის ირგვლივ გულისებრი ან თირკმლისებრი მოყვანილობის მწვანე ლაქით. ყვავილობს თებერვალ-მარტში. იზრდება მთის ქვედა, შუა და ზედა სარტყლის ფართოფოთლოვანი ტყეების (რცხილნარ-წიფლნარების) ეკოსისტემებში, მუხნარ-რცხილნარი ტყის ფორმაციებში, მთის ქვედა სარტყლიდან ტყის ზედა სარტყლის საზღვრამდე, ზღვ. დ. 450-1850 მ სიმაღლეზე; პერსპექტიულია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ალკალოიდების (გალანტამინი, ლიკორინი) მიღების თვლსაზრისით.

Galanthus platyphyllus Traub et Moldenke - ბრტყელფოთოლა თეთრ-ყვავილა



მრავალწლოვანი მცენარეა, მსხვილი, მოგრძო-კვერცხისებრი, ღია მურა ფერის გარსით შემოხვეული ბოლქვით. ფოთლები მუქი მწვანეა, პრიალა, მოყვითალო ელფერით, ფართო მოგრძოლანცეტა ფორმის, ვიწრო და მსხვილი ჩაჩით დაბოლოებული, ძირში ვიწრო და გრძელ ყუნწად

შევიწროებული, ყვავილსაფრის გარეთა ფოთლები ელიფსურია ან მოგრძო-კვერცხისებრი, ხასიათდება მსხვილი წვერით და ფართო მოკლე ფრჩხილით; შიდა ფოთლები გარეთაზე 3-ჯერ მოკლეა, უკუკვერცხისებრი, წვერში მომრგვალო ან სუსტად ამოკვეთილი, გაურკვეველი ფორმის მწვანე ლაქით; ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება სუბალპურ და ალპურ სარტყელში მადალბალახეულობაში, მდელოებზე, ალპურ ხალებზე, ზღვ. დ. 2000-2800 მ სიმაღლეზე, ზოგჯერ ეშვება ხეობებშიც ტყის სარტყელში, 800 1400 მ სიმაღლემდე. პერსპექტიულია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ალკალოიდების (გალანტამინი, ლიკორინი) მიღების თვალსაზრისით.

Galanthus woronowii Losinsk. - ვორონოვის თეთრყვავილა



კოლხური წარმოშობის სამხრეთ კავკასიის სუბენდემური სახეობაა ირადიაციებით. მრავალწლოვანი ეფემეროიდული ბოლქვოვანი გეოფიტი. ფოთოლი 2, ფართო ხაზური, წაწვეტებული, ღარიანი, კაშკაშა-მწვანე, ყვითელი

ელფერით, პრიალა. ყვავილი თეთრია, დიდი ზომის, სასიამოვნო სუნით; ყვავილსაფარის გარეთა ფურცლები უკუკვერცხისებრია, სუსტად ჩაზნექილი, შიგა – მოგრძოა, ზედა მხარეს გაფართოებული, წვერამოკვეთილი და მწვანე ყვავილობს იანვარ-მარტში. მისი ძირითადი არეალი კოლხეთია. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყელის ფოთლოვანი ტყეების ეკოსისტემებში – შერეულფოთლოვან, წიფლნარ-რცხილნარ ტყეებში, ტყის პირებსა და ბუჩქნარებში, ტყის ფარჯრებში, ზღვ. დ. 150-1200 მ სიმაღლემდე.

სამკურნალო ნელლეულს ბოლქვები წარმოადგენს, რომლებიც სამედიცინო ალკალოიდების (გალანტამინი, გალანტიდინი, გალანტინი, გალანტამიდინი და სხვ.) მიღების ძირითადი წყაროა. გამოიყენება პერიფერიული სისხლძარღვების სპაზმების, ნევროდერმატიტების დროს, რედგენოდიაგნოსტიკაში და სხვ.

საინტერესო მონაცემები: მეტად საინტერესო მონაცემებია თეთრყვავილას შესახებ “სალერნის ჯანმრთელობის კოდექსში”, რომელიც ეკუთვნის XIV საუკუნის ფილოსოფოსსა და ექიმს არნოლდის ვილანოვიდან (1970)

“მიიღებ თეთრყვავილას და ის დაშლის კუჭის ფლეგმონას”.

“თუ ფლეგმატიკია, მაშინ მას ძალ-ღონე მოემატება”.

“მისი მიღება, ორგანიზმის შიგნით მყოფ ქარებს გამოდევნის”.

“მისი დაღეჭვისას, პირიდან სასიამოვნო სუნი გამოიცივება”.

“მიღებული, იგი ამრავლებს თირკმელების სურვილსა და მოქმედებას”.

19 აპრილი თეთრყვავილას (Galantus) დღეა! მსოფლიოს მრავალი ქვეყანა 19 აპრილს გაზაფხულის პირველი მახარობლის - თეთრყვავილას დღეს ზეიმობს. პირველად ეს დღესასწაული დაარსდა 1984 წელს ინგლისში, სადაც თეთრყვავილები ყვავილობენ აპრილის შუა რიცხვებში, განსხვავებით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებისა, როდესაც მათი ყვავილობა იანვარ-თებერვლიდან იწყება.

უძველესი დროიდან გაზაფხულის მახარობლები - თეთრყვავილები იმედის ემბლემად ითვლებოდა და ხშირად ხდებოდა ლეგენდისა და თქმულებების ობიექტი. ერთ-ერთი მათგანი გვამცნობს, რომ როდესაც უფალმა ღმერთმა ადამი და ევა სამოთხიდან გამოაძევა, დედამიწაზე თოვლიანი ზამთარი იდგა; ევა გაითოშა და ტირილი დაიწყო, სევდით იგონებდა სამოთხის ტკბილ წალკოტს. მის დასამშვიდებლად ღმერთმა თოვლის რამდენიმე ფანტელი თეთრყვავილას ყვავილებად აქცია, რამაც ძალიან გაახარა ევა და პატიების იმედი გაუჩნდა. მას შემდეგ თეთრყვავილები იმედის სიმბოლოდ და დედამიწის პირველ ყვავილებად მიიჩნევა.

მეორე ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ქალღმერთი ფლორა ყვავილებს საკარნავალო კოსტუმებს ურიგებდა. თეთრყვავილას ქათქათა თეთრი სამოსი ერგო. თოვლმაც მოინდომა ამ კარნავალში მონაწილეობის მიღება და ყვავილებს სთხოვა სამოსი მისთვისაც ეწილადათ. სიცივისაგან დამფრთხალი ყვავილები არ გამოეხმაურნენ მის თხოვნას, მხოლოდ თეთრყვავილამ გადააფარა თავისი ქიტონი. მას შემდეგ, თოვლი და თეთრყვავილა განუყოფელ მეგობრებად რჩებიან.

არსებობს გერმანული ვერსიაც თეთრყვავილების წარმოშობაზე. როდესაც დედამიწა პირველად თოვლმა დაფარა, მას ძალიან აკლდა მწვანე ბალახი, ყვავილები და მშვენიერი მცენარეები და მაშინ, ცივ თოვლიან ზამთარს ღმერთმა თეთრი თეთრყვავილა მოუვლინა, წარმავალი ყინვების მაცნედ. თოვლს ისე გაეხარა მისი ნახვა, რომ დართო ნება ეყვავილა მისი ცივი საბურველის ქვეშ.

ერთხელ დედაბერმა - ზამთარმა თავის თანამგზავრებთან ერთად (სუსხი, სიცივე, ყინვა, ქარაშოტი) გადაწყვიტა დედამიწაზე გაზაფხული არ დაეშვა. ყვავილებს შეეშინდათ ზამთრის მუქარის, თეთრყვავილას გარდა, რომელმაც თავის საყვავილე ისრით გაარღვია თოვლის სქელი საფარი; მზემ შენიშნა მისი ქათქათა გვირგვინის ფურცლები და გაათბო დედამიწა, რითიც გზა გაუხსნა გაზაფხულს.

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, ერთი რამ კი უნდა აღინიშნოს, თეთრყვავილა უძველესი დროიდან იპყრობდა ადამიანების ყურადღებას და მას სიყვარულით ეპყრობოდნენ, რაც დღესაც გრძელდება!!! (ბიძინაშვილი, 2012).

Galega orientalis L. - ადმოსავლური ხბოშუბლა
ქართლში ეძახიან ჩოყის; ფშავსა და მესხეთში - ხორშუბლას;
თუშეთში - ხბოთშუბლა, ხორშუბლას.



კავკასიის ენდემური სახეობაა. მრავალწლოვანი ბალახოვანი დატოტვილ ფესურიანი მცენარე პარკოსანთა - (Leguminosae) ოჯახიდან. ღერო სწორმდგომია 2 მ-მდე სიმაღლის; ფოთლები ფრთისებრია, ოვალური ფორმის. გვირგვინი კაშკაშა მოლურჯო-ისფერია. ყვავილობს მაის-ივლისში. იზრდება შუა სარტყლიდან დაწყებული სუბალპურ სარტყლამდე, ტყეებში, ბუჩქნარებში მარცვლოვან-ნაირბალახოვან მდელოებზე. გამოიყენება სამკურნალო ხბოშუბლას (*Galega officinalis*) იდენტურად. ხასიათდება შარდმდენი, ოფლმდენი, ჭიისმდენი მოქმედებით. იხმარება ციებ-ცხელებისა და შხამიანი გველების ნაკბენის საწინააღმდეგოდ.

Galium verticillatum Danth. - ენდრონიკა



ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ენდროსებრთა (Rubiaceae) ოჯახიდან. ღერო წვრილია, სწორი. ფოთლები ხაზურ-ლანცეტა ფორმისაა, ძლიერ გაფარჩხულ ჩხროებად 4-5 ერთად განწყობილი. ყვავილები თეთრია, შეკრებილია ფოთლის იღლიებში 2-6 ერთად.

ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება მთის შუა სარტყლამდე, კლდოვან ადგილებზე. მცენარე ხასიათდება ტკივილების შემახორცებელი მოქმედებით.

Geranium robertianum L. - უემურა

აჭარაში უემურის ბალახის სახელითაა ცნობილი



ერთ ან ორწლოვანი 20-50 სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა ნემსიწვერასებრთა (Geraniaceae) ოჯახიდან. ღერო სწორმდგომია, ხშირად მოწითალო ელფერით, ჯირკვლისებრ შებუსვილი. ფოთლები 3-5 ფრთისებრ განკვეთილია, სეგმენტები ორმაგ-ფრთისებრგანკვეთილია.

ყვავილები ჩვეულებრივ ორ-ორია ერთ საყვავილე ყუნწზე, გვირგვინის ფურცლები ვარდისფერია. ყვავილობს მაისიდან ოქტომბრამდე. იზრდება ტყის სარტყელში ტენიან დაჩრდილოულ ადგილებში, ვრცელდება სუბალპურ სარტყლამდე.

ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო, სისხლშემაჩერებელი, შემკვრელი და გამაუმტკივნეული მოქმედებით რევმატიზმის დროს. ბალახი გამოიყენება ფალარათის,

დიზენტერიის სამკურნალოდ. თირკმელკენჭოვანი დაავადებებისას ხელს უწყობს მარილების დაშლას.

თანამედროვე ონკოლოგიაში უმთავრესად მკურნალობა ტარდება აგრესიული ქიმიური ნივთიერებებით (ქიმიოთერაპია) ან დასხივებით (რენტგენოთერაპია), რასაც საბოლოოდ მივყავართ ორგანიზმის დასარევლიანებას მავნე ნივთიერებებით. დასხივების შემდეგ ორგანიზმის აღდგენა ნელ-ნელა ხდება, თუმცა ამ პროცესის დაჩქარება შესაძლებელია უშუალოდ ნაყენის მეშვეობით. მცენარე თავის მასაში აგროვებს რადიუმის განსაზღვრულ რაოდენობას, რომელიც დამლუბველია კიბოს წარმონაქნისათვის. ხელს უწყობს დეტოქსიკაციას, ორგანიზმის გაძლიერებას; არსებობს ცნობები უშვილობისას მისი გამოყენების დადებით მაჩვენებლებზე.

Geum urbanum L. - ნიგვზისძირა

იმერეთსა და გურიაში ცნობილია ქვემნიგვზის, ხოლო აჭარაში - მარიამხელას სახელით.



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახიდან. ღერო 20-70 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, ჩანგისებრ-ფრთისებრი ან წყვეტილ-ფრთისებრი, უთანაბროდ და მსხვილად დაკბილუ-

ლი; ღეროსეული ფოთლები მოკლეყუნწიანია, ელიფსურ ან რომბულ მახვილწვერიან ნაკვთად სამად გაყოფილი. ყვავილები წვრილყუნწიანია, საშუალო ზომის, თითო-თითოდ განლაგებული ან ფარისებრ ყვავილედად შეკრებილი, გვირგვინის ფურცლები ღია ყვითელი ან მოწითალო ფერისაა, უკუკვერცხისებრი. ყვავილობს მაის-ივლისში.

იზრდება ტყეებში, ტყის პირებზე, მდელოებზე, გზის პირებზე, მდინარეთა ნაპირებზე, დანაგვიანებულ ადგილებში, ბალებში.

სამედიცინო მიზნებისათვის გამოიყენება ფესურა ფესვებითურთ და ბალახი. იხმარება კუჭ-ნაჭლავის ტრაქტის ანთების, განსაკუთრებით ფაღარათის დროს, აგრეთვე სისხლდენების, სისხლიანი ფაღარათის, ფილტვების ტუბერკულოზისას; გარეგანად - გამოსავლებად პირის ღრუსა და ღრძილებიდან სისხლდენისას.

Gladiolus caucasicus Herb. (G. communis auct. non L.) – კავკასიური ხმალა

მთიულეთში უწოდებენ კვრინჩხას; კახეთში - ყანის ზამზახს



კავკასიის ენდემური სახეობაა, მრავალწლოვანი ტუბერბოლქვოვანი მცენარე ზამზახისებრთა (Iridaceae) ოჯახიდან, მაღალი, 80-120 სმ სიმაღლის მაგარი ღეროთი. ფოთოლი 2-3-ია, ღეროზე მოკლე, ლანცეტა ან ხაზურ-ხმლისებრი, ქვედა მოკლე და ოდნავ ბლაგვი, ზედა – გრძელი და

წაწვეტებული. ყვავილები შეკრებილია ცალგვერდა თავთავის მსგავს მრავალყვავილიან ყვავილედად; ყვავილსაფარი მუქი იისფერია ან მეწამული, 4-6 სმ სიგრძის. ყვავილობს მაის-აგვისტოში. იზრდება მთისწინებსა და მთებში, შუა და ზედა სარტყელში ტენიან, დატბორილ მდელოებზე. გვხვდება ნათესებში, ყამირ მიწებზე. კავკასიის ხალხურ მედიცინაში ტუბერბოლქვებს იყენებდნენ თირკმელებში კენჭების შემთხვევაში და კბილის ტკივილისას; ასევე იხმარებოდა საკვებად როგორც მოხარშული, ისე შემწვარი სახით. ნახარშს კი ხმარობდნენ სიყვითლის საწინააღმდეგოდ, ლაქტაციისა და ჭრილობების შესახორცებლად.

Gladiolus italicus Mill. (G. segetum Ker.-Gawl.; G. bysantinus auct. non Mill.; G. tenuiflorus C. Koch; G. segetum Ker.-Gawl. var. gigantea Czerniak.; G. turkmenorum Czerniak.) - სათესი ხმალა



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, სფერული ტუბერბოლქვითა და 30-80 სმ სიმაღლის ღეროთი. ფოთოლი ფართო-ლანცეტაა და გრძლად წაწვეტებული. ყვავილები ღერძზე ორ მწკრივადაა განლაგებული, შეკრებილია თავთავისებრ, გრძელ, მეჩხერ ყვავილედად. ყვავილსა-

ფარი ვარდისფერია, ზარისებრი. ყვავილობს მაის-ივლისში. იზრდება მთისწინებზე, მთის ქვედა და შუა სარტყელში ნათესებში, ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარში, ტყის შემდგომ მდელოებზე, ქვიან ეკოტოპებზე.

გამოირჩევა მაღალდეკორატიულობით. ხალხურ მედიცინაში ტუბერბოლქვს იყენებდნენ საკვებად და ჭრილობების შესახორცებლად.

Gladiolus tenuis Bieb. (G. imbricatus auct. non L.; G. apterus auct. fl. cauc. non Klok.) – წვრილყუნწიანი ხმალა



მრავალწლოვანი ტუბერ-ბოლქვოვანი მცენარეა, მაღალი 40-70 სმ სიმაღლის, მაგარი ღეროთი. ფოთოლი 2-3-ია, ღეროზე მოკლე, ლანცეტა ან ხაზურ-ხმლისებრი, კარგად გამოხატული მარღვებით. ყვავილეთი მოკლე, ცალგვერდა მრავალყვავილიანი თავთავია; ყვავილსაფარი პატარა ზო-

მისაა, 2,5-3,5 სმ სიგრძის, მუქი იისფერია ან მეწამული. ყვავილობს მაის-აგვისტოში. იზრდება დაბლობებზე, მთის შუა, ზედა და სუბალპურ სარტყელში ტენიან, დაჭაობებულ, უფრო ხშირად მაღალი მთების მდელოებზე, ზოგჯერ ნათესებშიც.

მის ფოთლებს უკრაინის ხალხურ მედიცინაში იყენებდნენ როგორც ვიტამინების შემცველ მცენარეს; აგრეთვე იხმარებოდა რევმატიზმის, ტკივილების გასაყურებლად, ჭრილობების შესახორცებლად და ლაქტოგენურ საშუალებად.

საინტერესო ფაქტები: გლადიოლუსი - ყვავილი - ხმალი, იგივე გამარჯვების მეფე, ბრწყინვალე დუელიანტი. რომაელებში გლადიატორების ყვავილად ითვლებოდა. გლადიოლუსის სახელი მოდის ლათინური სიტყვიდან gladius - "ხმალი". ძველ საბერძნეთში მას ქსიფიონს უწოდებდნენ, რაც ასევე ნიშნავს "მახვილს". ეს სახელი იმითაა გამოწვეული, რომ ხმალასთვის დამახასიათებელია სწორი ხმლისებრი ფოთლები, რომელთა სიგრძე 80 სმ-ს აღწევს.

ამ მცენარესთან დაკავშირებულია მრავალი ლეგენდა და თქმულება. მას აწერდნენ სამკურნალო თვისებებსაც. ერთ-ერთი სევდიანი ლეგენდის თანახმად, გლადიოლუსი წარმოიშვა რომაელების მიერ ტყვედ ჩავარდნილი თრაკიელი მეომრების ხმლებიდან. რომაელებსა და თრაკიელებს შორის ომი მიმდინარეობდა, გამარჯვება წილად ხვდა რომაელებს. სასტიკმა რომაელმა სარდალმა შეიპყრო თრაკიელი ჯარისკაცები და ბრძანა, რომ ისინი გლადიატორებად ჩაერიცხათ. სამშობლოს მონატრებამ, დაკარგულმა თავისუფლებამ, მონობის გამო დამცირებამ, ორი ახალგაზრდა ტყვე, გამორჩეული ვაჟკაცები სევტი და ტერესა მჭიდრო მეგობრობამ დააკავშირა. ერთხელაც, პუბლიკის გართობის მიზნით რომაელმა მეთაურმა ერთგული მეგობრები აიძულა ერთმანეთის წინააღმდეგ ებრძოლათ, გამარჯვებულს ჰპირდებოდა ჯილდოდ - სამშობლოში დაბრუნებას და თავის ქალიშვილის ხელს. თავისუფლებისთვის მათ სიცოცხლე უნდა შეეწირათ. სანახაობაზე უამრავი ცნობისმოყვარე მოქალაქე შეიკრიბა.

როდესაც საყვირების ხმა გაისმა, რომელიც მეომრებს საბრძოლველად უხმობდა, მათ ბრძოლაზე უარი განაცხადეს, ხმლები მიწაში ჩაარჭეს და ერთმანეთს გადაეხვივნენ სიკვდილის მოლოდინში. ბრბო აღშფოთებული ღრიალებდა. ისევ გაისმა საყვირების ხმა ორთაბრძოლის დასაწყებად, მაგრამ მეომრებმა არ დააკმაყოფილეს სისხლის ნახვის სურვილით აღტკინებული რომაელთა მოლოდინი. ისინი სიკვდილით დასაჯეს. როგორც კი მათი სხეულები მიწას შეეხო, მათმა ხმლებმა ფესვები მოიკიდა და აყვავდნენ, გადაიქცნენ მაღალ, ლამაზ ყვავილებად. კეთილშობილი გლადიატორების საპატივსაცემოდ მათ გლადიოლუსები უწოდეს... და დღემდე ისინი მეგობრობის, ერთგულების, კეთილშობილებისა და ხსოვნის სიმბოლოდ ითვლება.

სამხრეთ აფრიკაში გლადიოლუსის წარმოშობის შესახებ სხვა ისტორიას ყვებიან. ძველად ომები ჩვეულებრივი ამბავი იყო და ერთხელაც პატარა სოფელს მტერი დაესხა თავს, იმ იმედით, რომ მოულოდნელობით მოწინააღმდეგეს დაარბევდნენ და ადვილად შეიპყრობდნენ. მართლაც ბევრი მათგანი ტყვედ აიყვანეს, თუმცა მეთაურმა მოახერხა დამალვა, წინასწარ გადამალა მოსახლეობის ფასეულობებიც. დიდხანს აწამეს მეთაურის უმშვენიერესი ქალიშვილი, რათა მისგან გაეგოთ მამის ადგილსამყოფელი. მაგრამ გოგონა მდუმარედ იტანდა წამებას, მტერმა საწადელს ვერ მიაღწია. მაშინ გადაწყვიტეს ყველას თვალწინ მისი სიკვდილით დასაჯა. იმ მომენტში, როდესაც ხმალი უნდა შეხებოდა გოგონას კისერს, ღმერთებმა ხმალი ულამაზეს ყვავილად გადააქციეს, იასამნისფერ-წითელი კოკრებით. ამ სასწაულის შემხედვარე, დამპყრობლები მიხვდნენ, რომ ღმერთები გმობენ მათ საქციელს და სასწრაფოდ დატოვეს ეს სოფელი და შეუწარჩუნეს მამაც გოგონას სიცოცხლე.

გლადიოლუსის ისტორია ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იღებს სათავეს, ამის შესახებ მოხსენიებულია ძველი რომაელი მოაზროვნეების შრომებში. შამანები და ექიმბაშები ამ ყვავილს ჯადოსნურ თვისებებს აწერდნენ. ძველი რომაული ლეგენდის თანახმად, თუ

გლადიოლუსის ფესვებს ამულეტივით მკერდზე დაიკიდებენ, ისინი არა მხოლოდ დაიცავენ სიკვდილისგან, არამედ ხელს შეუწყობენ ორთა ბრძოლაში გამარჯვების მოპოვებას. შუასაუკუნეების ევროპაში ლანდსკნებტები ხმალას ტუბერბოლქვებს ამულეტის სახით ატარებდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ ისინი მათ დაუმარცხებელს ხდიან და ჭრილობებისაგან იცავენ.

<http://www.sadiba.com.ua/forum/showthread.php?t=7484>

<https://vortexflowers.net/legendyi-o-tsvetah/legendyi-o-gladioluse/>

Glaucium corniculatum (L.) Curt. - ყაყაჩურა

სულხან-საბა ორბელიანი მოიხსენიებს ყაყაჩო რქიანის სახელით.



ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ყაყაჩოსებრთა (Papaveraceae) ოჯახიდან. ღერო 10-40 სმ სიმაღლისაა, ჩვეულებრივ გაფარჩხულ დატოტვილი. ფოთლები ღრმად ფრთისებრ დანაკუთლია უთანაბრო მოგრძო ბასრხერხებილა სეგმენტებად, ფესვთანური ფოთლები ყუნწებიანია, ღეროსეული - მჯდომარე. ყვავილები მარტოულია, განწყობილია გრძელსაყვავილე ღერძზე. გვირგვინის ფურცლები უკუკვერცხისებრი ან მომრგვალებულია, ღვინისფერ-წითელი, ძირთან მოშავო-იისფერი ლაქით. ყვავილობს აპრილიდან აგვისტომდე. იზრდება მთის შუა სარტყლამდე, როგორც სარეველა მშრალ ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებზე, ნათესებსა და ხნულებში. მცენარის ყველა ნაწილი ხასიათდება შარდმდენი მოქმედებით.

Glaucium flavum Crantz - ყვითელი ყაყაჩურა



ყაყაჩოსებრთა (Papaveraceae) ოჯახის ორ ან მრავალწლოვანი 20-65 სმ სიმაღლის ლეგა შეფერილობის ბალახოვანი მცენარეა დატოტვილი ღეროებით. ფესვთანური ფოთლები მრავალრიცხოვანია, ფრთისებრ განკვეთილი, ღეროსეული - მცირე ზომისაა, ღერომხვევი, ფართო კვერცხისებრი. ყვა-

ვილები კაშკაშა მონარინჯისფრო-ყვითელია, მსხვილი. ყვავილობს მაის-ივლისში.

კულტივირებულია სამკურნალო და დეკორატიული მიზნებისათვის მრავალ ქვეყანაში. სამკურნალოდ გამოიყენება მიწისზედა ყლორტები, შეგროვილი კოკრიანობის ან ყვავილობის საწყის პერიოდში. ბალახი შეიცავს აპომორფული ჯგუფის იზოქინოლოურ ალკალოიდებს (15-ზე მეტი სახის), მათ შორის უმთავრესი - გლაუცინი.

ხასიათდება ხველების საწინააღმდეგო, სპაზმოლიტური, ანალგეტიკური, ადრენოლიტური მოქმედებით. გამოიყენება I და II სტადიის ჰიპერტონიისა და ენდარტერიტის (არტერიების შიდა გარსის ანთება) სამკურნალოდ. კლინიკურმა გამოკვლევებმა აჩვენა მაღალი თერაპიული ეფექტურობა სასუნთქი ორგანოების დაავადებებისას (ბრონქიტი, ბრონქოპნევმონია, კრუპოზული პნევმონია, ფილტვების აბსცესი, ფილტვების კეროვანი ტუბერკულოზი, ექსუდატური პლევრიტი). გლაუცინის ხველების საწინააღმდეგო მოქმედება სიმღიერით და ხანგრძლივობით კოდეინზე ეფექტურია და მისგან განსხვავებით არ იწვევს მიჩვევას.

ნედლეულს ამზადებენ მასში შემავალი ალკალოიდების მიღების მიზნით, რომელიც ხველების საწინააღმდეგო მოქმედებით ხასიათდება. ფარმაცევტიული მრეწველობა ამზადებს პრეპარატ „გლაუცი-

ნის ჰიდროქლორიდს“, რომელსაც უნიშნავენ ფილტვების სხვადასხვა დაავადებისას: მწვავე ბრონქიტი, ფილტვების აბსცესი, ფილტვების ფიბროზული ტუბერკულოზის და სხვ. სიძლიერითა და ხანგრძლივობით გლაუცინის ხველების საწინააღმდეგო ეფექტი რამდენადმე აქტიურია კოდეინთან შედარებით. ის არ იწვევს მავნე მოქმედებას კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე და არ იწვევს მიჩვევას. თესლების ფხვნილს ლებულობენ ძლიერ მცირე დოზით (დანის წვერზე) უმატებენ თბილ ანადუღარ წყალს, ყველა სახის ხველების დროს.

Glechoma hederacea L. - ოშოშა

კახეთში უწოდებენ ოშოშოს; იმერეთში ოშოშუას; ლეჩხუმში - გოშოშეს; საინგილოში - ჟინჯირალაი; სამეგრელოში ოშოშიას



ბორეალური, ევრაზიული სახეობაა, მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარე ტუჩოსანთა (Labiatae) ოჯახიდან. ღერო 60 სმ-მდე სიგრძისაა, დატოტვილი, მხოხავი, მუხლებში დაფესვიანებული, მრავალი წამოწეული ან სწორმდგომი ყლორტებით. ფოთლები მომრგვალო თირკმლისებრია,

კიდებზე მსხვილ მრგვალებილა, ზედა მხარეზე მუქი მწვანე, ქვედაზე - უფრო ღია ფერის, მოწითალო იისფერი. ყვავილები შეკრებილია 3-4-ერთად შუათანა და ზედა ფოთლების ილლიებში განწყობილ ჩხროსებრ ყვავილედებად; გვირგვინი მოცისფრო-იისფერია. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება ტენიან ადგილებში, ტყის პირებზე, მდელოებზე.

მცენარის მიწისზედა ნაწილი (ბალახი) რეკომენდირებულია სასუნთქი გზების დაავადებების (ბრონქიტი), ფილტვების ანთების, თირკ-

მელკენჭოვანი, ღვიძლისა და ნაღვლის ბუმბუტის დაავადებების დროს, აგრეთვე როგორც მადისმომგვრელი საშუალება.

Globularia trichosantha F. et M. - გლობულარია



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარია გლობულარიასებრთა (Globulariaceae) ოჯახიდან. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა. ფესვთანური ფოთლები ნიჩბისებრ უკუკვერცხისებრია, ერთმარღვიანი; ღეროსეული - სფერული. ყვავილები შეკრებილია თავაკისებრ

ყვავილედებად, გვირგვინი ცისფერია. ყვავილობს მაის-ივლისში. იზრდება ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, მთის შუა სართელში.

შეიცავს ნივთიერება გლობულარინს, რომელიც სასაქმებელი მოქმედებით ხასიათდება. კავკასიის ხალხურ მედიცინაში ნახარშს ხმარობდნენ ათამანგისა და წყალმანკის დროს.

Gymnospermium smirnowii (Trautv.) Takht. (Leontice smirnowii Trautv.) – მრგვალი წამალი



მრავალწლოვანი ბალახოვანი, ეფემეროიდული მცენარეა კოჩხურისებრთა (Berberidaceae) ოჯახიდან. ინვითარებს მომრგვალო ბორცვებიან ტუბერს. ფესვთანური ფოთოლი გრძელყუნწიანია, ლანცეტა ფოთოლაკით. ყვავილედის ქვეშ განვითარებული

ფოთოლი ფართო ვაგინითაა. გვირგვინი ყვითელია, ყვავილობს

თებერვალ-მარტში. იზრდება ტყეში და ტყის პირებზე მთის ქვედა სარტყელში. ხალხურ მედიცინაში უძველესი დროიდან იყენებდნენ ფილტვების ტუბერკულოზის საწინააღმდეგოდ.

Helleborus abchasicus A.Br. - აფხაზური ხარისძირა



საქართველოს ენდემური სახეობაა, მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე ხარისძირასებრთა (Helleboraceae) ოჯახიდან. ფოთლები ფესვთანურია, ტყავისებრი, შიშველი, მუქი ან იისებრ-მომწვანო, გრძელყუნწიანი. საყვავილე ღეროები (ისრები) მეწამულ-წითელია, 30-40 სმ სიმაღ-

ლის. ყვავილი წითელია, მეწამული ან ვარდისფერი, მეწამული ფერის წერტილებით და ძარღვებით. ზოგჯერ მუქი ლაქებით. ყვავილობს იანვარ-აპრილში. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყელში, დასავლეთ საქართველოს კირქვიანებზე.

Helleborus caucasicus A.Br. - კავკასიური ხარისძირა

ხარისძირას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული სახელებით მოიხსენიებენ: ქართლში-კრუხწიწილა, ჯუკუტა, ძერაკუკუტანას; ქვემო ქართლში - ხარაძირას; რაჭაში - ჯუჯუყვერა, ყაყაჩო, თეთრი ყაყაჩოს; ზემო იმერეთსა და კახეთში - ძმრის დედის; გურიაში - ბატისკვერცხას; აჭარაში - ხარიძირა, კრუხის ბუდეს; სამეგრელოში - ხარზენი, ხარძენი, ხეჩელას; სვანეთში - პარძილ, პარზილის

კავკასიის ენდემური რელიქტური სახეობაა, მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარე, სუსტად შეფოთლილი 20-40 სმ სიმაღლის უფოთლო ღეროთი. ფესვთანური ფოთლები გრძელ ყუნწიანია, ტყავისებრი,



შიშველი, თათისებრ გაყოფილი ფართოლანცეტა ან ფართო ელიფსურ ნაკვეთებად, ფუძესთან სოლისებრ შევიწროებული და კიდეებზე მსხვილ ორმაგხერხკბილა. ყვავილები დიდი ზომისაა 5-8 სმ დიამეტრის, ყვავილსაფრის ფოთლები მომწვანო-მოყვითალო-მოთეთროა, ხში-

რად ყვავილობის შემდეგ მწვანდება. სანექტრები მწვანეა, თითქმის ორტუჩა. ყვავილობს იანვარ-აპრელში. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყელში, ტყეებსა და ტყის პირებზე.

შეიცავს საგულე გლიკოზიდებს: დეზგლიკოგენს, კოლერბორინ K და კოლერბორინ P; ალკალოიდებს, რანუნკულინს, პროტოანემონილს. გვარი ხარისძირას სახეობებს, როგორც სამკურნალო საშუალებას, უძველესი დროიდან იცნობდნენ. მას ჯერ კიდევ პლინიუსი მოიხსენიებს, ნახსენებია აგრეთვე VII საუკუნის ფრანგი ეგზარხოზის იონეს ნაშრომებში. დავით ბაგრატიონის (1985) „იადიგარ დაუდში“ მოცემულია ხარისძირა, როგორც თიაქარისა და ყურის ტკივილის სამკურნალო საშუალება. ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის (1978) „კარაბადინში“ მოყვანილია ხარისძირა, რომელიც „მხურვალ არს და გამღებელი შავისა ნაღველისა და თელგამისა და გამწმენდელი სტომაქისა და გამრეცხელი“. გამოიყენებოდა, როგორც ტკივილგამაყუჩებელი, მოწამვლის საწინააღმდეგო საშუალება, აგრეთვე „წამალი გულისა და ფერდთა ტკივილისა, რომე სიგრილისაგან და ბალღამისადან იყოს“. ხარისძირაში შემავალი საგულე გლიკოზიდები (ჰელებორინი და ჰელებორენინი) მოქმედებს ცენტრალურ და პერიფერიულ ნერვულ სისტემაზე, აძლიერებს მიოკარდიუმის შეკუმშვის უნარს, გააჩნია მნიშვნელოვანი კარდიოტონური აქტივობა. გლიკოზიდების გავლენით მცირდება მადა, აქვს დამამშვიდებელი მოქმე-

დება. გამოიყენება ჭარბწონიანობის მძიმე ფორმის, სისხლის მიმოქცევის დარღვევის, გულის ქრონიკული უკმარისობის დროს. ძმარში მოხარშული ფესვები გარეგანად იხმარება ჩირქოვანი ჭრილობების ჩამოსაბანად. აგრეთვე თმის ცვენისა და ქერტლის საწინააღმდეგოდ (წუწუნავა, 1966).

საინტერესო ფაქტები: ხარისძირას სახეობები უმველესი დროიდანაა ცნობილი. მას მაგიურ ძალას მიაწერდნენ და სახლში შესასვლელთან კიდებდნენ ბოროტი ძალებისგან დასაცავად. არსებობს საინტერესო ლეგენდა მცენარის წარმოშობაზე, როდესაც მწყემსები ბეთლემში ახლადმობილ ქრისტეს მიეახლნენ საჩუქრებით ხელდამშვენებულნი, ერთ-ერთი მათგანი ძლიერ დამწუხრებული იყო, რადგან ყრმისთვის საჩუქარი არ ჰქონდა. მწუხარე მწყემსის დაღვრილ ცრემლზე ულამაზესი ყვავილი ამოსულა და გახარებულ მწყემსს სწორედ ეს ყვავილები მიუერთმევია ყრმა იესოსათვის. აქედან წარმოდგება ხარისძირას მეორე სახელიც - „შობის ვარდი“.

<https://ok.ru/ravnovesie.dushi/topic/>

Helianthemum numularium (L.) Dunal - მონეტისფოთოლა მზეყვავილა



საკმელასებრთა (Cistaceae) ოჯახის დატოტვილი ნახევრად ბუჩქია წამოწეული ან გართხმული ღეროებით. ფოთლები ხაზურლანცეტა და კვერცხისებრ მომრგვალო ფორმისაა, ზემოდან მწვანეა, გაფანტული გრძელი ბეწვებით, ქვემოდან - მონაცრისფრო-ქეჩისებრი, მკვეთრად ამოწეული შუა ძარღვით.

ყვავილები მოყვითალო-მოვარდისფროა. ყვავილობს აპრილ-ივლისში. იზრდება მთის ქვედა და შუა სარყელში ქსეროფილურ დაჯგუფებებში და ღორღიან ფერდობებზე.

ფოთლების საფუძველზე დამზადებული ნაყენი საკმაოდ ფართოდ გამოიყენება ჰომეოპათიაში, როგორც ჭრილობების შემახორცებელი და შემკვრელი საშუალება. ასევე წარმატებით გამოიყენება ჭვლებისა და დიზენტერიის დროს.

Helianthemum salicifolium (L.) Mill. (Cistus salicifolis L.) – ტირიფისფოთოლა მზეყავილა



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 5-25 სმ სიმაღლისაა, ძირიდანვე დატოტვილი, ქეჩისებრ შებუსული, რკალისებრ აღმავალი, იშვიათად სწორი ან გართხმული. ფოთლებიც ასევე ქეჩისებრ შებუსულია, უკუკვერცხისებრი ან უკუკვერცხისებრლანცეტაა, იშვიათად მომრგვა-

ლებული, ძირში შევიწროებული, მობლაგვო წვერით. ყვავილედი 6-13 ყვავილიანია, მცირეოდენ თავმოხრილი. გვირგვინის ფურცლები მკრთალი ყვითელი ფერისაა, ძირთან უფრო მუქი. ყვავილობს აპრილ-ივნისში. იზრდება სტეპებისა და ნახევრად უდაბნოების სარტყელში მშრალ ფერდობებზე მშრალ და ქვიან ადგილებში.

ფართოდ გამოიყენება ჰომეოპათიაში. ფოთლების საფუძველზე მომზადებული ნაყენი ითვლება ჭრილობების შემახორცებელ და შემკვრელ მეტად ეფექტურ საშუალებად. გარდა ამისა, მას იყენებენ კოლიტისა და დიზენტერიის სამკურნალოდ.

<https://www.asienda.ru/plants/solncecvet-monetolistnyj/>

Hesperis matronalis L. - ღამის ია
ქვემო ქართლში ხართებილას ეძახიან



ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ჯვაროსანთა (Cruciferae) ოჯახიდან. განვითარების პირველ წელს ინვითარებს ფოთლისეულ როზეტს, მეორე წელს - საყვავილე დეროებს. ფოთლები მარტივია, ოვალურ-ლანცეტა, წაგრძელებული, მახვილი წვერით, კი-

დეებზე სუსტად დაკბილული, მორიგეობით განწყობილი. ყვავილები შეკრებილია მსხვილ ცილინდრულ მტევნად, რომელთა სიგრძე, ზოგჯერ 30 სმ აღწევს, რის გამოც მას ზაფხულის იასამანსაც უწოდებენ. გვირგვინის ფურცლები კამკაშა ვარდისფერია, სასიამოვნო სურნელის. ყვავილობს მაის-ივლისში. იზრდება ტყეებში, ბუჩქებსა და ნატყვევარ ადგილებში მთის ზედა სარტყლამდე.

ფოთლები და თესლები ხასიათდება შარდმდენი და ოფლმდენი მოქმედებით. გამოიყენება კატარის (სხვადასხვა ორგანოების ლორწოვანი ანთება) და გულ-მკერდის სხვა დაავადებებისას.

საინტერესო ფაქტები: მცენარის გვარის ლათინური სახელი Hesperis - ნიშნავს „საღამოს“. საქმე იმაშია, რომ ღამის ია, გვიან ღამით გამოჰყოფს სასიამოვნო სურნელს, რის გამოც მისი სხვა მცენარესთან აღრევა შეუძლებელია.

<https://tsvetydoma.ru/tsvetyi/tsvetyi-odnoletnie-i-dvuletnie/vechernitsa-matronyi.html>

Herniaria hirsuta L. - ხემშეწვა ქაფუნა

ქიზიყში ცნობილია თქაფუნა, კაპუნათიაქარას სახელით; თუშეთში - საპონა-ბალახის.



მიხაკისებრთა (Caryophyllaceae) ოჯახის ერთწლოვანი ბალახოვანი, თეთრი გრძელი გაფარჩხული ბეწვით შებუსული მცენარეა, 3-10 სმ სიმაღლის, ძირიდანვე დატოტვილი და გართხმული ღეროთი. ფოთლები ვიწრო ელიფსურია, თანაფოთლები კვერცხისებრ ლანცეტა. ყვავილები პა-

ტარა ზომისაა, ფოთლის ილღებში კონებად შეკრებილი. გვირგვინის ფურცლები ვიწროა, ძაფისებრი. ყვავილობს აპრილში. იზრდება მშრალ ფერდობებზე და დასარევლიანებულ ადგილებში.

როგორც სამკურნალო ნედლეული გამოიყენება მცენარის მიწისზედა ნაწილი (ფოთლები, ღეროები, ყვავილები), შეიცავს კუმარინებს და მის წარმოებულებს, ეთერზეთებს, ფლავონოიდებს, რომელიც მოქმედებს ფერმენტების აქტივიზაციაზე, აგრეთვე ტრიტერპენულ საპონინებს და სხვა სასარგებლო სამკურნალო ნივთიერებებს. ბალახის ნახარშებს, ნაყენებს იყენებენ წყალმანკის, ნიკრისის ქარის, ართრიტების სამკურნალოდ. ასევე შარდის ბუშტის, ქრონიკული კატარის, ვენერიული სენის სამკურნალოდ. სახალხო მკურნალები მას რეკომენდაციას უწევენ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით გამოწვეული შეშუპების, პროსტატის ანთების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტატის, თიაქარის და სიყვითლის სამკურნალოდ. აღინიშნება დადებითი მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე ონკოლოგიური დაავადებებისას.

Holosteum umbellatum L. – ქოლგისებრი ჰოლოსტეუმი



მიხაკისებრთა (Caryophyllaceae) ოჯახის ერთწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. ღერო 5-20 სმ სიმაღლისაა. ფოთლები ფესვის ყელთანაა შეკრებილი, 1-2 წყვილი ღეროზეა განლაგებული, ლანცეტაა, თავწაწვეტებული, ფუძისკენ ყუნწად შეზრდილი. ყვავილები ღეროს წვერზეა

5-10 სხივიან ქოლგისებრ ყვავილედებად შეკრებილი. თანაყვავილები პატარა ზომისაა, ნახევრად გაშლილი ან კლეისტოგამური. გვირგვინის ფურცლები თეთრი ან მოვარდისფროა. ყვავილობს მარტ-აპრილში. იზრდება მშრალ, ხრიოკ ადგილებში. ფოთლები ხასიათდება შემკვერელი მოქმედებით, ხმარობენ ჭრილობების შესახორცებლად.

Hyssopus angustifolius Bieb. - წვრილფოთოლა უსუბი **მესხეთში ზენტებს უწოდებენ**



ტუჩოსანთა (Lamiaceae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 15-40 სმ-მდე სიმაღლის წვეპლისებრი ტოტებით. ფოთლები მჯდომარეა, ვიწრო-ხაზური. გვირგვინი ლურჯია. ყვავილობს მაის-ივლისში. იზრდება ქვა-ღორღიან ადგილებში, კლდე-

ებზე მთის ქვედა სარტყლიდან დაწყებული შუა სარტყლამდე. ეთერზეთებით მდიდარი მცენარეა. მოყვავილე ტოტები ხასიათდება ამოსახველებელი, ანტიკატარალური, მატონიზირებელი, ჭრილობე-

ბის შემახორცებელი, ანტისეპტიკური, სუსტი შარდმდენი, ჭიისმდენი მოქმედებით. ნაყენი გამოიყენება გულ-მკერდის დაავადებებისას, ხელს უწყობს ხველებისას ნახველის გამოყოფას. აუმჯობესებს საკვების მონელებას და მადას. უსუპის ზეთი რეკომენდირებულია სასუნთქი გზების ქრონიკული კატარისა და ასთმის საწინააღმდეგოდ.

საინტერესო ფაქტები: უსუპის მეორე სახეობა სამკურნალო უსუპი - (*Hyssopus officinalis*) ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში ითვლებოდა წმინდა ბალახად. არსებობდა თქმულება, რომ ჯვარცმიდან ჩამოხსნილი იესო ქრისტე უსუპის წყლით განზანეს.

<https://7dach.ru/zdorovie/Uleyskaya/svyaschennaya-trava---issop-2650.html>

Iris caucasica Hoffm. - კავკასიური ზამზახი



ზამზახისებრთა (Iridaceae) ოჯახის მცირე ზომის ტუბერბოლქვოვანი ეფემეროიდული გეოფიტია, ძირში თითისტარისებრი ფესვით. ღერო 10-15 სმ-მდე სიმაღლისაა, შეფოთლილი. ფოთლები ნამგლისებრაა მოლუნული, მოთეთრო ვიწრო არშიით შემოვლებული. ყვავილსაფარი მკრთალი ყვითელი ფერისაა.

ყვავილობს მარტ-აპრილში. იზრდება დიფუზურად, ერთეული ინდივიდების ან მცირე ჯგუფების სახით, უმთავრესად სამხრეთ ფერდობებზე გვხვდება, შეუკვრელ უროიან ცენოზებში, მთის შუა სარტყლამდე.

Iris iberica Hoffm. - ქართული ზამზახი



აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ენდემური სახეობაა, მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარე. ფოთლები ლეგაა, ხაზური, ნამგალივით მოღუნული. ყვავილი ერთია, დიდი ზომის. ყვავილსაფარის ფოთლები მომრგვალო-კვერცხისებრია, ფართო

ფრჩხილიანი; გარეთა მათგანი ჩაზნექილია, ხავერდოვანი მურა ფერისაა ან მოცისფრო და შუაში მოწითალო-შავი მომრგვალო-სამკუთხა დიდი ლაქითა და მეწამული ძარღვებით დაქსელილი. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება მშრალ ადგილებსა და მთისწინების ქსეროფიტულ მცენარეულობაში, ავშნიან ნახევრადუდაბნოებში.

Iris pseudacorus L. - წყლის ზამზახი

გურიაში უწოდებენ სატევარას, ერწოში - ყვითელ ზამზახს, სამეგრელოში - არკოთას



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, სქელი დატოტვილი ფესურითა და 150 სმ-მდე სიმაღლის ცილინდრული ღეროთი. ფოთოლი მწვანეა, ფართო ხაზური ან ხაზურ-ლანცეტა, მკაფიოდ გამოხატული შუა ძარღვით. ყვავილსაფარი კამკაშა ყვითელია, ყვავილსაფარის ფოთლები შიშვე-

ლია, გარეთა მათგანი კვერცხისებრია, მოგრძო-კვერცხისებრი ან უკუკვერცხისებრი, ძირში გულისებრი მუქი ყვითელი ან ნარინჯისფერი ლაქით; ყვავილსაფარის შიგნითა ფოთლები დაპატარავებულია, უკუ-

ლანცეტაა, გარეთებზე - მოკლე და ძირში ბიბილოებადაა გაფართოებული. ყვავილობს მაის-ივლისში. იზრდება ჭაობებში, მდინარეების, ტბების, ტბორების, არხების გასწვრივ, ტენიან მდელოებსა და დაჭაობებულ ადგილებში, დაბლობებსა და მთისწინებზე, ზღვ. დ. 500 მ-მდე.

სამკურნალო ნედლეულს ფესურა წარმოადგენს. შეიცავს ირიდინს - იზოფლავონ ირგენინის გლიკოზიდს, ეთერზეთებს, სახამებელს, კეტონ ირონს, რომელსაც იის სურნელი ახასიათებს, ასკორბინის მჟავას, მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს. ფესურა შედის მ. ზდრენკოს ნაკრებში, რომელიც ნებადართულია ონკოლოგიურ პრაქტიკაში, როგორც სიმპტომატიკური საშუალება. ხალხურ მედიცინაში ფესურას იყენებენ როგორც ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას კბილის ტკივილის, კუჭის კატარის, კუჭ-ნაწლავის ჭვლების, ანგინის, სპაზმების, ტრიქომონადული კოლპიტის, გასტრიტის, ბრონქიტის, ფილტვების ანთების, შარდის ბუშტის პაპილომატოზის დროს. ხასიათდება შემკვრელი და შარდმდენი მოქმედებით წყალმანკის შემთხვევაში; წარმოადგენს თმის ზრდის მასტიმულირებელ საშუალებას უკრაინის ხალხურ მედიცინაში მკურნალობენ ბუასილს, კუჭის აშლილობას, სისხლდენებს, მრგვალ ჭიებს, ქავილს, საკვერცხეების ანთებას. მის ნახარშს იყენებენ აგრეთვე პირის ღრუს გამოსავლებად, ღრმილებიდან სისხლდენისას ა. როლოვის თანახმად (1908) წყლის ზამბახის ფესურას კავკასიის ხალხურ მედიცინაში იყენებდნენ ქრონიკული სისხლიანი ფადარათის, წყალმანკის, სიმსივნეების, თავის ტკივილის სამკურნალოდ. თესლებს - ციებ-ცხელებისას და როგორც ყავის სუროგატს.

ძველ ქართულ ხალხურ მედიცინაში სამკურნალოდ გამოიყენებოდა ზამბახის ძირი და ზეთი. სხვა კეთილსურნელოვანი მცენარეების მსგავსად, ზამბახის ყვავილებსა და ფესურას იყენებდნენ მძიმე ავადმყოფების ან ახლად გამოჯანსაღებული, ნაავადმყოფარი ადამიანებისათვის როგორც საყნოსავ საშუალებას; იხმარებოდა აგრეთვე

თვალის დაავადებების სამკურნალოდ. ტკივილების დასამშვიდებელ სხვადასხვა მალამოების შემადგენლობაში ხშირად ვხვდებით ზამზახის ზეთს.

Iris pumila L. - ქონდარა ზამზახი



მრავალწლოვანი გრძელფესურიანი ბალახოვანი მცენარე. ღერო თითქმის განუვითარებელია, საყვავილე ისარი ერთყვავილიანია. ფოთლები ფესვთანურია, ლეგა, ხაზურ-ლანცეტა ან ხმლისებრი. ყვავილსაფარი ყვითელია, გოგირდისფერი, სოსანი ან მოთეთრო, მისი გარეთა ფოთლები მოგ-

რძო-კვერცხისებრია, შიგნიდან შუა სიგრძეზე ბანჯგვლიანი ზოლი აქვთ ჩავლებული. ყვავილობს მარტ-აპრილში. იზრდება მშრალ ფერდობებსა და გორაკებზე, ბუჩქნარებში, სტეპებზე, მთის ქვედა სარტყლიდან შუა სარტყლამდე. ხალხურ მედიცინაში იხმარებოდა ცოფიანი ძაღლების ნაკბენის საწინააღმდეგოდ.

Iris reticulata Bieb. - ბადისებრი ზამზახი



მრავალწლოვანი ეფემეროიდული მცენარეა ერთი ან რამოდენიმე სფერული ტუბერბოლქვით. ფოთლები ფესვთანურია, ოთხწახნაგოვანი, წაწვეტილი, მახვილი წიბოებით. საყვავილე ისარი ერთი ყვავილით ბოლოვდება. ყვავილსაფარი იისფერი, მოწითა

ლო-ისფერი, იშვიათად ცისფერი, კაშკაშა ყვითელი შუა ზოლით, რომელიც მუქი წინწკლებითაა მოფენილი. ყვავილობს თებერვალ-მარტში. სინათლის მოყვარული, მეზოქსეროფიტული მცენარეა. იზრდება მშრალი სტეპების გორაკებზე, ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ხნულებში, ტყის პირებზე, ნაჩხატებში, ყამირებზე მთის ზედა სარტყლამდე.

საინტერესო ფაქტები: მცენარემ თავის სახელი ირისი (Iris) მიიღო ცნობილი მკურნალის ჰიპოკრატისგან, რომელმაც მცენარეს სახელი უბოძა ძველ ბერძენი ქალღმერთის ირიდას საპატივცემულოდ, რომელიც დედამიწას სტუმრობდა ცისარტყელას წარმოქმნის დროს, რის გამოც სიტყვა „ირისი“ ბერძნულიდან თარგმანში ნიშნავს - ცისარტყელას. კარლ ლინემ, რომელმაც მცენარეების დასახელების ერთიანი სამეცნიერო სისტემა შექმნა, შეინარჩუნა მისი უძველესი სახელი.

ზამბახის ყვავილები კაცობრიობისათვის უძველესი დროიდანაა ცნობილი. კუნძულ კრიტაზე, კნოსის სასახლის კედელზე გამოსახულია ქურუმი, გარსშემოხვეული ზამბახის ყვავილებით, ეს ფრესკა 4000 წლისაა. ზამბახის ყვავილები ჩაბეჭდილია აღმოსავლური და რომაული გალერეების და ბალუსტრადების ქვებში. შუა საუკუნეებში ისინი იზრდებოდა ციხე-დარბაზებისა და მონასტრების ბაღებში, საიდანაც გადაჰქონდათ მოქალაქეებს თავიანთ ნაკვეთებზე. არაბები ჯერ კიდევ უძველეს დროში თეთრყვავილიან ველურ ზამბახებს რგავდნენ საფლავებზე, ხოლო ძველ ეგვიპტეში, ჯერ კიდევ ახ. წ. აღ.-მდე XVI-XV ს-ში ამრავლებდნენ და იქ წარმოადგენდა მჭევრმეტყველების სიმბოლოს. არაბეთში კი პირიქით, მდუმარებისა და მწუხარების სიმბოლო იყო.

ერთ-ერთი ლეგენდა „ირისებზე“: როდესაც ტიტანმა პრომოთემ ოლიმპოდან მოიტაცა ციური ცეცხლი და ადამიანებს აჩუქა, დედამიწაზე იფეთქა საოცარმა შვიდფერმა ცისარტყელამ - ძალიან დიდი იყო ქვეყანაში ყველა ცოცხალი არსების სიხარული. მზე ჩაესვენა, მოსალა-

მოვდა, ხოლო ცისარტყელა კვლავ ანათებდა მთელ დედამიწას, რითიც ადამიანებს იმედს უსახავდა. ის გათენებამდე არ გაქრა, ხოლო დილით, როდესაც მზე კვლავ დაუბრუნდა თავის ადგილს, იქ სადაც ანათებდა და ერთმანეთში გადადიოდა ცისარტყელას ჯადოსნური ფერები, აყვავდნენ ზამბახები.

აი კიდევ ერთი ლეგენდა: ერთხელ ცისარტყელა, ვიდრე გაქრებოდა, დაიშალა ნაწილებად. მშვენიერი ნამსხვრევები მიწაზე ჩამოცვივდნენ და საოცარ ყვავილებად გადაიქმნენ.

არსებობს მრავალი რწმენა ზამბახის შესახებ, ისევე როგორც ზოგადად ყვავილების შესახებ, რომ მამაკაცებში ირისი იწვევს გამბედაობას, ქალებში კი - სინაზეს. ადამიანებს სჯეროდათ, რომ თუ ირისის ფესვი ინახება სახლში, მაშინ ის დაიცავს ბოროტი ძალების გავლენისგან, ხოლო თუ მას ჯიბით მუდმივად ატარებს, ის დაიცავს მათ ჭრილობებიდან სისხლდენისაგან. თუ თეთრი ირისის თაიგულს ან ერთ ყვავილს მოათავსებენ ბავშვის საძინებელში, მათი სული დიდხანს დარჩება წმინდა. პოპულარული რწმენის თანახმად, ქორწილში მირთმეული ზამბახი ხანგრძლივი და ბედნიერი ქორწინების საწინდარია. ყვავილების ენაზე ირისი ნიშნავს ნდობას, სიბრძნეს, იმედს.

<https://myphs.jimdofree.com/2015/04/05/иpиc/>

Isatis iberica Stev. - ქართული მათრახა



კავკასიის ენდემია. ჯვაროსანთა (Cruciferae) ოჯახის ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარე 30-60 სმ-მდე სიმაღლის ღეროთი. ფოთლები კიდედაკბილულია, რბილი ან ხეშეში ბეწვით სქლად მოფენილი, მათგან ქვედა ფოთლები მოგრძოა, შუა და ზედა

მჯდომარე, ძირში ისრისებრი. ყვავილები ყვითელია. ყვავილობს აპრილში. იზრდება ღია, მზიან ადგილებში, კლდეებსა და ღორღიანებზე, ნაშალებზე, მშრალ ადგილებში. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება, როგორც გარეგანი საშუალება ჭრილობებისა და სიმსივნეების საწინააღმდეგოდ. შინაგანად - ელენთის დაავადებისას.

Lamium album L. - ჯინჭრის დედა

ხევში უწოდებენ სასუტებელა, საწოვას; მესხეთ-ჯავახეთში - საწუწკნელა, წუწკნელას; ერწოში - უსუსხავ ჭინჭარს; ზემო იმერეთში - ჯილჯედუა, ჯინჯოდუას; ლეჩხუმში - ჭინჭრიდედუეს; აჭარაში - ჯინჭრის დედას; საინგილოში - ჯინჭრის დედას; სამეგრელოში - მაჭუჭელაია, ოწოწია, ჭუჭელემ დიდას



ტუჩოსანთა (Labiatae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი 150 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა მხოხავი ფესურით. ღერო სწორმდგომია, ღრუ, დაუტოტავი, ფოთლებთან ერთად დაფარულია მეჩხერი თეთრი ბეწვით. ფოთლები მოპირისპირეა, ყუნწიანი, გული-

სებრ-ლანცეტა. ყვავილი თეთრი ან მოყვითალოა, რგოლებადაა შეკრებილი ზედა ფოთლების ილლიებში. ყვავილობს აპრილ-ივნისში. იზრდება ტყის სარტყელში, ტყის ფანჯრებში, ბუჩქნარებში. როგორც სარეველა ბალ-ბოსტნებში, რუდერალურ ადგილებში, მთის ქვედა და შუა სარტყელში.

ყვავილები და ბალახი შეიცავს ალკალოიდ ლამინს, ფლავონოიდებს (კვერციმეტრინი, რუტინი, პობინინი, ლამიოზიდი, ასტრაგალინი, კვერციტრინი, კემპფეროლი, იზოკვერციტრინი), კუმარინებს, ეთერ-ზეთებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს (ყავის, გა-

ლურს, ქლოროფენულს, ვერულის), კაროტინს, ასკორბინის მჟავას, ლორწოს, საპონინებს.

სამკურნალო მიზნით უმთავრესად ყვავილები გამოიყენება, აგრო-ვებენ ახლად გაშლილს. ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ამო-სახველებელი, სპაზმოლიტური, მატონიზირებელი, შარდმდენი, სის-ხლისშემამჩერებელი, ჰიპოტენზიური მოქმედებით.

ბალახის ნახარში გამოიყენება გულისა და თავის ტკივილების, ნერ-ვეული დაავადებების დროს. ბალახისა და ყვავილების წვენი - ნერ-ვების დასამშვიდებლად, ისტერიისა და უძილობისას; შინაგანად და გარეგანად - სიყვითლის, ბავშვების დიათეზის, ფურუნკულოზის, ეგ-ზემის, კანის წყლულების, გამონაყრების საწინააღმდეგოდ.

Lamium amplexicaule L. - ვაზისძირა



ერთ ან ორწლოვანი, ფუნჯა ფეს-ვიანი ბალახოვანი მცენარეა ტუ-ჩოსანთა (Labiatae) ოჯახიდან. ღე-რო 4-10-20 სმ სიმაღლისაა, ძირი-დანვე ცოტად თუ ბევრად დატო-ტვილი, იშვიათად მარტოული, გაფარჩხული წამოწეული ტოტე-ბით. ზედა ფოთლები თირკმლი-სებრია, მჯდომარე და ღერომხვე-

ვი, ნაპირებზე მრგვლად და ღრმად დაკბილული; ქვედა ფოთლები მომრგვალო-გულისებრია, ყუნწიანი. ყვავილები შეკრებილია მრ-ვალყვავილიან თავაკისებრ ჩხროებად; თანაყვავილები ლანცეტი-სებრ-სადგისისებრია. გვირგვინი ხორცისფერ-წითელი ან ვარდის-ფერი. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება მშრალ ფერდობებზე, გზის პირებზე, რუდერალურ ადგილებში, გვხვდება ხშირად. ხალ-ხურ მედიცინაში ბალახისაგან ამზადებენ აბაზანებს სუსტი, გამხ-დარი ბავშვებისათვის.

Laser trilobum (L.) Borkh. – ტყეურა

გარე კახეთსა და ფშავში უწოდებენ ზირას; რაჭაში კვლიავს; სამეგრელოში კვიეს



ქოლგოსანთა (Umbelliferae) ოჯახის მრავალწლოვანი, პოლიკარპული 50-150 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა ვერტიკალური ფესვით. ღერო მარტოულია ან რამდენიმე, სწორმდგომი, მკვრივი, მომრგვალო, წახნაგოვანი, დატოტვილი. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, ფო-

თლის ფირფიტა სამნაკვითიანია, ფრთისებრ ან ორმაგ-სამმაგ დანაკვეთული. ზედა ფოთლები მჯდომარეა, ნაკლებად რთული, ფართო ვაგინით. ყვავილი თეთრია, გრძელი საყვავილე ყუნწებით, შეკრებილია ქოლგებად, 15-20 შიშველი, ხვადასხვა სიგრძის სხვიით. ყვავილობს მაის-ივნისში. იზრდება დაჩრდილულ ტყეებსა და ბუჩქნარებში, უმთავრესად კირქვიან ფერდობებზე, ფლატეებზე.

სამკურნალოდ გამოიყენება ბალახი, ნაყოფები და ფესვები. ფესვები შეიცავს სესკვიტერპენულ ლაქტონებს, ლაზეროლიდს, იზოლაზეროლიდს, ლაზოლიდს, ლაზორინს, ტრილოპოლიდს, იზოტრილოპოლიდს, კუმარინებს. ბალახში აღმოჩენილია ეთერზეთები; ფოთლებში - C ვიტამინი, ფლავონოიდები, გლიკოზიდი - ლუთეოლინი;

ფესვებისა და ბალახის ნახარში ხასიათდება ჰიპოტენზიური მოქმედებით; მას აქტიურად იყენებენ ანგინისა და დიარეზის დროს. ფესვებში შემავალი ლაქტონები გამოირჩევა ანტიბაქტერიული აქტივობით.

ნაყოფების ნახარშს ხმარობენ ხველების, რესპირატორული ინფექციების, ნაწლავების დაავადებების, ცენტრალური ნერვული სისტემის

სტიმულირებისათვის. ექსპერიმენტში დადგენილია მისი ჰიპოტენზიური მოქმედება.

Leucanthemum vulgare Lam. - მინდვრის გვირილა
ნიკო კეცხოველი მთის გვირილას უწოდებდა



რთულყვავილოვანთა (Compositae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-60 სმ სიმაღლის, სწორი ან ოდნავ წამოწეული ღეროთი. ქვედა ფოთლები ყუნწიანია, უკუკვერცხისებრ სოლისებრი, ზედა - მჯდომარეა, ხერხისებრ ან ფრთისებრ განკვეთილი. კალათები დიდი ზომისაა,

თეთრი ენისებრი ყვავილებით. ყვავილობს აპრილ-მაისში. სეგეტალურ-პასკუალური სარეველაა, იზრდება მთის შუა სარტყლამდე, დაბლობებსა და მთისწინებზე, ტყის მდელოებზე, ტყის ფანჯრებში, ტყის პირებზე, გვხვდება სტეპის მცენარეულობის შემადგენლობაში, ღია ფერდობებზე, ბუჩქნარებსა და რუდერალურ ადგილებში. ხალხურ მედიცინაში ბალახის ნახარში მიიღება კუჭისა და ქალური დაავადებების დროს, აგრეთვე, როგორც ნერვული სისტემის დამამშვიდებელი და სასაქმებელი საშუალება.

საინტერესო ფაქტები: ერთ-ერთი უძველესი რუსული ლეგენდის თანახმად, დიდი ხნის წინ ამ ქვეყანაზე მარია ცხოვრობდა, რომელსაც ახალგაზრდა ბიჭი რომანი შეუყვარდა, მასაც უყვარდა ის. ერთხელ რომანს დაესიზმრა, რომ ვიღაც მოხუცმა მას არაჩვეულებრივი სილამაზის ყვავილი აჩუქა, ყვითელი მზისებრი შუაგულით და თეთრი მოგრძო გვირგვინის ფურცლებით - სხივებით. რომანმა რომ გაიღვიძა, მის გვერდით ეს ყვავილი იხილა. შემდეგ რომანმა ყვავილი თავის შეყვარებულს მიართვა. მარიას ძალიან მოეწონა უპრეტენზიო ყვავი-

ლი და შეყვარებულის საპატივცემულად „Ромашка“ უწოდა. მარიამმა რომანს სთხოვა, რომ ამ საოცარი ყვავილების მთელი თაიგული მიეტანა მისთვის. რომანი დიდხანს მოგზაურობდა ყვავილის სამებნელად, ვიდრე სიზმრების ქვეყანაში არ აღმოჩნდა, სადაც ისევ იხილა მოხუცი თავის სიზმრიდან. უხუცესი თანახმა იყო შეყვარებულ მარიასთვის ეჩუქებინა გვირილების მთელი ველი, იმ პირობით, თუ თავად რომანი სამუდამოდ დარჩებოდა სიზმრების ქვეყანაში. მარია დიდხანს ელოდა თავის რომანს, ვიდრე ერთ მშვენიერ დილას თავისი ფანჯრის ქვეშ არ დაინახა გვირილების მთელი ველი. იმ უძველესი დროიდან გვირილა ითვლება სიყვარულის სიმბოლოდ.

გვირილას 350 სახეობიდან, ყველაზე გავრცელებულია მინდვრის გვირილა, მსხვილი ყვავილედებით. ამბობენ, რომ მის კალათებში წვიმისგან იმალებიან ტყის გნომები (ჯუჯები).

<http://floweryvale.ru/interesting-facts/legend-of-the-daisy.html>

Leucojum aestivum L. - ზაფხულის ცხენისკბილა



მრავალწლოვანი ბოლქვიანი მცენარეა ამარილისებრთა (Amaryllidaceae) ოჯახიდან. ცალკეულ მცენარეზე წარმოიქმნება 6-10 ფოთოლი, ფართო ხაზური ფორმის, წვეროსკენ წაწვეტებული, კაშკაშა მწვანე, პრიალა ზედაპირით, საყვავილე ღეროზე მნიშვნელოვნად მოკლეა. საყვავილე ღერო 40-60 სმ სიმაღლისაა, უფოთლო, წახნაგებიანი; ღეროს ზედა ნაწილში განლაგებულია 1-7-მდე ყვავილი, რომლებიც ცალგვერდა მტევნისებრ ყვავილედადაა შეკრებილი. ყვავილსაფარი თეთრია, მისი ფოთლები ბოლოგასქელებულია და მწვანე ლაქიანი. ყვავილობს აპრილში. იზრდება ზღვის სანაპირო

ჭაობებსა და დატბორილ მდელოებზე, დაბლობებში, ტენიან დაჭაობებულ მდელოებზე, ბუჩქნარებში, მურყნარში.

სამკურნალო ნედლეულია ბოლქვები და მცენარის მიწისზედა ნაწილები, შეგროვილი ყვავილობის პერიოდში. შეიცავს ალკალოიდებს (გალანტამინს, ლიკორინს, ლიკორენინს, ტაცეტინს, იზოტაცეტინს). ბოლო წლებში გამოიყო უნგერინი და ახალი ალკალოიდი სტივინი. ყვავილებში აღმოჩენილია ფლავონოიდები (ლეიკოზიდი, ლეიკოვერნიდი და სხვ.), კაროტინოიდები (ქსანტოფილი, α -კაროტინი, β -კაროტინი), მიწისქვეშა ნაწილებში - ნახშირწყლები, აზოტისშემცველი შენაერთები (ლექტინები).

მცენარის სამკურნალო მოქმედება განპირობებულია ალკალოიდების შემცველობით, კერძოდ გალანტამინით. მის საფუძველზე დამზადებული პრეპარატები, კერძოდ ნივალინი, ნივალერი და სხვ. ავიწროებს ქოლინესტერაზის აქტივობას, ამტკიცებს აცეტილქოლინის შემცველობას, ამჟღავნებს ქოლინომიმეტირულ ეფექტს, ამალღებს გლუვი მუსკულატურის ტონუსს და სხვ. გარდა ამისა ხასიათდება ამოსახველებელი მოქმედებითაც.

სადღეისოდ სამედიცინო პრაქტიკაში გალანტამინი ფართოდ გამოიყენება დამბლის, პოლიომელიტისა და პარალიზირებული ორგანოების სამკურნალოდ. იხმარება აგრეთვე ნერვული აშლილობის, ენცეფალოპათიის, ბავშვების ცერებრალური დამბლის, ნევრალგიის, ოპიუმით მოწამლვისას, როგორც ხალხურ მედიცინაში ფოთლების ნახარშს იყენებენ ასთმის, ნერვული აღზნებადობის, ეპილექსიის სამკურნალოდ.

საინტერესო ფაქტები: არსებობს თქმულება, რომ ცხენისკბილა წარმოიშვა ერთ-ერთი ღვთაებისა და მშვენიერი სოფლელი გოგონას სიყვარულის შედეგად. ლეგენდის მიხედვით, ცის ღვთაება, ცხოვრობდა ღრუბლებში და განაგებდა წლის დროთა მორიგეობას დედამიწაზე, ამინდის სპეციალური ზარდახშებით. ჰოდა, ერთხელაც მას შეუყვარდა სოფლად მცხოვრები მშვენიერი გოგონა და ცდილობდა მისი სიყ-

ვარულის მოპოვებას, მაგრამ ქალწული თავს არიდებდა. ღვთაებამ გადაწყვიტა, რომ თუ კი ერთად იქნებოდნენ, მთელი ქვეყანა მის ფერხთით იქნებოდა გართხმული და ამით მოხიბლავდა მას. ერთ ღამესაც შეიპარა ფარდულში, სადაც გოგონა ძროხას ამწყვდევდა, მოიპარა საქონელი და ტყეში გადამალა. დილით, როდესაც დანაკარგი აღმოაჩინეს და დაიწყეს ძებნა, ღვთაება დაეშვა დედამიწაზე და გოგონას დახმარება შესთავაზა. მან აიყვანა ის ღრუბლებში, სადაც ზარდახშებს ინახავდა და იქიდან დაანახვა მთელი ქვეყანა. აღვრთვანებულ ქალიშვილს ისეთი სილამაზე გადაეშალა თვალწინ, რომ მაშინვე დაავიწყდა დაკარგული ძროხა და დაიწყო ცეკვა, რა დროსაც შემთხვევით გადააყირავა თოვლიანი ზარდახშა. განაწყენდა ცის ღვთაება, არ იყო თოვლის დრო - იდგა გვიანი გაზაფხული ... ბოლო მომენტში მან თოვლის ფიფქები ყვავილებად გადააქცია, გოგონა კი თავის სოფელში დააბრუნა. გოგონას უსაზღვრო სიხარულისა და ღვთაების განაწყენების შედეგად წარმოიშვა ეს ყვავილი - ცხენისკბილა.

<https://www.botanichka.ru/article/spring-snowflake/>

Lilium szovitsianum Fisch. et Ave-Lall. - მთის შროშანი

ქართლში უწოდებენ ვირისკვერცხა, ვირისყვერას; ქიზიყში - თარიშს; ფშავში - კიტრას; ხევში - ჩუკოკიტრას; მთიულეთში-კიტრანას; თუშეთში - დათვისკიტრას; ხევსურეთში - ბარის კიტრას; რაჭა - ლეჩხუმში - თიორმი, თიოშის; ზემო იმერეთში - თიოშა, ჭიორშას; აჭარაში - შროშანი, ჩირიშის; სვანეთში - ლახვამ კგტგრს

შროშანისებრთა (Liliaceae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მსხვილი ბოლქვით. ღერო 75-150 სმ-მდე სიმაღლისაა, უხვად შეფოთილი. ფოთლები ფართო-ლანცეტაა, ქვედა მხრიდან ძარღვების გასწვრივ ბუსუსებით მოფენილი, ოდნავ ხაოიანი. ყვავილი შეკრებილია მრავალყვავილიან პირამიდულ მტევნად; ყვავილ-

საფრის ფოთლები მსხვილია, ლანცეტა, ძირისკენ შევიწროებული, პრილა, გოგირდისფერი, შიგნიდან მრავალი მუქი მეწამული ფერის



წინწკლებით მოფენილი. ყვავილობს მაის-ივლისში. იზრდება ტყეებსა და ნატყევარ ადგილებში, ტყის პირებზე, ნაკაფებში, ბუჩქნარებში, მდელოებზე, მაღალბალახეულობაში, ქვიან და ღორღიან ეკოტოპებზე. მთის შუა, ზედა და სუბალპურ სარტყელში (800-2200 მ ზღვ. დ.). ბოლქვებს ქართულ ხალხურ

მედიცინაში იყენებდნენ გინეკოლოგიური (საშვილოსნოს) დაავადებების დროს. ამავე მიზნებისთვის ხმარობენ ჰომეოპათიაში. ლეჩხუმში მოტეხილობას მკურნალობენ.

საინტერესო ფაქტები: ძველი ბერძნები ამ ყვავილს ღვთიურ წარმომობას მიაწერდნენ და შრომანს სიწმინდისა და იმედის სიმბოლოდ თვლიდნენ. ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, ქალღმერთის - ჰერას ძუძუს რძის წვეთები შრომანის ყვავილებად იქცა, როდესაც ცდილობდა პატარა ჰერაკლეს - ზევსისა და დედოფალ ალკმენეს ვაჟის გამოკვებას. ჰერაკლემ კვების დროს ხელი ჰკრა ქალღმერთს, რა დროსაც რძის შხეფები სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტა, ამ დროს ცაზე გაჩნდა რძის გზა, ხოლო დედამიწაზე - შრომანები.

შრომანმა ღრმად სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა ქრისტიანობაშიც. რენესანსის ოსტატების ფრესკებზე წმინდანებს გამოსახავდნენ თოვლივით თეთრი შრომანით - სიწმინდისა და უცოდველობის სიმბოლო.

შრომანმა საფრანგეთის ისტორიაში განსაკუთრებული როლი შეასრულა. მეფე ხლოდვიგ I -მა, ფრანკთა სახელმწიფოს დამაარსებელმა, მე - 5 საუკუნეში დაამარცხა გერმანელები მდინარე ლის ნაპირზე, სა-

დაც მრავალი შრომანი იზრდებოდა. გამარჯვებული მეომრები ბრძოლის ველიდან ბრუნდებოდნენ შრომანის ყვავილებით შემკულნი. მას შემდეგ, საფრანგეთის დროშებსა და გერბზე გამოხატულია სამი შრომანი, რაც გამოხატავს სამ სათნოებას - მართლმსაჯულობას, თანაგრძნობას და გულმოწყალებას.

<http://floweryvale.ru/interesting-facts/legend-of-the-lily.html>

Lithospermum officinale L. – კაკბის საკენკელა

კახეთში უწოდებენ ძმრიდედა, ჩიტიმძივა, მტრედის ბრინჯას; ქართლში - კაკბისსაკენეტელას; ერწოში - ჩირალდანს; რაჭაში - ციტიკაკალას; ლეჩხუმში - ჩიტის-კაკალეს; ზემო იმერეთში - ხობხის-საკენკელა, ჩიტისაკენკელა, ჩიტის-საკენკარას; სვანეთში - მგგიმბაშოოლს



მრავალწლოვანი მოკლე ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორმდგომია, საგველასებრ დატოტვილი, მეტ-ნაკლებად გაფარჩხული ტოტებით, ხშირად შეფოთლილი. ფოთლები კიდემთლიანია, ლანცეტა ან მოგრძო ლანცეტისებრი, წაწვეტებულია, მიტკეცილი ბეწვით შებუსული. ყვავილები თეთრია ან მოყვითალო-თეთრი, შეკრებილია მტევნისებრ ყვავილედებად, რომლებიც ღეროს დატოტვილ ნაწილშია განლაგებული. კაკლუჭები კვერცხისებრია ან მოგრძო, თეთრი, პრიალა, ბლავწვევრიანი. ყვავილობს მაის-ივნისში. იზრდება ბუჩქნარებში, მდელოებზე ერთეული ინდივიდების სახით. ხალხურ მედიცინაში თესლები გამოიყენება შარდის ბუშტის კუნჭოვანი და ვენერიული დაავადებებისას.

Lotus corniculatus L. – კაუჭა კურდღლისფრჩხილა

ქიზიყში უწოდებენ ბიზიონს; გურიაში - ფართოხას; ქვემო რაჭაში - საბეგველას; რაჭაში - სამყურის



მრავალწლოვანი ბალახოვანი, ფესურიანი მცენარეა. პარკოსანთა (Leguminosae) ოჯახიდან. ღერო 15-40 სმ სიმაღლისაა, რამდენიმე, წამოწეული, ზოგჯერ გართხმული, ჩვეულებრივ შიშველი, ან თხლად მიტკეცილებუნი. ფოთლები ხუთფოთოლაკიანია,

აქედან სამი შუა ფოთოლაკი უკუკვერცხისებრია, თავმომრგვალებული ან თავწაწვეტებული, ქვედა ორი - კვერცხისებრი. ყვავილები 5-6 რაოდენობით ქოლგისებრ ყვავილედებაა შეკრებილი. გვირგვინი ყვითელია, ზოგჯერ მისი აფრა ნარინჯისფერია. ყვავილობს მაისივნისში. იზრდება მთის შუა სართყლამდე ტენიან მდელოებზე, ნაკადულების ნაპირებზე, ბალახოვან ფერდობებზე.

ხალხურ მედიცინაში ფოთლები გამოიყენება როგორც სუსტი შემკვრელი და წყლის შიშის საწინააღმდეგო საშუალება.

Lythrum salicaria L. - ცოცხმაგარა

ქიზიყში უწოდებენ იასამანს, წყლის იასამანს; მესხეთში - ღვინთას; გურიაში - ცახა-ცახას; ლეჩხუმში - წითელცოცხეს; ინგუშეთში - წითელ ცახს; სამეგრელოში - ჯუქურეს

ცოცხმაგარასებრთა (Lythraceae) ოჯახის მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა, ცოტად თუ ბევრად შებუსული. ღერო 30-200 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი. ფოთლები ჯვარედინად მოპირისპირეა ან სამ-სამი, ოთხ-ოთხი ჩხროსებრადაა განწყობილი, კვერცხისებრიდან ვიწრო ლანცეტამდე მოყვანილობის, ძირთან მომრგვალებული ან გულისებრი. გვირგვინის ფურცლები მეწამულია. ყვავი-



ლობს მაის-ივნისში. იზრდება მთის შუა სარტყლამდე ჭაობებსა და მდინარეთა ნაპირებზე. ბალახი ხასიათდება ტკვილგამაყურებელი და სისხლდენის შემაჩერებელი მოქმედებით.

საინტერესო ფაქტები: ცოცხმაგარას გვარის მეცნიერული სახელი - *Lythrum* ძველბერძნულ-

ლიდან თარგმანში ნიშნავს „სისხლის ღვრას“, რითიც მიანიშნებს მის სისხლისშემაჩერებელ მოქმედებას. ხოლო სახეობის სახელი - *salicaria* დაკავშირებულია ტირიფთან (ლათინურიდან *salix* – „ტირიფი“), ვინაიდან ორივე მცენარისათვის დამახასიათებელია ვიწრო, წაგრძელებული ფოთლები. თბილ და ტენიან ამინდში ცოცხმაგარას ფოთლებიდან ჩამოედინება წყლის წვეთები. არსებობს ძველი თქმულება, რომ ამ მცენარედ გადაიქცა მარიამ ღვთისშობლის ცრემლები, როდესაც ქრისტეს დასტიროდა.

<https://aklumba.ru/derbennik-ivolistnyj-foto>

Marrubium vulgare L. - ჩვეულებრივი ფოლორცის ბალახი



მრავალწლოვანი, ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა ტუჩოსანთა (*Labiatae*) ოჯახიდან. ფოთლები მომრგვალო კვერცხისებრია, ძირში სოლისებრი, კიდემრგვალებილა, ზემოდან მწვანე, ქვემოდან თეთრი ქეჩისებრი. ყვავილი პატარაა, ხშირ რგოლებად შეკრებილი. გვირგვინი თეთრია.

ყვავილობს მაისში. იზრდება მშრალ ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში.

ბალახის ნაყენი გამოიყენება როგორც ამოსახველებელი საშუალება სასუნთქი გზების ანთების, მწვავე და ქრონიკული ბრონქიტის, ყივანახველის დროს. რეკომენდირებულია ღრძილის, ნაღვლის ბუშტისა და კუჭ-ნაწლავის დაავადებების სამკურნალოდ.

**Matricaria chamomilla L. (syn.: Chamomilla chamomilla (L.) Rydb.,
Chamomilla recutita (L.) Rauchert, Matricaria recutita L.) -
სამკურნალო გვირილა**



რთულყვავილოვანთა (Compositae) ოჯახის ერთწლოვანი ბალახოვანი, 60 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა მთავარლერძა ფესვით. ღეროები დაღარულია, უხვადშეფოთლილი, დატოტვილი, ღრუ. ფოთლები მორიგეობითია, მჯდომარე, ორმაგფრთისებრ განკვეთილი ვიწროხაზურ, მახვილწვე-

ტიან ნაკვეთლებად. მთავარი ღერო და გვერდითი ყლორტები ბოლოვდება მარტოული პატარა ზომის საყვავილე კალათებით, შედგება 12-18 თეთრი, განაპირა ენისებრი ყვავილებისა და შუა მრავალრიცხოვანი ყვითელი მილისებრი ყვავილებისაგან. გასაშლელი კალათების ყვავილსაჯდომი ნახევრადსფერულია, ყვავილობის ბოლოს გრძელდება და ვიწროკონუსურ ფორმას იძენს. ყვავილობს მაისიდან აგვისტომდე. ყვავილიდან მიიღება ეთერზეთები (ე. წ. გვირილის ზეთი), რომელიც მრავალმხრივი დანიშნულებით გამოიყენება. მის შემადგენლობაში მთავარ ნივთიერებას ხამაზულენი წარმოადგენს, რომელიც ზეთს ლურჯ შეფერილობას აძლევს. მის გარდა შეიცავს გლიკოზიდებს, ფლავონოიდებს, კუმარინებს, ლორწოს, მწარე ნივთიერებებს, ვიტამინებს, ორგანულ მჟავებს.

მედიცინაში გამოიყენება ყვავილები (კალათა), რეკომენდირებულია ახლად გაშლილი ყვავილების შეგროვება ენისებრი ყვავილების ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ყოფნის პერიოდში. გვირილას პრეპარატები ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, სედატური, შემკვრელი, ქარმდენი, ოფლმდენი და ადგილობრივ მანესტეზირებელი მოქმედებით. გვირილაში შემავალი ნივთიერება აზულენი იწვევს ალერგიის საწინააღმდეგო მოქმედებას და აჩქარებს ქსოვილების შეხორცების პროცესს, ხოლო ფლავონოიდები ხსნის შინაგანი ორგანოების გლუვი მუსკულატურის სპაზმებს. ექსპერიმენტებით დამტკიცებულია ყვავილელების ნახარშის ნაღველმდენი მოქმედებაც.

ხალხურ მედიცინაში ყვავილების ნაყენს ძველი დროიდან იყენებენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანთებითი (გასტრიტი, კოლიტი, ენტეროკოლიტი) დაავადებებისას, კუჭის სპაზმის, მეტეოროზმის, მენსტრუაციის შეკავების, გაციებისა და ნევროზების დროს; აბაზანების სახით - რევმატიზმის, ნიკრისის ქარის სამკურნალოდ; გამოსავლებად - ღრძილების, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებისა და ანგიინის დროს, აგრეთვე ჩირქოვანი ჭრილობების მოსაზანად.

საინტერესო ფაქტები: მსოფლიოს მრავალი ხალხი გვირილას განსაკუთრებულ მაგიურ თვისებებს ანიჭებდა. რუსეთში ის შვიდი საკრალური მცენარიდან ერთ-ერთს წარმოადგენდა. არსებობდა რწმენა, რომ მატრიკარია ხელს შეუწყობდა მომავლის ფარდის გახსნას. ამიტომ, მას იყენებდნენ სხვადასხვა მკითხაობისათვის, არამარტო სასიყვარულო, არამედ ბრძოლის შედეგების, მოსავლიანობისა და ამინდის განსაზღვრისთვისაც.

მატრიკარიას პატივს სცემდნენ როგორც რუსეთში, ასევე საბერძნეთში, სკანდინავიასა და ეგვიპტეშიც, სადაც თვლიდნენ ღვთაებრივი საწყისის სიმბოლოდ, მშვენიერი აფროდიტის, ძლევამოსილი ოდინისა და მზის ღმერთის - რას ყვავილად.

ძველ საბერძნეთში არსებობდა ლეგენდა ამ საოცარი ყვავილის წარმოშობის შესახებ. ერთხელ მშვენიერ ნიმფას შეუყვარდა ლამაზი, მაგ-

რამ უბრალო და უკიდურესად ღარიბი მწყემსი. იმისთვის, რომ თავისი რჩეული ბედნიერი გაეხადა, სიყვარულის გარდა, მკურნალის უნართაც დააჯილდოვა. თავდაპირველად, ჭაბუკი თავის ამ ნიჭს ანაზღაურების გარეშე იყენებდა, მაგრამ შემდეგ დაიწყო მათი მიღება როგორც ჯეროვანის მიზღვევა და სულ უფრო და უფრო გახარბდა. რაც უფრო მეტად ივსებოდა მისი საფულე, სული მით უფრო ცარიელდებოდა და გულქვა ხდებოდა. მან დაივიწყა საყვარელი ნიმიფა და მას ამჯობინა მდიდარი მფარველები. გააცნობიერა რა, თუ რად გადაიქცა მისი შეყვარებული, გოგონა მწარედ ატირდა და თითოეული ცრემლიდან მშვენიერი ყვავილი გაიზარდა, მზის ფერის შუაგულით და ქათქათა თეთრი გვირგვინის ფურცლებით. ხოლო მწყემსმა დაკარგა მინიჭებული უნარი, თაყვანისმცემლები და მშვენიერი ქალწულის სიყვარული. ასე დაისაჯა ნათელი გრძნობების ღალატისა და ჭარბი სიხარბის გამო.

[Http://magic-flor.ru/blog/bukety-iz-romashek/](http://magic-flor.ru/blog/bukety-iz-romashek/)

Melandrium boissieri Schischk. – სასტვენა

ჯავახეთში უწოდებენ სტვინელას; გურიაში - თიკნიყურას; ქართლ-კახეთში - ციკნიყურას; ფშავში - სასტვენელას; რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთში - ხბოშუბლას



ორ ან მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა მიხაკისებრთა (Caryophyllaceae) ოჯახიდან. ღერო 40-60 სმ სიმაღლისაა. ზედა ნაწილში დატოტვილი, ბეწვით მოფენილი. ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, კვერცხისებრი, ზედა - თითქმის მჯდომარე, კვერცხისებრ ლანცეტა.

ყვავილები ერთსქესიანია, ორსახლიანი, ტოტების ბოლოებში შეკრე-

ბილი. მდედრობითი ყვავილების ჯამი, განსაკუთრებით ნაყოფობის დროს, ბუმბუკითაა გაბერილი, მამრობითი ყვავილებისა მცირეოდენ გაფართოებულია; გვირგვინის ფურცლები თეთრია ან მკრთალი ყვითელი. გაუხსნელი ნაყოფი მსხლის მოყვანილობისაა, მომწიფებისას 10 კბილით იხსნება, გახსნილი ნაყოფი ქოთნისებრია, კბილებგად აღუნული. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება ტყისა და ალპურ სარტყელში მშრალ ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში. გვხვდება ხშირად. მცენარის ფესვები შეიცავს საპონინებს. ხალხურ მედიცინაში ღეროებისა და ფოთლების ნახარშით მკურნალობენ რევმატიზმს, კბილისა და კუჭის ტკივილს; ნაყენით - გულის დაავადებებს, განსაკუთრებით აჩქარებულ გულისცემას. საფენებსა და კომპრესებს იყენებენ ბუასილის სამკურნალოდ.

საინტერესო ფაქტები: ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად ძველ სლავებს, სხვადასხვა ღმერთებისა და სულებთან ერთად ჰყავდათ მწუხრისა და ღამის სული - დრემა. ის ეცხადებოდა მძინარე ბავშვებს საყვარელი ბებიის სახით, ალერსიანი ხელებით და თეთრი მანდილით, მშვიდი ნაწინათი. ბებია მიდიოდა საწოლთან, უსწორებდა მათ საბანს, ეფერებოდა და ამშვიდებდა ბავშვებს, უმღეროდა ტკბილ სიმღერებს. განსაკუთრებით იმ ბავშვებთან მისვლა უყვარდა, რომლებიც მშობლების ალერსს იყვნენ მოკლებულნი. ის მათ განსაკუთრებით ეალერსებოდა, ყურში დამაშვიდებელ სიმღერებს ჩასჩურჩულებდა. ხოლო გათენებისას მიფრინავდა მდელოზე და ერწყმოდა სასტვენას შემდგომ დაბინდებამდე. ძველმა სლავებმა შენიშნეს დრემას (სასტვენა) ძილის მომგვრელი თვისება და ხშირად იყენებდნენ უძილობისას.

სხვა თქმულების მიხედვით, სასტვენას რუსული სახელი - дрема იქიდან მომდინარეობს, რომ მისი ყვავილები დღის განმავლობაში დახურულია და იშლება მწუხრის დროს, გამოჰყოფს არაჩვეულებრივ არომატს, რომლისკენაც ყოველი მხრიდან მიფრინავენ პეპლები.

ითვლება მაგიურ მცენარედაც. ის ღამით ანათებს და ადვილი შესამჩნევია. მისი მაგიური, ისევე როგორც სამკურნალო თვისებები ბოლომდე შეუსწავლელია. არის მონაცემები, რომ ძველ დროში სასტვენას იყენებდნენ ჯადოსა და თვალის კვრის მოსახსნელად.

<https://zen.yandex.ru/media/zhdana/magiia-rastenii-drema-belaia-celebnye-svoistva-legendy-i-predaniia-5b473f017a0f0500acdcdd42>

Melilotus officinalis (L.) Desr. – ყვითელი ძიძო, სამკურნალო ძიძო ქართლსა და ჯავახეთში ცნობილია ვირის იონჯას სახელით; ერწოში - იონჯას; რაჭაში - სამითიას; იმერეთსა და ლეჩხუმში - ცხენისოფას; ინგუშეთში - ბარინყის



პარკოსანთა (Leguminosae) ოჯახის ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 2 მ-მდე სიმაღლის სწორმდგომი დატოტვილი ღეროთი. ფოთლები გრძელყუნწიანია, სადგისისებრი კიდემთლიანი თანაფოთლებით. ფოთოლაკები ხერხისებრ დაკბილულია, შიშველი; ქვედა ფოთლების ფოთოლაკები უკუკვერცხისებრია, ზედასი - ლანცეტასებრი. ყვავილი

წვრილია, ყვითელი, შეკრებილია მრავალყვავილიან, 15 სმ-მდე სიგრძის მტევნებად. ყვავილობს მაისიდან ივლისამდე. იზრდება მდელოებზე, მინდვრებში, გზისა და ტყის პირებზე, ბუჩქნარებში.

სამკურნალო ნედლეულია მცენარის მიწისზედა ნაწილი, შეგროვილი ყვავილობის პერიოდში. შეიცავს კრისტალურ ნივთიერება კუმარინს (ფოთლებში მათი შემცველობა ყვავილობისას 0,1% შეადგენს, ღეროებში - 0,4%, ყვავილებში - 0,9%), კუმარინის მჟავას, მელილოტინს, მე-

ლილოტის მჟავას, გლიკოზიდებს, მელტრილოტოზიდს, ცილებს და ცხიმისმაგვარ ნივთიერებებს.

ძიძოსგან ამზადებენ ნაყენებსა და ნახარშებს. ბულგარულ ხალხურ მედიცინაში იყენებენ ბრონქების ქრონიკული კატარის, თირკმელეზისა და შარდის ბუშტის ტკივილების, შაკიკის, მაღალი არტერიული წნევის, კლიმაქსის დროს. კომპრესებსა და პლასტირებს გარეგანად ხმარობენ ფურუნკულების, კარბუნკულების, ჩირქიანი ჭრილობების, შუა ყურის ანთებითი პროცესების დროს; საფრანგეთში იხმარება ანტისპაზმურ და შემკვრელ საშუალებად, ინდოეთში - როგორც დამარბილებელი, ქარმდენი და სისხლდენისშემამჩერებელი, ავსტრიაში - კუჭის დაავადებების, ბრონქიტის, პოლონეთში - გულის ტკივილების, უძილობის, ნევრასტენიის, ბუასილის სამკურნალოდ.

საინტერესო ფაქტები: მცენარის გვარის ლათინური სახელი *Melilótus* წარმოსდგება ბერძნული სიტყვიდან *meli* - რაც თავლს ნიშნავს.

უკრაინაში ძიძო უყვარდათ თავლის სურნელისა და სამკურნალო თვისებების გამო. უკრაინელი გოგონები პირს იბანდნენ მისი ცვრით, რათა სახე ნაზი, ლოყები კი ვარდისფერი ჰქონოდათ. ხალხში მას მოსაჯადოებელ ბანგად თვლიდნენ, მაგალითად, თუ ძიძოს თაიგულს ჩააწყობდნენ გამჭვირვალე ლარნაკში და ფანჯრის რაფაზე დადგავდნენ (ფანჯარა ღია ან ნახევრად ღია უნდა ყოფილიყო), მაშინ სატრფო აუცილებლად მივიდოდა გოგონასთან. ყვავილობის პერიოდში, მისგან გვირგვინებს წნავდნენ, სწამდათ რა, რომ მათში სატრფოს გულსაც აყოლებდნენ. მწყემსებსაც ყოველთვის ხელთ ჰქონდათ ეს მცენარე, მისი ღეროებით შოლტავდნენ საქონელს, რათა დაეცვათ დაავადებებისაგან და გაეზარდათ მოწველა. დიასახლისები ძიძოთი მდულრავდნენ ქოთნებს, რათა მათში არ ამჟავებულიყო რძე, მის ყვავილებს ტანსაცმელზე ალაგებდნენ - სასიამოვნო სურნელისა და ჩრჩილებისგან დასაცავად, სამკურნალო მიზნით მისგან არყის ნაყენს ამზადებდნენ.

<https://myphs.jimdofree.com/2013/07/23/донник/>

Mentha longifolia L. - ტყის პიტნა, გრძელფოთოლა პიტნა

კახეთში უწოდებენ პიტნურას; ქართლში - ცხენის პიტნას; ზემო იმერეთში - ვირიპიტნას; ქვემო იმერეთში - ცხენიპიტნას; აჭარაში - ტენცოს; სამეგრელოში - ცვალმითა, ცვალმინთას; სვანეთში - მინთვ, მინთუ, მინთორ, ტყარ მინთეს



ტუჩოსანთა (Labiatae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა გრძელი, გახევებული ფესურით, ინვიტარებს მიწისქვეშა ამონაყარს. ყლორტები ცოტად თუ ბევრად ქეჩისებრ შებუსვილია ერთ ან მრავალუჯრედიანი მარტივი ბეწვებითა და ჯირკვლებით. ღერო სწორია, მარტივი ან დატოტვილი, 30-150 სმ

სიმაღლის. ფოთლები მჯდომარეა, მოგრძო-კვერცხისებრიდან ლანცეტამდე, წაწვეტებული, კიდეებზე ხერხკბილა, იშვიათად მრგვალებიანი, ზედა მხარეზე თითქმის შიშველი, ქვედაზე - ნაცრისფერი ან თეთრი ქეჩისებრი. ყვავილები შეკრებილია გრძელ, მჭიდრო, ხშირ, ზოგჯერ მხოლოდ რამდენიმე წყვეტილ, ცილინდრული ფორმის თავთავისებრ ყვავილედებად. გვირგვინი ლილისფერია, ხორცისფერ წითლამდე შეფერილობის. ყვავილობს მაის-სექტემბერში. იზრდება ტყის პირებზე, ფერდობებზე, ბუჩქნარებში, მდინარეთა და არხების ნაპირებზე, ნესტიან და დაჭაობებულ ადგილებში, ტბებთან, არხებთან, კირქვიანებზე, ზღ. დ. 2500 მ სიმაღლემდე.

ბალახის წვენი გამოიყენება ამოსახველებლად, კუჭის ტკივილის, ჰეპატიტისა და ასციტის დროს; გარეგანად - მასტიტისა და მღიერის შემთხვევაში; ნაყენი - ეპილეფსიის, კუჭის შეკრულობის, კბილის ტკივილის, მეტეორიზმის დროს; ნახარში ხასიათდება დიურეზული, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური მოქმედებით; იხმარება ტუ-

ბერკულოზის, გასტრიტის, დერმატიტის და ციმბირის წყლულის სამკურნალოდ.

საინტერესო ფაქტები: ძველ მედიცინაში სამკურნალო მიზნით პიტნის ველურად მოზარდი სხვადასხვა სახეობა გამოიყენებოდა. ძველ რომში პიტნის არომატი კეთილ ნიშნად ითვლებოდა, მიაჩნდათ, რომ ამაღლებს განწყობილებას და ხელს უწყობს სუფრაზე სასიამოვნო საუბარს. პიტნა, ცრურწმენის მიხედვით დევნის ავსულებს, ხოლო სამკურნალო თვისებებით მრავალწახნაგოვანია და პრაქტიკულად შეიძლება დამატებული იქნეს ყველა ბალახეულ ნაკრებში.

ავიცნა თვლიდა, რომ პიტნა სასარგებლოა უმადობისა და კუჭის სისუსტისას, სლოკინის დროს. ნახარში სასარგებლოა სიყვითლის, გულის ამოვარდნებისას.

დიოსკორიდი და შემდგომი დროის ექიმები პიტნის სახეობებს საკვირველ სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო. ხმარობდნენ კუჭ-ნაწლავის სისუსტის, სპაზმების, პირღებინების, ისტერიული გულყრების, სისხლიანი ფაღარათისა და ტიფის, დაჟეჟილობის, შემუპების, კრუნჩხვების, ტკივილების, ზოგიერთი სიმსივნისა და სარძევე ჯირკვლების ანთების დროს, აგრეთვე როგორც დამამშვიდებელ საშუალებას.

შუა საუკუნეების სომხეთში ხალხურ მედიცინაში გამოყენებული იყო ჰიპერტონიული და ნერვულ-ფსიქიური დაავადებებისას.

დიდი მოთხოვნილებით ხასიათდება ტყის პიტნა რუსულ ხალხურ მედიცინაში როგორც დამაწყნარებელი, კრუნჩხვის საწინააღმდეგო, ოფლმდენი და საჭმლის მონელების გასაუმჯობესებელი. ხმარობენ ყელის ტკივილის, გაციების, წნევის, სტენოკარდიის, ათეროსკლეროზის, ნევროზის, უძილობის, ენტეროკოლიტის, მასტიტის, რევმატიზმის, კბილის და ყურის ტკივილების დროს; რაქიტისა და ბავშვებისათვის იყენებდნენ პიტნის აბაზანებს.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ითვლებოდა, რომ ხელს უწყობს საჭმლის სწრაფად მონელებას, მმარში მოდუღებული კურნავს პირის დაა-

ვადებებს, კლავს ჭიებს და ხელს უწყობს კარგ მიღს. პიტნის ბროწეულის წვენში ნადული არჩენს მუნს და იწვევს რძის მომატებას. გამოიყენებოდა წნევის დასაწევად, ოფლის მომგვრელად და მუცლის ტკივილების დროს.

<https://stihi.ru/2020/03/31/1730>

Merendera raddeana Regel. – რადეს ენძელა



სათოვლიასებრთა (Colchicaceae) ოჯახის მრავალწლოვანი ტუბერბოლქვიანი ბალახოვანი 8-12 სმ სიმაღლის მცენარეა. ფოთოლი 2-ია, დორზივენტრალური, ლანცეტა ფორმის, დაყვავილების შემდეგ მნიშვნელოვნად მატულობს ზომებში, უხემდება და მუქ მწვანე შეფერილობას ღებულობს.

ყვავილი მარტოულია, ორსქესიანი; ყვავილსაფარი გვირგვინისებრია, ღია ვარდისფერი. ყვავილობს მარტიდან-ივნისამდე. იზრდება სუბალპურ, ალპურ და სუბნივალურ სარტყელში ზღ. დ. 2000-დან 3170 მ სიმაღლემდე ტენიან ეკოტოპებზე, მდელოებზე, ღობად თოვლის ბალახოვან მცენარეულობასთან ერთად. გავრცელებულია აჭარაში, შიდა ქართლში, მთიულეთში, თუმ-ფშავ-ხევსურესა და მესხეთში.

შეიცავს ალკალოიდებს, მათ შორს კოლხიცინსა და კოლხამინს და 17 თავისუფალ ამინომჟავას: ალანინი, არგინინი, ასპარაგინი, ვალინი, ჰისტოდინი, გლიცინი, გლუტამინი, იზოლეიცინი, ლეიცინი, ლიზინი, მეთიონინი, პროლინი, სერინი, ტიროზინი, ტრეონინი, ფენილლანინი, ცისტეინი.

გამოკვლევების თანახმად, კოლხიცინის შემცველობის დაგროვება მცენარეებში ფენოლური ხასიათის ალკალოიდების მეთილირებით ხდება ტუბერბოლქვებში, ხოლო შემდეგ ტრანსპორტირდება და გრო-

ვდება თესლებში. ამით ხსნიან კოლხიციინის მაქსიმალურ დაგროვებას რადეს ენძელას თესლებში.

ალკალოიდი კოლხამინი წარმატებით გამოიყენება კანის კიბოს სამკურნალოდ. აგრეთვე საჭმლის მომწელებელი ორგანოების კიბოს განსაკურნავად. მეორე ალკალოიდი კოლხიციინი გამოიყენება ექსპერიმენტალურ-გენეტიკური და სელექციური გამოკვლევებისას.

Merendera trigyna (Adam) Woronow - სამბუტკოიანი ენძელა

ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთში უწოდებენ ანძალა, ენძალას; ხევში - ყორნისპწკალაი, ვენძელას



პოლიკარპული, ადრე გაზაფხულის ეფემეროიდული გეოფიტია, 1-2 სმ სიგრძის და 1-1,5-მდე დიამეტრის ტუბეროლქვით. ფოთლები ხაზურია, ლანცეტა, ღარიანი, ხასხასა მწვანე, მოწითალო წვეტით ბოლოვდება. ყვავილები 1-2(3-5), თეთრიდან მუქ იასამნისფერამდე, ზარისებრი ფორმისაა. ყვავი-

ლობს იანვარ-მარტში. იზრდება ბალახოვან და ღორღიან ფერდობებზე, ყამირებზე, გზის პირებზე, მდელოებზე, სტეპებში, ტყის ნაკაფებში და სხვ. მთის ქვედა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე, ზღვ. 50-1800 მ სიმაღლემდე.

ლიტერატურული მონაცემების თანახმად გვარი ენძელას – Merendera Ramond სახეობები, შეიცავენ რიგ ალკალოიდებს, მათ რიცხვში ისეთ მნიშვნელოვანს, როგორცაა კოლხიციინი, კოლხამინი, მერენდერინი და სხვ., რომლებიც წარმატებით გამოიყენება კანის კიბოს სამკურნალოდ.

საინტერესო ფაქტები:

შექამ ენძელას - შენს ფლეგმონას შეიწოვს კუჭში;
თუ სნეულია ფლეგმატიკი, ჯან-ღონეს მისცემს.
მისი მიღებით სტომაქიდან განდევნის ქარებს.
ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, არჩენს ჭვალეებსაც,
და თუ დაღეჭავ, საამო სუნს აყენებს პირში.
შიგნით მიიღებ - სურვილს იწვევს, თირკმელს ამაგრებს”.
(ა. ვილანოველი, 1989)

Muscari szovitsianum Baker - შოვიცის ყაზახა

ყაზახას კახეთში უწოდებენ გველის იას, მტევანას, ძაღლმტევანას;
ქართლში - ყურძენას; ქიზიყში - ძაღლის ია; ზემო იმერეთში - ჭრი-
ჭინა, დათვინიორას; სამეგრელოში - მარაკინტა, ტარაფუნას; სვანეთ-
ში - პანვემ ნეწვ



სუმბულისებრთა (Hyacinthaceae) ოჯახის პოლიკარპული მცენარეა კვერცხისებრი ბოლქვით და უფოთლო ღეროთი. ფოთოლი ვიწრო-ხაზურია, ძირში შევიწროებული, თავწაწვეტილი. მტევანი საკმაოდ მოკლეა, ოვალური ან მოგრძო-ოვალური. სტერილური ყვავილები მჯდო-

მარეა; სანაყოფე ყვავილები კი მოკლეყუნწიანი; ყვავილსაფარი ქოთნისებრია, ლურჯი, ცისფერი, იშვიათად თეთრი. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება ბუჩქნარებში, ბალახოვან ფერდობებზე, მდელოებსა და ტყის პირებზე, კლდოვან და ღორღიან ადგილებში. მთის ქვედა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე.

ბოლქვები შეიცავს საპონინებს, ალკალოიდებს მცირე რაოდენობით, ყვავილებისათვის კი დამახასიათებელია მეთილსალიცილის ძლიერი

არომატი. ყაზახას ბოლქვები ხასიათდებიან პირსასაქმებელი და შარდმდენი მოქმედებით. ყვავილები კი საღებავად იხმარებოდა.

საინტერესო ფაქტები: ძველი ბერძნები მას იყენებდნენ ძლიერ ანტი-როდიზიკად. ასეთი ლეგენდაც არსებობს: ანტიკურ დროში, არც თუ ლამაზი რომაელი გოგონები მის ნაყოფებს საკვებში უმატებდნენ იმ მამაკაცებს, რომლებიც მოსწონდათ და სურდათ მათზე დაქორწინება.

Myosotis arvensis (L.) Hill. – კესანე, ცისანა

ქართლში უწოდებენ კონკიძველას; ზემო იმერეთში - ციცინოს; ქვემო იმერეთში - ციცუნია, ჭორის; რაჭაში - თიკნიყურას; გურიაში - ხასიათას



ლაშქარასებრთა (Boraginaceae) ოჯახის ორ ან მრავალწლოვანი ეფემერული მცენარეა 20-50 სმ სიმაღლის ღეროთი. ფესვთანური ფოთლები მოგრძო ნიჩბისებურია, ღეროსეული - მოგრძო ლანცეტა. ყვავილი ვარდისფერია, შემდგომ ცისფერი. კაკლუჭა მურა-მოშავო ფერისაა. ყვავი-

ლობს მაის-ივნისში. ტყე-მდელოს სახეობაა, მეზოფიტი. იზრდება ნათელ ტყეებში, ბუჩქნარებში, ბალახოვან ფერდობებზე. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში თვალის დაავადებებისას.

საინტერესო ფაქტები: კესანეს წარმოშობის შესახებ არსებობს სხვადასხვა ლეგენდა შეყვარებულთან დაშორებული პატარძლების ცრემლებზე, რომლებიც მათი თვალების ფერის მსგავს ცისფერ ყვავილებად გარდაიქმნენ და შეყვარებულებს ჩუქნიდნენ მათ მოსაგონებლად.

ერთ-ერთი პირველი ლეგენდა ჩამოყალიბდა ძველ საბერძნეთში. ის გვიყვება ახალგაზრდა წყვილზე - მწყემს ლიკასზე და მის შეყვა-

რებულზე ეგლეზე, რომლებიც ერთად მწყემსავდნენ თხებს მდინარე ალფეის ზღაპრულ ნაპირებზე. ისე ჩანდა, რომ არაფერს არ შეეძლო მათი ბედნიერების შეწყვეტა, მაგრამ ერთ დღესაც ლიკასი იძულებული იყო გამომშვიდობებოდა თავის საცოლეს; საშინლად დანადვლიანებულმა ქალწულმა ცრემლები ვეღარ შეიკავა, მიწაზე დაცემული ცრემლები კი გადაიქცნენ პატარა ცისფერ ყვავილებად. ლიკასმა მოწყვიტა ისინი და შეყვარებულის მოსაგონებლად თან წაიღო.

კიდევ ერთი სლავური ლეგენდა, რომელიც მცენარის რუსული სახელიდან „незабудка“ – (არ დამივიწყო) მომდინარეობს, მოგვითხრობს, რომ როდესაც ქალღმერთი ფლორა მცენარეებს სახელებს ანიჭებდა, უყურადღებოდ დატოვა მორიდებული ცისფერი ყვავილი, წასვლისას მას მოესმა ჩურჩულით ნათქვამი „მე არ დამივიწყო“, ფლორამ მას „незабудка“ უწოდა, რითიც ადამიანებს მოგონების უნარი აჩუქა.

სხვა ვარიანტის მიხედვით, ყვავილი, რომლისთვისაც დაავიწყდათ სახელის მიცემა, მივიდა ღმერთთან და სთხოვა სახელი მიენიჭებინა. „მე შენ არ დაგივიწყებ, ნუ დამივიწყებ შენც მე“, უთხრა მან, დღეიდან შენი სახელი იქნება „არ დამივიწყო“.

გერმანიაში გავრცელებული თქმულების მიხედვით, კესანე იზრდება მოუნათლავი ბავშვების საფლავებზე, რითიც მშობლებს საყვედურობენ, რომ მათ დაავიწყდათ ამ წესის შესრულება. გერმანელებს ადრე სწამდათ, რომ ამ მცენარეებს ძალუძთ საგანძურის აღმოჩენა.

ინგლისში კესანეს გვირგვინს ჩუქნიდნენ გაზაფხულის დედოფალს, რომელსაც არჩევდნენ ყველაზე ლამაზ გოგონებს შორის, ხოლო საფლავებზე გაზრდილ ყვავილებს განიხილავდნენ როგორც მიცვალებულების გზავნილებს მათ მოსაგონებლად.

<http://www.florets.ru/legendy-o-tsvetah/nezabudka.html>

Nasturtium officinale (L.) R.Br. - წყლის წიწმატი

კახეთში უწოდებენ ჩაღანდრის; აჭარაში - კუკუყერას; ჭანურად - კუბური; სამეგრელოში - მექიშერებული; სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით ბალახა ვარდი



ჯვაროსანთა (Cruciferae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი წყლის მცენარეა 5-50 სმ სიმაღლის, წამოწეული, ფესვმომკიდე და დატოტვილი ღეროთი. ფოთლები ფრთისებრია დაყოფილი, მათგან კენწრული ნაწილი უფრო დიდია, მომრგვალო ან ოვალური,

დაკბილული, გვერდითები - მოგრძოა ან ოვალური, მრგვალკბილა და ძირში ასიმეტრიული. ყვავილები თეთრია, ნაყოფობის პერიოდში მათი ყუნწები ჰორიზონტალურადაა მიმართული ან ქვემოთაა დახრილი. ყვავილობს მაის-ივნისში. ფოთლები ვიტამინების (A,C,D) მაღალი შემცველობით ხასიათდება. რეკომენდირებულია კანის ქრონიკული გამონაყრების, ანემიის, ეგზემის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებისას. ნედლი ფოთლები გამოიყენება შარდის ბუშტის, ნაღვლის ბუშტის, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებისას, სასუნთქი გზების ქრონიკული კატარის დროს.

Nepeta mussini Henke - ქარაბენბი

მესხეთში უწოდებენ ამაღლების ბალახს, ქარაზენზის



ტუჩოსანთა (Labiatae) ოჯახის მრავალწლოვანი, მოკლე ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 15-40 სმ-მდე სიმაღლისაა, მრავალი, წამოწეული ან მწოლიარე, მარტივი ან დატოტვილი. ფოთლები კვერცხისებრია, თითქმის მრგვალკბილა, ფუძე გული-სებრი, მოკლეყუნწიანი. ყვავი-

ლები შეკრებილია მეჩხერ საგველასებრ ყვავილედებად, გვირგვინი ცისფერია. ყვავილობს აპრილში. იზრდება ღორღიან და ქვიან ადგილებზე, გზის პირებზე. ბალახი შეიცავს ეთერზეთებს, რომლებიც ხასიათდება პიტნისა და ქაფურის ნაზავი სურნელით, ვიტამინ C მაღალი შემცველობით. ნედლ და მშრალ ფოთლებს იყენებენ სამკურნალო ჩაის დასამზადებლად. ხასიათდება დამამშვიდებელი მოქმედებით, შველის გაციებას, ხველებას, ციებ-ცხელებას, კუჭის წყლულს, აუმჯობესებს მადას. უსაფრთხოა ბავშვებისათვის.

Nigella sativa L. – სათესი სონჯი



ხარისძირასებრთა (Helleboraceae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 5-50 სმ სიმაღლის, წამოწეული, ფესვმომკიდე და დატოტვილი ღეროთი. ფოთლები ფრთისებრია დაყოფილი, მათგან კენწრული ნაწილი უფრო დიდია, მომრგვალო

ან ოვალური, დაკბილული, გვერდითები - მოგრძო ან ოვალური, მრგვალები და ძირში ასიმეტრიული. ყვავილები თეთრია, ნაყოფობის პერიოდში მათი ყუნწები ჰორიზონტალურადაა მიმართული ან ქვემოთაა დახრილი. ყვავილობს მაის-ივნისში. საქართველოში მითითებულია მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმსა (ლაილა) და მესხეთში (აწყური). იზრდება ნათესებში, მშრალ გორაკებზე. მსოფლიოში ფართოდაა კულტივირებული.

მრავალმხრივი სასარგებლო თვისებებიდან გამომდინარე სოინჯის თესლები ძველი დროიდანვეა ცნობილი. მას უწოდებენ რომაულ ქინძს, კალინჯის, შავ კუნჟუტს, შავ კვლიავს, ხახვის თესლს; უმეტესად მცენარე მოიხსენიება “შავი თესლის” სახელით, რაც ზუსტად მიესადაგება მის გარეგან იერსახეს. თესლები შეიცავს ნახევრად-მშრალ ცხიმზეთებს (44%), გლიკოზიდ მელანთინს, ეთერზეთებს (0,8-1,5%). ფოთლებში აღინიშნება 0,43% ასკორბინის მჟავა. უძველესი დროიდანვეა ცნობილი თესლისა და ზეთის სამკურნალო მნიშვნელობაც. იხმარებოდა კუჭ-ნაწლავისა და საკვებმომწელებელი ტრაქტის დაავადებებისას. თანამედროვე გამოკვლევებით დადგენილია მისი ფარმაკოლოგიური მოქმედებები: ტკივილგამაყუჩებელი, ანტიბაქტერიული, ანთებისა და წყლულოვანი დაავადებების საწინააღმდეგო, ანტიქოლინერგიული, სოკოების საწინააღმდეგო, ჰიპოტონური, ანტიოქსიდანტური. აზიის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ტრადიციულ მედიცინაში გამოიყენებოდა სხვადასხვა პროცედურების დროს, რაც დაკავშირებული იყო სასუნთქი სისტემის, კუჭის, ნაწლავების, თირკმელების, ღვიძლის, გულ-სისხლძარღვთა პრობლემების, იმუნიტეტის ამაღლებასა და ორგანიზმის საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

საინტერსო ფაქტები: მცენარის გვარის სახელი წარმოიშვა ლათინურიდან „ნიგერ“ (თესლების შავი შეფერილობის გამო). გერმანელეები მას უწოდებენ „პატარძალს გაშლილი თმებით“, ვინაიდან მრავალ-

რიცხოვანი წვრილი ძაფისებრი ფოთოლაკები ერევა ყვავილებს და მოგვაგონებს თმებს.

სოინჯის ერთ-ერთი სახელია „მარგარიტა ბუჩქნარში“. ამის შესახებ ავსტრიული ლეგენდა შემდეგს გვიამბობს: ერთ მდიდარ, მაგრამ მუნწ გლეხს ჰყავდა ულამაზესი ქალიშვილი მარგარიტა, ხოლო მის მოპირისპირედ მცხოვრებ უღარიბეს კაცს - ულამაზესი ვაჟკაცი იოანე. ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ, მაგრამ მდიდარი გლეხი არასდიდებით არ თანხმდებოდა მათ ქორწინებას და აუკრძალა ურთიერთ შეხვედრა. რის გამოც, შეყვარებულები ერთმანეთს შორიდან უმზერდნენ და იმდენად უდრეკად, რომ მათი ფეხები შეეზარდა მიწას და ყვავილებად გადაიქცნენ.

<http://www.vseozvetah.com/nigella.html>

Nymphaea alba L. - თეთრი დუმფარა

გურიაში უწოდებენ ულუფარდის; სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით ნინოფი



მრავალწლოვანი გრძელფესურიანი წყლის მცენარეა დუმფარისებრთა ოჯახიდან. ფოთლები მომრგვალო-ელიფსურია, ფუძესთან ორად გაყოფილი, პრიალა, ტყავისებრი. ყვავილი თეთრია, გვირგვინის ფურცელი მრავალია. ყვავილობს მაის-ივლისში. იზრდება დაბლობებში, მთის შუა

სარტყლამდე, ჭაობებში, ტბებსა და ნელ მდინარეებში.

ფოთლები გამოიყენება გარეგანად ანთების საწინააღმდეგოდ, ფესვები და ფესურა შველის კანის ანთებით პროცესს. გაციების დროს ფესვებს იყენებენ მდოგვის საფენების ნაცვლად. ფესვების ნაყენი ჯერ

კიდევ ავიცენას დროიდან გამოიყენებოდა ელენთის ნაირგვარი სიმსივნის დროს, მათ შორის ავთვისებიანი სიმსივნეების დროს.

საინტერესო ამბები: ამ უმშვენიერესი მცენარის წარმოშობის შესახებ მრავალი ლეგენდა არსებობს. ამბობენ, რომ სახელი მიიღო ნიმფების საპატივცემულოდ, რომლებიც დუმფარას მსგავსად წყალში ბინადრობენ. როგორც ბერძნული მითოლოგიდანაა ცნობილი, ნიმფები ბუნების: ტყეების, მთების, ტბების, მდინარეებისა და ზღვების ნაბოძარია. არ არის გასაკვირი, რომ ყვავილები, რომლებსაც მათი სახელი ეწოდა, მშვენიერებია. სლავურ ზღაპრებში წარმოდგენები დუმფარაზე დაკავშირებულია იდუმალ ალის სახელთან.

სკადინავიური ლეგენდები მოგვითხრობენ, რომ თითოეულ დუმფარას ჰყავს თავის მეგობარი - ელფი, რომელიც მასთან ერთად იბადება და მასთან ერთად კვდება. ხალხური თქმულებით, მის ყვავილებში და ფოთლებზე ცხოვრობენ ნიმფები პატარა ელფებთან ერთად, რომელთათვისაც ისინი პატარა ნავებს წარმოადგენს.

ძველბერძნულ ლეგენდაში დუმფარაზე ყვებიან, რომ მშვენიერ თეთრ ნიმფას შეუყვარდა ჰერაკლე და ვინაიდან მისგან გამომახება არ ყოფილა, მწუხარებისა და სიყვარულისაგან გადაიქცა თეთრ დუმფარად.

ჩრდილო ამერიკელი ინდიელების ლეგენდა მოგვითხრობს, რომ დუმფარა წარმოიშვა პოლარული და მწუხრის ვარსკვლავების შეჯახების შედეგად წარმოქმნილი ნაპერწკლებიდან.

ჩრდილო გერმანიის თქმულების თანახმად, დუმფარა წარმოიშვა ორი დაღუპული ქალთევზას (ალის) ადგილზე, რომლებიც მოკლა ტბაში მცხოვრებმა ბოროტმა ნიქსმა.

იტალიური თქმულება მოგვითხრობს, რომ დუმფარა მშვენიერი ქერა გრაფინის მელინდისა და მისი მომტაცებლის ტბის მახინჯი, ბოროტი მეფის შვილია. ცხოვრობდა ქვეყანაზე უმშვენიერესი მელინდა. მას მუდმივად აკვირდებოდა ტბის მეფე, თუმცა ის ეშმაკივით საშინელი იყო, მან მაინც მოახერხა, რომ მისი ქმარი გამხდარიყო, რაშიც

მას დაეხმარა ყვითელი დუმფარა, რომელიც ოდითგანვე განასახიერებს ღალატს და ცბიერებას. მეგობრებთან ერთად სეირნობისას მელინდას ყურადღება მიიპყრო ტბაზე მცურავმა ოქროსფერმა ლამაზმა ყვავილებმა, დაიხარა ერთ-ერთის მოსაწყვეტად, რა დროსაც მოიტაცა ტბის მეფემ და ფსკერისკენ გააქანა. მისი დაღუპვის ადგილას ტბის პირზე ამოტივტივდა თოვლისებრ ქათქათა ყვავილები ყვითელი გულით. ეს ყვავილები წყლის დუმფარები იყვნენ.

<http://www.florets.ru/legendy-o-tsvetah/kuvshinka-tsaritsa-vod.html>

Orchis mascula (L.) L. – კაცის ჯადვარი



მრავალწლოვანი ბალახოვანი, ტუბერიანი მცენარეა ჯადვარი-სებრთა (Orchidaceae) ოჯახიდან. ტუბერი ფართო ოვალურია ან თითქმის სფერული. საყვავილე ღერძის ქვედა ნაწილი და ფოთლები მუქი მეწამული ფერის წინწკლებითაა მოფენილი. ფოთლები ღეროს ძირშია შეჯგუფებული,

ფართო ლანცეტაა ან ელიფსური. ყვავილი წითელია ან მკრთალი სოსანი, შეკრებილია ცილინდრულ, მრავალყვავილიან ყვავილედებად. ყვავილობს მაისში. იზრდება მთის შუა სარტყლამდე ტყის პირებზე, ბუჩქნარებსა და ველობებზე.

Orchis morio L. [O. morio L. subsp. picta (Loesel.) K.Richt.] - ბრიყვო ჯადვარი



მრავალწლოვანი ბალახოვანი, ტუბერიანი მცენარეა. ტუბერი კვერცხისებრია ან ელიფსური. ღერო 15-40 სმ სიმაღლისაა, ძირში 5-7 ვიწრო-ხაზური ან მომრგვალო კვერცხისებრი ფოთოლია განვითარებული. ყვავილედი ცილინდრულია, მეჩხერი; თანაყვავილები ლანცეტა ან ფართო-ლანცეტაა. ყვავილები კაშკაშა მეწამულ-იისფერია. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება მთის შუა სარტყლამდე ტყის პირებზე, ბუჩქნარებსა და ველობებზე.

Orchis purpurea Huds. – მეწამული ჯადვარი



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მოგრძო კვერცხისებრი ტუბერით. ღერო 35-80 სმ სიმაღლისაა. ფოთლები რიცხვით 4-6, ფართო-ოვალურია, პრიალა, თავმოყრილია ღეროს ძირში. ყვავილედი გრძელი და მეჩხერია. ყვავილები მუქი წითელი ან კაშკაშა იისფერია, ხშირად დაწინწკლული. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება მთის შუა სარტყლის მუხნარ ტყეებში, ტყის მდელოებზე, ბუჩქნარებში, ტყის პირებზე, ამჯობინებს ღრმა, გადამწვარ, კირიან ნიადაგებს.

Orchis simia Lam. - მაიმუნის ჯადვარი



მრავალწლოვანი მცენარეა კვერცხისებრი ტუბერიით. ფოთლები მოგრძო-ლანცეტაა, რიცხვით 4-5; ყვავილეთი კუმსია; ტუჩი მკრთალი მეწამული ფერისაა და მუქი წინწკლებით მოფენილი. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება ქვედა სარტყლის ტყეებსა და ბუჩქნარებში.

უმველესი დროიდან ჯადვარის სახეობებს იყენებენ ხალხურ მედიცინაში სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ. აღმოსავლეთში, მაგალითად, ცენტრალური აზიის ქვეყნებში, ჩინეთში, ირანში დღემდე იყენებენ ტუბერკულოზის, დამბლის, კრუნჩხვების, გაციებისა და ნაწლავების დაავადებებისას. თანამედროვე მედიცინაში ნაკლებად გამოიყენება არასათანადო გამოკვლევების გამო.

ტუბერები შეიცავს 70%-მდე სახამებელს და სხვა პოლისახარიდებს, გლიკოზიდებს, მცენარეულ ლორწოს, მწარე ნივთიერებებს, მცირე რაოდენობით ეთერზეთებს, ნაცარს. ბალახში აღმოჩენილია გლიკოზიდები, მჟაუნმჟავა, ზეთები და ლაქტოგენური შენაერთები. ამ ნივთიერებებიდან გამომდინარე, ჯადვარის სახეობები ხასიათდება დამარბილებელი, ანთების საწინააღმდეგო და ანტიტოქსიკური მოქმედებით. გამშრალი ტუბერებიდან, რომელიც სალეპის სახელითაა ცნობილი, ამზადებდნენ წამლებს მოწამლვის, გასტრიტისა და კოლიტის სამკურნალოდ. მეცნიერულად დამტკიცებულია მისი სპაზმოლიტური მოქმედებები. ასევე ჯადვარის პოლისახარიდები იწვევს იმუნომასტიმულირებელ მოქმედებას. ტუბერის ლორწო ხასიათდება გონადოტროპული, მატონიზირებელი და ანაბოლიტური მოქმედე-

ბით. ხალხურ მედიცინაში ჯადვარს იყენებდნენ როგორც ქალების, ისე მამაკაცების სასქესო ორგანოების დაავადებებისას. ხოლო ექსპერიმენტალურმა გამოკვლევებმა დაამტკიცა, რომ ეპილეფსიური შეტევების განვითარებას ამუხრუჭებს ტუბერები, მათში შემავალი ანტიოქსიდანტების შემცველობის გამო. ასევე გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ჯადვარის ფოთლების ექსტრაქტი ადაბლებს წნევას და ხსნის ტკივილებს, ასევე ამცირებს ლიპიდების რაოდენობას სისხლში. ჯადვარი რეკომენდირებულია წყლულით დაავადებულთათვის.

<https://ogorodniki.com/article/iatryshnik-poleznye-svoistva-i-primenenie>

საინტერესო ფაქტები: საოცარი მცენარეებია, მას მიიჩნევენ ყვავილოვანი სამყაროს „არისტოკრატებად“. ითვლება, რომ თუ ადამიანი - ბუნების გვირგვინია, მაშინ ჯადვარი - მცენარეული სამეფოს გვირგვინი. შექმნა რა ეს საოცარი ნაზი მცენარეები, ბუნებამ არ იძუნწა და დასაჩუქრა ყველაფრით, რაც ჰქონდა.

არ არის გასაკვირი, რომ უძველესი დროიდან ჯადვარზე უამრავი ლეგენდები და თქმულებებია შექმნილი. სხვადასხვა დროს ლეგენდები შექმნილია ჩინეთში, სადაც ცნობილია ახ.წ.აღ.-მდე VIII საუკუნეში, ასევე ლათინურ ამერიკაში და მოგვიანებით ევროპაში.

ლამაზი ლეგენდა ჯადვარის წარმოშობაზე ჩაისახა ახალ ზელანდიაში. მაორას ტომი, აღფრთოვანებულნი ჯადვარის სილამაზით, დარწმუნებულები იყვნენ მათ ღვთაებრივ წარმოშობაზე. ადამიანის წარმოქმნამდე დიდი ხნით ადრე, დედამიწის ერთადერთ სანახაობრივ ნაწილს წარმოადგენდა დათოვლილი მაღალი მთები. დრო და დრო მზე ახდენდა თოვლის გაღობას, რითიც წყალს აიძულებდა ბობოქარი ნაკადით დაშვებულყო მთიდან, რამაც წარმოქმნა ულამაზესი ჩანჩქერები. ისინიც თავის მხრივ აქაფებულები მიედინებოდნენ ოკეანეებისა და ზღვებისკენ, რის შემდეგაც, აორთქლების შედეგად წარმოიქმნებოდა ღრუბლები, რომლებიც მთლიანად ფარავდნენ მზისგან დედამიწას. ერთხელაც მზეს მოუწადა ამ საფარის გახვრეტა. წამოვიდა ძლიერი ტროპიკული წვიმა. ამის შემდეგ წარმოიქმნა უზარმაზარი

ცისარტყელა, რომელმაც მთელი ცა დაფარა. ამ სურათით აღფრთოვანებულმა უკვდავმა სულებმა, დედამიწის მაშინდელმა ერთადერთმა მაცხოვრებლებმა ყოველი მხრიდან დაიწყეს ცისარტყელასკენ გადაფრენა. თითოეულს სურდა ადგილის მოპოვება ნაირფეროვან ხიდზე, ხელის კვრითა და ლანძღვით ცდილობდნენ ადგილის დაკავებას. ბოლოს დამშვიდდნენ და სიმღერა დაიწყეს. ცისარტყელამ ვედარ გაუძლო მათ სიმძიმეს და მიწას დაეხეთქა, ამასთან დაიშალა უთვალავი რაოდენობის სხვადასხვა ფერის ნაპერწკლებად. უკვდავი სულები რომლებსაც მსგავსი არაფერი არ ენახათ, სუნთქვაშეკრულები უყურებდნენ ფანტასტიკურ ნაირფეროვან წვიმას. მიწის ცალკეულმა ნაწილმა მადლიერებით მიიღო ცის ხიდის ნამსხვრევები, რომლებიც ორქიდეებად გადაიქცნენ. ამ დროიდან იწყება მათი ტრიუმფალური სვლა დედამიწაზე. სულ უფროდაუფრო მეტი ხდებოდა ნაირფეროვანი ფანრები და არც ერთმა ყვავილმა ვერ გაბედა შედავებოდა ჯადვარს ყვავილების სამეფოს დედოფლის უფლებაზე.

ამაზონის ინდიელები ჯადვარს პოეტური სახელი უწოდეს - „ჰაერის ქალიშვილები“.

ძველბერძნული მითოლოგიის თანახმად: ადონისი და ვენერა გაემართნენ სანადიროდ, გზად ჭექა-ქუხილი ატყდა. მათ ნახეს მოფარებული ადგილი, სადაც წვიმას შეაფარეს თავი და სიყვარულს მიეცნენ. შემთხვევით იმ ადგილას ადამიანი გაიარა. მან ვერ შეამჩნია ადონისი და მისი შეყვარებული, სამაგიეროდ თვალი მოჰკრა ვენერას ოქროს ქოშს, ის დაიხარა მის ასაღებად, მაგრამ მაშინვე ქოში უმშვენიერეს ქოშის მსგავს ყვავილად გარდაიქმნა.

<http://www.florets.ru/legendy-o-tsvetah/legendy-ob-orhideyah.html>

Ornithogalum ponticum Zahar. (*O. georgicum* Agapova; *O. pyrenaicum* auct.) – ჰონტოს ძაღლნიორა



სუმბულისებრთა (Hyacinthaceae) ოჯახის მრავალწლოვანი მცენარეა, კვერცხისებრი ბოლქვითა და 30-70 სმ-მდე სიგრძის ღეროთი. ფოთლები ხაზურია, ღარისებრი, ლეგა, ყვავილედზე მოკლე, რიცხვით 3-5. ყვავილედები მოგრძო კუმსი მტევანია, მრავალყვავილიანი (10-45), ყვავილო-

ბის დროს შეკუმშული, პირამიდული, შემდეგ უფრო გრძელი და ცილინდრული ხდება. ყვავილსაფრის ფოთლები თეთრია, მოგრძო ლანცეტა, თავბლაგვი, გარედან ფართო მწვანე ზოლით. ყვავილობს მაის-ივლისში. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე; ძირითადი ადგილსამყოფელია სტეპები, ტყის პირები, ტყის ფანჯრები, ნაკაფები, ბუჩქნარები, ბალახოვანი ფერდობები; განსაკუთრებით უხვად აღინიშნება ნაჩხატებში, ნათესებსა და ნახნავეებში. გამოიყენება ემპირიულ მედიცინაში ჩირქოვანი სიმსივნეებისა და მუწუკების მოსაშუშებლად.

Ornithogalum woronowii Krasch. - ვორონოვის ძაღლნიორა



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მცირე ზომის კვერცხისებრი ბოლქვით. საყვავილე ღერო უფოთლოა, 15-20 სმ სიმაღლის. ფოთლები ხაზურია, 25 სმ-მდე სიგრძისა და 0,7 სმ სიგანის, ქვემოდან თეთრი შუა ზოლით. ყვავილები შეკრებილია

მეჩხერ, თითქმის ფარისებრ ყვავილედად; თანაყვავილები ვიწრო ხა-
ზურია. ყვავილსაფარი ფართოდაა გადაშლილი, თეთრია, გარედან
მწვანე ზოლი ჩასდევს, ფორმით მოგრძო-უკუკვერცხისებრი, თავში
რბილი წვეტით დაბოლოებული. ნაყოფი კვერცხისებრი თავჩაზ-
ნეკილი კოლოფია, საგდულის წიბოები ვიწრო ფრთიანია და წყვილ-
წყვილად დაახლოებული. თესლი შავია, მობრტყო, წვრილი, კვერ-
ცხისებრი ფორმის. ყვავილობს აპრილ-მაისში.

ლიტერატურაში ვხვდებით მითითებებს ძალღნიორას ზოგიერთ სა-
ხეობაში კოლხიციანის ჯგუფის ალკალოიდების, სათითურას (Digita-
lis) გლიკოზიდების ანალოგიური და სხვა შენაერთების არსებობის
შესახებ (დამტკიცებულია, რომ ძალღნიორასაგან მიღებული პრეპა-
რატები ხასიათდებიან გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მიმართ
სათითურას გლიკოზიდების მსგავსი მოქმედებით. კავკასიის მოსახ-
ლეობა ძალღნიორას სახეობების ბოლქვებს საკვებად სხვადასხვა სა-
ხით იყენებდნენ (მწნილი, მოხარშული, შემწვარი). შემწვარ ბოლქვებს
აგრეთვე ხმარობდნენ ჩირქგროვებზე დასადებად; არის ცნობები მათ
მომწამვლელ მოქმედებაზეც.

არის მონაცემები, რომ ამ გვარის წარმომადგენლები შეიცავს სტრო-
ფანტინს და როდექსინს, რის გამოც შესაძლებელია მისი მიღება
გულის უკმარისობის დროს. წარმატებით გამოიყენება ჰომეოპათია-
ში. ხალხურ მედიცინაში მკურნალობენ ათეროსკლეროზის საწყის
სტადიებს, მაგრამ უმთავრესად იყენებენ როგორც ანთების საწი-
ნაადმდეგო, სპაზმოლიტურ და გამაუმტკივნებელ საშუალებად დაჟე-
ჟილობის, ართრიტის, სახსრების ტკივილების, მარილების დანალე-
ქის, რადიკულიტის, ნიკრისის ქარის დროს. გამოიყენება სპირტიანი
ნაყენები ბოლქვის, ყვავილის, ფოთლების, რომლის საშუალებითაც
ახდენენ მტკივანი ადგილების შეხეღვას.

საინტერესო ფაქტები: სახელი *Ornithogalum* წარმოიშვა ორი ბერძ-
ნული წარმოებულისაგან *ornitho* - ჩიტი და *gala* - რძე. ითვლება, რომ
ეს სახელი მიიღო ყვავილების რძისებრ თეთრი შეფერილობის გამო.

Oxalis acetosella L. - ჩვეულებრივი მჟაველა

თუშეთში - უწოდებენ სამყურა მჟავიას; იმერეთში - შაბშაბა, ჯღამანას; გურიაში - ექვსყურაი, უკადრისას; ჭანურად - მტკუი შუკა; სამეგრელოში - სასტის; სვანეთში - მგხიმ პირპლიდს



მრავალწლოვანი, მცირე ზომის ბალახოვანი მცენარეა მჟაველასებრთა (Oxalidaceae) ოჯახიდან. ყველა ფოთოლი ფესვთანურია, გრძელყუნწიანი. საყვავილე ღერძი ერთყვავილიანია. ყვავილი თეთრია ან მოცისფრო, სოსანი ფერის ძარღვებით. ყვავილობს აპრილიდან ივლისამდე. იზრდება

მთის ზედა სარტყლამდე, უმთავრესად გვხვდება წიფლნარებში ფართო ფრაგმენტების სახით.

შეიცავს ვიტამინ C, კალციუმის მჟაუნმჟავას, რის გამოც ფოთლები მომჟავო გემოთი გამოირჩევიან. ფოთლებს აქვთ გამაგრილებელი, სურავანდის საწინააღმდეგო, შარდმდენი და ნალველმდენი მოქმედება. არეგულირებს საკვების მონელებას, სპობს ძმარვას, ანელებს ანთებით პროცესებს და ხელს უწყობს ჩირქგროვებისა და ჩირქოვანი ჭრილობების შეხორცებას. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება სურავანდის, შარდის შეუკავებლობის, თიაქარის სამკურნალოდ. ფოთლები მჟაუნას მსგავსად გამოიყენება საკვებად.

Oxalis corniculata L. – რქიანი მჟაველა



ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ღერო 8-25 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი, ზოგჯერ გართხმული, გრძელტოტებიანი. ფოთლები მორიგეობითია, სამფოთოლაკიანი, ფოთოლაკები უკუგულისებრია, მათი სიგანე სიგრძეს აღემატება, ღრმადაა ამო-

კვეთილი, სქლად ან თხლად შებუსული. საყვავილე ღერო 1-2-3 ყვავილიანია; გვირგვინის ფურცლები ღია ყვითელია. ყვავილობს აპრილიდან სექტემბრამდე. გზადმოყოლილი სარეველაა, იზრდება დაბლობებსა და მთისწინებზე, უმთავრესად რუდერალურ ადგილებში, მდინარის ნაპირებზე, მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ციების, ნაღვლის ბუმბუტის დაავადებისას, აგრეთვე როგორც შარდმდენი და კუჭის გამამაგრებელი საშუალება.

საინტერესო ფაქტები: მჟაველა უძველესო დროიდანაა ცნობილი. უკვე იმ დროიდან იცოდნენ მისი შხამსაწინააღმდეგო და ანტიდეპრესიული მოქმედება, ამასთან ადამიანებს სწამდათ, რომ თუ სახლში გამოზრდიდნენ მჟაველას, მათთვის წარმატება მუდმივად უზრუნველყოფილი იქნებოდა, რომ მარტოხელა ადამიანებს ექნებოდათ შესაძლებლობა, შეხვედროდნენ საყვარელ ადამიანს და დასძლევდნენ მარტოობას, რომ მისი საშუალებით მოიპოვებდნენ სულისა და სხეულის ჰარმონიას. ბევრ ქვეყანაში მჟაველას ზამთრის დღესასწაულებზე ჩუქნიდნენ ახლობლებს ბედნიერებისა და კეთილდღეობის საწინდრის ნიშნად.

<https://ogorodniki.com/catalog/kislitsa-rozhkovaia>

Pachyphragma macrophyllum (Hoffm.) N.Busch. – მსხვილფოთოლასახია

სამეგრელოში უწოდებენ ოღალარის



მიეკუთვნება მონოტიპურ ენდემურ გვარს, წარმოშობით კოლხური, რელიქტური. მრავალწლოვანი ბალახოვანი 20-40 სმ სიმაღლის მცენარეა ჯვაროსანთა (Cruciferae) ოჯახიდან. ფესვთაწერი ფოთლები გრძელყუნწიანია, გულისებრი ან თირკმლისებრი. ყვავილი თეთრია, მრავალყვავილიან წვეროსეულ ყვავილედებად შეკრებილი. ყვავი-

ლობს აპრილიდან ივლისამდე. იზრდება ფართოფოთლოვან დაჩრდილულ ტყეებში მთის ქვედა და შუა სარტყელში. გამოიყენებოდა ხალხურ მედიცინაში.

საინტერესო ფაქტები: მცენარის ლათინური სახელი წამოიქმნა ბერძნული სიტყვებიდან pachys (სქელი) და phragma (ბარიერი, ზღუდე), იმის გამო, რომ მათ ნაყოფებში - ჭოტაკებში ტიხრები ძალიან სქელი და წახნაგოვანია. სამშობლოდ კავკასია და თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ითვლება, საიდანაც ფართოდ გავრცელდა და დღეს დიდ ბრიტანეთშია ნატურალიზებული.

Paeonia caucasica N. Schripcz. – კავკასიური იორდასალამი

იორდასალამს ქართლსა და ქიზიყში უწოდებენ ტყის ყაყაჩოს; კახეთში – გუგულისკაბას; ზემო რაჭაში – გუგულის; ქვემო რაჭაში – ყაყაჩოს; სულხან-საბას მიხედვით იორდასალამები



კავკასიის ენდემური სახეობაა, მრავალწლოვანი ბალახოვანი მსხვილ ფესურიანი მცენარე იორდასალამისებრთა (*Paeoniaceae*) ოჯახიდან. ფოთოლი უხეშია, ამოწეული მთავარი ძარღვებით, ორ-სამჯერ განკვეთილია სამად ფართო ნაკვეთლებად. ყვავილი მუქი ვარდისფერია. ყვავილობს

აპრილ-მაისში. იზრდება მთისწინებიდან მთის შუა სარტყლამდე ტყეებსა და ტყის პირებზე.

Paeonia tenuifolia L. - ველის იორდასალამი



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთოლი მრავალჯერადაა განკვეთილი ვიწრო ხაზურ ნაკვეთებად. ყვავილი მეწამული ფერისაა ან მუქი წითელი, გვირგვინის ფურცლები ოვალურია. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება ველებზე, ძეძვიანებში. გავ-

რცელებულია ქართლსა და ქიზიყში.

საქართველოში გავრცელებული გვარი იორდასალამის სახეობები ფარმაცოლოგიური თვალსაზრისით არ არის შესწავლილი, თუმცა გამონაკლისია მსოფლიოს სხვა კუთხეებში მოზარდი ამავე გვარის ერთ-ერთი სახეობა *Paeonia anomala* L., რომელიც ფართოდაა დანერ-

გილი ფარმაკოპეაში. მისი პრეპარატები ხასიათდება დამამშვიდებელი, კრუნჩხვების, ანთების საწინააღმდეგო, ბაქტერიციდული, გამაუმტკივნეული და მატონიზირებელი თვისებებით. გამოიყენება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების, სისხლდენების, ხველების, უძილობის, ეროზიების, ჰიპერტონიის სამკურნალოდ; აღმოსავლეთის მკურნალები წარმატებით იყენებდნენ სურავანდის, ხველების, ციებ-ცხელების, ნიკრისის ქარის სამკურნალოდ; გარეგანად: კანის ტუბერკულოზისა და ეროზიის, ყურის ჩირქოვანი დაავადებებისას. პრეპარატის რეგულარული გამოყენება აწესრიგებს გულ-სისხლძარღვთა და შარდსასქესო სისტემის მოქმედებას

საინტერესო ფაქტები: გვარის სახელი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან "paionios"- სამკურნალო, საექიმო. ძველ საბერძნეთში პეონს სიცოცხლის ხანგრძლივობის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ. უძველეს დროში მისი ფესურა ითვლებოდა სასწაულმოქმედად, რომელსაც შეეძლო ბოროტი სულების განდევნა, აკვიატებების, კრუნჩხვების მოხსნა. ამ მიზნით, ფესურების ნაწილს ძაფზე ასხმულს მძივების მსგავსად კისერზე ატარებდნენ.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში პეონზე შექმნილია ლეგენდები. მართალია, ისინი ასოცირდება არა იმდენად დეკორატიულ, რამდენადაც მცენარის სამკურნალო თვისებებთან.

ძველი ბერძნული ლეგენდა ამ ყვავილს უკავშირებს ექიმ პეონის სახელს, რომელმაც განკურნა ჰერკულესის მიერ მიყენებული ჭრილობებისგან ქვესკნელის სამეფოს ღმერთი პლუტონი. ექიმის შესაძლებლობები ადამიანების განკურნებასთან დაკავშირებით აღემატებოდა მისი მასწავლებლის - მედიცინის ღმერთის ესკულაპის უნარს, რის გამოც შურმა იმდენად ძლიერად შეიპყრო ის, რომ მისი მოწამლვა გადაწყვიტა. პეონმა მასწავლებლის შურისძიებისგან თავის ასარიდებლად ღმერთებს დასახმარებლად მიმართა, რომლებმაც შეიცოდეს მკურნალი და ყვავილად აქციეს.

სხვა თქმულების თანახმად მისი სახელი მომდინარეობს ფრაკის ადგილიდან - პეონია, სადაც დიდი რაოდენობით იზრდებოდა ეს მცენარე.

ჩინელებს მრავალი ლამაზი თქმულება და ლეგენდა აქვთ შექმნილი იორდასალამზე. ერთ-ერთი მათგანი ეძღვნება ამ ყვავილებისადმი თავდადებულ მებალეს, რომელმაც შექმნა წარმოუდგენელი სილამაზის ჯიშები. ბუნებრივია, გამოჩნდა კაცი, რომელმაც ამ ყველაფრის განადგურება გადაწყვიტა, განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ ის პრინცი აღმოჩნდა. მტირალი მებალე სიმწრით აკვირდებოდა, თუ როგორ გლეჯდა და ფეხით ტკეპნიდა ბოროტი ნაძირალა მის საუნჯეს, მაგრამ შემდეგ თავი ველარ შეიკავა და ჯოხით დაუწყო ცემა. საბედნიეროდ ამ დროს გამოჩნდა პეონის ფერია, რომელმაც ჯადოქრობით აღადგინა ყველაფერი რაც გაფუჭდა და კიდევ ბევრი დაამატა, რაც იქ არ იყო.

გამწარებულმა უფლისწულმა მებალის სიკვდილით დასჯა და ბალის განადგურება ბრძანა, მაგრამ პიონები გოგონებად გადაიქცნენ და ხელები მოუქნიეს მზრძანებელს. ისინი იმდენად ბევრნი იყვნენ, რომ გაუწონასწორებელი პიონის მოძულე წარმოქმნილმა ქარის მსგავსმა ტალღამ გაიტაცა და სასიკვდილოდ დაშავდა. გახარებულმა ადამიანებმა გაათავისუფლეს მებალე, მან კიდევ დიდხანს იცოცხლა და განაგრძო თავისი საყვარელი საქმე.

ჩინეთში იორდასალამი სიმდიდრის, დიდგვაროვნობის, კეთილდღეობის სიმბოლოს წარმოადგენს და მეგობრებს უძღვნიან კეთილი სურვილების ნიშნად. ჩინურ ზღაპრებში, თუ გმირი აღწევდა სიმდიდრისა და ძლიერების მწვერვალს, აუცილებლად თავის ბაღში რგავდა ამ მცენარეს, რომლებიც დღის განმავლობაში ოთხჯერ იცვლიდნენ ფერს. როგორც დეკორატიული მცენარე ჩინეთში კულტივირებულია 1500 წელი და ითვლება საყვარელ ეროვნულ ყვავილად, ისევე როგორც ქრიზანთემა იაპონიაში და ვარდი ევროპელებში.

<http://www.florets.ru/legendy-o-tsvetah/legendy-o-pione.html>

Papaver rhoeas L. - თვითნათესი ყაყაჩო



ერთწლოვანი ევემერული ბალახოვანი მცენარეა. ღერო 25-60 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი, მეტწილად მეჩხერ რბილ ჯაგრისებრ ბეწვებიანი. ფოთლები ფრთისებრ განკვეთილია, მომწვანო - ლეგა, კიდემთლიანი ან ბასრი მეჩხერი კბილებით, მოგრძო

ლანცეტა, კენწრული სეგმენტი ჯაგრისით ბოლოვდება. გვირგვინის ფურცლები მეწამულია, იშვიათად ვარდისფერი, ძირთან დიდი ზომის სოლისებრი შავი ლაქით. ყვავილობს აპრილ-ივნისში. იზრდება მშრალ ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში. ამრავლებენ როგორც დეკორატიულ მცენარეს. ყვავილები ხასიათდება დამამშვიდებელი მოქმედებით.

საინტერესო ფაქტები: ყაყაჩო - ნაყოფიერების, თავდავიწყების, უსაქმურობის სიმბოლოა.

მითოპოეტური სახე - ძილისა და სიკვდილის ნიშანი, აყვავებული კი უპრეცედენტო სილამაზის, ასევე დაუმქვანარი ახალგაზრდობისა და ქალური მომხიბვლელობის. ხალხურ პოეზიაში ყაყაჩო ცნობილია როგორც ნიშანი მოკლე დროის ბედნიერების.

რამდენიმე ლეგენდა არსებობს მის შესახებ. როდესაც მამა ღმერთმა შექმნა დედამიწა, ცხოველები და მცენარეები, ყველა ბედნიერი იყო, ღამის გარდა. ძალიან ცდილობდა ის, რომ ვარსკვლავების მეშვეობით გაეფანტა ეს ღრმა სიბნელე, რომელიც ბუნების უამრავ სილამაზეს მალავდა და ყველას მისგან იცილებდა. მაშინ ღმერთმა შექმნა სიზმარი, ზმანება, ოცნება და ღამესთან ერთად ისინი სასურველი სტუმრები გახდნენ.

დროთა განმავლობაში ადამიანებში ვნებებმა გაიღვიძა, ერთ-ერთმა მათგანმა ძმის მოკვლავ კი დაგვემა. სიზმარს სურდა მისი შეჩერება,

მაგრამ კაცის ცოდვებმა ხელი შეუშალა მასთან მიახლოებას. მაშინ განრისხებულმა სიზმარმა თავის ჯადოსნური კვერთხი მიწაში ჩაარჭო, ხოლო ღამემ მას სიცოცხლე ჩაუსახა. კვერთხმა ფესვები გამოიტანა, გამწვანდა და ძილის გამომწვევი ძალა შეინარჩუნა, ყაყაჩოდ გადაიქცა.

ყაყაჩოს უწოდებდნენ "ბრმა დარტყმას", ვინაიდან ყაყაჩოს კაშკაშა წითელი ფერი დამაბრმაველად მოქმედებს და "სუსტ თავს", რადგან მისი ყვავილების სურნელი თავის ტკივილს იწვევს. ეს ყვავილი ჰიპნოზის ატრიბუტია. მას გამოსახავდნენ მწოლარე ან მჯდომარე ჭაბუკის ან ჩამოშლილ ფრთიანი ანგელოზის სახით, რომლებსაც ხელში ყაყაჩოს კოლოფები ეკავათ, ზოგჯერ კი თავზე ყაყაჩოს კოლოფების გვირგვინით იყვნენ შემკობილნი.

<http://www.florets.ru/legendy-o-tsvetah/mak.html>

Paris incompleta Bieb. - ხარისთვალა

იმერეთში უწოდებენ ბორბოლა, ბორბალას



ტრილიასებრთა (Trilliaceae) ოჯახის რელიქტური სახეობაა ირადიაციებით. მრავალწლოვანი, გრძელფესურიანი ბალახოვანი მცენარეა 15-20 სმ სიმაღლის ღეროთი და რგოლურად განლაგებული, მოგრძო-ოვალური, სამძარღვიანი, ძირისკენ შევიწროვებული და ბოლოწაწვეტებული

ფოთლებით. ყვავილი ერთია, კენწრული, ორსქესიანი; ყვავილსაფარი შედგება 4 მომწვანო ფერის ფოთლისაგან. ნაყოფი ლეგა-მოშავო, მრავალთესლიანი კენკრაა. ყვავილობს აპრილში. იზრდება ტყის მთელ სარტყელში 2000 მ სიმაღლემდე, უმთავრესად წიფლნარებსა და წაბლნარებში.

მცენარე ხასიათდება უსიამოვნო სუნით, იწვევს თავის ტკივილს. მასში აღმოჩენილია გლიკოზიდები პარიდინი და პარისტიფინი. ისინი იწვევენ ტოქსიკურ მოქმედებას გულზე (ისეთივეს როგორც სათითურა), ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე (ნარკოტიკული მოქმედება) და უმთავრესად კუჭ-ნაწლავის ლორწოვან გარსზე (ადგილობრივ საპონინის მსგავსი მოქმედება) რაც ამ ბოლო შემთხვევაში იწვევს ტკივილებს, გულის რევას და ფაღარათს. რუსულ ხალხურ მედიცინაში ნაყენს მცირე დოზებით დებულობენ ფილტვების ტუბერკულოზის, ნერვული დაავადებების, ნერვული კანკალისას; ფოთლებისა და ნაყოფების ნახარშს იყენებენ ასევე ნევრალგიის, ლარინგიტის, ბრონქიტის, შაკიკის, მოთენთილობის, ფსიქიური მოშლილობის, გაძლიერებული გულისცემის, სმენის მოშლილობისას და თვალის დაავადებებისას.

სადღეისოდ მცენარე გამოიყენება მხოლოდ ჰომეოპათიაში თვალის დაავადებისა და სხვა სულიერი აშლილობისას. მცენარე რეკომენდირებულია ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედების შესასწავლად. ხარისთვალას გამოყენებისას მისი ტოქსიკურობის გამო დიდი სიფრთხილეა საჭირო, ვინაიდან კუჭის აშლილობის, კრუნჩხვების გარდა იწვევს დამბლასაც.

საინტერესო ფაქტები: მცენარეს ლათინური სახელი *paris* ეწოდა ტროას მეფის შვილის პარსის საპატივცემულოდ. მის შესახებ ლამაზი ლეგენდა არსებობს. უღრან ტყეში ცხოვრობდა მოხუცი გრძნეული. მის გვერდით უძველესი მუხის ფულუროში დაბუდდა ყორანი. ის ასწავლიდა ფრინველს, თუ როგორ უნდა აერიდებინა თავი ადამიანებისაგან და დააჯილდოვა მომავლის წინასწარმეტყველების უნარით. გარდაიცვალა გრძნეული, ყორნის მეგობარი. ეხლაც მწარედ გლოვობს ყორანი ძვირფას დანაკარგს. დღისით, მარტოხელა ყორანი, ტყეში ფრენისას, ფრინველთა ენაზე წინასწარმეტყველებს მომავალს, ხოლო ღამით ღვრის მსხვილ ცრემლებს თავის კეთილი მენტორის მოსაგონებლად. ხოლო ყოველ გაზაფხულზე ცრემლებიდან წარმოიქ-

მნება ხარისთვალას ყვავილები შავი, მრგვალი თვალისებრი ნაყოფებით, რომელსაც ხალხში „ყორნის თვალს“ უწოდებენ.

<https://kamine-store.ru/voronii-glaz-i-legenda-o-vorone.html>

Peganum harmala L. - მარიამსაკმელა

მესხეთში უწოდებენ უზალუგი, უხალიკი, გუზალიკის



მარიამსაკმელასებრთა (Peganaceae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 20-65 სმ სიმაღლისაა, მრავალი, ძლიერ დატოტვილი, გაფარჩხული, სწორი ან წამოწეული. ფოთლები განკვეთილია ხაზური ფორმის წაწვეტებულ ნაკვეთბად; თანაფო-

თლები პატარაა, სადგისისებრი. ყვავილები 1-3, ტოტების კენწეროებზეა განწყობილი. გვირგვინის ფურცლები მოგრძოა, მკრთალი ყვითელი ან კაშკაშა ყვითელი ფერის. ყვავილობს მაის-ივნისში. იზრდება მშრალ ფერდობებზე.

სამკურნალოდ გამოიყენება ბალახი (შეგროვილი ყვავილობის დასაწყისში), თესლები და ფესვები. შეიცავს ალკალოიდებს: გარმალინს, გარმალოლს, გარმინს, პეგანინს, ცხიმზეთებს, ორგანულ მჟავებს, სტეროიდებს, პროტეინებს, საპონინებს, კაროტინოიდებს, მაკრო და მიკროელემენტებს. - მისი პრეპარატები ხასიათდება ანტიოქსიდანტური, ანტიმუტაგენური, ანტისიმსივნური, ანტიჰელმინტური, ანტიბაქტერიული, ანტიპროტოზოული, ანტისპაზმური, ტკივილ-გამაყუჩებელი, ანთების და პირღებინების საწინააღმდეგო, ძილისმომგვრელი, შარდმდენი და ოფლმდენი მოქმედებით. ბალახის ნახარშები და ნაყენები გამოიყენება შინაგანად გაციების, ათაშანგის, მალარიის, ნევრასტენიის, ეპილეპსიის სამკურნალოდ. პირის გამორეცხვის სა-

ხით ღრძილების დაავადებებისას, აბაზანები - რევმატიზმის, მუნისა და კანის სხვა ავადმყოფობებისას.

ბალახი მოქმედებს თავის ტვინის გარსის მამოძრავებელ ცენტრებზე, რის გამოც იყენებენ არტერიალური წნევის ასამაღლებლად, ნაწლავების, საშვილოსნოს მუსკულატურის მოსადუნებლად, პერიფერიული სისხლძარღვების გასაფართოებლად; ხელს უწყობს დამაბულობის მოხსნას, სწრაფ და თავისუფალ მოძრაობას, გამოიყენება პარკინსონისა და დამბლის საწინააღმდეგოდ. თესლებს იყენებენ როგორც ანტისეპტიკურ საშუალებას.

საინტერესო ფაქტები: გვარის ლათინური სახელი Peganum ემყარება ძველ ბერძნულ თანხმოდან სიტყვა "რუტა"-ს, რომელიც მცენარეს უწოდეს. რაც იმასთან იყო დაკავშირებული, რომ მარიამსაკმელას თესლებს იყენებდნენ რელიგიურ რიტუალებში და მას ურევდნენ მცენარე რუტას (ტეგანი) ფოთლებსა და თესლებს, როგორც ჩანს, სუნის გასაუმჯობესებლად და ფსიქოტროპული ეფექტის გასამდიერებლად. ისტორია ადასტურებს, რომ მცენარემ გადაარჩინა ხალხი დაავადების გამომწვევი ვირუსებისგან, მათ შორის საშინელი ჭირისა და სხვა ინფექციური სატანჯველისგან, რომელიც პერიოდულად იგზავნებოდა ადამიანის საზოგადოებაში ბოროტი სულების მიერ.

<https://www.asienda.ru/plants/garmala-ili-mogilnik/>

P. S. საინტერესოა, როგორ იმოქმედებს ეს მცენარე XXI - საუკუნის “შავ ჭირთან“, ე.წ. „კორონა ვირუსთან“? რომლითაც მსოფლიოში ას მილიონზე მეტი ადამიანი დაავადდა, მილიონზე მეტი კი გარდაიცვალა.

Petasites albus (L.) Gaertn. - თეთრი ბუერა

საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი: ქართლ-კახეთში - ბორხვენა; ფშავში - ბუერას დედა; ხევსურეთში - ბუერა; ზემო იმერეთში - ფურღველა, ბურღველა; გურიაში - ბურღავაი, ბულღავაი, ლეშხი; ქვემო იმერეთში, ლეჩხუმსა და რაჭაში - ბულღავა, ბულღვა; ზემო რაჭაში - დილმა, დიმელა, ყარდიმელა, მელაკუდა; აჭარაში - ბულლო, ბარამბო; სამეგრელოში - ბული, ბურლი; სვანეთში - ბირღვ, ბურღლუ, მუკურთხი



რთულყვავილოვანთა (Compositae) ოჯახის მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარეა თანაბრად გამსხვილებული ფესურით. ფესვთანური ფოთლები მომრგვალო გულისებრია ან ფართო კვერცხისებრი, კიდეებზე არათანაბრად დაკბილული. ყვავილები თეთ-

რია. ყვავილობს მარტიდან ივნისამდე. იზრდება ტყის მთელ სარტყელში, მდინარეთა ხეობებში, ტენიან ადგილსამყოფელებში.

სამკურნალოდ ფოთლები და ფესვები გამოიყენება. მისი პრეპარატები ხასიათდება სპაზმოლიტური მოქმედებით. ხალხურ მედიცინაში ფოთლების ნახარში იხმარება როგორც ამოსახველებელი საშუალება მშრალი ხველებისას. ნედლი ფოთლები და ფესვები გარეგანად - ჭრილობებისა და წყლულების მოსაშუშებლად.

საინტერესო ფაქტები: გვარის ლათინური სახელი **Petasites** ბერძნული სიტყვიდან πέτασις მოდის, რაც ნიშნავს "ფართოფარფლებიან ქუდს". მცენარე ამ სახელით გვხვდება დიოსკორიდის ნაშრომში "სამკურნალო ნივთიერებების შესახებ" (*De materia medica*, ახ.წ.ად. I საუკუნე).

ბუერა ერთ-ერთი იყო Rosicrucian (როზენკრეიციერის) ორდენის თორმეტი წმინდა მცენარედან. ორდენის წევრები თვლიდნენ, რომ თითო-

ეული ეს მცენარე ასოცირდება ზოდიაქოს ამა თუ იმ ნიშანთან. მათი აზრით, ბუერასათვის ასეთი ნიშანი იყო კირჩხიბი.

<https://vlab.wikia.org/ru/wiki/Белокопытник>

Petasites georgicus Manden. - ქართული ბუერა



კავკასიის ენდემური სახეობაა, მრავალწლოვანი ბალახოვანი, მსხვილფესურიანი მცენარე 20-30 სმ სიმაღლის საყვავილე ღეროთი. ფოთლები დიდი ზომისაა, როზეტისეული, ვითარდება დაყვავილების შემდეგ, ფორმით ფართო კვერცხისებრიდან თირკმლისებრ-გულისებრამდე.

ენისებრი ყვავილები მოყვითალო ფერისაა; კალათები კონუსურია, შეკრებილია პირამიდულ-საგველასებრ ყვავილედებად. ყვ. აპრილ-მაისში. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყელში, ნესტიან ხეობებში, მდინარისპირებზე, ჩამონაზვავებზე.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ბუერას ძირები და ფოთლები გამოიყენება ჩირქოვანი სიმსივნეების საწინააღმდეგოდ, მშრალი ხველების დროს, როგორც ამოსახველებელი საშუალება. ხასიათდება სპაზმოლიტური და ჭრილობების შემახორცებელი მოქმედებით.

Petrorhagia saxifraga (L.) Link. (*Tunica saxifraga* (L.) Scop.) - ციმცობა



მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა მიხაკისებრთა (Caryophyllaceae) ოჯახიდან. ღერო 10-35სმ სიმაღლისაა, მრავალი, მეტწილად დატოტვილი, წამოწეული. ფოთლები ვიწროხაზურია, თავწაწვეტებული, ძირში გაფართოებული და ვიწრო სიფრიფანა არშიით მოვლებული,

ფოთლების უმეტესობა ღეროს ძირშია თავმოყრილი. ყვავილები ტოტების ბოლოებშია თითო-თითოდაა განლაგებული და მეჩხერ ყვავილედად შეკრებილი. გვირგვინის ფურცლები თეთრია, ხშირად ქვემოდან ვარდისფერი. ყვავილობს აპრილიდან ივნისამდე. იზრდება მშრალ, ღორღიან ფერდობებზე, ბუჩქნარებში მთის ქვედა სარტყელიდან ალპურ სარტყლამდე. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება როგორც შარდმდენი საშუალება.

Phlomis pungens Willd. - მხლეტავი ჯინჯარა

მესხეთში პირბამბას უწოდებენ



მრავალწლოვანი, მოკლე ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა ტუჩოსანთა (Labiatae) ოჯახიდან. ღერო 30-60 სმ-მდე სიმაღლისაა, სწორმდგომი, მარტივი ან გაფარჩხულდატოტვილი. ქვედა ფოთლები მოგრძო-ლანცეტაა, ნაპირებზე მრგვალკბილა, გრძელყუნწიანი; ღეროსეული ფოთლები ლანცეტაა, მოკლეყუნწიანი, ყველა მათგანი ქვემოდან მოთეთროა.

ყვავილები ფოთლების ილღიებში რგოლებადაა განლაგებული, ყვავილთა რგოლები 3-10 ყვავილიანია, დაშორიშორებული; გვირგვინი მოწითალო იისფერი ან ლილისფერია. ყვავილობს მაისში. იზრდება მშრალ ადგილებში, ბუჩქნარებში, მთის ქვედა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე. მცენარის მიწისზედა ნაწილი შეიცავს ეთერზეთებს, ფლავონოიდებს, ფენოლურ და უმადლეს ცხიმოვან მჟავებს, ალკალოიდებს, სტეროიდებს, პოლისახარიდებს, ვიტამინებს - B2 , C, E, K. ხასიათდება შემკვრელი, ჭრილობების შემახორცებელი, კოაგულიანტური, დიურეზული მოქმედებით. ოფიცინალურ მედიცინაში გამოიყენება გასტრიტის, კუჭის წყლულოვანი დაავადების, პნევმონიის, ბრონქიტის, რესპირატორული დაავადებების, ჰიპერტენზიის, შეშუპების სამკურნალოდ. ხალხურ მედიცინაში მცენარეს იყენებენ კუჭის დაავადებებისა და სისხლნაკულოობისას.

Phlomis tuberosa L. – ბოლქვიანი ჯინჯარა



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ტუბერისებ გამსხვილებული თასმისებრი ფესვებით. ღერო 50-100 სმ-მდე სიმაღლისაა, სწორმდგომი, მარტივი ან დატოტვილი. ქვედა ფოთლები სამკუთხა-გულისებრია,

კიდემრგვალკბილა, გრძელყუნწიანი; ღეროსეული - კვერცხისებრ-ლანცეტაა, ძირში გული-

სებრი, მოკლყუნწიანი. ყვავილები მრავალყვავილიან ჩხროებადაა შეკრებილი. გვირგვინი მოვარდისფრო - სოსანია. ყვავილობს მაის-ივნისში. იზრდება ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებს შორის, მთის ქვედა და შუა სარტყელში.

მცენარის მიწისზედა ნაწილი ყვავილობის ფაზაში შეიცავს ლიმონის სურნელის ეთერზეთებს, აზოტის შემცველ შენაერთებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფლავონოიდებს, კაროტინოიდებს, ნახშირწყლებს, სტეროიდებს, კუმარინებს, საპონინებს, ფენოლურ და ცხიმოვან მჟავებს, ვიტამინ C. ხასიათდება ჭრილობების შემახორცებელი, ჰემოსტატიკური, ჰეპატოპროტექტორული, ანტიბაქტერიალური, ანტისეპტიკური და ანტიტრიქომონადური მოქმედებით. გამოიყენება ტუბერკულოზის, დიარეის, კუჭის ქრონიკული წყლულის, რესპირატორული ინფექციების, ნაწოლების, ართრიტის, თავის ტკივილის სამკურნალოდ. ხალხურ მედიცინაში იყენებენ საკვებმომწელებელი ტრაქტის დაავადებების, ბრონქიტის, პნევმონიის, ფილტვების ტუბერკულოზის, გინეკოლოგიური ავადმყოფობის დროს.

Physalis alkekengi L. - ონტკოფა

საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი: ქართლში - ონთქოფა; კახეთში - დუდღუბო, დუდგუბო, დუდღუბელა; ფშავში - დუდღუბა, დღუბდღუბა; რაჭა-ლეჩხუმში - ბაბუშტელა; გურიაში - კატაყვერა, ოტყაჩუა; საინგილოში - ზაღლი ზივ; აჭარაში - სატკაჩუნა; ზემო რაჭაში - ონტკოფილა, ოტკოფილა; სამეგრელოში - ტყვატყვაცია, ყუაში მაპაშქინია; სვანეთში - ჟგნტი



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ძალყურძენასებრთა (Solanaceae) ოჯახიდან. ინვითარებს მხოხავ, გახევებულ მიწისქვეშა ყლორტებს. ღერო 20-60 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფოთლები ყუნწიანია, კვერცხისებრი ფორმის, თავწაწვეტებული, ოდნავ კიდეამოკვეთილ-დაკბილული, თითქმის კიდე-მთლიანი. ყვავილები მარტოულია, ყუნწიანი, ილლიუ-

რი. ნაყოფობისას ძლიერ დიდდება, კაშკაშა წითელი ფერისაა, გვირგვინი ბორბლისებრია, ხუთკუთხა, თეთრი; ჯამი ხუთნაკვთიანია, ყვავილობის დროს ზარისებრი, ნაყოფობისას კი სფერული ბუმბუტითაა გაბერილი და კაშკაშა წითელი ხდება. ყვავილობს მაისიდან სექტემბრამდე. იზრდება მთის შუა სარტყლამდე ბუჩქნარებში, ტენიან და დაჩრდილულ ადგილებში და როგორც სარეველა ნათესებსა და ბოსტნებში.

მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს მრავალრიცხოვან ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს; ნაყოფები - ნახშირწყლებს, შაქარს, პექტინებს, ორგანულ მჟავებს, კაროტინოიდებს, ასკორბინის მჟავას, მთრიმლავ ნივთიერებებს, მიკრო და მაკროელემენტებს; ფოთლებში აღინიშნება - კაროტინოიდები, ეთერზეთები, სტეროიდები, ფენოლკარბონული მჟავები, ფლავონოიდები. ფესვებში - ალკალოიდები, თესვებში - ცხიმოვანი ზეთები.

ონტკოფას ნაყოფები ხასიათდება ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო, სისხლის შემაჩერებელი, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი, ნალველმდენი მოქმედებით. ნედლ ნაყოფებს და მათ წვენს ხმარობენ სასუნთქი გზების დაავადებების, ჰიპერტონიის, დერმატოზების, დიზენტერიის სამკურნალოდ. ნაყოფების წყლის ნაყენი გამოიყენება ცისტიტის, შარდკენჭოვანი დაავადებების, ჰეპატიტის, ბრონქიტის, შეშუპების, ასციტის, ნიკრისის ქარის, რევმატიზმის დროს. ფესვების ნახარშს იყენებენ ხველების საწინააღმდეგოდ და ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად. მშრალი ფოთლების ჩაი სასარგებლოა ჰიპერტონიის დროს.

საინტერესო ფაქტები: Physalis - ჩინური ფანარი. დიდი ხნის წინათ, უზარმაზარმა დრაკონმა მზე გადაყლაპა. ამის გამო მთელი სამყარო დაბნელდა. დედამიწაზე ყველა ცოცხალი არსება იღუპებოდა, მაგრამ გამოჩნდა მამაცი ვაჟკაცი, რომელმაც გადაწყვიტა რაც არ უნდა დასჯდომოდა, დაეძლია საშინელი დრაკონი და დაებრუნებინა სინათლე ქვეყნისთვის და გაეშურა ურჩხულის სამებნელად, თან გაიყოლა მხო-

ლოდ პატარა ფარანი. გაბედულმა ახალგაზრდამ მიაგნო დრაკონს და სასტიკ ბრძოლაში დაამარცხა. დრაკონი განადგურდა და მზე ცას დაუბრუნდა. ხოლო სინათლე, რომელსაც მზე ასხივებდა თავისუფლების პირველ წუთებში იმდენად კაშკაშა იყო რომ მამაცმა გმირმა ხელის გული თვალებზე მიიფარა, რა დროსაც ფარანი მიწაზე დავარდა. დაცემული ფარანი არ დაიმსხვრა, უცვლელი დარჩა და გადაიქცა ერთ ყუნწზე ჩამოკიდებულ კაშკაშა წითელი ფერის ფარნის მსგავს ყვავილად. ამგვარად, უძველესი ლეგენდის თანახმად, ქვეყნად ასე გაჩნდა ონტოკოვა.

<https://moyarozochka.livejournal.com/295015.html>

Phytolacca americana L. - ჭიაფერა

კახეთში უწოდებენ იმერულ საფერავს, საფერავს; გურია-იმერეთში ფერა-ფერას; ლეჩხუმში - მეფერვიეს; რაჭაში - ფერუას; აჭარაში - ჭყურტას; სამეგრელოში - ჯამფეზია, ჯაფეზია, ჯაფაზიას; სვანეთში - ჯამფეზს



ჭიაფერასებრთა (Phytolaccaceae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 1-2 მ სიმაღლისაა, შიშველი, მეტწილად მოწითალო, სწორმდგომი. ფოთლები დიდი ზომისაა, მოკლეყუნწიანი, კვერცხისებრი ან კვერცხისებრ-ლანცეტა. ყვავილები პატრა ზომისაა, მოკლეყუნწიანი და მოგრძო მტევნად შეკრებილი. ყვავილსაფრის ფო-

თლები თეთრია, თავმომრგვალებული. ნაყოფი სფერული, 10-წიბოიანი მოშავო-იისფერი წვნიანი კენკრაა. ყვავილობს მაის-ივნისში. გზადმოყოლილია ჩრდილო ამერიკიდან. მცენარის ყველა ნაწილი ხასიათდება სასაქმებელი მოქმედებით, ხოლო ფესვები ანტირევმა-

ტიულია. იხმარება ათამანგისა და სურავანდის საწინააღმდეგოდ. არის მონაცემები მცენარის ნაყენის გამოყენების შესახებ სიმსივნური დაავადებებისას, ანელეზს მათ გამრავლებას. ეფექტურია ასევე წყლულოვანი დაავადებების, თირკმელების ანთების დროს. ფოთლების ნაყენს იყენებენ პირის ღრუსა და ყელის გამოსავლებად გაციების, გრიპის, სტომატიტის შემთხვევაში.

საინტერესო ფაქტები: მცენარის ლათინური სახელი *Phytolacca* ნიშნავს „წითელ წვეს“. ხალხში ცნობილია „იუდას სუროს“, „ცხიმიანი ბალახის“ სახელით.

<https://xcook.info/product/lakonos.html>

***Plantago lanceolata* L. - ლანცეტა მრავალძარღვა**

ქართლში უწოდებენ ძაღლის-ენას; კახეთში - ეშმაკის სარკე, შვინდისძირას; ქიზიყში - ეშმაკის კიბე, საზუზელას; ერწოში - მამალი ცხრადარღვას; აჭარაში - დაკოდისა; ჭანეთში - კატუიშ ნენას; სვანეთში - ჟაღვი ნინს



მრავალძარღვასებრთა (*Plantaginaceae*) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი ფუნჯაფესვიანი მცენარეა. საყვავილე ღერო 10-30 სმ-მდე სიმაღლისაა, სიგრძეზე ვიწროლარებიანი, წამოწეული ან სწორმდგომი. ფოთლები ფესვთანურ როზეტებადაა შეკრებილი, ელიფსურ-ლანცეტა, ლანცეტა ან თითქმის ხაზურ-ლანცეტაა, 3-5(7)-მარღვიანი, ორივე

ბოლოზე თანდათან შევიწროებული, მეტ-ნაკლებად მახვილწვერიანი. ყვავილები შეკრებილია ხშირ, მოგრძო კვერცხისებრ, ცილინდრულ ან კონუსურ თავთავებად. გვირგვინი შიშველია,

მოყვითალო, მოთეთრო ან მოყავისფრო, კვერცხისებრ ლანცეტა. ყვავილობს აპრილ-ივნისში. იზრდება მთის შუა სარტყლამდე, მდელოებსა და ტყის პირა მონაკვეთებზე, გზის პირებზე, ნაჩხატებში. ფოთლები გამოიყენება ხალხურ და ოფიცინალურ მედიცინაში, სასუნთქი გზების დაავადებებისა და გაციების დროს, ჭრილობების შესახორციებლად.

Plantago major L. - დიდი მრავალძარღვა

ქართლ-კახეთსა და მესხეთ-ჯავახეთში ეძახიან ლავაძარღვას; ხევში, მთიულეთში, ფშავ-ხევსურეთში - მოგზაურას; ქვემო იმერეთში - ბამბაძარღვას; გურიაში - ძარღვა-ძარღვას; აჭარაში - ბერა-ძარღვას; საინგილოში - საჰყიზი ფოთოლს; ჭანეთში - ბალაზალი, შქვითდამაის; სამეგრელოში - მაჯარღვია, მაჯარღვილაიას; სვანეთში - მგძარღვოოლ, მუხვტელ, მაჯარღოლ, შვარაშბალე, მუდრუწას



მრავალწლოვანი ბალახოვანი ფუნჯაფესვიანი მცენარეა. საყვავილე ღერო 15-40 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი ან ოდნავ წამოწეული. ფოთლები დიდი ზომისაა, ძარღვიანი. თავთავები ვიწრო ცილინდრულია. ყვავილები ყვავილედის მთელ სიგრძეზეა დაშორიშორებული. გვირგვინი მომურო ფერისაა, შიშველი, კვერცხისებრი ან კვერცხისებრ-

ლანცეტა. ყვავილობს მაის-ივნისში. იზრდება მთის შუა სარტყლამდე, მდელოებზე, მდინარეთა ნაპირებზე, ნაგუბრებში, გზის პირებსა და რუდერალურ ადგილებში. გამოიყენება ოფიცინალურ და ხალხურ მედიცინაში. ხასიათდება სისხლდენის შემაჩერებელი,

ამოსახველებელი, ჰიპოტონური და წყლულების საწინააღმდეგო მოქმედებით.

საინტერესო ფაქტები: ლეგენდა ვარსკვლავისებრ ყვავილებიან, გზის პირებზე მოზარდ მრავალმარღვაზეც არსებობს, რომელიც - თითქოს-და ეძებს ადამიანთა საზოგადოებას. ძველი გერმანელები მას *Wege-warte-l*, ანუ საგზაო დარაჯს ეძახდნენ. ამ სახელშია დამალული მისი წარმოშობის ისტორია. ამბობენ, რომ ერთ ღამეს ახალგაზრდა გოგონამ დატოვა სოფელი და ტყისკენ მიმავალ გზას გაუყვა თავის შეყვარებულთან შესახვედრად, მაგრამ მისი მიჯნური პაემანზე არ მივიდა. მთელი ღამე გოგონა მასზე ოცნებობდა და აყურადებდა იმ იმედით, რომ მისი ნაბიჯების ხმას გაიგონებდა, მაგრამ მას მხოლოდ ბუების გამოძახილი და ქარის ოხვრა ესმოდა. როდესაც გოგონა მიხვდა, რომ იმან, ვინც სიცოცხლეზე მეტად უყვარდა მიატოვა, გზის პირას წამოწვა, დილით კი სიცოცხლეს გამოესალმა. მზე ამოვიდა, გოგონას სხეულის ირგვლივ მწვანე აღმონაცენი წარმოიქმნა. შუადღისთვის ქალწულის თმის კულულებზე მკრთალი ყვავილები გაჩნდა. საღამოსთვის მისი სხეული გაქრა და წვრილი ყვავილების მასად გადაიქცა. ეს მცენარეები კვლავ იზრდებიან გზის გასწვრივ და ელოდებიან საყვარელი ადამიანის მისვლას, რომელიც არასდროს მივა მათთან.

<https://ru-mythology.livejournal.com/77081.html>

Polygonatum glaberrimum C.Koch. - შიშველი სვინტრი

სვინტრს თუშეთში ეძახიანდათვჟოლას; სამეგრელოში - მარიალეს; სვანეთში - ჭისლადს

კავკასიის ენდემია. შროშანასებრთა (Convallariaceae) ოჯახის მრავალწლოვანი, მსხვილფესურიანი ბალახოვანი მცენარეა, 30-60 სმ სიმაღლის დაღარული ღეროთი. ფოთოლი ფართო ოვალურია, წაწვეტებული, შიშველი, ქვემოდან ლეგა, მოკლე ყუნწიანი, რომელთა უბეებში დიდი ზომის (1-3) თეთრი ყვავილები სხედან. ყვავილობს მაის-



ივნისში. იზრდება უმეტესად წიფლნარ და რცხილნარ ფორმაციებში, ჰუმუსით მდიდარ, ნოტიო ნიადაგებზე, ჩრდილოეთისა და დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, მთის წინებსა და მთის შუა სარტყელში, ზღ. დ. 600-1300 მ ფარგლებში.

სამკურნალო ნედლეულს სვინტრის ფოთოლი და ფესურა წარმოადგენს. იყენებენ ნაყენის, ნახარშის, ფხვნილების, მალამოების, საფენებისა და აბაზანების სახით როგორც გარეგანი, ისე შინაგანი დაავადებებისას. ცნობილია, რომ ამ გვარის სახეობები შეიცავენ სტეროიდულ საპონინებს.

Polygonatum multiflorum (L.) All. - მრავალყვავილა სვინტრი



მრავალწლოვანი, ჰორიზონტალურ ფესურიანი, ბალახოვანი მცენარეა, 30-70 სმ-მდე სიმაღლის, მრგვალი, შიშველი ღეროთი. ფოთლები მორიგეობითაა განლაგებული, მოგრძო-ელიფსურია, მოგრძო-ლანცეტა ან ფართო ოვალური. თითქმის მჯდომარე; თითოეული ფოთლის უბეში სამ-

სამი ან ოთხ-ოთხი ყვავილია, რომელთა ყუნწები ყვავილსაფარზე მოკლეა. ყვავილსაფარი შეზრდილია, ქოთნისებრი, თეთრი, 10-15 მმ სიგრძის. ყვავილობს მაის-ივნისში. ტყის მცენარეა. ბინადრობს ნოტიო, სუსტმჟავე, მდიდარ ჰუმუსიან, ფხვიერ, ქვიშნარ, ქვიან და სუფთა თიხნარ ნიადაგებზე. გავრცელებულია დაბლობიდან მთის შუა

სარტყლამდე, ბალახოვან საფარში მუხის, წიფლისა და შერეულ ტყეებში, ბუჩქნარებში.

Polygonatum orientale Desl (P.polyanthemum (Bieb.) A.Dietr.) - აღმოსავლური სვინტრი



მრავალწლოვანი, ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა, შიშველი წახნაგოვანი 15-35 სმ სიმაღლის ღეროთი; ფოთოლი, მოგრძო-ლანცეტაა, შევიწროებული; ყვავილი 2-4, იშვიათად უფრო მრავალრიცხოვანია, წვრილი, შიშველი, წვრილყუნწებზე. ყვავილსაფარი

თეთრია. ყვავილობს მაისში. იზრდება ტყის მთელ სარტყელში, მეტად ჩვეულებრივია, გვხვდება როგორც ნაძვნარ-ფიჭვნარებში, ასევე შერეულ ტყეებში, ფოთლოვანებში, ბუჩქნარებს შორის.

ქართულ ხალხურ მედიცინაში სვინტრის სახეობები სხვადასხვა დაავადებების საწინააღმდეგოდ გამოიყენებოდა. თანახმად ქართული ხალხური ფოლკლორისა:

„ჭინჭარი ჭირის ჭირია,
სატაცური ბალღამია,
სვინტრი მოდის მოიძახის
მე ვარ ყველას წამალია“.

ოდითგანვე ითვლებოდა ჭრილობების, განსაკუთრებით ჩირქოვნების საუკეთესო შემხორცებელ საშუალებად. თანახმად ფანასკერტელ-ციციშვილისა (1978) იგი იხმარებოდა თირკმელების დაავადებებისას. იგივეს აღნიშნავს დავით ბაგრატიონი (1985): “სვინტრი თირკმელსა ძალას მისცემსო”; აქვე მოხსენებულია თმის ცვენის საწინააღმდეგო საშუალებად. აღსანიშნავია, რომ ნალრძობ “მარღვაყრილ” ადგილებს მთიელები სვინტრის ფესურით მკურნალობდნენ. მას ჩეჩ-

ქვაკვდნენ და დაზიანებულ კიდურს შემოახვევდნენ; სვინტრის ძირე-
ბი თაბამირივით შემოეხვეოდა კიდურს და მოძრაობის საშუალებას
არ აძლევდა. ზ. შენგელიას თანახმად (1983) სვინტრის ფესურების
რძის ნახარშით მკურნალობდნენ მოტეხილობას; მას ასმევდნენ ბავშვ-
ვებს სიგამბდრისა და ბრონქიალური ასთმის დროს.

ტიბეტურ მედიცინაში სვინტრს იყენებენ შეშუპებისა და ბუასილის
დროს. რუსულ ხალხურ მედიცინაში გამოიყენებოდა მწვავე ბრონ-
ქიტის, ფილტვების ანთების, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის სა-
მკურნალოდ, ჭორფლების მოსაცილებლად, ჭიების დასაყრელად და
ჭრილობების შესახორცებლად. ხოლო უკრაინის ხალხურ მედიცი-
ნაში - სიცხის დამწვევად, მწვავე ბრონქიტისა და ფილტვების ან-
თებისას, შაქრიანი დიაბეტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის
წყლულის, რევმატიული ტკივილებისა და ჭრილობების შემახორ-
ცებელ საშუალებად.

საინტერესო ფაქტები: სვინტრი საინტერესო ფესვთა სისტემას ინვი-
თარებს. იგი ჰორიზონტალურად იზრდება და ჰგავს ჯოხს ბორცვა-
კებით, თითოეულ მათგანზე კი მრგვალი ნაჭდევი აღინიშნება - გა-
სული წლის გამხმარი ღეროების კვალი (სხვათა შორის, მცენარის ასა-
კი შეგიძლიათ გაარკვიოთ მათი რაოდენობით). მოხაზულობით ეს
ნიშნები ძველ ბეჭედს მოგვაგონებს. ლეგენდის თანახმად, ბრძენმა მე-
ფე სოლომონმა, რომელმაც ხანგრძლივად იცოცხლა, ერთხელ თავისი
ბეჭდით აღნიშნა სამკურნალო მცენარე იმ მიზნით, რომ საჭიროების
შემთხვევაში მისი ადვილად პოვნა შესძლებოდა. მათთვის, ვინც ის-
წავლის მისი ჯადოსნური თვისებების გამოყენებას, სვინტრს ძალუმს
სიცოცხლის გახანგრძლივება. საინტერესოა, რომ ტიბეტურ მედიცი-
ნაში ასევე ითვლება, რომ სვინტრი სიცოცხლეს ახანგრძლივებს.

ამ ლეგენდის კიდევ ერთი ვერსია არსებობს, სადაც ნათქვამია, რომ
მეფე სოლომონმა შექმნა სვინტრის ნაჭდევების მსგავსი ბეჭედი. აღ-
ბათ აქედან მომდინარეობს მისი რუსული სახელწოდება „соломоно-
вая печать“-სოლომონის ბეჭედი. გარდა ამისა, თქმულების თანახმად,

სვინტრი აერთიანებს ორ ადამიანს და შესაბამისად, მის გამხმარ ფესვებს, რომლებმაც სამუდამოდ შეინარჩუნეს ბეჭდის კვალი, იყენებდნენ ამულეტად, როგორც ოჯახური კავშირების გამამძლიერებელ საშუალებას.

<https://myphs.jimdofree.com/2015/10/09/купена/>

Polygonum aviculare L. – ჩვეულებრივი მათიტელა



ერთწლოვანი წვრილ ფსვნიანი ნარეა მათიტელასებრთა (Polygonaceae) ხიდან. ღერო გართხმულია ან წამოწეული. ფოთლები კვერცხისებრ ლანცეტაა, მთლიანი. ყვავილები ვარდისფერია, შეკრებილია თავაკებად. ყვავილობს მაისიდან სექტემბრამდე. იზრდება მთის შუა სარტყლამდე

გზის პირებზე, ეზოებსა და ნათესებში, რუდერალურ ადგილებში.

მატიტელა მდიდარია ვიტამინებით K, E, C, A (ვიტამინ C შემცველობით ასკილის ნაყოფებს უტოლდება, ხოლო ბევრად მეტია ვიდრე ლიმონში). შეიცავს ასევე ფისებს, უნიკალურ მჟავებს, მწარე და მთრიმლავ ნივთიერებებს, ცხიმოვან მჟავებს, ლორწოს, ნახშირწყლებს, ცხიმებს, საპონინებს, ფლავონოიდებს, პექტინებს, ორგანულ მჟავებს, მაკროელემენტებს. მათიტელას ექსტრაქტი გამოიყენება როგორც ანთების საწინააღმდეგო, სპაზმოლიტური, სიცხის დამწევი, შემკრელი, შარდმდენი, სისხლშემაჩერებელი, ჭრილობების შემახორცბელი, ოფლმდენი, საფაღარათო, ჰიპოტენზიური, ანტიოქსიდანტური საშუალება. ამალღებს სასიცოცხლო ტონუსს ასაკოვან ადამიანებში მძიმე დაავადებების გადატანის შემდგომ. მათიტელას ექსტრაქტი გამოიყენება ქრონიკულ გასტრიტის დაბალი მჟავიანობის, კუჭის წყლულის, ბუასილის, დიარეის, ენტერკოლიტის, ნაღველკენჭოვანი,

შარდსადინარი გზების დაავადებების, ქრონიკული პიელონეფრიტის, ცისტიტის, ფილტვების ანთების, პლევრიტის, ბრონქიტის ბრონქიალური ასთმის, ფილტვების ტუბერკულოზის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, ჰიპერტონიული დაავადებებისას.

საინტერესო ფაქტები: როგორც სამკურნალო საშუალება ეს სარევე-ლა უნივერსალურია. ხალხური ცრურწმენით, მას უდიდესი ძალა გააჩნია და მას ხალხს გადასცემს, რის გამოც უძველესი დროიდანაა რეკომენდირებული ზაფხულის დილით მის დაცვარულ ბალახზე ფეხშიშველა სირბილი. მათიტელას სამკურნალოდ გამოყენების ისტორია ათასეულ წლებს ითვლის. უძველესი დროის ექიმები დიოსკორიდი და პლინიუსი ამ მცენარეს სხვადასხვა სახის შინაგანი დაავადებებისას უნიშნავდნენ. შუა საუკუნეებში მას იყენებდნენ ორგანიზმიდან ქვების დასაშლელად და გამოსადევნად. ავიცენა მას თვლიდა კარგ სისხლისშემაჩერებელ და ჭრილობების შემახორცებელ საშუალებად. მათიტელას ექსტრაქტი ჯერ კიდევ უძველეს დროში გამოიყენებოდა როგორც „ახალგაზრდობისა და დღეგრძელობის ელექსირი“. ხოლო მისი სამკურნალო თვისებები 2000 წლის წინათ აღწერა ჰიპოკრატმა თავის შრომებში.

<https://prymaflora.com/ru/article/troynaya-sila-sporysha>

Portulaca oleraceae L. - დანდური

ქიზიყში უწოდებენ კატკატოს; მესხეთ-ჯავახეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ზემო იმერეთში - მსუქანას; ქვემო იმერეთში - კერატას; გურიაში - უკვავას; საინგილოში - დანდრანუკას; სამეგრელოში - ვალურია, უღურალეს

დანდურისებრთა (Portulacaceae) ოჯახის ერთწლოვანი მცენარეა ძირიდანვე დატოტვილი ხორცოვანი, მიწაზე გართხმული, იშვიათად წამოწეული ღეროთი. ფოთლები მჯდომარეა, მკრთალი მწვანე ან მოწითალო, მოგრძო, ძირში სოლივით შევიწროებული, თავში ბლაგვი, სქელი, ბრტყელი. ყვავილები ორსქესიანია, აქტინო-



მორფული, თითო ან რამდენიმე ერთად ფოთლების ილიებშია განლაგებული, გვირგვინი 4-6 ფურცლიანია, ყვითელი. ყვავილობს მაისიდან ივლისამდე. გზადმოყოლილი სარეველაა, იზრდება ბოსტნებში, საცხოვრებელ სახლებთან, გზის პირებზე, რუდერალურ ადგილებში.

ღეროები შეიცავს ალკალოიდებს, ნახშირწყლებს, ცილებს, საპონინებს, ფენოლ-კარბოლმჟავებს, ორგანულ მჟავებს, ლორწოვან და ფისოვან ნივთიერებებს, კაროტინს, ვიტამინებს (C, E, PP, K); თესლებში ცხიმები აღინიშნება.

ქართულ ხალხურ მედიცინაში მოხარშულსა და სათანადოდ შეზავებულს აძლევდნენ თავის ტკივილისა და სხვადასხვა ნერვული დაავადებების დროს, ნახარშს ასმევდნენ სიცხიან ავადმყოფებს, მიაჩნდათ, რომ გულს, ღვიძლსა და კუჭს, სამივეს არგებს და ავადმყოფს ძალას მისცემს.

ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, შარდმდენი, ნაღველმდენი, ანტიბაქტერიული, გულის რიტმის გამაძლიერებელი, არტერიული წნევის ამწევი, ჭრილობების შემახორცებელი, ანტიტოქსიკური, დამწვრობის საწინააღმდეგო მოქმედებით. მედიცინაში გამოიყენება ათეროსკლეროზის, დაბალი წნევის, თირკმელებისა და შარდის ბუშტის ანთებითი პროცესების, ტრიქომონადული კოლპიტების, ბაქტერიული დიზენტერიის, მწერებისა და გველის ნაკბენის, სისხლში ქოლესტერინის მომატების დროს.

Poterium polygamum W. et Kit. - ურაშა



ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 30-60 სმ სიმაღლის ღეროთი. ფოთლები ფრთისებურია, თავმოყრილია ღეროს ქვედა ნაწილში, ფოთოლაკები თითქმის მომრგვალებულია. ყვავილები მოყვითალოა, შეკრებილია სფეროსებრ ყვავილედად. ყვავილობს მაისიდან სექტემბრამდე. იზრდება ღია ადგილებში და ტყის პირებზე მთის შუა სარტყლამდე.

მიწისზედა მასა შეიცავს პროტეინს, ცხიმებს, უაზოტო ექსტრაქტულ ნივთიერებებს, ფოთლებში აღინიშნება ვიტამინი C ფესურები ხასიათდება შემკვრელი, სისხლისშემაჩერებელი, ანთებისსაწინააღმდეგო და ბაქტერიციდული მოქმედებით. დადგენილია ანტიეპკტიკური მოქმედება ნაწლავების ჩხირების საწინააღმდეგოდ. მის ნახარშს ან თხევად ექსტრაქტს იყენებენ კუჭ-ნაწლავის დაავადებების, ნაწლავების, საშვილოსნოს და თირკმლიდან სისხლდენისას, სტომატიტისა და გინგივიტის დროს. ხალხურ მედიცინაში ფესვების ნახარშს იყენებენ თავის ტკივილის, ფილტვების ტუბერკულოზის, კუჭის აშლილობისას, როგორც გარეგან საშუალებას - ჭრილობების შესახორციელებლად.

Primula macrocalyx Bge. - დიდჯამა ფურისულა

ქართლში ეძახიან ნიფხვისტოტა, ფანდურიკის; ქვემო ქართლში - გოგრის ყვავილს; თუშეთში - გუგუტას მუხლას; ფშავეში - ლუსუმას; მესხეთში - უზუნდარას



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ფურისულასებრთა (Primulaceae) ოჯახიდან. ფოთლები ფესვთანურია, მოგრძო კვერცხისებრი ფორმის. ყვავილები მოოქროსფრო ყვითელია, შეკრებილია საყვავილე ღერძის კენწეროებზე ქოლგისებრ ყვავილედებად. ყვავილობს მარტიდან მაისის ჩათვლით. იზრდება ტყისა და სუბალპურ სარტყელში, ტყის პირებზე, ტყის მდელოებზე, ბუჩქნარებს შორის.

ფესვები შეიცავს 5-დან 10%-მდე საპონინებს, გლიკოზიდებს-პრიმვერინსა და პრიმულავერინს, ვიტამინ C, კაროტინსა და ეთერზეთებს.

ფოთლებში აღმოჩენილია საპონინები, ვიტამინი C, კაროტინი. ყვავილები შეიცავს საპონინებს, ფლავონოიდებსა და ვიტამინ C. იხმარება ხალხურ მედიცინაში. ფესვების, ფოთლებისა და ყვავილების ნაყენს იყენებენ როგორც ამოსახველებელ საშუალებას ბრონქიტის, ფილტვების ანთებისა და ყვიანახველის დროს, აგრეთვე როგორც შარდმდენ და ოფლმდენ საშუალებას. ფოთლების ნაყენს ან ნედლ ფოთლებს სალათის სახით ხმარობენ ავიტამინოზის - ორგანიზმში C და A ვიტამინების ნაკლებობისას.

საინტერესო ფაქტები: ამ ყვავილების წარმოშობის შესახებ თქმულება მოგვითხრობს: მოციქულ პეტრეს, ცის სამეფოს კარიბჭეების მცველს ხელიდან გაუვარდა ოქროს გასაღებების შეკვრა, რომლებიც მთელ სისწრაფით ქვევით, დედამიწისკენ დაეშვა. მოციქულმა დასაწევად ანგელოზი აფრინა, მაგრამ მას დააგვიანდა, მძიმე ასხმულა დაეცა

მიწაზე და მასში ღრმად ჩაეფლო. მისგან კი გაიზარდა ფურისულა, რომლის ყვავილეთი ოქროს გასაღებების შეკვრას მოგვაგონებს.

სხვათაშორის, გერმანიაში მას: „გასაღებებს“ – *Schlüsselblume* უწოდებენ. ეს ყვავილები, რომლებიც გაზაფხულზე ერთ-ერთი პირველები წარმოიქმნებიან, თითქოსდა აღებენ ზაფხულის თბილ ჭიშკარს. ფურისულა საბერძნეთში უძველესი დროიდანაა ცნობილი და ითვლებოდა სამკურნალოდ. ბერძნები მას „დოდეკატონს“ უწოდებდნენ, რაც ნიშნავს 12 ღმერთის ყვავილს და სწამდათ, მას ყოველგვარი დავადების განკურნება შეეძლო. მისი გრძნეული მოქმედების სწამდათ ძველ კელტებს და გალებს. მისგან, სხვა მცენარეებთან ნარევში, ამზადებდნენ სასიყვარულო წამალს. კელტებს სწამდათ, რომ ამ სასმელის სულ რამდენიმე წვეთი ადამიანს აიძულებდა შეეყვარებინა მთელი სიცოცხლის მანძილზე. ფურისულების დიდი მოყვარული იყო იმპერატორი ეკატერინე მეორე. ამბობენ, ერთ-ერთ დიდებულთან სტუმრობისას ის აღფრთოვანებული დარჩენილა მის ორანჟერეაში მოზარდი ფურისულების მრავალფეროვნებით. მეორე დღეს ფურისულების მთელმა კოლექციამ პეტერბურგის სასახლის ზამთრის ბაღში გადაინაცვლა.

<http://www.myshared.ru/slide/959646/>

Primula woronowii Losinsk. - ტყის ფურისულა

კახეთში ემახიან ფურის ჭუმუ, ფურის იას; ფშავში - ფურისვილას; თუშეთში - ვაშლისუნას; რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთში - ფილისულა, ფირისულას; აჭარაში - საწრიპინას; გურიასა და ქვემო იმერეთში - სახემშვენიერას; ზემო აჭარაში - ბაბილოს; სამეგრელოში - ყვავუშის

კავკასიის ენდემური სახეობაა, მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე. ფოთლები ფესვთანურია, რომელთა ილღიებიდან ვითარდება გრძელყუნწიანი ყვავილები. გვირგვინი მკრთალი ვარდისფერია ან მოვარდისფრო იასამნის ფერიდან თეთრამდე, ხახაში პატარა ზომის ყვითელი ლაქით. ყვავილობს მარტიდან მაისამდე. იზრდება მთის

ქვედა და შუა სარტყელში, ტყეებში, ტყის პირებზე, ბუჩქნარებში. ფართოდ გავრცელებული სახეობაა, ქმნის გაზაფხულის სინუზიას.



საინტერესო ამბები: დანიური თქმულების თანახმად, ელფებმა თავიანთი პრინცესა პრიმულად აქციეს, როდესაც მან უბრალო მოკვდავი შეიყვარა. ძველი ბერძნული ლეგენდა გვამცნობს, რომ პრიმულა გაჩნდა სიყვარულისგან გარდაცვლილი ჭაბუკის პარალიზოსის სხეულიდან, რომე-

ლიც ღმერთებმა თანაგრძნობის ნიშნად სურნელოვან ყვავილად აქციეს; ამიტომ სწამდათ, რომ კურნავს დამბლას, ხოლო მედიცინაში მას ბოლო დრომდე დამბლის ბალახს უწოდებდნენ. ფურისულას სასწაულებრივმა ძალამ ბევრი ოლქი მოიცვა: პიემონტში მიიჩნეოდა, რომ იგი იცავს ეშმაკის ცდუნებისაგან, აძევებს დემონებს. გერმანიაში მას განძის აღმომჩენის ჯადოსნურ თვისებას აწერდნენ; რუსეთში ის იყო სიცოცხლის დამცავი თილისმა; ინგლისში - ჯადოსნური ყვავილი, რომელშიც პატარა ფერიები და გნომები ცხოვრობენ. შვეიცარიაში პრიმულა ითვლება ბედნიერების სიმბოლოდ, სამშობლოს სიყვარულის ემბლემად.

<http://flower.onego.ru/other/primula.html>

Prunella vulgaris L. - გობისცხვირა



ტუჩოსანთა (Labiatae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, გრძელი მხოხავი ფესურით; ღერო 8-40 სმ-მდე სიმაღლისაა, წამოწეული ან სწორმდგომი. ფოთლები კვერცხისებრი ან მოგრძო კვერცხისებრია. ყვავილები შეკრებილია თავთავისებრ ყვავილედებად; გვირგვინი

ისფერია, ზოგჯერ თეთრი. ყვ. V-X. იზრდება მდელოებზე, ტყის პირებში და მდინარის ნაპირებზე მთის ზედა სარტყლამდე. თავწლოვანი მცენარეა. ხალხურ მედიცინაში ჩაის სახით გამოიყენება მკერდისა და ყელის ტკივილისას, ასევე, კუჭის აშლილობის დროს.

Pulsatilla georgica Rupr. – ქართული მედგარი ხეცურეთში ავწალიკას უწოდებენ



საქართველოს ენდემური სახეობაა, მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარე ბაიასებრთა (Ranunculaceae) ოჯახიდან. ფოთლის ნაკვთები გრძელი და წვრილია, თითქმის სადგისისებრი. ყვავილები სხვადასხვა შერეული ფერისაა: ღია იისფერ მომწვანო, ღია მოყვითალო-იისფერი, მოყვითალო-მოვარდისფრო, მომწვანო მოვარდისფრო. ყვავილობს თებერვლიდან მასამდე. იზრდება მთის შუა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე, მდელოებზე, ლიტოფილურ სედაციებში. გვარის ყველა წარ-

ლო-მოვარდისფრო, მომწვანო მოვარდისფრო. ყვავილობს თებერვლიდან მასამდე. იზრდება მთის შუა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე, მდელოებზე, ლიტოფილურ სედაციებში. გვარის ყველა წარ-

მომადგენელი შეიცავს ალკალოიდ ანემონინს. სამკურნალო და შხამიანია. გამოიყენებოდა ხალხურ მედიცინაში

საინტერესო ფაქტები: ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, მას ოდესღაც ფართო, დიდი ფოთლები ჰქონია, იმდენად დიდი, რომ მათ უკან სამოთხიდან განდევნილი ეშმაკი იმალებოდა. მაგრამ მთავარანგელოზმა მიქაელმა მცენარეს მეხის ისარი ესროლა და თავშესაფრიდან გააგდო სატანა. ხოლო მედგარის ფოთლები იმ დროიდანაა დახლეჩილი, სწორედ ამიტომაც მრავალრიცხოვან წვრილ ნაკვეთლებად დაყოფილი. ხოლო ყვავილი, რომელსაც ასევე ისარი მოხვდა, ჯადოსნური თვისებებით აღიჭურვა, ყველანაირ ავ სულს მისი ეშინია და გაურბის მას.

ხალხური თქმულებების თანახმად, მედგარი იცავს ავი თვალისა და ჯადოსაგან. თუ ბალახს თან ატარებთ, თავს დაიცავთ მზაკვრობისა და უბედურებისაგან. თუ სახლის მშენებლობის დროს, მის კუთხეში ჩაფლობთ ამ მცენარეს, სახლი დაცული იქნება მეხისა და ხანძრისაგან, ხოლო სახლში ცხოვრება ბედნიერი იქნება.

<http://www.kryminfo.net/legendy-kryma-son-trava/>

Puschkinia scilloides Adam. - ცისთვალსებრი პუშკინია



სუმბულისებრთა (Hyacinthaceae) ოჯახის პოლიკარპული მცენარეა, კვერცხისებრი, სფერული ბოლქვით. ფოთლები ფესვთანურია - 2-3, ხაზურ-თასმისებრი, ქვემოდან ღერომხვევი. საყვავილე ისარი 10-30 სმ სიგრძისაა; ყვავილედ იმტევანია, 1-3 ყვავილით. ყვავილსაფარი ცისფერია,

მისი ნაკვეთები ბლაგვი-ელიფსურია. ყვავილობს აპრილში. იზრდება სუბალპურ და ალპური სარტყლების მდელოებსა და ბუჩქნარებში.

ქიმიური შემადგენლობა და სამკურნალო თვისებები არ არის დადგენილი. არის ინფორმაცია ემპირიულ მედიცინაში კუჭ-ნაწლავის დაავადებების სამკურნალოდ გამოყენების შესახებ.

Pyrethrum sericeum (Adams) M. Bieb. – ნაცარა გვირილა



რთულყვავილოვანთა (Compositae) ოჯახის მრავალწლოვანი ფესურიანი, ბალახოვანი მცენარეა 15-35 სმ სიმაღლის მარტივი, სწორი, თითოკალათიანი ღეროთი. მთელი მცენარე უხვი და ხშირი ბეწვის გამო, მოთეთრო-მოვერცხლისფროა. ფოთლების უმეტესობა როზეტის სახით, ღეროს ძირშია თავმოყრილი, გრძელყუნწიანია, მოყვანილობით ფართო-ლან-

ცეტა, ორჯერ ფრთისებრ განკვეთილი, მათი უკანასკნელი სეგმენტები ხაზურია, მახვილი. კალათები დიდი ზომისაა, მარტოული, ენისებრი ყვავილები თეთრია. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება მთის შუა სარტყელში, მშრალ ქვიან ფერდობებზე, კლდეთა ნაპრალებში.

Rumex acetosella L. – კოკომჟავა

გურისა და აჭარაში ცნობილია მჟაველას სახელით



მატიტელასებრთა (Polygonaceae) ოჯახის მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარეა 30 სმ-მდე სიმაღლის. ფოთლები შუბისებრია ან ისრისებრი. ყვავილები მოწითალო ვარდისფერია, ერთსქესიანი, ორსახლიანი. ყვავილობს აპრილიდან აგვისტომდე. იზრდება ტყისა და სუბალპური სარტყლის

ნატყევარ მდელოებსა და ტყის პირებზე, ღია ადგილებში, განათებულ ფერდობებზე, ბუჩქნარებში, გზის პირებზე, დანაგვიანებულ ფართობებზე.

ხალხურ მედიცინაში იხმარება შარდის შეკავების, სახსრების ტკივილისა და ბავშვებში კუჭის აშლილობის დროს.

Rumex crispus L. - ჩვეულებრივი დოღო



მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარეა დატოტვილი ფესვით და სწორმდგომი 1,5-2 მ სიმაღლის ღეროთი. ფოთლები ღეროს ქვედა ნაწილში სამკუთხა-კვერცხისებრია, გულისებრ ღრმად ამოჭრილი ფუძით და ტალღისებრ დაკბილული კიდეებით. ყვავილები რგოლურადაა განლაგებული და კენწრული საგველას

სახით შეკრებილი. ყვავილობს მარტიდან ივლისამდე. იზრდება დაბლობებსა და მთისწინებზე, ჩვეულებრივი სარეველას, ხშირად

გვხვდება ფართო ფრაგმენტების სახით. ფოთლები საკვებად იხმარება ისპანახის მსგავსად. შეიცავს კატექინებსა და ლეიკოანთოციანებს.

ლოლოს ფესვების და ნაყოფების ნახარშს იყენებენ ფილტვების ტუბერკულოზის, დიზენტერიის და ნაწლავების დაავადებებისას; ნედლი დაბეგვილი ფესვები რძის ნაღებთან ნარევში გამოიყენება სხვადასხვა გამონაყრებისა და ქავილების დროს. ფესვების ნაყენი ძმარზე კარგი საშუალებაა სირსველის დროს დასაზიად. უკანასკნელ დროს ლოლოს ფესვებიდან გამოყოფილ ექსტრაქტს წარმატებით იყენებენ სიმსივნური წამონაქმნების წინააღმდეგ სამკურნალოდ. თესლების ნახარში-კუჭის აშლილობისას იხმარება.

Salvia aethiopsis L. - ბამბიქულა
ჯავახეთში ბამბაქულას ეძახიან



მრავალწლოვანი, ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა ტუჩოსანთა (Labiatae) ოჯახიდან. ფოთლები მომრგვალო კვერცხისებრია, ძირში სოლისებრი, კიდემრგვალკბილა, ზემოდან მწვანე, ქვემოდან თეთრი ქერისებრი. ყვავილი პატარაა, ხშირ რგოლებად შეკრებილი. გვირგვინი თეთრია. ყვავილობს მაისში. იზრდება მთის

ქვედა და შუა სარტყელში, მშრალ ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში.

გამოიყენება როგორც ამოსახველებელი საშუალება სასუნთქი გზების ანთების, მწვავე და ქრონიკული ბრონქიტის, ყვიანახველის დროს. რეკომენდირებულია ღრძილისა და ნაღვლის ბუშტის, კუჭისა და ნაწლავების დაავადებების სამკურნალოდ.

Salvia sclarea L. - ხარისვარდა



ორწლოვანი, ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა, ხასიათდება ფისისებრ-ინასებრი სურნელით. ღერო სწორმდგომია, 30-110 სმ სიმაღლის. განვითარების პირველ წელს მცენარეს უნვითარდება ფესვთანური, როზეტისეული ფოთლები, მეორე წელს მხოლოდ ღეროსეული; ფოთლები დიდი ზომისაა, კვერცხისებრი, დაჭმუჭნული, ორმაგ დაკბილული. ყვავილები 4-6 ყვავილიან ჩხროებადაა შეკრებილი,

რომლებიც თავმოყრილია მტევნისებრ ყვავილედებად; გვირგვინი სოსანი ან ვარდისფერია. ყვავილობს მაის-ივნისში. იზრდება მშრალ გორაკებზე, მთის ქვედა და შუა სარტყელში. ეთერზეთოვანი, დეკორატიული და სამკურნალო მცენარეა.

ხასიათდება ანტისპაზმური და ანტიკატარალური მოქმედებით.

Salvia verticillata L. - დაჯირა



მრავალწლოვანი, ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 30-60 (80) სმ სიმაღლისაა, დატოტვილი. ღეროსეული ქვედა ფოთლები დიდი ზომისაა, სამკუთხა-კვერცხისებრი, ღრმა გულისებრი ძირით; ზედა ფოთლები კვერცხისებრია და მოკლეყუნწიანი. მთელი მცენარე მოკლე ბეწვითაა

მოფენილი. ყვავილიანი ჩხროები შეკრებილია ფარჩხა, მტევნისებრ, ზოგჯერ საგველასებრ ყვავილედებად. გვირგვინი კაშკაშა იისფერია. ყვავილობს მაის-ივნისში. იზრდება მშრალ ფერდობებზე. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში შარდშეუკავლებლობის შემთხვევაში.

Sanicula europaea L. - ქრისტესბეჭედა



ქოლგოსანთა (Umbelliferae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-50 სმ სიმაღლის ღეროთი. ფოთლები უპირატესად ღეროს ძირშია თავმოყრილი. ყვავილები თეთრია, შეკრებილია რთულ ქოლგასებრ ან საგველასებრ ყვავილედებად. ყვავილობს მაის-ივლისში. იზრდება მთის

შუა და ზედა სარტყელში, ტყეებში.

ხალხურ მედიცინაში ფართოდ გამოიყენება. მასში შემავალი საპონინებიდან გამომდინარე, მცენარე ხასიათდება ამოსახველებელი, შემომგარსავი მოქმედებით და ხალხური მკურნალების მიერ ხველების საწინააღმდეგოდ იხმარება. ასევე ცნობილია, რომ გამოიყენება როგორც შემკვრელი საშუალება კუჭ-ნაწლავის აშლილობისას, დიზენტერიის დროს. ბალახის ნახარშით მკურნალობენ პირის ღრუსა და ყელს, ღრძილების ანთებას. მას იყენებენ აგრეთვე თირკმელებიდან სისხლდენისა და მტკივნეული მენსტრუაციის დროს.

Saxifraga tridactylites L. - ფხიჯა
თუშეთში უწოდებენ ხიჯა, ხაჯეს



ფხიჯასებრთა (Saxifragaceae) ოჯახის ერთწლოვანი მცირე ზომის ბალახოვანი მცენარეა. ღერო მარტოულია. ყვავილსაჯდომი ზარისებრია, ყვავილები თეთრი. ყვავილობს მარტიდან მაისამდე. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყელში, მშრალ, ქვიან ფერდობებზე, კლდეებზე, ქვიშნარებსა და ბუჩქნარებში.

რებსა და ბუჩქნარებში.

ხალხურ მედიცინაში თესლები და ფესვები გამოიყენება ფილტვებისა და კენჭოვანი დაავადებების სამკურნალოდ.

Scabiosa columbaria L. - მტრედის ფოლიო



მრავალწლოვანი ბალახოვანი წვრილფესურტიანი მცენარეა გოქშოსებრთა (Dipsacaceae) ოჯახიდან, 30-60 სმ სიმაღლის, დატოტვილი ღეროთი. ღეროსეული ფოთლები ერთმაგ ან ორმაგ ფრთისებრია დაყოფილი, უფრო იშვიათად ჩანგისებრია; ფესვთანური ფოთლები ზოგჯერ თითქმის მთლიანია. ყვავილები შეკრებილია

სფერულ თავაკებად, რომლებიც ბალახოვანი საბურველითაა შემოხვეული. გვირგვინი მეწამული, მოვარდისფრო-იასამნისფერი ან მკრთალი ცისფერია. ყვავილობს მაის-ივნისში. იზრდება მშრალ,

კლდოვან, ღორღიან ჰაბიტატებზე, ტყის პირებზე მთის შუა სარტყლამდე.

ხასიათდება მატონიზირებელი, დიარეზული, ხველების საწინააღმდეგო მოქმედებით.

Scilla siberica Andr. - ციმბირული ცისტვალა

კახეთში უწოდებენ ძაღლის იას; ქიზიყში - ძაღლის ენძელას; ზემო იმერეთსა და აჭარაში - ოლენას; რაჭაში - მწვადინელას; სამეგრელოში - ლეჯიში პურასკია, ჩიტიში ბორკის



ეფემეროიდული ბოლქვოვანი გეოფიტია სუმბულისებრთა (Hyacinthaceae) ოჯახიდან. საყვავილე ისრები უფოთლო, 10-20 სმ სიმაღლის, 1-4 ყვავილიანი. ფოთოლი ფართო ხაზურია, ზევითკენ გაფართოებული და წვეროზე წაწვეტებული, ჩაჩით. ყვავილსა-

ფრის ფოთლები მოგრძო-ხაზურია, მუქი ცისფერი, უფრო მუქი შუა ზოლით. გაზაფხულის ცენოზების ძირითად ელემენტს წარმოადგენს და თებერვალ-მარტში ტყის სარტყელში მთლიან ასპექტს ქმნის. იზრდება ტყეებსა და ბუჩქნარების რაყებში, მთის შუა სარტყლამდე, მდიდარ, ჰუმუსიან ნიადაგებზე.

ცისტვალას სახეობები ხასიათდებიან გლიკოზიდების მაღალი შემცველობით. შეიცავენ: სცილოსტერინს, ქოლინს, სცილარენინს, სცილოპიკრინს, სცილოტაქსინსა და სცილინს. ბოლქვებში კი ლოკალიზებულია ალკალოიდები, რომელთა დიდი რაოდენობა ზამთრის პერიოდში აღინიშნება.

ცისტვალას გლიკოზიდები გულის დაავადებებზე მოქმედებენ ფუტკარას გლიკოზიდების მსგავსად. გამოიყენება როგორც დიურეზული საშუალება ექსუდატიური პლევრიტის დროს. ხასიათდებიან ამოსახ-

ველებელი მოქმედებითაც, დიდი დოზის მიღებისას კი როგორც პირსასაქმებელი.

Scopolia carniolica Jacq. - სკოპოლია



მრავალწლოვანი 30-50 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა ძალღერძოვანთა (Solanaceae) ოჯახიდან. ფოთლები ელიფსურ-უკუკვერცხისებრია გვირგვინი ზარისებრია ან მილისებრ-ზარისებრი, გარედან ალუბლისფერი იისფერი ან მურა წითელი, შიგნიდან მოყვითალო-მურა ან მკრთალი იისფერი. ყვავილობს მარტ-აპრილში. იზრდება ტყეებ-

ში მთის შუა სარტყლამდე.

მცენარის ყველა ორგანო შეიცავს ტროპანულ ალკალოიდებს: ჰიოსცამინს (რომელიც ალკალოიდების ჯამის ძირითად ნაწილს შეადგენს), სკოპოლამინს, ტროპინს, ჰსევდოტროპინს, სკოპოლეტინს და სხვ. ფარმაცოლოგიური ეფექტი განისაზღვრება ალკალოიდ ატროპინისა და სკოპოლამინის მოქმედებით.

მცენარიდან მიღებულია პრეპარატები: სკოპოლამინის ჰიდრობრომიდი და ატროპინის სულფატი სხვადასხვა სამკურნალო ფორმებში (ხსნარები, აბები, მალამო), ტაბლეტები – “აერონი” გამოიყენება ბრადიკარდიის, გლუვი მუსკულატურის ჭვლების, წყლულოვანი და ნაღველკენჭოვანი დაავადებების, ნაწლავებისა და შარდსადინარი გზების ჭვლების, ბრონქიალური ასთმის, დროს. ატროპინი გამოიყენება ანესთეზიოლოგიურ და ოფთალმოლოგიურ პრაქტიკაშიც.

Scutellaria orientalis L. - აღმოსავლური მუზარადა



კავკასიის ენდემური სახეობაა, მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე ტუჩოსანთა (Labiatae) ოჯახიდან. ღერო 10-25 სმ სიმაღლისაა, წამოწეული, დატოტვილი, ჩვეულებრივ დაკლავნილი, გაფარჩხული, ძირში ხშირად გახევებული. ფოთლები პატარა ზომისაა, კვერცხისებრი, ძირთან წაკვეთილი ან ოდნავ სოლისებრი, ნაპირები ცოტად თუ ბევრად ღრმად მრგვლად დაკბილული, ყუნწიანი, ქვემოდან მოთეთრო. ყვავილები ღეროს წვერზეა ჯგუფებად შეკრებილი და სხვადასხვა მხარესაა მიმართული; გვირგვინი ღია ყვითელი ფერისაა. ყვავილობს მაის-ივლისში. იზრდება ქვიან ფერდობებზე მთის ქვედა და შუა სარტყელში.

ხალხურ მედიცინაში ბალახის ნახარში ქერის ფქვილთან ნარევში პლასტიკურობის სახით იხმარება სიმსივნეების საწინააღმდეგოდ. ნედლი ფოთლები ხასიათდება შარდმდენი და გამხსნელი მოქმედებით, დიდი დოზით მიღებისას-პირსასსაქმებელი. წვეს იყენებდნენ კანის დაავადებებისას, ჩირქგროვებისა და კოჟრების დროს.

Sedum acre L. - წვეტიანი კლდისდუმა



მრავალწლოვანი წვნიანი სუკულენტური მცენარეა სქელფოთლიანთა (Crassulaceae) ოჯახიდან. ინვითარებს 10 სმ-მდე სიმაღლის საყვავილე ღეროებს და უნაყოფო ყლორტებს. ფოთლები მორიგეობითაა განწყობილი, მოგრძო კვერცხისებრია, ხასხასა მწვანე, მჯდომარე, სქლად განლაგებული.

ყვავილები თითქმის მჯდომარეა, მოკლე ქოლგისებრ-ფარისებრ ყვავილედად შეკრებილი. გვირგვინის ფურცლები ოქროსფერ-ყვითელია. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება მშრალ კლდოვან, ნაშალ ჰაბიტატებზე, მშრალ ბალახოვან ფერდობებზე, მთის ქვედა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე.

ნედლი ფოთლები ხასიათდება შარდმდენი და გამხსნელი მოქმედებით.

Sedum album L. - თეთრი კლდისდუმა




მრავალწლოვანი წვნიანი სუკულენტია რუხი წვრილი ფესურით. საყვავილე ღეროები 10-15 სმ სიმაღლისაა, მრავალი, მწოლარე ან წამოწეული, მკრთალი, ზოგჯერ მოწითალო. ინვითარებს სანაყოფე და უნაყოფო ღეროებს. ფოთლები მკრთალი მწვანეა,

ზოგჯერ მოწითალო, ტკიპისებრი ან კვერცხისებრი, სანაყოფე ღეროებზე - უფრო მსხვილი და დაშორიშორებული, უნაყოფოზე - უფრო პატარა და სქლად განლაგებული. ყვავილენი ფარისებრი სა-

გველა; გვირგვინის ფურცლები თეთრია. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება კლდოვან ნაშალებზე, ქვიან ადგილებში, მთის შუა და ზედა სარტყელში.

Sedum-ს სახეობების შემადგენლობა უნიკალურია სამკურნალო თვისებებით და თვით გამოცდილ, ბევრის მნახველ სახალხო მკურნალებსაც კი აოცებს თავის მრავალფეროვნებით. შეიცავს: გლიკოზიდებს, ალკალოიდებს, ასკორბინის მჟავას, მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს, ნახშირწყლებს, ნაცარს, ცვილს, ფლავონოიდებს, კუმარინებს, საპონინებს, ლორწოს. ხელს უწყობს ჰემოგლობინის ამაღლებას, არტერიალური წნევის დაწევას, წყლულების, ჩირქოვანი ჭრილობების დაჩქარებულ შეხორცებას, ამუხრუჭებს სიმსივნის განვითარების, ხსნის ტკივილებს, აადვილებს ნახველის გამოყოფას, აძლიერებს იმუნიტეტს, ასტიმულირებს ენდოკრინული ჯირკვლების მუშაობას, ორგანიზმიდან დევნის ტოქსინებს, აუმჯობესებს რეპროდუქციულ ფუნქციას, ხელს უწყობს გულის რიტმის ნორმალიზებას და ქოლესტერინის დონის დადაბლებას.

Sempervivum transcausicum Muirhead - კავკასიური კლდისვამლა ხევში უწოდებენ კლდისხორცას; თუმეთში - ფხიჯა, ხიჯა, ხაჯეს; მესხეთში - კლდის ჯოჯოს; აჭარაში - უკვდავას; სამეგრელოში - ცენამეს



კავკასიის ენდემური სახეობაა, მრავალწლოვანი ბალახოვანი სუკულენტური მცენარე სქელფოთლოვანთა (Crassulaceae) ოჯახიდან. ღერო 15-30 სმ სიმაღლისაა, სქლად შებუსული. როზეტისეული ფოთლების რიცხვი 30-

მდეა; ღეროსეული ფოთლები მორიგეობით არის განწყობილი, ლანცეტაა, წაწვეტებული, ზედა ნაწილში მეწამულ წითელი ფერის. ყვავილეთი ფარისებრ-ქოლგისებრია, დატოტვილი. გვირგვინის

ფურცლები 12-16, მომწვანო-ყვითელი, ხაზურ-ლანცეტა ფორმის. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება მთის შუა და ზედა სარტყელში, ქვიან ადგილებში, კლდის ნაპრალებში. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში. კლდის ვაშლის უნიკალური თვისებები ცნობილი იყო ძველ საბერძნეთში. იმ დროს სწამდათ, რომ საუკეთესო შხამსაწინააღმდეგო საშუალებაა, რის გამოც ღებულობდნენ ღვინოსთან ერთად. ჩვენს დროში მისი სახეობები გამოიყენება, როგორც გამაუმტკივნეული საშუალებები, ძლიერი ანთების საწინააღმდეგო ეფექტით. გარდა ამისა, ხასიათდება ძლიერი მადეზინფიცირებული მოქმედებით. მას ხშირად იყენებენ ჭრილობების შესახორცებლად, როგორც გარეგანი, ისე შინაგანი წყლულების დროს. ნახარში ხელს უწყობს თვალის, ცხვირის, სასუნთქი გზების დაავადებების მკურნალობას.

Silene italica (L.) Pers. - იტალიური ქოთანა



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მიხაკისებრთა (Caryophyllaceae) ოჯახიდან. დერო 20-40 სმ სიმაღლისაა, აღმავალი, მარტივი ან დატოტვილი, ზედა ნაწილში წებოვანი. ფოთლები (უმეტესობა ფესვის ყელთანაა შეკრებილი) ელიფსურია, ყუნწად

შევიწროებული, ორივე მხრიდან შებუსუსული, კიდეწამწამებიანი. ყვავილები დაჯგუფებულია სამყვავილიან დიქაზიუმებად ტოტების ბოლოებზე და შეკრებილია მრავალყვავილიან საგველასებრ ყვავილედებად. გვირგვინის ფურცლები თეთრია. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება ტყის სარტყელში, მდელოებზე, ბუჩქნარებში, ტყის პირებზე, ბალახოვან ფერდობებზე. ქიმიური შემადგენლობა არ არის დადგენილი. ხასიათდება ანტიტოქსიკური, გამაუმტკივნეული მოქ-

მედებით. აღინიშნება, რომ აწყნარებს ნერვულ სისტემას და შველის თვით დეპრესიებსაც. დადებითად მოქმედებს ქრონიკული ბრონქიტის, ტუბერკულოზის დაავადებებისას. ხელს უწყობს ჭრილობების შეხორცებას.

Silybum marianum (L.) Gaertn. – ბაყაყურა

ქიზიყში უწოდებენ ბუერა ნანარი, კაკბელა ნარი; გურიაში და კახეთში - ბაყაყის ნარის



ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა რთულყვავილოვანთა (Compositae) ოჯახიდან. ღერო 100-150 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, დატოტვილი, იშვიათად მარტივი, ცილინდრული, სიგრძეზე დაღარული, შიშველი ან აბლაბუდისებრი ბეწვით აქა-იქ მოფენილი. ფოთლები დიდი ზომისაა, განსაკუთრებით ფესვთანური და ქვედა ფოთლები, დანარჩენები - უფრო მცირე ზომისაა, მჯდომარე, ღერომხვევი; ყველა ფოთოლი ძარღვების გაყოლებაზე თეთრლაქებიანია, უკულანცეტისებრი ან ელიფსური, ფრთისებრდანაკვეთული ან ფრთისებრგანკვეთილი, ნაკვეთები არასწორად დაკბილულ-ჩაჭრილია და მაგარი, ბოლოვდება ყვითელი ეკლით. კალათები სფერულია, ტოტების ბოლოებზე მარტოულად განლაგებული; ყვავილები მეწამულია. ყვავილობს მაის-ივნისში. გზადმოყოლილი სარეველაა, იზრდება ნათესებში, რუდერალურ ადგილებში, მთის ქვედა, იშვიათად შუა სარტყელში.

ხალხურ მედიცინაში რეკომენდირებულია ღვიძლის, ნაღვლის სადინარების, ელენთის ანთებითი პროცესების, ჭვლების, ყაბზობის დროს.

Sisymbrium officinale (L.) Scop. - ღორღორა



ჯვაროსანთა (Cruciferae) ოჯახის ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 15-60სმ-მდე სიმაღლის გაფარჩხულ-დატოტვილი ღეროთი. მთელი მცენარე სქლადაა შებუსული. ფოთლები 3-7 კიდედაკბილულ ნაწილადაა ფრთისებრდაკვეთილი. ყვავილები ყვითელია. ყვავილობს მაისიდან ოქტომბრამდე. იზრდება როგორც სარეველა რუდერალურ

ადგილებში, ნათესებში, ნაგვიან ადგილებში, გზის პირებსა და ფერდობებზე.

ფოთლები და თესლები ხასიათდება შარდმდენი, ჭიისმდენი, ამოსახველებელი და სურავანდის საწინააღმდეგო მოქმედებით.

Solidago virgaurea L. – ოქროწვეპლა



მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა რთულყვავილოვანთა (Compositae) ოჯახიდან, 25-80 სმ სიმაღლის სწორი, შებუსული ღეროთი. ფესვთანური ფოთლები მოგრძო-კვერცხისებრია ან ფართო ნიჩბისებრი, ქვემოდან დაწყებული ზევითკენ თანდათანობით შემ-

ცირებულია, კიდეხერხვილია. კალათები საშუალო ზომისაა, მტევნის მსგავს საგველა ყვავილედად შეკრებილი, ყვავილები ყვითელია.

ყვავილობს მაისიდან აგვისტომდე. იზრდება მთის წინებიდან სუბალპურ სარტყლამდე, ტყეებსა და მდელოებზე.

გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, როგორც შარდმდენი, ნალველმდენი საშუალება შარდკენჭოვანი დაავადებების სამკურნალოდ.

Stachys annua (L.) L. - ერთწლოვანი დედაფუტკარა



ტუჩოსანთა (Labiatae) ოჯახის ერთწლოვანი, უფრო იშვიათად ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 15-30 სმ სიმაღლისაა, მარტივი ან დატოტვილი. ფოთლები ყუნწიანია, მრგვალკბილა, ქვედა მათგანი - მოგრძო-კვერცხისებრია, ზედა - მოგრძო ლანცეტა, მკრთალი მწვანე. ყვავილები შეკრებილია 4-6 ყვავილიან რგოლებად (ნახევრადჩხროებად). გვირგვინი მოთეთროა. ყვავილობს მაისში. იზრდება დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე როგორც სარეველა ნათესარებში, რუდერალურ ადგილებში. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში კატარისა და მუნის სამკურნალოდ, ჭრილობების შესახორცებლად.

Stachys sylvatica L. - ყვანჩალა



მრავალწლოვანი მხოხავ ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 90 სმ-მდე სიმაღლისაა, სწორმდგომი, მარტივი, ზემო ნახევარში დატოტვილი. ფოთლები დიდი ზომისაა, კვერცხისებრი მოყვანილობის და გულისებრი ძირით, მრგვალკბილა. თანაყვა-

ვილები პატარა ზომისაა, გვირგვინი მუქი წითელია. ყვავილობს მაის-ივნისში. იზრდება ტყეებში დაბლობებიდან მთის შუა სართელამდე.

თაფლოვანი, საღებავი და სამკურნალო მცენარეა. ხასიათდება შარდმდენი და სასაქმებელი მოქმედებით.

Stellaria holostea L. - ტყის ჟუნჯრუკი



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მიხაკისებრთა (Caryophyllaceae) ოჯახიდან. ღეროები 15-40სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, დატოტვილი. ფოთლები ლანცეტაა, გრძლად წაწვეტებული, წვრილად შებუსვილი. ყვავილები მცირე ზომისაა, თეთრი, შეკრებილია ნახევარქოლგებად.

ყვავილობს მაის-ივნისში. იზრდება ტყის შუა და ზედა სართელში ბუჩქნარებში და მდელოებზე.

სამკურნალოდ ბალახი გამოიყენება, შეგროვილი ყვავილობის პერიოდში. იყენებენ ანთების საწინააღმდეგოდ, ტკივილგამაყუჩებლად, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისას. კარგი საშუალებაა მღიერის, ჭრილობებისა და წყლულების სამკურნალოდ.

Stellaria media (L.) Vill. - შუა ჟუნჯრუკი

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი: ქართლ-კახეთში - ჯუნჯრუკო, ჯუნჯრუკი; ხევში - წვრილი მხალაი, ჩიტის თოლაი, წვრილმხალაი, ოსურ-მხალაი; მთიულეთში - ოსური მხალი; მესხეთში - ნაცარა; ქვემო იმერეთში - ბოწვა; ზემო იმერეთში - ბოწოწია; გურიაში - ბოწოწო, ბოწოწუა, სირისუა; აჭარაში - ჟრიჭა



ერთ ან ორწლოვანი სუსტ-
დეროიანი ბალახოვანი მცენარეა,
უფრო პატარა ზომის 2,5-3 სმ
სიგრძის, კვერცხისებრი ან კვერ-
ცხისებრ-ლანცეტა ფორმის ფოთ-
ლებით, ქვედა მათგანი ცოტად
თუ მეტად გრძელყუნწიანია. ყვა-
ვილი ვარსკვლავისებრია, წვრი-

ლი, თეთრი. ყვავილობს მარტიდან სექტემბრამდე. ფართოდაა
გავრცელებული ტყეებში, გზების, მდინარეებისა და ტყის პირებზე,
დასახლებულ ადგილებში, ბაღებსა და ბოსტნებში, ნათესებსა და
მინდვრებში. ასარევილიანებს მარცვლოვან და მრავალწლოვან საკვებ
კულტურებს. სწრაფი გამრავლების გამო, აბეზარი სარეველაა.

ხალხურ მედიცინაში სამკურნალოდ გამოიყენება ნედლი მცენარე,
ყვავილები, წვენი, ღეროები, გამშრალი ფოთლები, რომლებიც აუმ-
ჯობესებენ გულის მუშაობას და ნივთიერებათა ცვლას. ფოთლებს
აგროვებენ მთელი ზაფხულის განმავლობაში. შეიცავს კაროტინს, C
და E ვიტამინებს, ეთერზეთებს და სინაპის მჟავას.

ბალახის ნაყენი ხასიათდება ტკივილგამაყუჩებელი, დამარბილებე-
ლი, ამოსახველებელი, შარდმდენი, ნივთიერებათა ცვლის მომწესრი-
გებელი თვისებებით, ხალხურ მედიცინაში იყენებენ გულის ტკივი-
ლების, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, კუჭისა და ნაწლავების უძლუ-
რების, დიარეის, აპენდიციტის, ყაბზობის, გაციების, ხველების, ბრო-
ნქიტის, პლევრიტის, ჰეპატიტისა და ღვიძლის სხვა დაავადებების,
რევმატიზმის, ნიკრისის ქარის სამკურნალოდ; ბავშვთა პრაქტიკაში
კრუნჩხვების საწინააღმდეგოდ. გარეგანად ნაყენის კომპრესებს და
ნედლი ბალახის დაქუცმაცებულ ნაწილებს ადებენ სიმსივნეებს, მათ
შორის ავთვისებიანს, ფურუნკულებს, ჰემოროიდალურ კვანძებს, კა-
ნის სხვადასხვა დაავადებებს, დამწვრობებს და მოტეხილობებს.

Symphytum caucasicum Bieb. – კავკასიური ლაშქარა

ქართლში, მესხეთ-ჯავახეთში, რაჭა-ლეჩხუმში უწოდებენ საროს; კახეთში - პატარძალას; მთიულეთში - წენგარა, ქალბატონები, პატარძლის კაბები; თუშეთში - შალდაყი; ფშავ-ხევსურეთში - შალარი, შალანი; სამეგრელოში - სარო; სვანეთში - მელენი



კავკასიის ენდემია. ლაშქარასებრთა (Boraginaceae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე 20-75 სმ სიმაღლის ღეროთი. მთელი მცენარე შებუსუსულია ჯაგრისებრი, ხაოიანი, რბილი მონაცრისფრო ბეწვით. ფოთლები ფართოა, ვიწრო-ლანცეტა ან კვერცხისებრი. ყვავილი ლურჯი ფერისაა. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება ტენიან მდელოებზე, წყლისპირა მონაკვეთებზე, ბუჩქნარებში, ტყის პირებზე, როგორც სარეველა - სამოვრებზე და ბოსტნებში. გამოიყენება ხალხურ მედიცინაში. ფესვები ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, შემკვრელი და შემომგარსავი, ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით.

Tamus communis L. - ძაღლის სატაცური

ქართლში უწოდებენ მიწისქონას; ფშავში - ძალაფსელას; თუშეთში - დათვთყურძენას; იმერეთში - ლეფშურას; ზემო აჭარაში - ლემშური; ქვემო აჭარაში - ქავილა; რაჭა-ლეჩხუმში, ზემო იმერეთში - ფუტკრი-ქავა, ფუთრიკავა; გურიაში - ძირიწამალი; სამეგრელოში - მორთა, უნთო, უნთოში ჯინჯი, ძარხუხუ; სვანეთში - მეთ, მულთა

დიოსკორიასებრთა (Dioscoriaceae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი ლიანა ერთი ან რამდენიმე წვრილი ღეროთი. ფესურა მსხვილია, მრავალი გვერდითი ფესვით. ფოთლები მორიგეობითია, გრძელყუნწიანი, კვერცხისებრი, გულისებრი ფუძითა და წვეტიანი ბო-



ლოთი. მცენარე ორსახლიანია; ყვავილები წვრილია, ყუნწიანი, მომწვანო, თითო-თითოდ ან ყვავილედად შეკრებილი. ყვავილობს მაის-ივნისში. იზრდება დაჩრდილულ და მცირედ განათებულ ადგილებში, ტყეებში, ტყის პირებზე, უმთავრესად წიფლნარებში, მუხნარ-

წიფლნარებში, რცხილნარ-ივნარებსა და მუხნარ ტყეებში, ბუჩქნარების რაყებში, მთის წინა და ტყის ზედა სარტყლის ჩათვლით, ზღ. დ. 2000 მ-მდე.

კავკასიის ტრადიციული მედიცინის ცნობილი სამკურნალო მცენარეა. სამკურნალო ნედლეულს ფესურა წარმოდგენს. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ნედლი ფესურის წვენი, როგორც რევულსიური საშუალება მტკივანი სახსრების დასაზეღად რევმატიზმის, იშიაზის, ართრიტის, ჩალურჯებული ადგილებისა და სისხლჩაქცევების, ჩირქოვანი ჭრილობების, განგრენული წყლულებისას. კლინიკური დაკვირვებებით დადასტურებულია ამ მცენარის ეფექტურობა რევმატიული დაავადებებისას.

შინაგანად მიღებისას იწვევს გამაღიზიანებელ მოქმედებას საკვებ-მომწელებელ ტრაქტზე, უფრო მაღალ დოზებში იწვევს გულის რევას და კუჭის აშლილობას.

Taraxacum officinale Wigg. - ბაბუაწვერა, ბურბუშელა

თუშეთში უწოდებენ მღვდელისწვერა, საღვიძლა, ღვიძლას; ჯავახეთში - კაბა-კუბა, ქაქაბუა, კაკა-ბუკას; ხევში - ვარდკაჭაჭა, სადღობელაის; ერწოში - ზიზილაყა, ზაყზაზია; იმერეთში - ბაბუაწვერა; ლეჩხუმში - ქარაფშუტა; გურიაში - ფუ, ფუბაბუა, ფუსფუსა, ყურისავსებელა; ჭანურად - ხოჯი მოზაი, ხოჯი კოკაი; სამეგრელოში - ჰაპაში ღვინი; სვანეთში - ქორგილ



რთულყვავილოვანთა (Compositae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 10-30 სმ სიმაღლის საყვავილე ღეროთი. ფოთლები მოგრძო უკულანცეტა ფორმისაა, ბურბუმელისებრ ან ჩანგისებრ-ფრთისებრ განკვეთილია სამკუთხა, კიდემთლიან ან დაკბილულ, ძირს ან გვერდზე

გადახრილ ნაკვეთებად, შიშველია ან ქვედა მხარეზე ოდნავ შებუსული. კალათები საშუალო ზომისაა, მარტოული. ყველა ყვავილი ენისებრია, მოოქროსფრო ან ღია ყვითელი ფერის. ყვავილობს აპრილიდან ოქტომბრამდე. იზრდება დაბლობებსა და მთისწინებზე, ტენიან და რუდერალურ ადგილებში, ნაკაფებში, ტყის ფანჯრებში, გზისა და ტყის პირებზე.

ხასიათდება ნალველმდენი, დიურეზული, მუცლის ჭიების საწინააღმდეგო და სასაქმებელი მოქმედებით. გამოიყენება მეცნიერულ და ხალხურ მედიცინაში როგორც მადის მომგვრელი, საკვებმომწეველი ტრაქტის მოქმედების გამაუმჯობესებელი, ნალველმდენი, დიურეზული და სასაქმებელი საშუალება. ხალხურ მედიცინაში ფესვების ნახარში იხმარება ფილტვების დაავადებებისას, როგორც ამოსახველებელი, აქვს შარდმდენი თვისებებიც; ფოთლები და ფესვების ნახარში იხმარება ნაღვლის ბუშტის, ნალველკენჭოვანი დაავადებების, სიყვითლის, გასტრიტის, კოლიტის, ყაბზობის, ბუასილის საწინააღმდეგოდ და ღვიძლის ქრონიკული დაავადებებისას, როგორც საშუალება, რომელიც სისხლში ამცირებს ქოლესტერინის რაოდენობას.

Teucrium polium L. - კუტი ბალახი

მესხეთში უწოდებენ მატაური, ჩიტისაპონას; გარე კახეთში - ბარცმანდუკი, მოჭრილას



მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა ტუჩოსანთა (Labiatae) ოჯახიდან. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა, წამოწეული, ძირში გახევებული, ფოთლებიანად ხშირი ბეწვისაგან მონაცრისფრო ქეჩისებრი. ფოთლები მჯდომარეა, მოგრძო ან უკულანცეტა. ყვავილების რგოლები თავაკი-

სებრ ყვავილედადაა განლაგებული და თავის მხრივ პატარა ზომის საგველასებრ ყვავილედად შეკრებილი. გვირგვინი თეთრია. ყვავილობს მაის-ივნისში. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ხრიოკ ადგილებში, ნაჩხატებში მთის შუა სარტყლამდე.

მცენარე შეიცავს ტერპენოიდებს, ფლავონოიდებს, ფიტოსტერინებს, ნახშირწყლებს, აზოტურ შენაერთებს, ფენოლებს, ფენოლურ და უმადლეს ცხიმოვან მჟავებს, ალიფატურ ნახშირწყლებს, სპირტებს და ალდეჰიდებს. ხასიათდება ჭრილობების შემახორცებელი და სედატური აქტივობით. მისი შემცველი ეთერზეთები ანტიბაქტერიულ აქტივობას ავლენს, იხმარება თვალის დაავადებებისას. კუტი ბალახის პრეპარატები გამოიყენება ნაწლავური კოლიკის, დიარეის, სიყვითლის, დიზენტერიის, აბსცესის, ეგზემის, რესპირატორული დაავადებების, ბრონქიტების, რადიკულიტის სამკურნალოდ.

Thymus tiflisiensis Klok. & Shost. - თბილისური ბეგქონდარა
ხევში უწოდებენ ქონდარას; მესხეთში - ბუქნას; თუშეთში - ველთქონდარას



საქართველოს ენდემია. ტუჩოსანთა (Labiatae) ოჯახის მრავალწლოვანი მხოხავფესურიანი ბალახოვანი მცენარე. ღერო ხასიათდება სწორი ან წამოწეული 9-15 სმ სიგრძის ძლიერ გახევებული სანაყოფე ტოტებითა და მრავალი უნაყოფო მწოლარე

ყლორტებით. ფოთლები მოკლევუნწიანია, მკვრივი, ხეშემი, მოგრძო ელიფსური. ყვავილები ყუნწიანია, წყვეტილ თავაკისებრ ყვავილედებადაა შეკრებილი, თანაყვავილები პატარა ზომისაა, გვირგვინი მკრთალი სოსანია. ყვავილობს მაისში. იზრდება კლდოვან და ქვიან ადგილებში, მშრალ ფერდობებზე მთის ქვედა და შუა სარტყელში. არომატულ-სანელებელი მცენარეა. ქართულ ხალხურ მედიცინაში ბეგქონდარას ხმარობენ ჩაის ნაცვლად, როგორც ოფლის მომგვრელ საშუალებას, აგრეთვე აბაზანებისათვის, კერძოდ ჭვლების დროს.

Tragopogon graminifolius DC. - მარცვლოვანფოთოლა ფამფარა
გარე კახეთში უწოდებენ ჰამზას; ქიზიყში - ფამფაროს; ფშავში - ვაციწვერას; თუშეთში - მძივანას; სვანეთში - ჭაფხვირს

რთულყვავილოვანთა (Compositae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-90 სმ-მდე სიმაღლის წამოწეული ან სწორი, მარტივი ან დატოტვილი, მრავალრიცხოვანი ღეროთი. ფესვთანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები ლანცეტა-ხაზური ფორმისაა, კიდემთლიანი, წვერისკენ წაწვეტებული, ზედა ფოთლები შედარებით მოკლეა, ძირში გაფართოებული. კალათები არ არის დიდი ზომის, მცირეყვავილიანია, ყვავილები ყვითელი ფერისაა. ყვავილობს



აპრილ-მაისში. იზრდება მთის შუა სარტყლამდე, ღია ადგილებში, მდელოებზე, ნაჩხატებზე, ბუჩქნარებში, გზის პირებზე. ემპირიულ მედიცინაში ამ მცენარით მკურნალობენ ღვიძლის დაავადებებს; ხელს უწყობს აგრეთვე ნახველის ამოღებას.

Tribulus terrestris L. - მიწისზედა კუროსთავი ტატაშა



ორყურასებრთა (Zygophyllaceae) ოჯახის ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა გაფარჩხული ბეწვით მოფენილი, მწვანე ან ნაცრისფერ-მწვანე. ღერო 10-60 სმ სიგრძისაა, გართხმული, დატოტვილი. ფოთლები წყვილფრთისებრია, ჩვეულებრივ შედგება 6-7

წყვილი მოგრძო, შებუსუსი ფოთოლაკისაგან. ყვავილები მარტოულია, ილლიური, პატარა ზომის, ყვითელი ფერის. ყვავილობს მაისიდან სექტემბრამდე. იზრდება მთის შუა სარტყლამდე, გზის პირებზე, რუდერალურ და ქვიშნარ ადგილებში. ხალხურ მედიცინაში ნაყოფებისა და ფოთლების ნაყენი იხმარება თირკმლისა და შარდსადინარი გზების დაავადებებისას. ფესვების ნახარშს რძეში იყენებენ ორგანიზმის გამამდიერებელ საშუალებად. მეცნიერულ მედიცინაში ბალახის ნაყენს იყენებენ სასქესო სფეროს მასტიმულირებელ საშუალებად.

Trifolium pratense L. - წითელი სამყურა

მთიულეთში მას უწოდებენ საწოწნელას; საინგილოში - თოხლუბაშ
იონყას; ჭანეთში - მაიასილიშ ქუქუდა; სამეგრელოში - ტოფურის



პარკოსანთა (Leguminosae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე 10-30 სმ-მდე სიმაღლის შებუსუსული ღეროთი. ფოთლები სამყურაა, კვერცხისებრი, ან ელიფსური ფოთოლაკებით. ყვავილები ღია წითელი ფერიდან მუქი წითელი ფერისაა. ყვავილობს მაისიდან სექტემბრამდე. იზრდება დაბლობებსა და მთისწინებზე, ტენიან ადგილებში, უმთავრესად მდელოს მცენარეულობაში, ბუჩქნარებში, ნაშალებსა და ღორღნარებზე სუბალპურ სარტყლამდე. ყვავილობს მაისიდან ივლისამდე. ნორჩი ფოთლები ასპარაგინს შეიცავს.

ხალხურ მედიცინაში ყვავილების ნახარში გამოიყენება, როგორც ამოსახველებელი, შარდმდენი და ანტისეპტიკური საშუალება, სისხლნაკლებობის, ფილტვების დაავადებების, ავთვისებიანი სიმსივნეების, გარეგანად - დამწვრობისა და წყლულების დროს.

ხალხურ მედიცინაში ყვავილების ნახარში გამოიყენება, როგორც ამოსახველებელი, შარდმდენი და ანტისეპტიკური საშუალება, სისხლნაკლებობის, ფილტვების დაავადებების, ავთვისებიანი სიმსივნეების, გარეგანად - დამწვრობისა და წყლულების დროს.

Tulipa biebersteiniana Schult. et Schult. - ბიბერშტეინის ტიტა



შრომანისებრთა ოჯახის (Liliaceae) მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, კვერცხისებრი ბოლქვით. ღერო 15-30 სმ სიმაღლისაა, 2-3 ფოთლიანი. ფოთოლი უფრო ხშირად ორია, იშვიათად სამი, ვიწრო ხაზური ან ლანცეტა, ლეგა შეფერილობის.

ყვავილი ჩვეულებრივ მარტოულია, ორსქესიანი, ყვითელი, 3-3,5 სმ სიგრძის, გაშლამდე თავდალუნული, შემდეგ სწორმდგომი ხდება. ყვავილსაფრის ფოთლები 2-3 სმ სიგრძისაა, კვერცხისებრ-ლანცეტა, თავწაწვეტებული, ძირში წამწამაკიდეებიანი. ყვავილობს აპრილში. იზრდება გრაკლისა და ძეძვის ბუჩქნარებში, გამეჩხერებულ, ანთროპოგენურ ტყეებში, ქვა-ლორდიან მწირ ნიადაგებზე, პერიოდულად მშრალ ხევებში მთის შუა სარტყლამდე. მიეკუთვნება იშვიათ სახეობათა რიცხვს, შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნში”.

ძველ ქართულ ხალხურ მედიცინაში მცენარის წვეწვანს იყენებდნენ ცხვირში ჩასაწვეთებლად სიყვითლის, ხოლო თესლს-სისხლიანი ფადარათის დროს.

საინტერესო ფაქტები: სპარსეთში არსებობს თქმულება, რომ ოდესღაც ერთმა გრძნეულმა ყვითელი ტიტას კოკორში ბედნიერება დამალა. ქვეყნის ყველა მკვიდრი გაუბედურდა, კოკორი კი არანაირად არ იშლებოდა. ათეულებით ბრძენი ცდილობდა აემულებინა კოკორი გადაშლილიყო, ყველაზე ლამაზი სპარსელი ქალები უმღეროდნენ ტიტას სიმღერებს, მას რწყავდნენ ღვინით, მთის მდინარეების წყლით, ყვავილთან უცხოებს არ უშვებდნენ, ასუფთავებდნენ მტვრის ნაწილაკებისაგან, მოკლედ ყველა მას დაჰფიფინებდა, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. სპარსეთის მმართველმა სიმდიდრე და დიდება აღუთქვა მას, ვინც შესძლებდა კოკრის გაშლას. მაგრამ ვერავინ ვერ მიაღწია წარმატებას. ისე ჩანდა, რომ ბედნიერება არასოდეს დაბრუნდებოდა ამ მიწაზე. ერთ დღესაც, პატარა ბიჭუნა, მმართველის მოსამსახურის შვილი თამაშობდა სასახლის ბაღში. რა თქმა უნდა ბავშვმა არაფერი არ იცოდა ტიტაზე და მასთან დაკავშირებულ წყევლაზე, მან უბრალოდ აიღო ყვავილი ხელში, გაიღიმა და მხიარულად გადაიკისკისა. სასახლის დაცვამ უკვე ბავშვის დასჯა გადაწყვიტა, რომ უეცრად ტიტამ გაშალა გვირგვინის ფურცლები. ბიჭუნას გულწრფელმა სიცილმა შესძლო წყევლის მოხსნა და სპარსეთისათვის ბედნიერების დაბ-

რუნება. მას შემდეგ ყვითელი ტიტას გამწვანებული ყვავილები ბედნიერების სიმბოლოა.

https://buketleta.ru/articles/legendy_o_tsvetakh_tyulpany/

Tulipa eichleri Regel. - ეიხლერის ტიტა, წითელი ტიტა



აღმოსავლეთ ამირკავკასიის ენდემური სახეობაა. მრავალწლოვანი ბალახოვანი ბოლქვოვანი მცენარე. ღერო 10-45 სმ სიმაღლისაა, შეფოთლილი. ფოთოლი ჩვეულებრივ 3-ია, ხუჭუჭა-კიდებებიანი. ყვავილი ერთია, ორსქესიანი, საკმაოდ მსხვილი, 4-7

სმ სიგრძის, ალისფერი. ყვავილსაფრის ფოთლები თავწაწვეტებულია, შიგნიდან შავი ლაქით, რომელიც ყვითელი არშიითაა გარშემოვლებული. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება სამხრეთის და აღმოსავლეთის ექსპოზიციების მშრალ კლდოვან ფერდობებზე, ქვა-ლორღიან მწირ ნიადაგებზე, გამეჩხერებულ მდელოს ბალახეულობაში მთის ქვედა სარტყელში. მიეკუთვნება იშვიათ სახეობათა რიცხვს, შეტანილია საქართველოს “წითელ წიგნში”. ნედლი ბოლქვები ხასიათდება სასაქმებელი მოქმედებით.

ამ მცენარეს ფართოდ იყენებს დავით ბაგრატიონი. მისი აზრით წიწმატი და ტიტა ერთნაირი მოქმედებისანი არიან; დანაყილი მცენარის წვეწვანს ავტორი გვთავაზობს ცხვირში ჩასაწვეთებლად სიყვითლის, ხოლო თესლს - სისხლიანი ფაღარათის დროს; მას ხმარობდნენ კბილის ტკივილის დასაყუჩებლად. ამასთან გვაფრთხილებს - ბევრი არ ჭამონ, რადგანაც თავს ატკივებს და ზაფრას გააძლიერებსო. “იადიგარ დაუდში” მეტად საინტერესო ფრაზასაც ვხვდებით: “ვინცა ორი დანგი ამა ტიტის თესლი ჭამოს სისხლისათვის მწოვედ კარგი არის

და რაც კაცის ტანშია ყუითელი წყალი და წალა დგას, ყუელასა გასწმედს და გააქარვებს”.

ამჟამად ცნობილია, რომ ტიტა შეიცავს ალკალოიდ ტულიპინს, რომელიც მოქმედებს გულზე. ბოლქვები ტოქსიკურია; ხშირად აღინიშნება საქონლის მოწამლვა ტიტანარევი ბალახით.

საინტერესო ფაქტები: ტიტა ლამაზი, მოხდენილი ყვავილია, ცისარტყელას ყველა ფერით შემკობილი. სადღეისოდ მეტად ადვილია გაზაფხულზე ტიტას თაიგულის შექმნა, მაგრამ იყო პერიოდები, როდესაც ტიტას ყვავილი მიიჩნეოდა ჯადოსნურად და მიუწვდომლად, როდესაც იგი ფაქტიურად მის წონა ოქროდ ფასობდა. ტიტები უყვარდათ თურქეთის სულთნებს, მათ ბაღებში თავს იწონებდა ტიტების ხალიჩები. საინტერესოა... ღამის ნადიმების დროს, ტიტას ფართო კლუმბებში უშვებდნენ კუებს, მათ ჯავშანზე კი ანთებულ სანთლებს ამაგრებდნენ, სანახაობა უბრწყინვალესი იყო: მოხეტიალე შუქები ლამაზი ყვავილების მოციმციმე ფურცლებს შორის!

და რა თქმა უნდა ამ ყვავილზე მრავალი ლეგენდაა შეთხზული. „ათასერთი ღამის“ ზღაპრებში მშვენიერი შეხერეზადა მოგვითხრობს, რომ უძველესი ტიტა წარმოიქმნა დრაკონის სისხლისგან, ხოლო მისი კამკამა ფერი თითქოსდა ეუბნება ძველი ღვინის თასს: „მე ვათრობ, ისე რომ არ ვეხები ტუჩს“, ხოლო აალებულ სახლს მიმართავს - „მე ვიწვი, მაგრამ არ ვიბუგები“.

სპარსეთში (და არა მარტო იქ) მიაჩნდათ, რომ მშვენიერი ყვავილი წარმოიქმნა ფარხადი და შირინის ტრაგიკული სიყვარულის ისტორიიდან. ეს გრძნობა იმდენად ძლიერი იყო, რომ ბოროტ ადამიანებს მათი შემურდათ და გაუშვეს ჭორი, რომ მშვენიერი გოგონა მოკლულია. ფარხადმა როდესაც ეს სამწუხარო ამბავი შეიტყო, დარდისგან გადაირია, ცხენს შეახტა და კლდეებს მიაშურა, სადაც სასიკვდილოდ დაშავდა. იმ ადგილას, სადაც მისი სისხლის წვეთები მიწას დაეცა, წარმოიქმნა კამკამა წითელი ტიტები. მას შემდეგ, ტიტას სიმბოლოა ვნებიანი სიყვარული.

დევონშირის ზღაპარში ტიტები იყვნენ აკვნები პატარა ელფებისა და სხვა და სხვა ჯადოსნური პაწიებისათვის, გნომებისა და ქონდრისკაცებისათვის. ფერიები მათ ყვავილებში აწვენდნენ, ხოლო ქარი ნანინას უმღეროდა. ერთ ღამეს დევონშირის მკვიდრმა, რომელსაც მერი ერქვა, ბაღში ხმაურს მოჰკრა ყური და ფარნით გარეთ გავიდა, რათა ენახა რა ხდებოდა იქ. მის ბაღში იზრდებოდა რამდენიმე თეთრი ტიტა, ქალმა მათ შიგნით ერთი წყვილი პაწაწა ფერია შენიშნა. ნანახით აღფრთოვანებულმა, დაიწყო სულ უფრო მეტი და მეტი ტიტების დარგვა ისე, რომ ფერიების ყველა ჩვილისათვის საკმარისი ყოფილიყო. კეთილი ქალი საათობით ტკბებოდა ამ სიმშვენიერით და ბოლოს და ბოლოს, როდესაც ფერიები დარწმუნდნენ, რომ მისგან არაფერი ცუდი არ ემუქრებოდათ, პირიქით სიყვარულით ეპყრობოდა მათ, მაღლიერების ნიშნად ყვავილები ყველაზე კაშკაშა ფერებით შეამკეს და სურნელითაც კი დააჯილდოვეს. ამასთან დეიდა მერის სახელი მის სიკვდილამდე კურთხეულ იყო.

<https://ok.ru/skarbnic/topic/65820146928400>

Tussilago farfara L. - ვირისტერფა

ქართლში ცნობილია ჯორისქუსლა, პირბამბა, ხავერდას; ხეცა და მთიულეთში - თეთრი ბუარას, ფშავში - ვირის ბუარა, ტერფაბუერა, თავყვითელას; ხეცსურეთში - ცხენისტერფას; თუშეთში-დათვთბუერას; გარე კახეთში - ტირიფის; ერწოში - დათვისტერფას; აჭარაში - გულბამბა, პირბამბას სახელით



რთულყვავილოვანთა (Compositae) ოჯახის მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარეა გრძელი მხოხავი ფესურით. პირველად ვითარდება 10-25 სმ სიმაღლის საყვავილე ღეროები, რომლებიც მოფენილია ქერქლისებრი, მოწითალო, წვრილი ფოთლებით. მოგვიანებით წარმოიქმნება მომრგვალო-კვერცხისებრი ფორმის, კიდეებზე არათანაბრად ამოკვეთილ-დაკბილული, ზედა მხარეზე შიშველი, ქვედაზე - სქლად თეთრად მატყლისებრ შებუსული ფესვთანური ფოთლები. კალათები მარტოულია, პატარა ზომის, ყვავილები კაშკაშა ყვითელია, ზოგჯერ მოწითალო. ყვავილობს თებერვალ-აპრილში. იზრდება განათებულ და ნახევრად დაჩრდილულ ადგილებზე, წყლის პირებზე, ნაშალებზე.

სამკურნალო ნედლეულს ფოთლები წარმოადგენს. გამოიყენება ხალხურ და მეცნიერულ მედიცინაში. მცენარე ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით, აძლიერებს ბრონქიალური ჯირკვლების სეკრეციას, არის დამარბილებელი, ამოსახველებელი და შარდმდენი. გამოიყენება სასუნთქი ორგანოების დაავადებების, ზედა სასუნთქი

გზების კატარის, ფილტვების ანთების, ბრონქიალური ასთმის და ან-გინის სამკურნალოდ.

საინტერესო ფაქტები: მცენარის რუსული სახელი *мать и мачеха* (დედა და დედინაცვალი) უკავშირდება თქმულებას ერთი გოგონას დედისა და დედინაცვალის შესახებ. ერთმა ბოროტმა ქალმა გადაწყვიტა გაენადგურებინა თავის გერი, რადგან არ სურდა, რომ კაცს ყოფილი ცოლი და ქალიშვილი მოენახულებინა. ერთხელაც შეიტყუა საცოდავი გოგონა ფლატესთან და იქიდან გადააგდო. ამასობაში გოგონას დედამ, შეწუხებულმა მისი დაგვიანებით დაუწყო ძებნა, მაგრამ დაავიანდა - მას უსიცოცხლო სხეული დახვდა. ქალიშვილის სიკვდილით გამწარებული დედა საცემრად ეცა დედინაცვალს და გადაჭდობილები დაეშვნენ ხევის ფსკერზე. მეორე დღეს მისი ფერდობები დაიფარა მცენარეებით, რომელთა ფოთლები ერთი მხრიდან რბილი და თბილია, მეორე მხარეს - ხეშეში და ცივი, ხოლო პატარა ყვითელი ყვავილები განასახიერებს გოგონას ქერა კულულებს.

გავრცელებული შეხედულებისამებრ, თუ ატარებთ ტომსიკას ვირისტერფას ფოთლებით და ყვავილებით, ის მიიზიდავს სიყვარულსა და ქალის ბედნიერებას. ხოლო თუ ყვავილებისაგან დაწნავთ გვირგვინს, მოათავსებთ ლამბაქზე და ოთახში დადგავთ, მაშინ ოჯახი სამუდამოდ განთავისუფლდება აყალ-მაყალისაგან და სახლში მუდმივი სიმშვიდე და ჰარმონია დაისადგურებს.

ვირისტერფას უხსოვარი დროიდან ჯადოსნურად თვლიდნენ, სჯეროდათ რომ განსაკუთრებით კეთილგანწყობილია ქალებისა და ბავშვებისადმი, მათი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის ბალახს ლეიბის ქვეშ ათავსებდნენ. მცენარე ითვლებოდა ობლების მფარველად, ეხმარებოდა მათ მარტოობის გადალახვაში.

ხალხში ვირისტერფას ყვავილების მიხედვით ადგენდნენ ამინდს, რადგან მათ ბარომეტრის მსგავსად, წინასწარ შეეძლოთ სიცივისა და წვიმიანი ამინდის განსაზღვრა. მზისგან გამთბარი ყვავილები იშლება, ხოლო გაზაფხულის უამინდობისას იხურება.

<http://www.myshared.ru/slide/959646/>

Valeriana officinalis L. – სამკურნალო კატაბალახა

რაჭასა და იმერეთში უწოდებენ კატაპარიას; თუშეთში - გულბანდის; ერწოში - მიწის საკმელას



კატაბალახისებრთა (Valerianaceae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, გამსხვილებული მოკლე ფესურითა და თასმისებრი ფუნჯა ფესვებით, მიწისქვეშა და ზოგჯერ მიწისზედა ყლორტებით, რომელთა ბოლოებზე შვილეული მცენარეები ვითარდება. ღერო 60-150 სმ სიმაღლისაა, მარტოული, ღრუ, ძირში დაღარული, ხშირად მოწითალო-

ისფერი. ფოთლები ფრთისებრ-განკვეთილია, შიშველი ან შებუსული, თითოეული სეგმენტი ვიწრო კვერცხისებრია, ლანცეტა ან ხაზური, ხერხისებრ შორიშორს დაკბილული. ყვავილედები დიდი ზომისაა, გაფარჩხული, ფარისებრ-საგველასებრი. ყვავილები მოვარდისფრო-თეთრია. ყვავილობს მაის-ივლისში. იზრდება ტყის პირებზე, ბუჩქნარებში, დაჩრდილულ ფერდობებზე მთის ქვედა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე.

სამკურნალოდ გამოიყენება კატაბალახას ფესვი, აგროვებენ ადრე გაზაფხულზე, მცენარეების ვეგეტაციის დაწყებამდე ან გვიან შემოდგომით, ვეგეტაციის დამთავრების შემდგომ. შეიცავს ეთერზეთებს, ვალერიანის მჟავას, მმარმჟავას, ჭიანჭველამჟავას, ალკალოიდებს, მთრთილავ ნივთიერებებს, შაქარს. მის ნაყენს იყენებენ ნერვული ალგუნების, უძილობის, გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებების, ნევროზის დროს.

საინტერესო ფაქტები: არსებობს რამდენიმე ვარაუდი ვალერიანის სახელის წარმოშობის შესახებ; მაგალითად, გვარის ლათინური სახელი **Valeriana** ნიშნავს „ჯანმრთელად ყოფნას“, რაც უკავშირდება მის სამკურნალო თვისებებს.

ამავე დროს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მცენარეს სახელი მიენიჭა რომის იმპერატორ ვალერიანეს საპატივცემულოდ. მის სამკურნალო მოქმედებაზე ცნობილი იყო ძველ ევროპაში. იმ დროის მრავალი მოღვაწე - ავიცენა, პლინიუსი, დიოსკორიდი თვლიდა, რომ კატაბალახას შესწევს უნარი წარმართოს აზრები, დაამშვიდოს და გააძლიეროს თავის ტვინი.

https://ozonit.ru/elr/valeriana/valeriana_istoriya.php

Verbena officinalis L. - ცოცხანა

იმერეთში უწოდებენ შავი ცოცხი, სამაჭრის; რაჭასა და კახეთში - ცოცხმაგარას; გარე კახეთში, ქიზიყში - ჩადის; ლეჩხუმში - მოზვრიკუდეს; გურიაში - ცოცხა-ცოცხა, ცახა-ცახას; საინგილოში - კარაზანას; სამეგრელოში - მაქოსალაია, მაწკინტიას



ცოცხანასებრთა (Verbenaceae) ოჯახის მრავალწლოვანი 30-60 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები მოგრძო კვერცხისებრია, მოკლეკბილებიანი ნაკვეთებით. ყვავილები ყვავილედის ღერძზე დამორიშორებულია, გვირგვინი მკრთალი სოსანია ან თეთრი. ყვავილობს აპრილიდან ოქტომბრამდე. იზრდება ტენიან ადგილებში, ნათესებსა და რუ-

დერალურ ადგილებში მთის შუა სარტყლამდე.

კავკასიის მცხოვრებლები ბალახის წვენს იყენებდნენ მუცლის ტკივილის, ასევე ჩაჭედილი თიაქარის მიერ გამოწვეული ტკივილების შემთხვევაში.

საინტერესო ამბები: ძველი ბერძნები და რომაელები განსაკუთრებით აფასებდნენ ცოცხანას. მას უწოდებდნენ „იზიდას ცრემლებს“, „ვენერას მარღვს“ და „მერკურის სისხლს.“ ძველ საბერძნეთში მისი გვირგვინი წარმოადგენდა ბედნიერი ქორწინების სიმბოლოს. ასევე ითვლებოდა, რომ ვერბენას ძალუმს ყოველი ადამიანი გარდაეძენას მახვილგონიერ და მხიარულ მოსაუბრედ. შემთხვევითი არ არის, რომ როდესაც ელჩები მტერთან მოსალაპარაკებლად მიდიოდნენ, ხელში ცოცხანას ყვავილები ეკავათ. თუ საუბრის შემდეგ ელჩები ყვავილებს გადაყრიდნენ, ეს ნიშნავდა, რომ კონფლიქტის გადაწყვეტა მშვიდობიანი გზით ვერ მოხერხდა.

Veronica anagallis L. - ჩადანდრი

აჭარაში უწოდებენ ჩიხანდარი, ჯიხანდარის; მესხეთში - დასტურ-ჩადანდრის



შავწამალასებრთა (Scrophulariaceae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები მჯდომარეა, თითქმის ღერომხვევი ან თანდათანობით ძირთან შევიწროებული, ლანცეტა, მახვილწვერიანი. ყვავილები მტევნისებრ ყვავილედადაა შეკრებილი, გვირგვინი მკრთალი ცისფერია, ზოგჯერ მოვარდისფრო-იისფერი. ყვავილობს აპრილ-სექტემბერში. იზრდება ტენიან ადგილებზე, არხების, მდინარეებისა და ტბების ნაპირებზე.

შეიცავს მწარე და მთრიმლავ ნივთიერებებს, საპონინებს, ეთერზეთებს. ხალხურ მედიცინაში გამოიყენებოდა კუჭ-ნაწლავის დაავადებების სამკურნალოდ; მისგან ამზადებდნენ აგრეთვე ყელში გამოსავლებს ხსნარებს.

Vinca herbacea Waldst. et Kit - გველის სურო

კახეთში უწოდებენ მიწაფართხას; ზემო იმერეთში და აჭარაში - სუროვანდა, სუროვარდის; იმერეთში - მიწის სუროს; ლეჩხუმში - სუროწვრილას; სამეგრელოში - გვერიში ცურუ, მურხვანტალას



ქენდირისებრთა (Apocynaceae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი მოკლე ფესურიანი მცენარეა. ღერო რამდენიმეა, როგორც ნაყოფიანი, ისე უნაყოფო, გართხმული ან წამოწეულია, შიშველი. ფოთლები კვერცხისებრია ან მომრგვალო-კვერცხისებრი,

ზედა - მოგრძო ლანცეტა ფორმისაა. ყვავილები მარტოულია, ფოთლის ილღიებში განწყობილი, დიდი ზომის; გვირგვინის ფურცლები მოლურჯო-იისფერია ან იშვიათად თეთრი. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება ნათელ ტყეებში, მუხნარ-ჯაგრცხილნარებში, ტყის პირებზე, ფერდობებზე მთის შუა სარტყელში.

მცენარე შხამიანია! ბალახის ნაყენი გამოიყენება ჩირქიანი ჭრილობებისა და დერმატიტების საწინააღმდეგოდ. მედიცინაში გველის სუროს ალკალოიდები იხმარება I და II სტადიის ჰიპერტონიის, ტვინის სისხლძარღვების ჩაქცევებისას.

საინტერესო ფაქტები: ერთხელ, როდესაც ტყეები ჯერ კიდევ ფოთლებით იყო შემოსილი, ყვავილები ჯერ არ გადაყვავილებულიყო, ხოლო მარცვლეული მოუმწიფებელი იყო, დედამიწაზე ადრეული ყინვები დაიწყო. ხეების ფოთლები ლითონის ფირფიტებივით წკრია-

ლებდნენ, ყინულის ლოლუებად გადაიქცნენ ყვავილები, საშინელი იყო გაყინული ბალახის ყურება და კიდევ უფრო უარესი იყო გაყინული ფოთლების ზარის ხმის მოსმენა.

როდესაც საბოლოოდ ამოვიდა მზე და ყინული გააღლო, ამან მხოლოდ გააძლიერა საშინელებათა სურათი. ფოთლები ძონძებივით იყვნენ ხეებზე ჩამოკიდებულნი, ჩამპალი ბალახი მიწაზე გართხმულიყო, მაგრამ მათ შორის გამონაკლის შეადგენდა გველის სურო, ყველაფრის მიუხედავად, მას ფოთლები გაეშალა და ამაყად წელში გამართულიყო.

როგორც მარადმწვანე მცენარე ტყიდან გადაიტანეს ბაღში, ბაღიდან სასაფლაოზე, როგორც მუდმივი სიყვარულისა და დაუვიწყრობის სიმბოლო.

მალამა ყინვაგამძლეობამ და სიცოცხლის უნარიანობამ უზრუნველყო მისი მნიშვნელოვანი ადგილი უკრაინის ხალხურ დღესასწაულებში და წეს-ჩვეულებებში. არის სიყვარულისა და ქორწინების დღესასწაულის სიმბოლო. გველის სურო წარმოადგენდა ჟან-ჟაკ რუსოს საყვარელ ყვავილს. მასში ხედავდა სუფთა, სრულ ქმნილებას, ისეთს როგორც შექმნა ღმერთმა, სულიერად მშვიდდებოდა მათ შორის. მათდამი დიდი სიყვარული დიდმა მოღვაწემ აღწერა წიგნში „აღსარება“, როდესაც ეს ნაწარმოები დაიბეჭდა და მკითხველები გაეცნენ მის ამ ყვავილისადმი სიყვარულის ისტორიას, მცენარის სანახავად ყველამ მიაშურა პარიზის ბოტანიკურ ბაღს, სადაც უხვად იზრდებოდა ეს მცენარე, რათა დამტკბარივინ ცისფერი ყვავილებით.

<https://vortexflowers.net/legendyi-o-tsvetah/barvinok-legendyi-o-barvinke/>

Viola alba Bess. - თეთრი ია

ქართლ-კახეთში უწოდებენ ბებრის იას, ვაჟის იას



იისებრთა (Violaceae) ოჯახის მრავალწლოვანი უღერო ბალახოვანი მცენარეა, ხასიათდება როგორც მიწისზედა, ისე მიწისქვეშა მხოხავი ყლორტებით. ფოთლები როზეტადაა შეკრებილი, მუქი მწვანეა, ოვალურ-გულისებრი, კიდედაკბილული, წვრილი ბეწვით მოფენილი. ყვავილები ფოთლების იდლიებში თითო-თითოდაა განლაგებული; გვირგვინის ფურცლები თეთრია ან ღია იისფერი. ყვავილობს მარტ-აპრილში. იზრდება ტყის შუა და ზედა სარტყელში, ნათელ და მეჩხერ ტყეებში, ბუჩქნარებში, ღია ფერდობებზე, ტყის ნაკაფებსა და დერივატებში.

Viola arvensis Murr. - ყანის ია

კახეთში უწოდებენ კაცა-ია, კარაქულა, აზნაურას; რაჭაში - დედოფალას; ქვემო რაჭაში - საყმაწვილოს; ზემო რაჭაში - საბოშიანოს; ზემო იმერეთში - კიჭმაჭია, ხაჭაპურას



ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო 10-30 სმ სიმაღლისაა, დატოტვილი, სუსტად შებუსული; ქვედა ფოთლები მომრგვალო-ნიჩბისებრია, შუა ფოთლები კვერცხისებრი ან ელიფსური, ზედა - მჯდომარეა,

ლანცეტა ფორმის; ყველა ფოთოლი ქვედა მხარეზე შებუსულია; ყვავილები 0,8-1,5 სმ სიგრძისაა, არ არის სურნელოვანი. გვირგვინის ფურცლები ყვითელია ან მოთეთრო, იშვიათად ცისფერი. ყვავილობს მაის-ივლისში. იზრდება მშრალ, ბალახოვან ფერდობებზე, რუდერალურ ადგილებში მთის ზედა სარტყლამდე.

ხალხურ მედიცინაში ბალახი გამოიყენებოდა საყმაწვილო სენის წინააღმდეგ.

Viola kitaibeliana Schult. - ჩიტის ია



ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 5-12 სმ სიმაღლის. ღერო სწორია, დატოტვილი, წვრილი ბეწვით შებუსული. ღეროსეული ქვედა ფოთლები მომრგვალო ნიჩბისებრია, ან თითქმის მომრგვალო, სუსტად მრგვალკბილებიანი, ყუნწები ფირფიტაზე გრძელია; შუა და ზედა ფოთ-

ლები მოგრძო კვერცხისებრიდან ხაზურამდე ფორმისაა. ყვავილები მოთეთროა ან ყვითელი, ზოგჯერ გვირგვინის ზედა ფურცლები ცისფერია. ყვავილობს აპრილიდან ივლისამდე. იზრდება მდელოებზე, მშრალ ფერდობებზე, ტყის პირებზე მთის ზედა სარტყლამდე. იის ყველა ზემოაღნიშნული სახეობების ფოთლები შეიცავს სალიცილის მჟავას. იყენებენ ქალის მკერდზე გამონაყრებისას. ნახარშს ღებულობენ ყელის ტკივილისას. აქვს პირსასაქმებელი და სასაქმებელი მოქმედება.

Viola mirabilis L. - საოცარი ია



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. გაზაფხულზე ინვითარებს ფესვთანური ფოთლების როზეტს, შემდეგში ვითარდება მიწისზედა სწორმდგომი ღერო ერთი წყვილი თირკმლისებრი ზედა ფოთლით. ყვავილი სურნელოვანია, ღია ცისფერი. ყვა-

ვილობს აპრილ-მაისში. იზრდება ტყის სარტყელში ტყეებსა და ბუჩქნარებში. ფოთლები ხასიათდება პირსასაქმებელი და სასაქმებელი მოქმედებით.

Viola odorata L. -სურნელოვანი ია



მრავალწლოვანი ბალახოვანი, მოკლე ფესურიანი, უღერო მცენარეა. ივითარებს მხოვად ყლორტებს, რომლებიც ბოლოში ფესვიანდება. ფოთლები ფესვთანურია, მომრგვალო ან ფართო კვერცხისებრი, ძირში გულისებრი, კიდეზე ხერხისებრ მრგვალ-

კბილა, მოფენილია მოკლე გაბნეული ბეწვით. ყვავილები სურნელოვანია, გვირგვინის ფურცლები მუქი იისფერია. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება ტყის სარტყელში, ტყეებსა და ტყის პირებზე, ბუჩქნარებს შორის.

ყვავილები გამოიყენება პარფიუმერიაში იის ზეთისა და სუნამოების სახით. ბალახის და განსაკუთრებით ფესვების ნაყენი რეკომენდირებულია, როგორც სეკრეტორული საშუალება ხველების, ყივანახველის, ქოშინის, ბრონქიალური კატარის დროს. როგორც სედატური -

ისტერიის, გულის ფრიალის, ნერვული აღზნებისა და უძილობის საწინააღმდეგოდ.

Viola reichenbachiana Ford. ex Boreav. (= V. sylvestris Lam.) - ტყის ია



მრავალწლოვანი ბალახოვანი, მოკლევსურიანი მცენარეა. ღერო 15-20 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, უხეში. ფოთლები როზეტადაა შეკრებილი, ოვალურ გულისებრია, კიდეებზე მრგვალკბილა; ღეროსეული ფოთლები კვერცხისებრია, ძირში გულისებ-

რი, კიდეებზე მრგვალკბილა, წაწვეტებული; ყვავილები არ არის სურნელოვანი; გვირგვინის ფურცლები იისფერია. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრდება ტყეებში, ტყის პირებზე, ნატყევარ ადგილებში, ბუჩქნარებში, ნაკაფებში, ღია ფერდობებზე დაბლობიდან დაწყებული მთის შუა სართულამდე.

Viola suavis Bieb. - საამური ია



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მიწისზედა მოკლე მხოხავი ყლორტებით. ფოთლები ფართო კვერცხისებრ-გულისებრია. ყვავილები სურნელოვანია. გვირგვინი ცისფერია, იშვიათად ღია სოსანი ფერის, ხახაში თეთრი. ყვავილობს აპრილ-მაისში. იზრ-

დება ტყის სართულში, მეჩხერ ტყეებში, ბუჩქნარებს შორის, ტყის ფანჯრებში.

საინტერესო ფაქტები: მას შემდეგ, რაც მზის ღმერთი აპოლონი მოსვენებას არ აძლევდა ატლასის ერთ-ერთი ულამაზეს ქალიშვილს და თავისი მწვავე სხივებით დევნიდა მას, შეწუხებულმა გოგონამ დახმარებისათვის ზევსს მიმართა, რათა შეეფარებინა და დაეცვა იგი. მან ყურად იღო მისი ვედრება და საოცარ იად გადააქცია და ბუჩქების ჩრდილში დამალა; სადაც მას შემდეგ ყოველ გაზაფხულზე ყვავილობდა და თავის სურნელით ამკობდა ზეციურ ტყეებს. იქნებ ეს მშვენიერი ყვავილი სამუდამოდ დარჩენილიყო ზევცაში და არასდროს მოხვედრილიყო ჩვენთან დედამიწაზე, თუ არა ის რაც მოხდა, ერთხელ ზევსის და ცერესის ქალიშვილმა პროზერპინამ ყვავილების სანახავად ტყეში გასეირნება გადაწყვიტა; სწორედ იმ დროს, როდესაც ის იებს კრეფდა, მოულოდნელად გაიტაცა პლუტონმა, შეშინებულ გოგონას ხელიდან გაუვარდა მოკრეფილი ყვავილები და მიწაზე დაიყარა, რომლებიც იმ ციური იების შთამომავლებია და დღესაც იზრდებიან დედამიწაზე.

აღბათ ამიტომაცაა, რომ ია ბერძნულ კულტურაში სევდის და უფრო მეტიც სიკვდილის ყვავილად ითვლებოდა, მაგრამ არა იმ სიკვდილის, რომელიც "ყველაფრის დასასრულია", არამედ აღმნიშვნელია ახალი სიცოცხლის, დაბადებისა და სიკვდილის მარადიულ ციკლის. ია, რომელიც განწირულია ჩრდილში და სიჩუმეში საცხოვრებლად, ყოველწლიურად ცოცხლდება გაზაფხულზე და თავის არომატით ავსებს ტყეს.

ია თავისი სტრუქტურით ჰგავს ადამიანის შემცირებულ ფიგურას და ფიქრის სიმბოლოა. თუ გადაწყვეტთ იისფერი კონა ვინმეს მიართვათ, მაშინ იცოდეთ, რომ ყვავილების ენაზე ეს ნიშნავს: "ყველა ჩემი ფიქრი შენ გეხება", ვინაიდან საფრანგეთში სიტყვა pensee ნიშნავს "სამფერა იასაც" და "ფიქრსაც".

ია ჟოზეფინა ბოგარნეს, ნაპოლეონის საყვარელი მეუღლის ბედნიერების ყვავილი იყო. ნაზი ია მათი სიყვარულის ერთგული თანამგზავრი იყო. ის ახლდა ჟოზეფინას და ნაპოლეონს გაცნობისას და

მათი ქორწინების დღესაც. ყოველწლიურად ამ დღეს ჟოზეფინას მაგიდაზე თავს იწონებდა თავმდაბალი იის თაიგული - ერთგულებისა და სიყვარულის ნიშნად. ელენეს კუნძულზე ნაპოლეონის სიკვდილის შემდეგ მის მედალეონში შვილის კულულთან ერთად ორი პატარა იაც ნახეს.

უმველესი დროიდან ია ითვლება თავმდაბლობის და უმანკოების სიმბოლოდ.

<http://floweryvale.ru/interesting-facts/violet.html>

Ziziphora capitata L. - ურცი

მესხეთში ცნობილია ყარაფილას სახელით



ტუჩოსანთა ((Labiatae) ოჯახის ერთწლოვანი 5-20 სმ სიმაღლის მცენარეა. ფესვთანური ფოთლები ფართო კვერცხისებრია, გრძლად წაწვეტებული, რკალისებრ დაძარღვული. ყვავილები მოთეთრო-კრემისფერია, შეკრებილია თავაკისებრ ყვავილედად. ყვავილობს მაის-ივლისში. იზრდება მშრალ ფერდობებზე მთის შუა სარტყლამდე.

არომატული მცენარეა; მისი ყვავილები შეიცავს ეთერზეთებს, ფიტონციდებს, სპირტს, მენტოლს. ზეთს იყენებენ კბილის ტკივილის დროს, შველის რევმატიზმს. ბალახის ნახარში ხასიათდება დამამშვიდებელი მოქმედებით, მას იყენებენ აბაზანებისა და კომპრესების სახით. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება გაციების, ხველების, სტენოკარდიის დროს.

Zygophyllum fabago L. – ორყურა



ორყურასებრთა (Zygophyllaceae) ოჯახის მრავალწლოვანი ბალახოვანი 30-60 (80) სმ-მდე სიმაღლის მცენარეა მეტ-ნაკლებად სქელი ფესვით. ფოთლები ორი სქელი ფოთოლაკისგანაა შემდგარი, თითოეული მათგანი მოგრძო-უკუკვერცხისებრია, ძირში ასიმეტრიული, ვიწროფრთებიან

ყუნწზე გრძელი. ყვავილები ხშირად წყვილ-წყვილადაა ფოთლების ილიებში განლაგებული, გვირგვინის ფურცლები თავთეთრია, ხოლო ქვემოთ მტვრიანების მსგავსად მოწითალო-ნარინჯისფერი. ვავილობს მაის-ივნისში. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყელში, უდაბნოსა და ნახევრადუდაბნოებში, კვიშნარებზე, თიხნარებსა და რუდერალურ ადგილებზე. ფესვები შეიცავს ნახშირწყლებს, ტრიტერპენულ საპონინებს, ალკალოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს; ბალახში აღმოჩენილია საპონინები, ტრიტერპენოიდები, ალკალოიდები, კატეხინები, ფლავონოიდები. ფოთლებში ნაპოვანია ნახშირწყლები, სახამებელი, გუმფისი, ეთერზეთები, საპონინები, ალკალოიდები, ფენოლკარბონული მჟავები, კუმარინები, ფლავონოიდები, ცხიმზეთები, ვიტამინები C, K. ფოთლებსა და ნაყოფებში - გლუკოზა.

მცენარე ხასიათდება ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო, ჭიისმდენი, ჭრილობების შემახორცებელი, სასაქმებელი, დეტოქდიკაციური და სისხლძარღვების გამაფართოებელი მოქმედებით. დასრესილ ნედლ ფოთლებს იყენებენ გარეგანად - ფურუნკულების მოსამწიფებლად და ჭრილობების შესახორცებლად. ბალახის ექსტრაქტი ხასიათდება ბაქტერიციდული მოქმედებით.

სამკურნალო მცენარეების შეგროვებისა და შენახვის საერთო პრინციპები

სამკურნალო მცენარეები (*Plantae medicinalis*) - ველურად მოზარდი და კულტივირებული მცენარეებია გამოყენებული ადამიანისა და ცხოველების პროფილაქტიკისა და სამკურნალოდ.

მცენარეების სამკურნალო მიზნით გამოყენების შესაძლებლობები იმაზეა დამოკიდებული თუ სად გამოიყენება, ოფიცინალურ თუ ხალხურ მედიცინაში. საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში გამოიყენება მხოლოდ ის სამკურნალო მცენარეები, რომლებიც შესულია სამკურნალო საშუალებების სახელმწიფო რეესტრში. 2010 წლის ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (*IUCN*), მონაცემებით აღწერილ იქნა 320 000 სახეობის მცენარე, მათგან მხოლოდ 21000 სახეობის მცენარე გამოიყენება მედიცინაში.

კაცობრიობის განვითარების უკვე ადრეულ სტადიებში მცენარეები წარმოადგენდა არა მხოლოდ კვების წყაროს, არამედ ისინი ეხმარებოდნენ ადამიანს დაავადებებისაგან განკურნებაში. დღემდე მოღწეულ სამედიცინო ტრაქტატებიდან უძველესია შუმერების ქალაქის (III ათასწლეული ახ. წ.აღ.-მდე) გათხრების დროს აღმოჩენილი თიხის ფირფიტა, სადაც შუმერულ ენაზე 145 სტრიქონზე მოცემულია 15 რეცეპტი, საიდანაც ირკვევა, რომ შუმერი ექიმები სამკურნალოდ იყენებდნენ ძირითადად შემდეგ მცენარეებს: მდოგვს, სოჭს, ფიჭვს, ბეგქონდარას, ქლიავის ნაყოფებს, მსხალს, ლელვს და ა.შ.

ლიტერატურული წყაროებით მტკიცდება, რომ სამკურნალო მცენარეებს იყენებდნენ ასირიაში, ეგვიპტეში, ინდოეთში, ჩინეთში ახ. წ.აღ.-მდე დაახლოებით 3000 წლით ადრე, ხოლო ირანში, საბერძნეთში და რომში ახ/წ.აღ.-ის დასაწყისში. შუა საუკუნეებიდან - არაბულ ქვეყნებში, შუა აზიაში, ევროპაში.

ძველი შუმერების კულტურისა და ცოდნის მემკვიდრეები ბაბილონელები იყვნენ, ისინი სამკურნალოდ იყენებდნენ ძირტკბილას, ლემას, ლენცოფას, სელის თესლებს და სხვ. ბაბილონელებმა შენიშნეს, რომ მზის სხივები უარყოფითად მოქმედებს ზოგიერთი მცენარის სამკურნალო თვისებებზე, რის გამოც აშრობდნენ ჩრდილში, ხოლო ზოგიერთ მცენარეს ღამითაც აგროვებდნენ. ფართოდ გამოიყენებოდა მცენარეები ჩინეთში, ინდოეთში, ტიბეტში. ახ. წ. აღ.-მდე ჯერ კიდევ 3216 წელს ჩინეთის იმპერატორ შენ-ნუნს ეკუთვნის სამედიცინო ტრაქტატი „ბენ-ცაო“, რომლის დიდი ნაწილი ეძღვნება მცენარეული საშუალებების აღწერას. ტრადიციული ჩინური მედიცინა იყებდა 1500-ზე მეტ სახეობას, მათგან განსაკუთრებით ხშირად გამოიყენებოდა გლერძი, ჟენშენი, კოჭა, მიხაკი, ჩინური ლიმონურა, ხახვი, მანდარინის ქერქი, ფურისულა, ძირტკბილა, სატაცური, ნიორი. მუზარადა და სხვ.

ძველი ინდური მედიცინა, რომელიც „აიურვედაშია“ - „სიცოცხლის ხელოვნება“ (I საუკუნე ახ. წ.აღ.-ის) გადმოცემული, სამკურნალოდ 800-მდე სახეობას იყენებდა, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. ხოლო ახ. წ. აღ.-ის III საუკუნეში ინდოეთში დაიწყო სამკურნალო მცენარეების კულტივირება.

ინდური მედიცინის ბაზაზე წარმოიქმნა ტიბეტური მედიცინა, რომლის სამედიცინო თხზულებაში „ჩჟუდში“ დიდი განყოფილება ეძღვნება სამკურნალო მცენარეებს, რომელთა რაოდენობა 400 სახეობას აღემატება.

ავიცენას (აბუ ალი იბნ სინა, დ. 980, გ. 1037, მოღვაწეობდა ბუხარაში, ხვარაზმსა და სპარსეთში) უმნიშვნელოვანეს სამედიცინო თხზულებაში „სამკურნალო მეცნიერების კანონი“, განხილულია 900 სახეობის სამკურნალო მცენარის გამოყენების ხერხები მწვავე და ქრონიკული დაავადებებისას. შემდგომ პერიოდებში სამკურნალო მცენარე-

ებზე დაგროვილი ცოდნა ფორმალიზებულ იქნა და ფარმაკოპეებში აისახა.

ხალხურ მედიცინაში იხმარება არაოფიცინალური სამკურნალო მცენარეები, რომელთა გამოყენების შესახებ საზღვრები არ არსებობს და ცალკეული ავტორი თვითონ განსაზღვრავს მათი გამოყენების კრიტერიუმებს.

სამკურნალო ბალახების შემცველი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები ხასიათდებიან სამკურნალო მნიშვნელობით. ისინი არაერთგვაროვნადაა განლაგებული მცენარის ქსოვილებსა და ნაწილებში, რის გამოც ბალახების შეგროვებისას აუცილებელია იმის ცოდნა, თუ სად არის თავმოყრილი სასარგებლო ელემენტები და მცენარის განვითარების რომელ პერიოდშია მაქსიმალურად კონცენტრირებული.

სამკურნალო მცენარეების ნედლეულის გამოყენების ძირითადი ხერხებია: სამკურნალო საშუალებების წარმოება შინაგანი და გარეგანი მოხმარებისათვის.

შინაგანად გამოიყენება სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ან ნაკრებების წყალზე დამზადებული ნაყენები და ნახარშები, წყალსპირტოვანი, ზეთოვანი ნაყენები, ექსტრაქტები. ოფიცინალური მცენარეების წვნიანი ნედლი ნაწილებიდან ლებულობენ წვენს. მედიცინაში იშვიათად გამოიყენება სამკურნალო მცენარეული ნედლეულის მშრალი ნაწილებიდან მიღებული ფხვნილები.

გარეგანად გამოიყენება ბალახის აბაზანები, მალამო, კომპრესი.

ოფიცინალური მცენარეებიდან მიღებულია სამკურნალო მცენარეული ნედლეულის სხვადასხვა მორფოლოგიური ჯგუფები: ბალახი, ყვავილები, ფოთლები, ფესურა, ფესვები, ნაყოფები, თესლები, ქერქი, კვირტები და სხვ.

სამკურნალო მცენარეების შეგროვების წესები: სამკურნალო მცენარის შეგროვებისას ყველაზე მთავარია შეცდომა არ იქნეს დაშვებული და მისი სწორად იდენტიფიცირება მოხდეს. გამოუცდელი შემგროვებლები, რომლებიც თვითმკურნალობით არიან დაკავებულნი, ზოგჯერ მიუღებელ შეცდომებს უშვებენ, მითითებულის ნაცვლად სულ სხვა სახეობას აგროვებენ. მაგ.: ადვილია ქოლგოსანთა ოჯახის სხვადასხვა სახეობის აღრევა, რომელთა შორის ძალიან ბევრი შხამიანია.

მცენარეების შეგროვებისას უმთავრესია, რომ ნედლეულში შენარჩუნებულ იქნეს ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების რაოდენობა და რაც მთავარია, ნედლეულის დამზადების შემდგომ, სამკურნალო მცენარეების პოპულაციამ შეინარჩუნოს აღდგენის უნარი.

სამკურნალო მცენარეების შეგროვებისას, ყოველთვის მზადდება მხოლოდ მცენარის განსაზღვრული ნაწილი, ანუ განსაზღვრული ორგანოები. იშვიათად გროვდება მთელი მცენარეები. ამ მიმართებით უფრო ხშირად გვხვდება ნედლეულის შემდეგი სახეები: 1. მიწისქვეშა ორგანოებიდან - ფესვები, ფესურა, ფესურა ფესვებითურთ, ტუბერი, ბოლქვი, ტუბერბოლქვები; 2. მიწისზედა ორგანოებიდან - ფოთლები, ბალახი, კვირტები, ყლორტები, ყვავილი, მტვრიანები სვეტებითურთ, თანაყვავილეები (გირჩები), კოკრები, თესლები, ნაყოფი, ქერქი.

მთლიან მცენარეს ამზადებენ იშვიათ შემთხვევაში, მაგ.: დროზერა, ფითრი, უმდაბლესი მცენარეები (ჭვაველა, მღიერები, სოკოები, წყალმცენარეები), რომელთაც არა აქვთ ცალკეული ორგანოები ბუნებრივია მზადდება მთლიანად.

უმალლესი მცენარეები იშვიათად მზადდება მთლიანად, ვინაიდან მათი შემცველი აქტიური ნივთიერებების კონცენტრირება უმთავრესად ხდება განსაზღვრულ ორგანოებში.

მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც ნედლეულის ხარისხზე მოქმედებს შეკრების დროა. ცნობილია, რომ აქტიური ნივთიერებების შემცველობა იცვლება მისი ინდივიდუალური განვითარების პროცესში. მცენარის ცალკეული ორგანოების ან მისი ნაწილების დამზადებისას აღინიშნება საერთო კანონზომიერებანი:

- ჩვეულებრივ არ ხდება ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეების ფესვების შეგროვება;
- ორწლოვანი მცენარეების შეგროვება უმრავლეს შემთხვევაში წარმოებს სიცოცხლის პირველსავე წელს შემოდგომით, სიცოცხლის მეორე წელს კი გაზაფხულზე, ვეგეტაციის დაწყების წინ.
- მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეების ფესვებისა და ფესურების შეგროვება იმავე ვადებში ხდება.
- მიწისზედა ორგანოების დამზადება ნელა მზარდ მცენარეებში წარმოებს ორი, სამი ან მეტი წლის ასაკში.

ფესურებსა და ფესვებს აგროვებენ ადრე გაზაფხულზე, მცენარეთა ვეგეტაციის დაწყებამდე ან შემოდგომით, ვეგეტაციის დასასრულს.

ტუბერები და ტუბერბოლქვები - ყვავილობის პერიოდში.

ბოლქვები - ნაყოფმსხმოიარობის დასასრულს, მიწისზედა ორგანოების გახმობის შემდეგ, როდესაც მცენარე გადადის ე.წ. მოსვენების პერიოდში.

ფოთლები - მათი ფორმირების შემდეგ მთელი წლს განმავლობაში, ვინაიდან ერთჯერადი აღება ვერ იძლევა სრულფასოვან ნედლეულს.

ბალახი - ბალახოვანი მცენარეების მიწისზედა ნაწილი - გროვდება საყვავილე ღეროებთან ერთად ყვავილობის დასაწყისში, ვინაიდან სრული ყვავილობის პერიოდში შეგროვილი ბალახი ნაწილობრივ უკვე შეიცავს ნაყოფებსაც, რაც არ არის სასურველი ნედლეულის დამზადებისას.

ყვავილები და ყვავილელები - ყვავილობის საწყის ფაზაში, მათ სრულ გაშლამდე.

ნაყოფები და თესლები - მათი სრული სიმწიფისას; კულტივირებულ სამკურნალო მცენარეების მექანიკურ აღებას აწარმოებენ სრულ სიმწიფემდე, რათა არ დაცვივდეს თესლები ან ნაყოფები, ისინი მწიფდებათ მინდვრებში ან საკუჭნაოებებში.

ქერქები - გაზაფხულზე, მცენარეებში წველების მოძრაობის დაწყებამდე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქერქის გარდა, მცენარის ცალკეული ნაწილების შეგროვება უნდა წარმოებდეს მზიან, კარგ ამინდში. ამ შემთხვევაშიც დაუშვებელია მათი შეგროვების დაწყება ადრე დილით ნამის შემრობამდე. ცვრიანი მასალის შეგროვების შემთხვევაში, ნედლეული გაშრობისას შავდება, იშლება მცენარის შემადგენელი მოქმედი ნივთიერებები და შეგროვილი მასალა უვარგისი ხდება.

გაშრობა: მხოლოდ გაშრობის შემდეგ გადაიქცევა შეგროვილი მასალა მცენარეულ სამკურნალო ნედლეულად, რომელსაც შემდეგ ინახავენ მთლიანად ან სათანადოდ გადამუშავებულს (განსაზღვრული სიდიდის ნაწილებად დაყოფილს, დაფქვილს და ა.შ.).

ნედლეული ითვლება სწორედ გამშრალად იმ შემთხვევაში, თუ ის მნიშვნელოვნად ინარჩუნებს თავის პირველდაწყებით ფერს. გაშრობა - ეს უმარტივესი პროცესია დაკონსერვებისა, რის დროსაც მცენარიდან ან მისი ნაწილებიდან ცილდება ტენი, ამასთან გამორიხულია ლპობის პროცესების მიმდინარეობა. სამკურნალო მცენარეებს აშრობენ კარგი ვენტილაციის მქონე დახურულ შენობებში. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვენიც, სადაც უნდა იყოს თაროებად გაკეთებული ჩელტები, ან უჟანგავი, წვრილად მოქსოვილი ბადეები. სხვენი გვერდებიდან უნდა ნიავედებოდეს. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ დღის განმავლობაში მზის გადახრისას, სხვენის ამა თუ

იმ მხარეებიდან მზის სხივები არ მოხვდეს და არ დახედოს გასაშრობ მასალას. აღსანიშნავია, რომ გაშრობის ხერხისა და საშრობის ტიპს არჩევენ ნედლეულის თვისებებიდან გამომდინარე. გაშრობა უნდა ჩატარდეს სწრაფად, გაშრობისას მცენარეები არ უნდა ავურიოთ, რათა არ დაიმტვრეს. თაროებზე გაშრობისას ნედლეულს თხელ ფენებად აწყობენ, რათა არ დაობდეს და შრობა დაჩქარდეს. ზოგიერთ ბალახს კონებად კრავენ და თოვზე დაკიდებულს აშრობენ. ერთ-ერთი უმთავრესი პირობა შრობის ტექნოლოგიაში კარგი ვენტილაციაა. გაშრობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ნედლეულის ხასიათზე (მასში ტენის რაოდენობასთან დამოკიდებულებაზე) და გაშრობის ტემპერატურაზე. ყვავილები და ფოთლები უფრო სწრაფად შრება, ვიდრე ბალახი. უფრო დიდხანს შრება - ფესვები, ფესურები. გაშრობის დამთავრებას განსაზღვრავენ შემდეგი ნიშნებით: ფესვები, ფესურები, ქერქი, ღეროები გადალუნვისას ტკაცუნით ტყდება; ფოთლები, ყვავილები და ყვავილედეები ფხვნილად ისრისება.

შრობის ტემპერატურის სწორ არჩევასთანაა დაკავშირებული გაშრობილი ნედლეულის ხარისხი. ჩრდილში, ბუნებრივი სითბოს პირობებში გაშრობისას და კარგი ვენტილაციისას ჩვეულებრივ ღებულობენ სანიძუმო ხარისხობრივ ნედლეულს. საშრობში შრობისას შერჩეულ უნდა იქნეს ისეთი ტემპერატურა, რომ ნედლეულის შრობის შედეგი ხარისხიანი იყოს და შეინარჩუნოს აქტიური ნივთიერებების მაქსიმალური შემცველობა. ზოგიერთი აქტიური ნივთიერება მაღალ ტემპერატურაზე იშლება ან ქროლდება, რის გამოც ეთერზეთოვან მცენარეებს აშრობენ 40°C-ზე უფრო დაბალ ტემპერატურაზე, ვინაიდან ეთერზეთები უფრო მაღალ ტემპერატურაზე ქროლდება და მათი შემცველობა ნედლეულში მნიშვნელოვნად მცირდება.

სამკურნალო მცენარეები, რომლებიც შეიცავენ კარდიოტონურ გლიკოზიდებს, საჭიროა გაშრეს არა უმეტეს 50°C ტემპერატურაზე. უფრო მაღალზე - მცირდება აქტიური გლიკოზიდების შემცველობა და გარდა ამისა, დენატურირდება ენზიმებით, რომლებიც დიდ როლს ას-

რულებენ ზოგიერთი აქტიური ნივთიერებების შემდგომ გამოყოფაში.

ეკონომიკურად მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს ე.წ. მშრალი ნედლეულის გამოსავალი. ის გამოიხატება ნედლი მასალის წონის შეფარდებით მშრალი მასალის წონასთან. მშრალი მასალის გამოსავლის მაჩვენებელი იცვლება არა მხოლოდ ნედლეულის ხარისხთან დაკავშირებით, არამედ ნედლი მასალის მდგომარეობიდან გამომდინარე. ქსეროფიტული სამკურნალო მცენარეები მშრალი რაიონებიდან, ანდა ხანგრძლივი მშრალი პერიოდიდან გამომდინარე, ბუნებრივია შეიცავს მცირე რაოდენობის ტენს და რასაკვირველია ნაკლებ ტენს კარგავს გაშრობისას. ხორცოვანი მცენარეები იძლევიან ნაკლებ გამოსავალს მშრალი ნედლეულისას, ვიდრე ნაკლებ წვნიანები. მშრალი ნედლეულის განსაკუთრებით დიდი გამოსავალი აქვს ქერქს, მაგ., მუხის ქერქი (*Cortex quercus*) შრება 3:1 თანაფარდობით, ეს ნიშნავს, რომ 3 კგ ნედლი ქერქიდან მიიღება 1 კგ ნედლეული. აგრეთვე ფესვებიც იძლევიან შედარებით მაღალ გამოსავალს მაგ: მარწყვაბალახის ფესვები (*Radix tormentillae*) 3:1, ფშნის ეკალის ფესვები (*Radix ononilis*) 3:1, კატაბალახას ფესვები (*Radix valerianae*) 4:1, კულმუხოს (*Radix helenii*) 4:1, შმაგას ფესვები (*Radix belladonnae*) 5:1 და ა.შ.

ბალახოვანი სახეობებისა და ფოთლოვანი ხე-მცენარეების ნედლეულის მშრალი მასალის გამოსავალი მერყეობს 4:1 დან 6:1 თანაფარდობით. ყვავილები იძლევიან მშრალი ნედლეულის გამოსავალს ჩვეულებრივ 6:1 დან 8:1 შეფარდებით. ყველაზე მაღალი გამოსავლიანობით ხორცოვანი ნაყოფები ხასიათდება, მაგ., ანწლი (*Fructus sambucus*) იძლევა მშრალი ნედლეულის გამოსავალს 8:1, მოცვი (*Fructus myrtilli*) 10:1 და ა.შ.

მასალის მახასიათებლებისა და რაოდენობის მიხედვით, გამშრალ ნედლეულს ათავსებენ ტომრებში, ფუთებში, კონტეინერებში და ა.შ. ტომრები ინახება ბნელ ადგილას (სინათლეში შენახვისას ნედლეული კარგავს ბუნებრივ ფერსა და უვარგისი ხდება). სიფრთხლეა საჭი-

რო გადაზიდვის დროსაც, რათა მასალა გზაში არ დასველდეს, ან მზის სხივებმა არ იმოქმედოს მასზე, რის გამოც გადაზიდვა ხდება კარგ ამინდში, ბრეზენტგადაფარებული. ნედლეული საწყობებში, ავთიაქებსა თუ სახეობებში შენახულ უნდა იქნეს მშრალ, ბნელ ადგილებში შედარებით დაბალ ტემპერატურაზე (18°C-მდე).

დროის გასვლის შემდეგ ნედლეული კარგავს თავის მოქმედებას, ვინაიდან მთელი რიგი აქტიური ნივთიერებები განსაზღვრული დროის შემდეგ იშლებიან. ნედლეულის აქტივობის კარგვის ხარისხი და სიჩქარე დამოკიდებულია უპირველესად იმ ფაქტორებზე, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი. საშუალოდ ნედლეულის შენახვის ხანგრძლივობა 2 წელს არ აღემატება, არის ზოგიერთი გამონაკლისიც, რომლებიც საჭიროებენ შენახვის უფრო მოკლე ვადებს, ზოგიერთებისათვის კი უფრო ხანგრძლივი პერიოდია დამახასიათებელი (ბიძინაშვილი, 2011; 2017).

მცენარეების ლათინურ სახელწოდებათა საძიებელი

Achillea neilreichii Kerner (*A. ochroleuca* Ehrh.) – 40

Adonis aestivalis L. - 42

Aegonychon purpureocaeruleum (L.)

Holub. – 44

Ajuga genevensis L. - 44

Ajuga reptans L. - 45

Alliaria petiolata (Bieb.) Cavara. et Grande. - 46

Allium paradoxum (Bieb) Don. - 47

Allium ursinum L. - 48

Anagallis arvensis L. - 50

Anchusa italica Retz. - 51

Anemone caucasica Willd. - 51

Anemone ranunculoides L. - 52

Aquilegia vulgaris L. - 53

Anthemis cotula L. - 55

Anthriscus cerefolium (L.) Hoffm. - 55

Artemisia caucasica Willd. - 56

Asarum ibericum Stev. ex Ledeb. - 57

Aristolochia clematitis L. - 59

Arum albispatum Stev. ex Ledeb. - 60

Asparagus officinalis L. - 62

Asphodeline lutea (L.) Reichenb. – 64

Barbarea vulgaris R. Br. - 65

Bellevalia montana (K.Koch.) Boiss. - 66

Bellevalia speciosa G.Wor . – 66

Bellis perennis L. - 67

Bifora radians Bieb - 68

Borago officinalis L. - 69

Bryonia dioica Jusq. - 70

Brunnera macrophylla (Bieb.) - 72

Bupleurum rotundifolium L. - 73

Caltha palustris L. - 74

Campanula rapunculoides L. - 75
Cannabis ruderalis Janisch. - 77
Capsella bursa-pastoris (L.) Medik. - 79
Capparis spinosa L. - 81
Centranthus longiflorus Stev. V-VI. - 83
Ceterach officinarum Willd. - 84
Chelidonium majus L. - 84
Chrysosplenium alternifolium - 86
Colchicum speciosum Stev. -87
Convallaria transcaucasica Utk. - 89
Convolvulus arvensis L. - 93
Corydalis angustifolia (Bieb.) DC. - 94
Corydalis marschalliana Pers. - 95
Coronilla varia L. - 96
Crocus adamii I.Gay. - 97
Cyclamen vernal Sweet. - 98
Cynoglossum officinale L. - 100
Dentaria quinquefolia Bieb. - 101
Dictamnus caucasicus (Fisch. et C.A.Mey) Grossh. - 101
Diocorea caucasica Lipsky - 103
Doronicum orientale Hoffm. - 106
Dorycnium graecum (L.) Ser.- 106
Ecballium elaterium (L.) A. Rich. - 107
Epimedium colchicum (Boiss.)Trautv. - 108
Equisetum arvense L. - 110
Eremurus spectabilis Bieb. - 112
Erodium cicutarium (L.) L. Herit. - 114
Eryngium campestre L. - 115
Erysimum repandum L. - 115
Erythronium caucasicum Woronow - 116
Euphorbia helioscopia L. - 117
Ficaria ledebourii Grossh. et Schischk. - 118
Filipendula vulgaris Moench - 119
Fragaria vesca L. - 120

Fritillaria caucasica Adams - 122
Fumaria officinalis L. - 124
Gagea chlorantha (Bieb) Schult. & Schult. f. - 125
Gagea commutata C. Koch - 126
Gagea dubia Terr. - 126
Gagea lutea (L.) Ker. - Gawl. - 127
Galanthus alpinus Sosn. subsp. *caucasicus* Gagnidze - 128
Galanthus kemulariae Kuthath. - 129
Galanthus krasnovii A. Khokhr. - 130
Galanthus lagodechianus Kem.-Nath. - 131
Galanthus platyphyllus Traub et Moldenke - 132
Galanthus woronowii Losinsk. - 132
Galega orientalis L. - 135
Galium verticillatum Danth. - 136
Geranium robertianum L. - 136
Geum urbanum L. - 137
Gladiolus caucasicus Herb. [G. *communis* auct. non L.] - 138
Gladiolus italicus Mill. - 139
Gladiolus tenuis Bieb. - 139
Glaucium corniculatum (L.) Curt. - 142
Glaucium flavum Crantz - 143
Glechoma hederacea L. - 144
Globularia trichosantha F. et M. - 145
Gymnospermium smirnowii (Trautv.) Takht.
(*Leontice smirnowii* Trautv.) - 145
Helleborus abchasicus A.Br. - 146
Helleborus caucasicus A.Br. - 146
Helianthemum nummularium (L.) Dunal - 148
Helianthemum salicifolium (L.) Mill. (*Cistus salicifolis* L.) - 149
Hesperis matronalis L. - 150
Herniaria hirsuta L. - 151
Holosteum umbellatum L. - 152
Hyssopus angustifolius Bieb. - 152

Iris caucasica Hoffm. - 153
Iris iberica Hoffm. - 154
Iris pseudacorus L. - 154
Iris pumila L. - 156
Iris reticulata Bieb. - 156
Isatis iberica Stev. - 158
Lamium album L. - 159
Lamium amplexicaule L. - 160
Laser trilobum (L.) Borkh. - 161
Leucanthemum vulgare Lam. - 162
Leucojum aestivum L. - 163
Lilium szovitsianum Fisch. et Ave-Lall. - 165
Lithospermum officinale L. - 167
Lotus corniculatus L. - 168
Lythrum salicaria L. - 168
Marrubium vulgare L. - 169
Matricaria chamomilla L. - 170
Melandrium boissieri Schischk. - 172
Melilotus officinalis (L.) Desr. - 174
Mentha longifolia L. - 176
Merendera raddeana Regel. - 178
Merendera trigyna (Adam) Woronow - 179
Muscari szovitsianum Baker - 180
Myosotis arvensis (L.) Hill. - 181
Nasturtium officinale R.Br. - - 183
Nepeta mussini Henke - 184
Nigella sativa L. - 184
Nymphaea alba L. - 186
Orchis mascula (L.) L. - 188
Orchis morio L. - 189
Orchis purpurea Huds. - 189
Orchis simia Lam. - 190
Ornithogalum ponticum Zahar. - 193

Ornithogalum woronowii Krasch. - 193
Oxalis acetosella L. – 195
Oxalis corniculata L. - 196
Pachyphragma macrophyllum (Hoffm.) N.Busch. - 197
Paeonia caucasica N. Schripetz. - 198
Paeonia tenuifolia L. - 198
Papaver rhoeas L. - 201
Paris incompleta Bieb. - 202
Peganum harmala L. - 204
Petasites albus (L.) Gaertn. - 206
Petasites georgicus Manden. - 207
Petrorhagia saxifraga (L.) Link. (*Tunica saxifraga* (L.) Scop.) - 208
Phlomis pungens Willd. - 208
Phlomis tuberosa L. - 209
Physalis alkekengi L. - 210
Phytolacca americana L. - 212
Plantago lanceolata L. - 213
Plantago major L. - 214
Polygonatum glaberrimum C.Koch. - 215
Polygonatum multiflorum (L.) All. - 216
Polygonatum orientale Desl (*P.polyanthemum* (Bieb.) A.Dietr.) - 217
Polygonum aviculare L. - 219
Portulaca oleraceae L. - 220
Poterium polygamum W. et Kit. - 222
Primula macrocalyx Bge. - 223
Primula woronowii Losinsk. - 224
Prunella vulgaris L. - 226
Pulsatilla georgica Rupr. - 222
Puschkinia scilloides Adam. - 227
Pyrethrum sericeum (Adams) M. Bieb. - 228
Rumex acetosella L. - 229
Rumex crispus L. - 229

Salvia aethiopsis L. - 230
Salvia sclarea L. - 231
Salvia verticillata L. - 231
Sanicula europaea L. - 232
Saxifraga tridactylites L. - 233
Scabiosa columbaria L. - 233
Scilla siberica Andr. - 234
Scopolia carniolica Iacq. - 235
Scutellaria orientalis L. - 236
Sedum acre L. - 237
Sedum album L. - 237
Sempervivum transcaucasicum Muirhead - 238
Silene italica (L.) Pers. - 239
Silybum marianum (L.) Gaertn. - 240
Sisymbrium officinale (L.) Scop. - 241
Solidago virgaurea L. - 241
Stachys annua (L.) L. - 242
Stachys sylvatica L. - 242
Stellaria holostea L. - 243
Stellaria media (L.) Vill. - 243
Symphytum caucasicum Bieb. - 245
Tamus communis L. - 245
Taraxacum officinale Wigg. - 246
Teucrium polium L. - 248
Thymus tiflisiensis Klok. & Shost. - 249
Tragopogon graminifolius DC. - 249
Tribulus terrestris L. - 250
Trifolium pratense L. - 251
Tulipa biebersteiniana Schult. et Schult. - 251
Tulipa eichleri Regel. - 253
Tussilago farfara L. - 256
Valeriana officinalis L. - 258

Verbena officinalis L. - 259
Veronica anagallis L. - 260
Vinca herbacea Waldst. et Kit - 261
Viola alba Bess. - 263
Viola arvensis Murr. - 263
Viola kitaibeliana Schult. - 264
Viola mirabilis L. - 265
Viola odorata L. - 265
Viola reichenbachiana Ford. ex Boreav. (= V.sylvestris Lam.) - 266
Viola suavis Bieb. - 266
Ziziphora capitata L. - 268
Zygophyllum fabago L. - 269

მცენარეების ქართულ სახელწოდებათა საძიებელი

- ადამის ზაფრანა - 97
ამიერკავკასიური კლდისვაშლა - 238
აფხაზური ხარისძირა - 146
აღმოსავლეთის სვინტრი - 217
აღმოსავლური
მუზარადა - 236
აღმოსავლური
ხბოშუბლა - 135
ბაბუაწვერა, ბურბუშელა - 246
ბადისებრი ზამზახი - 156
ბაიასებრი ფრინტა - 52
ბამბიქულა - 230
ბარბარეა - 65
ბადის სატაცური (სამკურნალო სატაცური) - 62
ბაყაყურა - 240
ბიბერშტეინის ტიტა - 251
ბოლქვიანი ჯინჭარა - 209
ბრტყელფოთოლა
თეთრყვავილა - 132
გველის სურო - 261
გლობულარია - 145
გლუვი სვინტრი - 215
გობისცხვირა - 226
დანაწვერებული
ჯადვარი - 189
დანდური - 220
დაჯირა - 231
დიდბაია, ჭყანტა - 74
დიდი მრავალბარღვა - 214
დიდჯამა ფურისულა - 223
ეიხლერის ტიტა - 253
ენდრონიკა - 136
ერთწლოვანი
დედაფუტკარა - 242
ერიზიმუმი - 115
ვაზისძირა - 160
ველის იორდასალამი - 198
ველური კანაფი - 77
ვილჰელმსის ბელევალია - 66
ვირისტერფა - 256
ვიწროფოთოლა
ბუჩქისძირა - 94
ვორონოვის
თეთრყვავილა - 132
ვორონოვის ძაღლნიორა - 193
ზაფხულის ცხენისკბილა - 163
ზიზილა - 67
თბილისური
ბეგქონდარა - 249
თეთრი ბურეა - 206
თეთრი დუმფარა - 186
თეთრი ია - 263
თეთრი კლდისდუმა - 237
თვითნათესი ყაყაჩო - 201
იტალიური ქოთანა - 239
კავკასიური ხმალა - 138
კავკასიური გიეში - 56
კავკასიური დიოსკორეა - 103

კავკასიური ზამბახი - 153
კავკასიური
თეთრყვავილა - 128
კავკასიური
იორდასალამი - 198
კავკასიური იფნურა - 101
კავკასიური კაბაჭრელა - 116
კავკასიური ლაშქარა - 245
კავკასიური ფრინტა - 51
კავკასიური ღვინა - 122
კავკასიური ხარისძირა - 146
კაკბის საკენკელა - 167
კამანია - 55
კაპარი - 81
კაუჭა კურდღლის-
ფრჩხილა - 168
კემულარიას
თეთრყვავილა - 129
კესანე - 181
კიტრანა - 107
კიტრისუნა - 69
კლდის იასამანი - 83
კოკომჟავა - 229
კრასნოვის
თეთრყვავილა - 130
კუროს თავი, ტატაშა - 250
კუტი ბალახი - 248
ლაგოდების თეთრყვავილა - 131
ლანცეტა მრავალძარღვა - 213
ლეშურა - 70
მაიმუნის ჯადვარი - 190
მამრობითი ჯადვარი - 188

მარიამსაკმელა - 204
მარშალის ბუჩქისძირა - 95
მარცვლოვანფოთოლა
ფამფარა - 249
მეწამული ჯადვარი - 189
მთის შროშანი - 165
მინდვრის გვირილა - 162
მინდვრის ნარი - 115
მონეტისფოთოლა
მზეყვავილა - 148
მოცისფრო-მეწამული კაკბის
საკენკელა - 44
მრავალყვავილიანი
სვანტი - 216
მრგვალი წამალი - 145
მრგვალფოთოლა ქვაპურა - 73
მსხვილფოთოლა ციურა - 72
მტრედის ფოლიო - 233
მშვენიერი ბელევალია - 66
მჩხვლეტავი ჯინჭარა - 208
მცოცავი პირწმინდა - 45
მწვანეყვავილა ჩიტისთავა - 125
მჭამელა - 86
ნაცარა გვირილა - 228
ნეილრეიხის ფარსმანდუკი - 40
ნიგვზისძირა - 137
ნიუკა - 60
ონტკოფა - 210
ორყურა - 269
ოქროწყებლა - 241
ოშოშა - 144
პატარძალა - 51

პონტოს ძალღნიორა - 193
პრასანა - 47
ჟენევის პირწმინდა - 44
რადეს ენძელა - 178
რაპუნკულუსისებრი
მაჩიტა - 75
რქიანი მჟაველა - 196
რძიანა - 117
საამური ია - 266
საეჭვო ჩიტისთავა - 126
სავარცხელა - 114
სათესი ხმალა - 139
სათესი სოინჯი - 184
სამზუტკოიანი ენძელა - 179
სამკურნალო გვირილა - 170
სამკურნალო კატაბალახა - 258
სამკურნალო შავთარა - 124
სამკურნალო ცეტერახი - 84
სამკურნალო ძიძო - 174
საოცარი ია - 265
საპონელა - 50
სასტვენა - 172
სკოპოლია - 235
სურნელოვანი ია - 265
ტირიფისფოთოლა
მზეყვავილა - 149
ტყის ბოლოკა - 101
ტყის ია - 266
ტყის მარწყვი - 120
ტყის პიტნა, გრძელფოთოლა
პიტნა - 176
ტყის ჟუნჯრუკი - 243

ტყის ფურისულა - 224
ტყიურა - 161
უჟმურა - 136
ურაშა - 222
ურცი - 268
უცუნა - 87
ფხიჯა - 233
ქარაძენძი - 184
ქართული ბუერა - 207
ქართული ზამბახი - 154
ქართული მათრახა - 158
ქართული მედგარი - 226
ქართული ყოჩივარდა - 98
ქართული ხარისჩლიქა - 57
ქინძარა - 68
ქოლგისებრი
ჰოლოსტეუმი - 152
ქონდარა ზამბახი - 156
ქრისტესბეჭედა - 232
ქრისტესისხლა - 84
ღამის ია - 150
ღანძილი - 48
ღორღორა - 241
ყანის ია - 263
ყაყაჩურა - 142
ყვავისფრჩხილა - 96
ყვანჩალა - 242
ყვითელი ჩიტისთავა - 127
ყვითელი ასფოდელი - 64
ყვითელი გვირილა - 106
ყვითელი ყაყაჩურა - 143
ყუნწიანი ნივრის დედა - 46

შიტა - 110
შოვიცის ყაზახა - 180
შრეში - 112
შროშანა - 89
შუა ჟუნჟრუკი - 243
ჩაღანდრი - 260
ჩაწყობილა ბაია - 118
ჩვეულებრივი
წყალიკრეფია - 53
ჩვეულებრივი მათიტელა - 219
ჩვეულებრივი მჟაველა - 195
ჩვეულებრივი ფოლორცის
ბალახი - 169
ჩვეულებრივი ქაფურა - 119
ჩვეულებრივი დოლო - 229
ჩიტის ია - 264
ჩიტიწვივა - 108
ცვალეზადი ჩიტისთავა - 126
ციმბირული ცისთვალა - 234
ციმციმა - 208
ცისთვალასებრი პუშკინია - 227
ცოცხანა - 259

ცოცხმაგარა - 168
ცხვირისატეხელა - 42
ძაღლის ენა - 100
ძაღლის სატაცური - 245
ძირმწარა - 59
წვეტიანი კლდისდუმა - 237
წვრილფოთოლა უსუპი - 152
წვრილყუნწიანი ხმალა - 139
წითელი სამყურა - 251
წიწმატურა - 79
წყლის ზამბახი - 154
წყლის წიწმატი - 183
ჭიაფერა - 212
ჭყიმა-მხალი - 55
ხარისვარდა - 231
ხარისთვალა - 202
ხახია - 197
ხეშეშეწვა ქაფუნა - 151
ხვართქლა - 93
ხუთყურა - 106
ჯინჭრის დედა - 159

გამოყენებული ლიტერატურა

ტექსტში სახეობათა ტაქსონომია და ნომენკლატურა მოყვანილია საქართველოს ფლორის ნომენკლატურული ნუსხის (2018) [შემდგენლები: მალვინა დავლიანიძე, ციალა ღვინიაშვილი, მელანია მუყბანიანი, ლია ჯონჯოლია-იმნაძე, თამარ ჯუღელი] მიხედვით.

მცენარეთა ქართული სახელები აღებულია ა. მაყაშვილის (1961) „ბოტანიკური ლექსიკონიდან“ და ლელა ჩოთალიშვილის (2011) „ლათინურ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონიდან“.

სატიტულო ყდაზე - გაზაფხულის ქალღმერთი ფლორა

არნოლდ ვილანოველი სალერნოს ჯანმრთელობის კოდექსი. (თარგმანი, ნარკვევი, შენიშვნები აკაკი გელოვანის). თბილისი, 1989.

ასიეშვილი ლ., ბიძინაშვილი რ., ერაძე ნ., სირაძე მ., ცხადაძე ნ., საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ბუნებრივი ფლორა. „კენტავრი“. თბილისი, 2014.

ბიძინაშვილი რ., გაჩეჩილაძე თ., ადრე გაზაფხულზე მოყვავილე საქართველოს ფლორის

ზოგიერთი გეოფიტის (გვ. ენძელას, ცისთვალასა და ყაზახას წარმომადგენლები) ქიმიური შემადგენლობა და სამკურნალო მნიშვნელობა. მცენარეთა ინტროდუქცია და მწვანე მშენებლობა 21 (90). „მეცნიერება“. თბილისი, 2000.

ბიძინაშვილი რ., თბილისის მიდამოების ფლორის სამკურნალო გეოფიტები. „ბასიანი“. თბილისი, 2009.

ბიძინაშვილი რ., ცხადაძე ნ., ხაიკაშვილი ხ., თბილისის მიდამოების სამკურნალო მცენარეები. „ბასიანი“. თბილისი, 2010.

ბიძინაშვილი რ., შრომანას კულტივირების პერსპექტივები. „ბასიანი“. თბილისი, 2011

ბიძინაშვილი რ., სამკურნალო მცენარეები (წარსული, აწმყო და მომავალი). „ბასიანი“. თბილისი, 2011.

ბიძინაშვილი რ., გაზაფხულის მახარობლები-თეთრყვავილები. “უნივერსალი“. თბილისი, 2012.

ბიძინაშვილი რ., მშვენიერი შრეში .“უნივერსალი“. თბილისი, 2012.

ბიძინაშვილი რ., საკვები და ხილკენკროვანი მცენარეების სამკურნალო მნიშვნელობა. “კენტავრი“. თბილისი, 2013.

ბიძინაშვილი რ., ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების სამკურნალო მნიშვნელობა. წიგნი ორ ნაწილად. “კენტავრი“. თბილისი, 2013.

ბიძინაშვილი რ., სანელებელ-არომატული მცენარეების სამკურნალო მნიშვნელობა. „კენტავრი“. თბილისი, 2013.

ბიძინაშვილი რ., „მედვას ბაღის“ მცენარეები: მითი და რეალობა. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. ბათუმი, 2013.

ბიძინაშვილი რ., ადრე გაზაფხულზე მოყვავილე ეფემეროიდული გეოფიტების ბიომორფოლოგიური თავისებურებები. ბიომრავალფეროვნება და საქართველო. ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი II სამეცნიერო კონფერენციის მასალები (19-20 მაისი, 2016 წ., თბილისი). გვ. გვ. 89-92.

ბიძინაშვილი რ., ეფემეროიდული გეოფიტების ბიომორფოლოგიური თავისებურებები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე #2 (38). თბილისი, 2017.

ბიძინაშვილი რ., ავი სენი და სამკურნალო მცენარეები. „მწიგნობარი“. თბილისი, 2016.

ბიძინაშვილი რ., გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და ფიტოთერაპია. „მწიგნობარი“. თბილისი, 2017.

ბიძინაშვილი რ., ერთლებნიანი სამკურნალო გეოფიტების კულტივირების პერსპექტივები. „მწიგნობარი“. თბილისი, 2018.

ბიძინაშვილი რ., თბილისის მიდამოების ფლოროცენოტურ კომპლექსებში წარმოდგენილი ერთლებნიანი ბალახოვანი გეოფიტები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე #3 (39). თბილისი, 2018.

ბიძინაშვილი რ., შხამიანი მცენარეების როლი ფიტოთერაპიაში. „მწიგნობარი“. თბილისი, 2020.

ბიძინაშვილი რ., საერთო ცნობები კანაფის კულტურის ავ-კარგიანობაზე. „მწიგნობარი“. თბილისი, 2020.

გაგნიძე რ., საქართველოს ფლორის კონსპექტი. თბილისი, 2005.

გაგნიძე რ., ხელაია ნ., მარგალიტაძე ნ., ბაცაცაშვილი ქ., ჭურაძე მ., ჭეიშვილი თ., მედეას სამკურნალო ბაღის ბოტანიკურ-გეოგრაფიული ასპექტები. მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის ნარკვევები, ნაკვ. 46-47. „უნივერსალი“, თბილისი, 2009.

გოგოლაძე ჯ., ბიძინაშვილი რ., საქართველოს ფლორის ზოგიერთი გეოფიტის ანტიმიკრობული თვისებები. თბილისის ბოტანიკური ბაღის შრომები, 93, „მეცნიერება“. თბილისი, 2003.

დავით ბაგრატიონი იადიგარ დაუდი. “საბჭოთა საქართველო”. თბილისი, 1985.

მაყაშვილი ა., თბილისის მიდამოების ფლორა. II ტ., თბილისი. 1953.

მაყაშვილი ა., ბოტანიკური ლექსიკონი. “საბჭოთა საქართველო”. თბილისი, 1961.

მაყაშვილი ზ., მცენარეთა სახელდება. “მეცნიერება”. თბილისი, 1996.

სალუქვაძე ს., წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე. „ხელოვნება“, თბილისი, 1987.

საქართველოს ფლორის ნომენკლატურული ნუსხა, [შემდგენლები: - მალვინა დავლიანიძე, ციალა ღვინიაშვილი, მელანია მუყბანიანი, ლია ჯონჯოლია-იმნაძე, თამარ ჯუღელი]. „უნივერსალი“. თბილისი, 2018.

საქართველოს მცენარეების სარკვევი, ტ. I-II, თბილისი, 1964-1969.

სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, წიგნი I. “საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1966.

სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, წიგნი II. “მერანი”, თბილისი, 1993.

სურმანიძე რ., მცირე კარაბადინი, II ნაწ., “აქარა”. ბათუმი, 1991.

ფანასკერტელი-ციციშვილი ზ., სამკურნალო წიგნი “კარაბადინი”. თბილისი, 1978.

ქანანელი უსწორო კარაბადინი (XI ს.). თბილისი, 1940.

შენგელია ზ., სამკურნალო მცენარეები. თბილისი, 1946.

შენგელია ზ., საქართველოს ზოგიერთი უხამიანი მცენარე. თბილისი, 1954.

შენგელია ზ., სამკურნალო მცენარეთა კულტურა საქართველოში, თბილისი. 1983.

შენგელია მ., უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა. თბილისი, 1979.

ჩოთალიშვილი ლ., ლათინურ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონი. თბილისი, 2011.

წუწუნავა ნ., საქართველოს სამკურნალო მცენარეები, II გამოც. თბილისი, 1966.

Атлас ареалов и ресурсов лекарственных растений СССР, М., 1976.

Бидзინაშვილი Р.С., Биологические особенности подснежников в условиях культуры. XVII Н/С СБС Закавказья по вопросам интродукции, зеленого строительства, физиологии и защиты растений. Тбилиси, 1981.

Бидзინაშვილი Р.С., Биоэкологические особенности представителей семейства амариллисовых в ЦБС Грузии. XXIII Н/С СБС закавказья по вопросам интродукции, селекции, физиологии, биохимии и защиты растений. Батуми, 1988.

Бидзინაშვილი Р.С., Биологические особенности дикорастущих видов рода *Galanthus* в культуре. Вопросы интродукции растений и зеленого строительства. 19/88, 1990.

- Гаммерман А.Ф., Кадаев Г.Н., Щупинская М.Д., Яценко-Хмелевский А.А.**, Лекарственные растения (растения целители). М., 1976.
- Золотницкая С.Я.**, Лекарственные ресурсы флоры Армении. т.1. Изд. АН Арм. ССР, Ереван, 1958.
- Землинский С.Е.**, Лекарственные растения СССР. Изд. Моск. Общ. испытателей
- Ивашин Д.С., Катина З.Ф., Рывачук Л.З., Иванов В.С., Бутенко А.Т.**, Лекарственные растения Украины. «Урожай», Киев. 1972.
- Йорданов Д., Николов П., Бойчинов А.**, Фитотерапия. София, 1970.
- Йирасек В., Стары Ф.**, Лекарственные растения. Прага, 1982.
- Ковалева И.Г.**, Лечение растениями. М., 1972.
- Кортиков В.Н., Кортиков А.В.**, Энциклопедия. Лекарственные растения, М., 1998.
- Котуков Г.Н.**, Культивируемые и дикорастущие лекарственные растения. Справочник. Киев, 1975.
- Мазнев Н.**, Энциклопедия лекарственных растений “ Мартин”, М. 2003.
- Машковский М.Д.**, Лекарственные средства. М., 1967.
- Носаль М.И., Носаль И.М.**, Лекарственные растения и способы их применения в народе. Киев, 1960.
- Полная энциклопедия народной медицины**, т. I-III. М., 2001.
- Ролловъ А.Х.**, Дикорастущие растения Кавказа, их распространение, свойства и применения. Тифлисъ, 1908.
- Сало В.М.**, Зеленые друзья человека. М., 1975.
- Священник Александр Жуков**, Божий лекарь. М., 2008.
- Современная фитотерапия.** Под редакцией чл.-корр. Проф. д-ра Веселина Петкова. Медицина и физкультура. София, 1988.
- Турова А.Д., Сапожникова Э.Н.**, Лекарственные растения СССР и их применение. II Изд. М., 1982.
- Чиков П. С.**, Лекарственные растения. Справочник. М., 1989.
- Шретер А.И., Муравьева Д.А., Поскалн Д.А., Ефимова Ф.В.**, Лекарственная флора Кавказа. М., 1979.

Rosa Bidzinashvili, Medicinal plants of Georgia as base for future technologies, their protection and rational use. October, 2017 in Batumi and presented a paper

<https://lektrava.ru/encyclopedia/zhivuchka-mokhnataya/>
https://ru.wikipedia.org/wiki/Очный_цвет_полевой
<https://roza-zanoza.ru/lekarstvennye-rasteniia/volovik-italyanskij-poleznye-svoystva-opisanie.html>
<http://www.medicherb.ru/alphabetical-index/a-d/v/vetrenica-lyutikovaya.html>
<http://cvety-na-dache.ru/mnogoletnie/vodosbor-obyknovennyj.html>
<https://aidigo.ru/encyclopedia/chervil/>
<http://www.floraprice.ru/articles/sad/kopyten-vechnozelenoe-neobychnoe-rastenie-ukrasit-tenistye-mesta-vashego-sada.html>
https://ru.wikipedia.org/wiki/Кирказон_ломоносовидный
<https://medum.ru/aronnik-italyanskij>
<https://www.kp.ru/putevoditel/eda/travy/sparzha/>
https://www.greeninfo.ru/grassy/bellis_perennis.html/Article
https://ru.wikipedia.org/wiki/Бифора_лучистая
<https://ogorodniki.com/article/poleznye-svoystva-ogurechnoi-travy>
https://ru.wikipedia.org/wiki/Сурепка_обыкновенная
<https://cyberleninka.ru/article/n/lechebnye-svoystva-rasteniya-brioniya-dvudomnaya-perestupen;>
<https://green-medicina.ru/lechebnye-travy/694-perestupen.html>
https://vsesorta.ru/about/articles/badan_i_brunnera_ne_tolko_polza_no_i_krasota/
<https://www.google.com/>
<http://proklumbu.com/otkrutui-grunt/mnogoletniki/kaluzhnica-bolo>
<https://zen.yandex.ru/media/id/5aee9e41ad0f2291ff29661e/rapuncel-celebnyi-i-vkusnyi-kolokolchik->
<https://nv.ua/health/medicine/polza-i-vred-konopli-chto-dumayut-eskperity-o-legalizacii-marihuany.>
<http://agrobezopasnost.com/konoplya-cannabis-sativa-l-samaya-doxodnaya-kultura/>
<https://liktravy.ua/ru/useful/encyclopedia-of-herbs/grycykiv-trava>

<https://eda.ru/wiki/ingredienty/ovoschi-korneplody/kapersi>
<https://kiberis.ru/>
<https://www.ogorodnik.com/articles/ocharovanie-osennego-sada-kolhikum>
<http://webcache.googleusercontent.com.2011;>
http://www.aversi.ge/main_jurnal.2011
http://www.лена24.рф/Лекарственные_растения/v%27yunok_polevoj.html
https://altailife.ru/catalog/по_brendam/khorst_g_barnaul/travy_v_upakovkakh_rossyпу/_khokhlarka_gniloy_koren_25gr/
<http://scientists-farmers.com/zeferan-crocusu.pdf>
<http://www.jubkiplus.ru/jasenec-diktamnus-vyrashhivanie.html>
<https://ecotopia.ru/product/labaznik-obyknovennyj-koren-50g/>
<https://www.neboleem.net/gorjanka.php>
<http://gardenweb.ru/podsnezhnik-galanthus;>
[http://www.lekrastenia.ru/59.html.](http://www.lekrastenia.ru/59.html)
<https://indasad.ru/lekarstvennye-rasteniya/3634-geran-lechebnye-svoystva-i-protivopokazaniya#:~>
[https://dacha.expert/domashnie-rasteniya/tsvetushhie/geran/vidy/roberta.](https://dacha.expert/domashnie-rasteniya/tsvetushhie/geran/vidy/roberta)
http://www.лена24.рф/Лекарственные_растения/machok_zheltyj.html
https://www.greeninfo.ru/grassy/helleborus_niger.html/Article/_/aID/
<https://www.asienda.ru/plants/solncecvet-monetolistnyj/>
<http://lukovichka.com/katalog-tsvetov/belotsvetnik/opisanie.html>
[http://www.botanichka.ru/blog/2011/04/05/ornithogallum/.](http://www.botanichka.ru/blog/2011/04/05/ornithogallum/)
<https://ka.wikipedia.org/wiki/ଲଠଲଠ>
<https://www.playbuzz.com/sputnikgeorgia10/4-16-2018>
<https://botsad.ru/menu/mir-rastanii/lekarstvennye-rasteniya/skazaniya-o-lekarstvennyh-rastenyah/chistotel-bolshoj-chelidonium-majus/>
<https://stihi.ru/2020>
<https://ok.ru/nashajiznprekrasnoevmjnovenie/topic>
<https://culture.wikireading.ru>
<http://rozavetrov8.ru/jasenec-trava-kupit>
<http://rozavetrov8.ru/jasenec-trava-kupit>
<http://medlabnews.ru/unikalnaya-dioskoreya/>
<https://www.liveinternet.ru/users/lorine/post>
<https://mirchudes.net/flora/1148-equisetum-arvense.html>

<http://flower55.ru/flower-catalog/lukovichnye-i-klubnelukovichnye/eritronium-kandyk/#sthash.F2KUd9wg.dpbs>
<http://www.lepestok.kharkov.ua/garden/>
https://vk.com/@totem_lodjur-labaznik-vyazolistnyi-travnaya-monografiya
<https://culture.wikireading.ru/>
<https://www.facebook.com/uvularia/posts/>
<http://himbiren.com/dymyanka-aptechnaya>
<http://www.myshared.ru/slide>
<http://www.sadiba.com.ua/forum/showthread.php?>
<https://vortexflowers.net/legendyi-o-tsvetah/legendyi-o-gladioluse/>
<https://ok.ru/ravnovesie.dushi/topic/>
<https://www.asienda.ru/plants/solncecvet-monetolistnyj/>
<https://tsvetydoma.ru/tsvety/tsvetyi-odnoletnie-i-dvuletnie/vechernitsa-matronyi.html>
<https://www.tursar.ru/page-joy.php?j>
<https://myphs.jimdofree.com/2015/04/05/иpиc/>
<http://floweryvale.ru/interesting-facts/legend-of-the-daisy.html>
<https://www.botanichka.ru/article/spring-snowflake/>
<http://floweryvale.ru/interesting-facts/legend-of-the-lily.html>
<https://aklumba.ru/derbennik-ivolistnyj-foto>
<http://magic-flor.ru/blog/bukety-iz-romashek/>
<https://zen.yandex.ru/media/zhdana/magiia-rastenii-drema-belaia-celebnye-svoistva-legendy-i-predaniia->
<https://myphs.jimdofree.com/2013/07/23/дoнннк/>
<https://stihi.ru/2020/03/31/>
<http://www.florets.ru/legendy-o-tsvetah/nezabudka.html>
<http://www.vseozvetah.com/nigella.html>
<https://zhenskoe-mnenie.ru/themes/health/vodjanaja-lilija-kuvshinka-lechebnye-svojjstva-i-primenenie-v-medsine/>
<http://www.florets.ru/legendy-o-tsvetah/kuvshinka-tsaritsa-vod.html>
<https://ogorodniki.com/article/iatryshnik-poleznye-svoistva-i-primenenie>
<http://www.florets.ru/legendy-o-tsvetah/legendy-ob-orhideyah.html>

<https://ogorodniki.com/catalog/kislitsa-rozhkovaia>
<http://www.florets.ru/legendy-o-tsvetah/legendy-o-pione.html>
<https://kamine-store.ru/voronii-glaz-i-legenda-o-vorone.html>
<https://www.asienda.ru/plants/garmala-ili-mogilnik/>
<https://vlab.wikia.org/ru/wiki/Белокопытник>
<https://xcook.info/product/lakonos.html>
<https://ru-mythology.livejournal.com/77081.html>
<https://myphs.jimdofree.com/2015/10/09/купена/>
<https://prymaflora.com/ru/article/troynaya-sila-sporysya>
<http://www.myshared.ru/slide>
<http://www.kryminfo.net/legendy-kryma-son-trava/>
<https://lekrava.ru/encyclopedia/podlesnik-evropeyskiy/>
https://buketleta.ru/articles/legendy_o_tsvetakh_tyulpany/
<https://ok.ru/skarbnic/topic>
<http://www.myshared.ru/slide>
https://ozonit.ru/elr/valeriana/valeriana_istoriya.php
<https://vortexflowers.net/legendyi-o-tsvetah/barvinok-legendyi-o-barvinke/>
<http://www.myshared.ru/slide>
<http://floweryvale.ru/interesting-facts/violet.html>

ტექსტში მოყვანილი სურათები აღებულია
<https://www.google.com/> და წყაროებიდან

შინაარსი

წინათქმა -----	3
თოვლის საფარქვეშ მოყვავილე მცენარეები, გაზაფხულის მახარობლები ფოტოილუსტრაცია -----	5
მცენარეების სიმბოლიკა -----	21
თქმულება ყვავილების ადგილსამყოფლებზე, მათ შორის გამორჩეულ ყვავილზე, რომელიც ღრუბლებს ზემოთ ცხოვრობს -----	27
საქართველო და სამკურნალო მცენარეები -----	30
მონაცემები გაზაფხულის ფლორის სამკურნალო მცენარეებზე -- -----	39
სამკურნალო მცენარეების შეგროვებისა და შენახვის საერთო პრინციპები -----	270
მცენარეების ლათინურ სახელწოდებათა საძიებელი -----	279
მცენარეების ქართულ სახელწოდებათა საძიებელი -----	286
გამოყენებული ლიტერატურა -----	290

როზა ბიძინაშვილი

გაზაფხულის ფლორის სამკურნალო მცენარეები

გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი, 2021

Roza Bidzinashvili

Medicinal Plants of Spring Flora

Publising house „Mtsignobari“
Tbilisi, 2021



წიგნი გამკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის!

წამროში კურადდება გამახვილებულია ადრე გაზაფხულიდან, ხშირად თოვლის საფარქვეშ მოყვავილე მცენარეებთან ერთად გვიან გაზაფხულზე მოყვავილე 205 სახეობის ზალახოვნებზე, რომლებიც მაღალ დეკორატიულობასთან ერთად უნიკალური სამკურნალო თვისებებითაც გამოირჩევა.

მორფოლოგიურ ნიშანთვისებებთან ერთად მოცემულია მოკლე ინფორმაცია მათი გავრცელების ძირითადი ადგილსამყოფლების, ეკოლოგიური მახასიათებლების, ქიმიური შემადგენლობისა და სამკურნალოდ გამოყენების შესახებ.

ტექსტს თან ერთვის თქმულებები და ლექსნდები ზოგიერთ მცენარეზე, რომელთა სამკურნალო თვისებები უძველესი დროიდან იყო ცნობილი და დღეაღ არ დაუკარგავს აქტუალობა და მნიშვნელობა.

ISBN 978-9951-490-50-2

